

114
1960/2



65
მნათობი

114/2

9

საქართველოს



1960

მ ნ ა მ მ მ მ მ



ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრუნველყოფის

წელიწადი 37-ე

№ 9

სექტემბერი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8037

შ ი ნ ა ა რ ს ი

აკაკი წერეთელი — განთიადი. ლექსი	33-
აკაკი წერეთელი — ამირანი, ლექსი (ავტობიოგრაფი)	3
აკაკი შანიძე — აკაკის იუბილე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში	5
ნინო ჩხვიძე — „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“	6
ელენე შანაბელი — მოგონება	10
ნეკოლაიზ ტიხონოვი — მარადიულს — მარადიული სიციცხლე!	13
ხარიტონ ვარდოშვილი — უკვდავ აკაკის. ლექსი	15
ალექსანდრე ტოლსტოი — აკაკი წერეთელი	17
მამსიმ ჩილხეი — ქვეშაბრტყელ ნაციონალური და სახალხო პოეტი	18
ანორ გრაში — იტმის ხის ქვეშ. ლექსი, თარგმანი არჩილ სულაველიძისა	21
ვლ. ირლივი — პოეტი	22
გრიგოლ ციციშვილი — აკაკის და ილიას ძეგლთან. ლექსი	23
დმიტრი კოსარივი — აკაკი წერეთელი უკრაინაში	25
გიორგი კახიანი — მგოსანი ხმელეთ-ზურმუხტის... ლექსი.	26
ლევან გოთუა — უფოთლო ხის ჩრდილი	32
გრიგოლ შავყვარიაძე — დაუფიქარი მოგონება	33
წალკა შარაშიძე — დიღო მგოსანო!	38
რიდონ ქორჭია — მოგონება	42
გ. მეტეხე — აკაკი წერეთლის ზოგიერთი დაუმეცადეი ლექსი	44
გიორგი აბშიანიძე — აკაკი წერეთლის პოლიტიკური ლირიკა	46
ს. ფაშალიშვილი — ოლიმპიელის სახელის შუქი	47
ლევან ხანიჭიძე — „პრომეთეიდა“ და „არგონავტიკა“ აკაკი წერეთლის შემოქმედებაში	51
ნოთა ძიძიგური — აკაკი და ქართული ენა	57
	67

იბ. შერაგ ვერდი



მანია ერისთავი, ნინო ჩიხლაძე — აკაკის ლექსი №-ს...	88-75
კონსტანტინე მეჭველია — როგორ ემზადებოდა ქუთაისი 1908 წელს აკაკის იუბილესათვის	78
ს. ფანცხავა — აკაკის შეგობრები	82
ილია შაისურაძე — აკაკი წერეთელი და „ვინმე მესხი“	91
ვ. კოქნაძე — აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის ზოგიერთი საკითხი	93
აღ. კოჭლავაშვილი — აკაკი წერეთელი და საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხი	99
შ. გოზალიშვილი — აკაკი წერეთლის წერილები სერგეი მესხისადმი	107
აკინთე ლისაშვილი — ბაზალეთის ტბასთან. მოთხრობა	115
ნაზიმ ჰიმეში — დამოკლები მახვილი. პიესა, დასასრული. თარგმანი ირაკლი	138
გაორგა ლეონიძე — ნამცერევი, დასასრული.	152

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

საგლე წერეთელი — ქეშმარიტების დასაცადად	165
---	-----

წიგნების მიმოხილვა

გ. ჯანტურაია — ბორის ჩხვიძის რომანი „მწვანე ხოლადუნია“	178
ჯუჯულ შარაშიძე — თენგიზ გოგოლაძის ორი მოთხრობა	180
ვიორჯი მარგველაშვილი — მ. აბულაძის პოეტური კრებულის შესახებ	183
ლევან ფრუიძე — წიგნი რაქა-ლენხუმის რევოლუციურ წარსულზე	185
დავით ჩაკვტაძე — ნარკვევი კავთურას ხეობაზე	186
მარიამ თალაკვაძე — საჭირო სხეულმძღვანელო	188
ვალერიან ითონიშვილი — მონოგრაფია გარბნის ზუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ	190
ახალი წიგნები	გარეკანის III გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

ს ა რ ე დ ა ქ ე ი ლ კ ო ლ ე გ ი ა :

- დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, დ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-60 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7 1/4 × 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პარობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 05701. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 1872.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიტიგრაფიკამოცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.



ქართული
ლიბრერი



აკაკი ნაკათაძი



განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს ღუღუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მგოსანი გრძნობა მორევით
თვალს ავლებს არე-მარესა.
და გულის პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაებრუნებულეარ,
მკურნალად შემეყარეო!..

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,
წამქლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუყვარეო, —
ია და ვარდი დამჰქნარი
ხელახლად გამიხარეო!..

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 სულის ჩამდგმელო მხარეო,
 შენი ვარ, შენთვის მოვეკვდები,
 შენზედვე მგლოვიარეო!..“

„ნურც მკედარს გამწირავ, ნურც
 ცოცხალს,
 ზე კალთა დამაფარეო,
 და, რომ მოვეკვდები, გახსოვდეს,
 ანდერძი დავიბარეო:“

„დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ:
 შენს მიწას მიმაბარეო!..
 ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეო!“

1892 წ.

აკაკი შანიძე



აკაკის იუბილე ჟურნალის კლასიკურ გიმნაზიაში

ქართველი ერი 1908 წელს დიდი ზემოთ ემზადებოდა, რომ ღირსეულად აღენიშნა თავის სასიქადულო მგოსნის აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლისთავი. ეს დღესასწაული მით უფრო სანუკვარი იყო, რომ წინა წელს (1907 წ.) ვერაგულად მოკლეს დიდი ილია და საჭირო იყო, რომ წიწამურის ტრაგედიით ღრმად დაკოდლი ეროვნული სხეული მცირედნად მაინც მოშუშებულყო. აკაკის იუბილე ერთგვარი საღებური იყო ამ დიდი ეროვნული ტკივილის დასაამებლად, რადგანაც აკაკის დროში იგივე ილიას დროში იყო და უკეთესი მომავლის იმედები მაინც ყველას უღვივოდა გულში.

1908 წლის დეკემბერში სწორიდან სწორზე მიჰყვა ერთმანეთს აკაკის საიუბილეო დღეები თბილისში (7 დეკ.), ქუთაისში (14 დეკ.) და ბაქოში (21 დეკ.).

ქუთაისში ამ დროს ორი ვაჟთა გიმნაზია არსებობდა — კლასიკური და სათავადაზნაურო. კლასიკური გიმნაზია ის სასწავლებელი იყო, სადაც ერთ დროს თვით აკაკი წერეთელი სწავლობდა და ბუნებრივია, რომ ამ გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეები საერთო ეროვნულ ფერხულში ჩაეებით და გესურდა, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ამ ეროვნულ დღესასწაულში. ამ მიზნით გადაწყდა, რომ იუბილე გადაგვეხადა გიმნაზიაში 1908 წლის შემოდგომაზე და ვითხოვეთ ნებართვა. ნებართვის მიღებას დაავიანდა (გიმნაზიის დირექტორი არ იყო მაინცა და მაინც კეთილად ვანწყობილი ამისთვის) და იგი გადატანილ იქნა 1909 წლის დასაწყისისათვის და მოეწყო 8 იანვარს, საღამოს.

იუბილეზე, რა თქმა უნდა, თვით აკაკი მოვიწვიეთ. იგი მოწაფეებმა მოვიყვანეთ მელიას ფაიტცინით. სხდომა შედგა სააქტო დარბაზში, გიმნაზიის შენობის მეორე სართულში. ძვირფასი იუბილარი პირველ რიგში დააბრძანეს, სცენის წინ. საიუბილეო ზეიმს ესწრებოდნენ მოსწავლეები (როგორც ჩვენი გიმნაზიისა, ისე სათავადაზნაუროსი და რეალური სასწავლებლისა), მოსწავლეებები და რამდენადმე გარეშე საზოგადოებაც.

იუბილეს აღსანიშნავად მოსწავლეებს დამზადებული გვექონდა აკაკის მისართმევად ჩემი ამხანაგის — მე-8 კლასის მოწაფის — დავით კაკაბაძის (შემდგომში ცნობილი მხატვრის) დახატული „გოჩა—აკაკი“, რუსთველისებრი ფრთიანი ქუდით, ჰანდრის ქვეშ მდგომარე. გოჩა, მოგვხსენებთ, აკაკისავე „თამარ ცბიერის“ მგოსანია, რომელიც აკაკის განსახიერებლად მიგვანჩნდა.

ამ სურათის ჩარჩოს ქვედა არშიაზე მოთავსებული იყო აკაკის „თამარ ცბიერის“ V მოქმედებიდან ამოღებული სიტყვები, მსაჯულთუხუცესის მიერ თქმული მეფის წინაშე:

ტახტზე ასული ფარსევლობა
სისხლით და ცრემლით შავ პიჩს იხანდა
და დღევანდელმა დღემ არ იცოდა,
რუ ზვალინდელი რას მოიტანდა.
მამინ ვაჟიდა ხალხში მგოსანი,
საერო ცრემლით ჩანგზე დამღერა
და ხალხის გული მიძინებულ
ვაშაღებულა და ააძგერა.

სურათს უკანა გვერდზე კი ეკრა ერთი მე-8 კლასისავე მოწაფის ლექსი¹, ამ სურათის გამო აკაკის საიუბილეოდ

¹ ეს ლექსი გუთუნის ამ წერილის ავტორს, თვითონ აკაკი შანიძეს. რ ე დ.

047368-0
202-0110033



დაწერილი და აკაკის პატრიოტულ პან-გებზე გამართული. რომელიც ასე იყვებოდა:

ჩაფიქრებულა შგოსანი,
შვიი ფიქრებით მოცული,
თვალწინ ეხატვის საშობლო,
მტერთაგან ვარმოცული.

მაგრამ ეს მას არ აწუხებს:
თუ ხეს ფესვი აქვს მაგარი,
მას ვერ წააქცევს გრიგალი,
ვერც არას აწყენს აედარი.

გარეშე მტერი რას იზამს,
თუ შიგნით ყველა მზად არი,
დაიცავს თავის საშობლო,
ტურფა ეღვიმის საღარი... და სხვ:

საკმაოდ მოზრდილი ლექსი თავდებოდა გონას მიმართებით ჭანდრისადმი:

შენ მაინც იღექა ჭანდარო,
ამაჟად, ურჩად, უცნებლად
გზანდელ დროის მოწამელ,
წარსულის მოსაგონებლად:

ჩვენს შვილისშვილებს მოუთხარ
ჩვენი ამბავი ყველაო,
ამცნე, რომ ერთობაშია
ქართველთა ხსნი და შევლაო:

ეს სურათი გიმნაზიაში გასამართავ საღამოზე უნდა მიგვეერთმია აკაკისათვის, მაგრამ, რაკი ამის ნებართვის მიღებას დაავიანდა და შეიძლება სულაც ვერ მიგველო, ავღეჭით და იგი 21 დეკემბერს თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე მივართეთ. ეს ის სურათია, რომელიც „მნათობის“ ამავე ნომერშია მოთავსებული.

სურათი აკაკის არქივიდან საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში გადასულა და ეხლაც იქ არის დაცული.

საიუბილეო პროგრამაში, თუბილარისადმი მიძღვნილი ლექსების გარდა, რომლებიც მოწაფეებმა წაიკითხეს, იყო ორი მოხსენება: ერთი ჩემი, რუსულ ენაზე, და მეორე ჩემი ამხანაგის — იოველ ქორდანისის, ქართულ ენაზე (ეს იოველ ქორდანია შემდეგ ოდესაში

სწავლობდა, მერმე კი ექიმში გახდა. ამჟამად აღარ არის ცოცხალი). მისი მოხსენება ეხებოდა საერთოდ აკაკის ცხოვრებასა და სალიტერატურო მოღვაწეობას, ჩემი კი — მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებს, აკაკის რომანტიზმის მოტივებს მის ისტორიულ პოემებში და ამ რომანტიზმის გამომწვევ მიზეზებს. მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნული მქონდა, რომ რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები მე-19 საუკუნის დასაწყისში გადაწყდა არა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო ერეკლეს დადებული ხელშეკრულებით და როგორც მოელოდა იმდროინდელი საზოგადოება, არამედ... აქ იო-სთან შეეჩერდი, აღარ წავიკითხე უშუალოდ მომდევნო წინადადებები, გადავფურცლე რვეული და გადავედი სხვაზე. ამ დროს უკანა რიგის მოწაფეებში ატყდა ტაშისცემა, მათ მიჰყენენ სხეებიც და ამით ცარიზმის პოლიტიკის დაგმობამ აშკარად დემონსტრაციული ხასიათი მიიღო.

ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ზოგიერთ პირს, უპირველეს ყოვლისა გიმნაზიის დირექტორს მ. გლუშაკოვს, რომელიც ხონელი კაცი იყო, ქართულიც კარგად იცოდა და წიგნიც მქონდა და ბევრი საქართველოს შეერთების შესახებ რუსეთთან. გავათავე მოხსენება თუ არა და ფარდა დაეშვა, გლუშაკოვი აღელვებული ამოვიდა სცენაზე, მომვარდა და ძალიან მწყურადად მითხრა: Вы нас подвели! შე ვუპასუხე: Чем я подвел Вас Михаил Васильевич? მინდოდა კიდევ რაღაც მეთქვა. დირექტორმაც სცადა საყვედურით ავეცხე, მაგრამ მე მოვუჭერ: Во всяком случае, здесь сейчас говорить об этом не время. — Верно-о.

— მიპასუხა მან, გამომგლიჯა მოხსენების რვეული და წაიღო. იუბილე რომ გათავდა, გლუშაკოვმა ი. ქორდანია შეაქო: შენი მოხსენება კარგი იყოო (ეს,

რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ჩემი არ მოეწონა).

იუბილეს შემდეგ აკაკი იმავე ეტლით წააბრძახეს.

არ ვიცი, ვინ რა გუნებაზე დაბრუნდა შინ, მაგრამ მე კი ვიგრძენი, რომ ამ ამბავს ჩემთვის რაღაც არასასიამოვნო შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

მეორე დღეს, საღამოს ფიცხლად მოიწვიეს გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო, სადაც იუბილეზე მომხდარი ინციდენტის საკითხი გაიჩნა. როგორც შემდეგ გავიგე ახალგაზრდა მასწავლებლებისაგან (ამბროსი სვანიძისა და ნიკოლაევისაგან), სხდომაზე ძალიან ბობოქრობდა თურმე ზოგიერთი მასწავლებელი, მაგ., ვიტალი იურკევსკი, რომელსაც, რეაქციონერობის გარდა, მექრთამეობასაც სწამებდნენ. იგი მოითხოვდა თურმე ჩემს გამორიცხვას გიმნაზიიდან. ბევრი ითქვა ჩემს წინააღმდეგ და შეიძლება გამოვერიცხეთ კიდევ, ოღონდ ეს ის დრო იყო, როდესაც, მართალია, რეაქტია მძვინვარებდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოველი იყო 1905 წლის რევოლუციის ამბები და მათი გამოძახილი. ამიტომ ჩემი გიმნაზიიდან გამორიცხვა შეიძლება ძალზე გახმაურებულიყო და საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოეწვია, მით უმეტეს, რომ თვით აკაკი გახდა ამ ინციდენტის მოწმე.

სხვადასხვა აზრის მოსმენის შემდეგ წამომდგარიყო მასწავლებელი მიხეილ საღარაძე (იმ დროს იგი გიმნაზიის ინსპექტორადაც იყო), კაცი ნიჭიერი და კარგად მოლაპარაკე, რომელსაც თავისი სიტყვა ისე აეგო, რომ პირველად თურმე გამკიცხა, მაგრამ შემდეგ შეეცადა ჩემს დაცვას. თუ მივიღებთ მხედველობაში, განეცხადებინა მას, რომ კაცი ჩინებულად სწავლობს, რომ აქამდე არაფერი დაუშავებია, თანაც იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ ბრალი რამდენადმე ჩვენც ვეცხება, რადგანაც ჩვენი მოვალეობა იყო, რომ მოხსენება წინასწარ გავგვსინჯაო, შანიძეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდესო; ყოველ

შემთხვევაში, გიმნაზიიდან ^{მისი დათხოვნა} არ იქნება სწორი ^{გადაწყვეტილება}. დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ჩემთვის ყოფაქცევაში სამი დაესვათ სასწავლო წლის მესამე მეოთხედში (რადგანაც ეს ამბავი იანვარში მოხდა).

მაშინ რუსეთის იმპერიაში ისეთი წესი იყო, რომ, თუ უფროსი კლასების მოწაფე (მეხუთე კლასიდან მერველმდე) რასმე დააშავებდა და ყოფაქცევაში მიიღებდა ოთხს ან სამს, მაშინვე ეს ამბავი ოლქის მზრუნველობისათვის უნდა ეცნობებინათ სათანადოდ დასაბუთებული. ამ დროს მთელი ამიერ და იმიერკავკასიის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები თუ რეალური სასწავლებლები (ბაქოდან ბათუმამდე და როსტოვიდან ყარს-ერევანამდე) კავკასიის ოლქს ექვემდებარებოდა, რომლის უფროსი, ე. წ. მზრუნველი (попечитель), თბილისში იჯდა. ამ დროს კავკასიის ოლქის მზრუნველად რუდოლფი იყო და ქუთაისიდან მასთან აფრინეს წერილი ჩემი დანაშაულის შესახებ, მისწერეს მთელი გარემოება და გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილება: სამი დავუსვით ყოფაქცევაში.

გავიდა თვე-ნახევარი, თუ ორი თვე. დირექტორმა დამიბარა თავის კაბინეტში და მითხრა: ოლქის მზრუნველს ვაცნობეთ, რომ თქვენ ყოფაქცევაში სამი დაგისვით და მან პასუხად მოგვწერა: არ კმარაო. შემდეგ ჩვენ ავიღეთ და მკაცრი საყვედურის გამოცხადება დაგიმატეთ და ეგვიც ვაცნობეთ. ამის შემდეგ ოლქს აღარაფერი მოუწერია და გვგონია, რომ ამით დაკმაყოფილდნენო. მაგრამ, დასძინა მან, კიდევ რომ მოეწერათ, რომ არც ეს არის საკმარისი, მაშინ სასჯელის ახალ დამატებად თქვენი კარცერში ჩასმა გეჭონდა მომზადებულიო. მაგრამ, როგორც ვხედავთ, საქმე ასე შორს არ წავიდაო. რაც შეეხება მკაცრი საყვედურის გამოცხადებას, მითხრა მან რბილად, თქვენ უკვე ბავშვი აღარა ხართ, რომ დაგარი-

გოთ და ქუა გასწავლოთ, მალე გიმნაზიას გაათავებთ და მოწიფულობის მოწმობას მიიღებთ და აბა, რაღა გითხრათო! საყვედურს თავი დავანებოთ და ამას გთხოვთ, რომ ამიერიდან მაინც ნურას დააშავებთ, გიმნაზიის გათავებამდე ცოტადა გიკლია და, თუ შემდეგ მეოთხედში ყოფაქცევაში ხუთს მიიღებთ, წლიურს ხუთს გამოგიყვანთ და ცუდი არა მოგივა რაო. თქვა ეს დირექტორმა და მომწოდა წართმეული მოხსენება, რომელიც ჩემი დანაშაულის ნივთიერ საბუთად ეჭირა მანამდე, თანაც დასძინა: თავისუფალი ხარო.

დირექტორის ტკბილი საუბარი მება. მე თავი დაუფარ, მაღლობაც ვუთხარი და გამოვედი. მართლაც, შემდეგ არაფერი მომხდარა ისეთი, რომ ყოფაქცევაში ნიშანი დაეკლოთ. ერთი კია, მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, რომ რაიმე საფრთხე არ გამოტყვრებოდა გიმნაზიის გათავებამდე. და ხანდახან იმის ფიქრში ვიყავი, რომ, თუ საქმე წახდებოდა და ცუდი ნიშანი გამოწყვებოდა ყოფაქცევაში, რუსეთში, რა თქმა უნდა, ვერ განვაგრძობდი უმაღლესი სწავლის მიღებას, და ხომ არ შეიძლება როგორმე მოხერხდეს, რომ საფრანგეთში წავიდე და იქ განვაგრძო-მეთქი. შაგრამ მოხდა ისე, რომ გიმნაზია კარგად გავათავე. ცოტა აღერდილი კი ვიყავი და მეცადინეობას კარგად ვერ დავუდე გული, მაგრამ ვერცხლის მედლიანი ატესტატი მომცენ (ერთმა ოთხიანმა ხელი შემეშალა, რომ ოქროს მედალი მიმეღო. მაშინ მედლებს ფაქტიურად არ იძლეოდნენ, იწერებოდა მხოლოდ).

იმავე 1909 წლის სექტემბერში მე უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი ვიყავ და აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ლექციებს

ვუსმენდი ნ. მარს, ი. გავაზიშვილს, ა. შმიდტს და სხვებს.

გავიდა ხანი. მითხრეს, რომ აკაკი წერეთელი აქ არის, პეტერბურგშიო (ეს უნდა ყოფილიყო 1910 წლის გაზაფხულზე, როცა აკაკი პარიზიდან დაბრუნდა გერმანიაზე გამოვლით). ძალიან გამეხარდა. შენატრებოდა მისი ნახვა და გავეშურე იმ ბინაზე, სადაც იგი ჩამომხდარიყო (ეს იყო, რამდენადაც მახსოვს, მიქელანჯის ოჯახი). მივესალმე მოწიფებით. აკაკიმ მიცნო, ესიამოვნა ჩემი მისვლა, დაჯდა და მეც დამსვა. შევბყვიეთ საუბარს, რომელიც, სამწუხაროდ, მოკლე აღმოჩნდა. აკაკიმ ჩემთან საუბარში თქვა: კიტა აბაშიძე ისეთი კაცია, რომ ჩემი სისხლის შესმაზე უარს არ იტყვისო. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ასეთი რამის გაგონება. კიტა აბაშიძეს მაშინ პირადად არ ვიცნობდი, წაკითხული კი მქონდა ერთი-ორი მისი კრიტიკული წერილი. არ მახსოვს, რამ გამოიწვია კიტაზე საუბარი, მაგრამ მისმა სისხლის შესმის ამბის გაგონებამ თავხარი დამცა, ვიფიქრე: რას ამბობს ეს ბუმბერაზი კაცი-მეთქი და შეშფოთებულს უნებლიედ იმ წამსვე ამომხდა: „რას ბრძანებთ, ბატონო“-მეთქი! ჩემი განცვიფრება არ ესიამოვნა აკაკის და წარბი შეიკრა. მე ენა ჩამვიარდა, საუბარი ვეღარ განვაგრძე. აკაკიმაც აღარაფერი თქვა, ოღონდ გამეფებული სიჩუმე მანვე დაარღვია. წამოდგა. მეც მივბაძე. მან მოიბოდიშა: უკაცრავად, შეუძლოდა ვარ და ბოდიშს ვიხდი, რომ სამაგიერო დარბაზობას ვერ გადაგიხდიო. გამომიწოდა ხელი და დავემშვიდობე უბოდა.

გამოვბრუნდი ჩემს ბინაზე გულმოკლული და მოშხამული.



„ცა-ფირუზ, ხმადით-გურამუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“

ამ სიტყვების დამწერი ვის არ ახსოვს. ვინ არ ეთაყვანება მის ხსოვნას.

მაგრამ რა გქნა, რომ მოვხუცდი და მახსოვრობა მდლატობს. ვეცდები, ცოტა რამ მაინც მოვიგონო. ახლად შევალე თეატრის კარები. ვცხოვრობდი ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის კოტე მესხის ოჯახში, ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო აკაკი. რა თქმა უნდა, მთელი ოჯახი აღფრთოვანებული ხვდებოდა და მეც, პატარა გოგონა თვალეში შევცვივებდი. ხშირად უყვარდა ტკბილ მოუბარ აკაკის სხვადასხვა ამბის მოყოლა. კოტე შეხაროდა, ეუბნებოდა; „აკაკი, ხომ ვიცი, ეს ამბავი შენი დიდი ჯანტაზის ნაყოფია, მაგრამ განაგრძე, განაგრძე შენი-ჰირიმე. გულს უხარია შენი მოსმენა“, აკაკი ჩაიცინებდა და განაგრძობდა მოთხრობას თავისი ტკბილი ხმით, დინჯად, ენამახვილად.

თუ არა ვცდები, 1896 წელს გაიმართა ჩვენი პოეტის რაფიელ ერისთავის იუბილე. ეს იყო პირველი იუბილე ქართველი მოღვაწისა. რაფიელ ერისთავი გამოიყვანეს სცენაზე დიდმა ილიამ და აკაკიმ.

სიკვდილამდე არ დამავიწყდება ამ სამი ბუმბერაზის სცენაზე გამოჩენა. შუაში იდგა აღელვებული რაფიელი, აქეთ-იქეთ უდგნენ ჩვენი ქვეყნის დედაბოძნი—ილია და აკაკი. დამსწრე საზოგადოების სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩვენი ლიტერატურის სამი დიდი წარმომადგენელი ერთად წარსდგა საქართველოს ყოველი კუთხის წარმოგზავნილთა წინაშე, მთელი დარბაზი, როგორც ერთი

კაცი, ფეხზე წამოდგა და ისე მიესალმა თავისი ერის მშვენებათ.

აკაკი ხომ დიდი მოყვარული იყო ქართული თეატრისა და დიდი ღვაწლიც მიუძღოდა. ჩემს დროს მოწვეული იყო თეატრში რეჟისორად. დიდი მცოდნე იყო ხელოვნების, დიდი ერუდიციის მქონე, ძალიან კარგად უხსნიდა მსახიობებს პიესის შინაარსს, იდეას, რაც საჭირო იყო როლის გასახსნელად. ჩვენს დასში იყვნენ ისეთი მსახიობებიც, რომელთათვისაც საჭირო იყო რეჟისორის მიერ ჩვენება ყოველი ნაბიჯისა; როგორც არაპროფესიულ რეჟისორს, აკაკის ეს არ ეხერხებოდა და ხელს უშლიდა მუშაობაში. მიუხედავად ამისა, მაინც სასიხარულო და დიდად სასურველი იყო მისი ჩვენთან ყოფნა.

რამდენიმე ეპიზოდი ჩემი მეუღლის მიხეილ ქორელისა და ჩემი მამამთილის ფილიმონ ქორიძის ბიოგრაფიებიდან: მწლის პატარა ბიჭი იქნებოდა მიხეილ ქორელი, როდესაც თბილისში მამასთან, ფილიმონ ქორიძესთან, პირველად ნახა აკაკი წერეთელი. ერთხელ ის და მისი მეზობლის ბავშვები ოთახში თამაშობდნენ, უფრო სწორად რომ თქვას კაცმა, იქაურობას იკლებდნენ, ყველაფერს თავდაყირა აყენებდნენ, სპექტაკლს აწყობდნენ. იმ დროს ბავშვები „ფენიმორ კუპერიოთ“ ყოფილან გატაცებული. მიშა ამერიკელ წითელკანიანს „შევარდნის თვალს“ თამაშობდა, ხოლო მისი ამხანაგები — ევროპელებს. ამ დროს მამამ დაუძახა თურმე. დაცეცხლა თურმე უფროსების დაძახებამზე, დაუყოვნებლივ უნდა მისულიყო, მაგრამ



რანაირად, წითელკანიანს თამაშობდა, ფეხშიშველა იყო, გულსა და სახეზე წითელი და თეთრი საღებავები ჰქონდა მოთითხნილი. საჩქაროდ ჩაცმა ხაუწყია. უცხო სტუმარისა და აჩქარებია გამო წონასწორობა დაუქარგავს თურმე „რა გაღელვებს. ლამის ცრემლებიც მოგივიდეს“ მიმართა დედამ და ჩაცმაში დაეხმარა. ამჟღავნებდა: „არაფერი, მამაშენს უნდა სტუმარს შენი თავი ვააცნოსო, აბა შენ იცი, თავი თავაზიანად დაიჭირეო ეს სტუმარი სულ სხვანაირია, ჩვეულებრივს არა ჰგავსო“. სასტუმრო ოთახში რომ შესულა, ბოდიში მოუხდია მამის წინაშე და განზე გამდგარა.

— აგერ, ბატონო აკაკი, ჩემი პატარა ვაჟი. წინ წაუწევია, როგორც წესი მოითხოვდა, გაჩერებულა, იცოდა, რომ სანამ უფროსი ხელს არ გაუწვდის, თვითონ ხელი არ უნდა გაუწოდოს.

— გამარჯობა, ყმაწვილო კაცო! ხელი გამოუწოდებია და მაგრად ხელი მოუჭერია, როგორც ტოლს. გუნებაში გაცინებია, სადაური ყმაწვილი კაცი ვარო, უფიქრია, ძლივს რვა წლისა ვიქნებიო!

თვალები აღერსიანად უღიმოდა.

— მეც, ჩემო პატარა მეგობარო, ხანდახან ლექსებს ვწერ... ჩემი ლექსები პუშკინის ლექსებივით ლამაზი არ არის, მაგრამ ზოგი ჩემი მეგობარი — ვადაუხედნია ფილიმონისაკენ და ეშმაკურად გადაუჯრავს „ჩემს ლექსებს მოთმინებით კითხულობს.

„მისი იუმორი, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, როდესაც ვავიზარდო“, და მისი სიტყვები და ღიმილი აგონდებოდა ყოველთვის.

აკაკის გვერდზე მოუსვამს, მხარზე ხელი დაუდვია, მის მეგობრულს კილოს ბავშვი გაუთამამებია და უკითხავს:

- თქვენ მართლა ლექსებს სწერთო?
- მართლა!..
- შეილო! იცოდე და დაიხსომე:

ეს ჩვენი სათაყვანო, საყვარელი მღერტია, აკაკი წერეთელი!

მასთან ბაასით მოხიბლულ ყმაწვილს ბევრი რამ უნდოდა ეკითხნა, მაგრამ დერეფანში ზარის ხმა გაისმა თურმე.

მამას ბავშვი თავის ოთახში გაუშვია. აკაკისათვის ხელი ჩამოურთმევია და გასულა.

დედისათვის უკითხავს, კიდევ მალე თუ მოვიდოდა ეს საყვარელი სტუმარი მათთან. დედას დაუშვებია და უბასუხნია: „ახლა ხშირად ივლისო“.

ფილიმონ ქორიძე, იმ დროს ოპერის ცნობილი მომღერალი იყო. ის ჯერ იტალიაში, შემდეგ კი თბილისის ოპერის თეატრში მღეროდა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი ქართული ხალხური სიმღერა — გალობის შეკრებასა და ჩაწერას შედგგომია, ევროპული ნოტების საშუალებით, რომ ჩვენი მუსიკა კარგად და უცვლელად შენახულიყო.

ამ რთული მუშაობით დაღლილს, აკაკი ამხნევებდა და ეტყოდა:

— ნუ გეშინია, ფილიმონ. ეს საქმე ბოლოს და ბოლოს კარგად დასრულდება!

აკაკი ძველი ქართული სიმღერების აღდგენისა და შენახვის საკითხით ძალიან იყო დაინტერესებული. სწორედ ამ ნიადაგზე ვაეცნო ფილიმონ ქორიძეს და ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ოჯახის. ისმენდა ჩანაწერებს, მუშაობას ესწრებოდა, სიმღერებს დიდი ყურადღებით უსმენდა, ზოგჯერ მომღერლებს მის მიერ საჩხერესა და, საერთოდ, იმერეთში ბავშვობიდანვე გავონილ კილოს უსწორებდა. მიხეილი ჩემი მეუღლე ისე შეეჩვია მის კილოს, მის სასიამოვნო ღიმილს, მისი ასაკის შესაფერ და საინტერესო თემებს, ყოველივე ეს იმდენად მიმზიდველი იყო თურმე, რომ როდესაც პოეტი წასვლას დააპირებდა, სწუხდა.

განსვენებული ჩემი მეუღლე განსაკუთრებული სიყვარულით უამბობდა, როგორც შვილებს, აგრეთვე შემდეგში

შვილიშვილებს აკაკიზე, როგორც უდიდეს პოეტზე, დიდ მოღვაწესა და საყვარელ ადამიანზე.

ძალიან ალერსიანი იყო ჩემთან დიდი აკაკი. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გავაჯავრე. ეს იყო პირველად რომ სუმბათაშვილის პიესა „ლალატი“ დაიდგა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს გრძელი ამბავია და აქ არ მოვეყვები, უარი ვთქვი ზეინაბის როლის შესრულებაზე. აი, მაშინ აღელდა ჩვენი აკაკი და გაჯავრებულმა დამიწყო გაკიცხვა. — „თქვენ ნუ, ბატონო აკაკი, თქვენ ნუ გამიჯავრდებით“ — ვუთხარი. პიესა მაგიდაზე დაანარცხა და გაბრუნდა. არ ვიცი, ვაიგო, რომ მართალი ვიყავი თუ სხვა რამ მიზეზით, რამდენიმე ხნის შემდეგ ისე ტკბილად შემხვდა თითქოს არაფერი უსიამოვნება ჩვენს შორის არ ყოფილიყო.

მახსოვს, პატარა ცემი, სადაც იმ დროს ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს სანა-

ტორიუმი ჰქონდა. ზაფხულობით ჩვენი ინტელიგენცია მრავლად იყო ამ სანატორიუმში და უამრავი ახალგაზრდობა იყრიდა აქ თავს. შესანიშნავი საღამო იყო, ისეთი, როგორიც მხოლოდ ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში იცის. აკაკიმ მიმართა ახალგაზრდებს:

— მაკვირვებს, რომ აქ გხედავთ, წადით ლიბანში, იქიდან გადმოხედეთ ამ მშვენიერ მიდამოებს.

მართლაც წავედნენ, დაბრუნებისას უამბებს თუ რა საარაკო სანახაობა ნახეს. სწორედ იმ დროს ამოდიოდა მთვარე, მართლაც საუცხოო სანახავე იყო ნაძვნარ-ფიჭვნარში რომ ამოცურდა, აღფრთოვანებულმა აკაკიმ მაშინ დაწერა ლექსი „პატარა ცემს“ და თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა.

ქეშმარიტად ბედნიერია დიდი პოეტი აკაკი, რომ ასე შეუწელებლად უყვარს ხალხს.

დიდება მის უკვდავ სახელს.

ანანო მაჩაბელი



მობონება

დღეაჩემი, თავისი ნათესავი ქალით, სწორედ იმ ღამეს მივიდა საჩხერეში, როცა საცოდავი აკაკი უკვე ცოცხალი აღარ იყო. საჩხერეში ცხოვრობდა უფროსი და დედაჩემისა—ნიცა წერეთლისა, რომელთანაც ხშირად დადიოდა დედაჩემი. სულ ახალგაზრდამ იმ ოჯახშივე გაიცნო აკაკი.

ჩემი ძმა — ნიკო მაჩაბელი დიდი პატრიოტი იყო და ბევრგზიდანვე ეცნობოდა საქართველოს ისტორიას. აკაკი დიდ იმედებს ამყარებდა მასზე, აკაკიმ თავისი „თავგადასავალი“ სამი ცალი გვაჩუქა ავტოგრაფით... დედაჩემს, მე და ჩემ ძმას. ჩემ ძმას ერთი ისტორიული წიგნიც აჩუქა წარწერით: „აქ რაც ბულგარეთზე სწერია, საქართველოც უნდა იგულისხმოდ“. საზოგადოდ, აკაკი წერილებშიაც და პირად საუბარშიც, ხშირად შთააგონებდა ხოლმე ჩემ ძმას სამშობლოს სიყვარულს, ეუბნებოდა: „ბევრი ცოდნა უნდა შეიძინო, რომ რითიმე დაგხმარო შენ საყვარელ საქართველოსო“.

აკაკის, როგორც არაერთხელ თქმულა და დაწერილა, უყვარდა ბავშვები. ჩვენ რომ პატარები ვიყავით, ხშირად გველაპარაკებოდა, გვართობდა. მახსოვს ერთხელ შემოვიდა ჩვენ ოთახში და დაგვიწერა სახუმარო ლექსი რუსულად «ЭХО».

Отвечай-ка, эхо,
отчего как рыба
любит воду рак?

эхo: дурак.

Ты сказал мне, эхо,
почему для смеха
мне задал бал бес?

Эхо: балбес.

ახლაც ცოცხლად მახსოვს, როგორ გაგვართო ამ ლექსმა.

მეორედ დაგვიწერა ისევ სახუმარო ლექსები ქართულ ენაზე, ძალიან მოსწრებელი და მკბენარა.

იმ დროს ქართულ თეატრში გამოდიოდნენ დივერტისმენტში ჩვენი დიდი მსახიობები — ვასო აბაშიძე და ნ. გოცირიძე სომხური ტანთსაცმელით, ჯოხით ხელში და მეტად გრძელ-წოწოლა ქუდეებით. ასრულებდნენ სახუმარო კუპლეტებს. ჩვენც გავიკეთეთ ქალაღლისაგან ამგვარი ქუდეები, დავისწავლეთ ზეპირად აკაკის დაწერილი კუპლეტები და გავმართეთ სპექტაკლი. ბევრი ვაცივინეთ ჩვენები. მათ შორის ყველაზე მეტი აკაკის სიცილი ისმოდა. გულიანი, გემრიელი სიცილი იცოდა აკაკიმ. სამწუხაროდ ის კუპლეტები არ შემრჩა და არც მახსოვს.

მინდა ზოგიერთი რამ გავიზიაროთ დედაჩემის წერილებიდან:

„ჩემო საყვარელო ნიკოჯან!“ — სწერდა იგი თავის ვაჟს.

ვერ წარმოიდგენ რა ცუდი ამბავი უნდა მოგწერო. მოვედით საჩხერეში და აკაკი ცოცხალი არ დაგვხვდა. სწორედ ჩვენ მოსვლაზე 1-2 საათის წინათ გარდაიცვალა. ისე შემაწუხა ამ ამბავმა ვერ წარმოიდგენ. ნეტა აღრე მოვსულიყავი. სულ თურმე ხშირად გვიგონებდა. ნიკუშას იმედი მაქვსო, რომ კარგი მამულიშვილი გამოვაო. ეს მიაპბო ვერამ¹ ალექსანდრეს ცოლმა, რომელიც სულ იმასთან იყო. ჯერ სხვა არა ვიცი რა. მოელიან დუшеприкашиков Акакия

¹ ალექსანდრე წერეთლის მეუღლე — პაპუა წერეთლის დედა.

რომ გადასწყვიტონ, საღ დაასაფლავებენ. გიგოს მოსწერეს დიასამიძეს და ქუთაისში ჩანცხავას და ამით ელიან. თუ აქ დაასაფლავებენ — უნდა დავრჩე და შენ და ელაც უნდა მოხვიდეთ უეჭველად, და თუ არა, მაშინ წამოვალ. მანამ იყავი კარგად, ყველაფერს ყური უგდე, ელა მარტო არ დასტოვო. ლოლა¹ ძალიან სტირის, ჯერ არ მინახავს და ეხლა მიედიფართ. მე და ნანომ² კარგად ვიმგზავრეთ. ორის ნახევარზე ღამით მოვედით სამხერეში და პირველ საათზე კი აკაკი გარდაცვლილიყო და ჩვენ იმ ღამეს არ გვითხრეს. დღეს კი დილით ვერა ჩამოვიდა და გვითხრა.

ბევრს გაკოცებ შენ და ელოს. შენი დედა. 26 იანვარი.

ჩემო ძვირფასო ელუნა!

ერთი თხოვნა მაქვს შენთან და იმედია ამისრულებ, რადგანაც შენ თითონ უნდა იცოდე, რომ ეს აუცილებელია და უეჭველად უნდა შეასრულო. უკანასკნელი სამსახურია აკაკისათვის. დასაფლავება აკაკისა ისე აირ-დაირია, რომ ყველას თავ-გზა დაეძნა. ჯერ უნდრდათ გაესვენებინათ აქედან პარასკევს, 30 ამ თვეს და იქ თბილისში შაბათს მოასვენებდნენ და კვირას დაასაფლავებდნენ. ახლა დებეშა მოვიდა, რომ აკაკი გამოასვენეთ ოთხშაბათს 4 თებერვალსო.

¹ აკაკის ვაჟი.

² ნანო ბაგრატიონ-წერეთლისა, აკაკის მეზობლისა და ნათესავის — კოტე წერეთლის მეუღლე.

ახლა არ ვიცი როდის იქნება გამოსვენება. თუ ისრე გადაწყდა, როგორც აქ გადასწყვიტეს, მაშინ მოვალთ¹ შაბათს და თუ გადასდეს, მაშინ მოვალთ 5 თებერვალს. ჩემი თხოვნა ასეთია: აკაკის ცოლი მოვა თბილისს რუსეთიდან ან კვირას, ან ორშაბათს. შენ გენაცვალე, უნდა დახვდე და წამოიყვანო სახლში. კარგს იზამ, რომ ჩვენთან მოიყვანო, თორემ ცოდოა მარტო ყოფნა იმისი. ეს ორი დღე და მერე ხომ ჩვენც მოვალთ. როცა აკაკის მოასვენებენ, შენ და ნიკომ წამოიყვანეთ სადგურზე. ლოლა კი გთხოვს, თუ სამძიმო არ იქნება შენთვის, დედას უპატრონო და ჩვენთან დააყენე, მანამ ჩამოვალთ. აბა ვნახოთ, როგორ შეასრულებ თხოვნას. ნიკუშასაც შეეხვეწე, თუ მართლა აკაკი უყვარდა, ეს შეასრულოს, ძია გიგასი¹ დებეშა მოვიდა, თქვენი კი არა. ბევრს გაკოცებთ შენ და ნიკოს.

დედა. 28 იანვარი.

ელა, თუ შაბათს ვერ ჩამოვედი, მიყიდე ვექსელი იმ ბანკში, სადაც მე და შენ ვიყავით, где директором Псарва. ყველამ მოკითხვა შემოგითვალა: ლოლამ, მარიამმა², ვასიკომ³, ნანომ, ანეტამ⁴ და სხვამ.

დედა

¹ გიორგი ბაგრატიონი, დედას უფროსი ძმა;
² აკაკის ძალი, დავით წერეთლის — აკაკის უფროსი ძმის ცოლი.

³ ვასიკო — მათი შვილი.

⁴ ანეტა იურკევიჩი.



მარალიუს — მარალიუსი სიცოცხლე!

აკაკი წერეთელი — დიდი პოეტი და პროზაიკოსია, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებელს. იგი უკვდავი მწვერვალივითაა აღმართული მშობლიური ლიტერატურის დიად, ნაირფეროვან რელიეფზე.

ასი წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „საიდუმლო ბარათი“; მრავალი წელი გვამორებს მის მიერ შექმნილ პოემებსა და ლექსებს, მაგრამ ყოველთვის, როდესაც თვალს გადავაფლებთ მათ, თითქოს ვაცოცხლებთ პოეტურ ქარიშხალს და მგზნებარე შემოქმედებითი წვის კამარა კვლავ იელვებს პოეტური სამყაროს ღამეულ ზეცაზე. ჩვენ ვგრძნობთ დიდი პოეზიის არსებობას, ამასთან ერთად მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორ იღწვის გოლიათური შემოქმედებითი სული, ტანჯული მიწის გარდასაქმნელად, მძიმე ცხოვრებისაგან განაწამებ ხალხისთვის იმედის შთასაგონებლად. შემთხვევით არ მიუზიდავს იგი საბრძოლო პიძნის „ინტერნაციონალის“ სტროფებს, რომელიც აკაკიმ თარგმნა ქართულ ენაზე, ვინაიდან წარმტაცი, მქუხარე სტროფები რევოლუციური პიძნისა თვისტომი იყო მომავლის შუქით განათებულ მისი სულისათვის.

ხომ უმღეროდა იგი თავის ლექსში „მუშებს“:

„ამგვარი ამპარტანება
ძლიერება სულისა,
დიდება კაცად-კაცადის,
ღამატკბობელი გულსა“.

იგი ჩაძირული იყო ხალხური შემოქმედების ზღვაში, იქ ეძიებდა მუსიკასა და შემართებას თავის პოეტურ შთაგონებას. მე მგონია, რომ მისი შეხვედრა უკრაინის დიდ პოეტ ტარას შევჩენკოსთან პეტერბურგში ისეთი ისტორიული შეხვედრა იყო, რომელიც ერთ საათში ხსნის წლობით წინასწარნაგრძნობს, ანათებს გზას, ამტკიცებს იმედს.

დიადი სახელი მოიხვეჭა თავისი სიცოცხლის მანძილზე პოეტმა, ბევრი სიყვარული ნახა თავისი შემოქმედებისადმი. როგორც თავისი დროის ნამდვილი ადამიანი, იგი სუნთქავდა ეპოქის მღელვარე ჰაერით, ცხოვრობდა მისი მწუხარებით, თანამემამულეებთან ერთად ინაწილებდა რეაქციული ბნელეთის კოშმარის მთელ სიმძიმეს. მაგრამ როგორ უხაროდა მას, რომ მისმა „გზაფხულმა“ ანდა „მუშებს“ მიაღწიეს ფართო მკითხველსა და მსმენელამდე, რა სასიხარულო იყო მისთვის ხილვა საკუთარი შემოქმედების უდიდესი გავლენისა, ახალი ლიტერატურული თაობის მოწინავე საზოგადოების, ახალი გმირების აღზრდაზე. ტკბილ-მწარე „სულიკოდან“ — ისტორიულ პოემებამდე, იგი მთლიანად ხალხის საკუთრად გადაიქცა, გამარჯვებული, თავისუფალი, განახლებულ მშობლიურ მიწა-წყალზე ბედნიერი ცხოვრების მშენებელი ხალხისა.

იგი თავის პოემებში ლაპარაკობდა წარსულ დიდებზე, სამშობლოს წარსულ ძლიერებაზე, დღეს თავად იგი გახდა დიდება და ლეგენდა! თითქოს წყრილა ზარს არხევდო, ისე კითხულობდეს მის ლექსებს! ისინი ნათელია, რო-

გორც ელვა და წკრილა, როგორც ვერცხლის ზარების რეკვა! ისინი უღერენ მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებში, მაგრამ განაყოფიერებული ძალით კი კვლავ „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტოვან“ საქართველოში.

ისინი თავისი ხანგრძლივი, უკვდავი სიცოცხლით ხალხის გულში კვლავ ადასტურებენ, რომ არასოდეს არ გაქრება ნამდვილი, დიდი სასიხარულო სიტყვა, თუ მასში ოსტატმა შეთხერა თავისი სული, შეთანერგა თავისი გული, რომელიც როდი იყო განცალკევებული ცხოვრები-

საგან, ადამიანისაგან, მშობლიური ხალხის ბედისაგან! მთელი ის ცეცხლდარღველი სწვავდა მას, აბრაშაძეძაძეს ხალხისაგან, თავისი ცხოვრება ანთებულ ლამპარივით გაიტანა ბოლომდე და ამ სინათლემ მოაღწია ჩვენამდე! ჩვენც მადლიერების გრძნობით ვიგონებთ ქართველი ხალხის დიდებულ შვილს ჩვენი მრავალეროვანი კულტურის აყვავების დღეებში...

რა დიდი მაგალითი მოგვცა, რა დიდი ხსოვნა დატოვა! მარადიულს-მარადიული სიცოცხლე!

საჩინო პაროზიდი



შვედავ აკაკის

ბრძენად შევიცნო ხალხმა აღრევე,
და სიყვარულით გაგიხსნა გული.
შენი სიმღერის მჩქეფარ შადრევენებს
სიმღერით ამკობს ცა მოსარკული.
გვატყუებებ, გვხიზლავ ღვთიურ ბუნებით,
სულით გვაძაღლებ, გვესაღბუნები.

ო, შენმა სიბრძნემ გზა გამინათა
ამიგზნო ალი გამათბობელი,
ბევრჯერ დავლოცე შენი მშობელი,
ჯადოხმიანო ბულბულო მართლა,
ამოფრენილო კოლხეთის ბაღით,
სად მარად ჰყვავის მთაბარი ლაღი!

ფირუზი ზეცა, ზურმუხტი მდელი,
არის ჯაგარი შენი სიმღერის.
ვამბობთ—აკაკი და საქართველო
თვალწინ იშლება ზღაპრული ფერით.
ჩნდება გმირული სული მძლეველი
ფერთა ზღვაური დაულეველი.

ჩნდება გმირობით მარად ცოცხალი
მამულიშვილთა რეალის მარჯვენა,
მათი სიმტკიცე გასაოცარი
ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.
მზეც კი მოაწმინდას ცეცხლს როს ავესებს,
ციკრის ფამს მღერის აკაკის ლექსებს.

ჩვენი ქვეყანა ნარბევი წინათ,
მთაბარი ცეცხლით გადანათელი,
დღეს განახლების დიდებით ბრწყინავს,
შენი ჰანგების ათოვს ნათელი.
და კვლავ მოელის ფამი ნანატრი,
ერს აღზრდილს შენი იავნანათი

8037



აქვესი ზოგადი



აკაკი წერეთელი

...მძვინვარე იმპერიალისტური ომის დროს, მომეცა საშუალება მოწამე გავმხდარიყავი აკაკი წერეთელის დაკრძალვისა. ვნახე თუ როგორ ეთხოვებოდა დაობლებული ქართველი ხალხი ბროლის კუბოში მწოლარე საყვარელ პოეტს, როგორ დასტიროდნენ ამ საოცარ ადამიანს, რომელიც უყვარდათ და იცნობდნენ ყველაზე მიყრუებულ სოფლებშიაც კი. მე მაშინ მივხვდი, თუ რა იყო თავისი ხალხისათვის აკაკი წერეთელი.

აკაკის გარდაცვალების ექვსი წლის შემდეგ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რუს თანამომხეთა კვალდაკვალ დაწყვიტეს ბორკილები, განხორციელდა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს საუკეთესო შვილების ერთიანი ოცნება.

ჩვენი ქვეყანა დაადგა სიცოცხლის, ძლებისა და შემოქმედების გზას, განხორციელდა აკაკი წერეთლის წინასწარმეტყველება, რომელსაც ჯერ კიდევ 1881 წელს ამბობდა:

ქვენიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
ათასფერად შეხამებულ მის კუთხეს;
ყვავილებსა, სურნალებს მფიშინავსა,
და ბუბულსა ზედ საამოდ მსტვინავსა.

ციტ მოწმობენ ვარსკვლავები და მთვარე-
არისი ჰმონებს შემკობილი ეს მხარე;
რადგან ვლის განთაადის ცისკარას,
ის სამწუხროდ არ გააღებს მის კარსა!

ჩვენი სამშობლოს ხალხთა შემოქმედებითი ძალა მრავალი საუკუნეების განმავლობაში პრომეთეოსივით მიჯაჭვული იყო პირქვე კლდეებზე. მას

ხელოვნურად გაჩაღებული ეროვნული შუღლი აწამებდა... დღეს პრომეთეოსი თავისუფალია, რათა აღასრულოს ის, რაც ათიკურ პოეზიას ზღაპრად მიიჩნედა დაღებრუნებელი წარსული ოქროს საუკუნის შესახებ. ჩვენი სამშობლოს ხალხთა შემოქმედებითი ძალები საბჭოთა ეპოქაში ახორციელებს ოქროს საუკუნეს დედამიწაზე. პრომეთეოსს შემოაქვს ცხოვრებაში კომუნიზმის იდეები.

ჩვენ, რუსმა მწერლებმა და პოეტებმა, ჩვენთან ერთად მთელმა რუსმა ხალხმა იცის, თუ რა დიდია ჩვენი მოძმე ხალხების სულიერი და მატერიალური შესაძლებლობანი. მათ შორის ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ მშვენიერ საქართველოს და ქართული კულტურის საგანძურს. იგი ჩვენს წინ გადისა და როგორც უძველესი ზღაპრული განძი.

როგორ ხარობდა ჩვენი ხალხების მეგობრობით აკაკი წერეთელი! იმ წლებში, როდესაც მეფის ჩინონიკები ამიერკავკასიის ხალხებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აქეზებდნენ, წერეთელი აფასებდა და თარგმნიდა აზერბაიჯანულ დრამატურგსა და მწერალს მირზა ფატალი ახუნდოვს, მეგობრობდა ოვანეს თუმანიანთან და ვაგან ტერიანთან, მის საუკეთესო მეგობარს კი, სომეხ დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანს, ასეთი სიტყვებით მიმართავდა:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შეილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა!

განა შესანიშნავი არ არის ახალგაზრდა აკაკის შეხვედრა ტარას შევჩენკოსთან? ეს იყო დაახლოებით 1860 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი აკაკი წერეთელი ისტორიკოს ნ. ი. კოსტომაროვის ოჯახში შეხვდა გადასახლებიდან ახლად დაბრუნებულ ტარას შევჩენკოს, რომელსაც გული და სული მიჰპყრო ახალგაზრდა, ჰევიანმა, მგზნებარე ქართველმა. შევჩენკომ გამოჰკითხა აკაკის საქართველოს წარსულის შესახებ, ქართველი გლეხის მდგომარეობის შესახებ. „ჩვენ დაეშორდით როგორც მეგობრები, ერთმანეთს შევპირდით ხშირ-ხშირად შეხვედროდით... გამოგიტყდებით, მე პირველად ვიგოძინე მისი სიტყვებიდან, თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი“ — წერდა ამ შეხვედრის შესახებ აკაკი წერეთელი. ცოცხლობენ, არ კვდებიან და არც მოკვდება მისი ლექსები, პოემები, დრამები, აღსაესე სამშობლოსადმი მხურვალე, მთრთოლვარე სიყვარულით. იგი იყო მშვენიერი საქართველოს ერთგული შეილი. ისეთი პოემებით, როგორიცაა „თორნიკე ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“, „ნათელა“, და „გამზრდელი“, აკაკი ცდილობდა, გაეღვიძებინა ქართველებს შორის სამშობლოსადმი სიყვარული. ამასთან ერთად ბრძენი აკაკისათვის უცხო იყო ეროვნული შეზღუდულობა. სუნდუკიანისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ლექსი ასე იწყება:

ღღეს მარბიენ აღმიანს
გრძნობიერს და გონიერსა,
ვინც რომ ჰქენდა ციურ ნათელს
განუჩველად ყველა ერსა.

.....
ოღონდ კაცი ყოფილიყო,
მისთვის იყო ყველა ერთი
სიმათლე და თანწირობა
იყო მისი რწმენა — ღმერთი!

ამ ფართო და შესანიშნავი ცნობის-მოყვარეობამ, სხვა ხალხების კულტურ-

რისადმი პატივისცემამ, გზებზე გაუხსნა აკაკი წერეთელს რუსული ლიტერატურის საუკეთესო წყაროებისაკენ. იგი აფასებდა და კარგად იცნობდა პუშკინის, რერმონტოვის, გოგოლის, გერცენის, ნეკრასოვის, ლევ ტოლსტოის შემოქმედებას. მან ბევრი რამ გადმოიღო რუს თანამოძმეთა ლიტერატურულ მემკვიდრეობიდან. მისი პოეტური მოღვაწეობა აკაკიმ ლერმონტოვის თარგმანიდან დაიწყო. მან ლექსი მიუძღვნა გოგოლის ხსოვნას და წერდა ღრმა შინაარსიან სტატიებს ლევ ტოლსტოის შესახებ, მისი სიყვდილის შემდეგ. როგორც საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე აკაკი წერეთელი გაიზარდა და დაეაყვადა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში. მისთვის ახლობელი იყო მისი დროის საუკეთესო ადამიანების — ჩერნიშევსკისა და დოზროლუბოვის მოწინავე იდეები. ყურადღებით ადევნებდა თვალს განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას დასავლეთსა და რუსეთში. ილია ჭავჭავაძესთან ერთად იგი იყო ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენციის განმანათლებელი. მის შემოქმედების შესახებ იგი მკაცრად და თავმდაბლად აცხადებდა:

„ხელოვნებას არ ვაქცევდი დიდ ყურადღებას და მწერლობასაც ვუყურებდი როგორც ავ-კარგიანობის უბრალო იარაღს; თუ რაიმე მხატვრული გამომივიდა შემთხვევითო“.

ნეკრასოვის მსგავსად, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მისი შემოქმედების იდეურ მიმართულებას. პოლიტიკური მოტივები, მწვავე სატირა — აი რას ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი აკაკის შემოქმედებაში. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე აკაკის მონაწილეობა მოწინავე ყურნალ „ცისკარში“, რომლის მნიშვნელობა ქართველი საზოგადოებრივი აზრისათვის მოგვეგონებს „სოვრემენნიკის“ როლს.

ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა პოეტებს და მწერლებს ბევრი რამ შეუძლიათ

ისწავლონ ნიჭიერი და თავმდაბალი, თავის თავისადმი მომთხოვნელი, დაუცხრომელი მშრომელის — აკაკი წერეთლისაგან. თავისი დროისათვის უგანათლებლესი ადამიანი, პუშკინის მსგავსად, იგი არ იყო სქოლასტიკოსი და მეზვერე. მან ბევრი იხეტილა თავის მიწა-წყალზე, იგი იცნობდა და უყვარდა ცხოვრება, მასების ენა, ხალხის ცოცხალი მეტყველება. სახელდობრ ამითი მიადწია მან თავის შემოქმედებაში ორ ნაკადს, ორ ენას: მწიგნობრულ ენას, რომელიც დამახასიათებელი იყო მის მოსვლამდე ქართული პოეზიისათვის და ქართული სოფლის ცოცხალ, სხარტ ხალხურ მეტყველებას. და პუშკინის მსგავსად, მან შესძლო ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნა, უბრალო და მდიდარი, ფართო მასებისათვის მისაწვდომი და ამასთან ერთად ქართული ლიტერატურის ისტორიაში ახალი ეპოქის, რეალიზმის ეპოქის, შექმნა.

აკაკი წერეთელმა ყურადღება მიაპყრო თავისი ხალხის ფიქრებსა და სასოებებს, გაამდიდრა ქართული პოეზია ხალხური ენით, ამით მან ქართველ ხალხს დაუბრუნა მისი ზეპირსიტყვიანობის საგანძური. იგი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ვახდა სახალხო პოეტი. მის ლექსებს მთელი საქართველო მღეროდა. 1905 წელს ბარიკადებზე აჯანყებული ქართველი მეშუები მღეროდნენ აკაკის რევოლუციურ ლექსებს. მან პირველმა თარგმნა ქართულ ენაზე

ევენ პოტიეს „ინტერნაციონალი“ ახლა წერეთელის სიტყვებზე დაწერილ სიმღერას, არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, მღერიან, მაგალითად მის მგძნობიარე სიმღერას სულიკოს შესახებ.

ქართული ლიტერატურის მრავალ დიდებულ სახელებს შორის აკაკი წერეთელი, შეიძლება დაყენებული იქნას დიდებული შოთა რუსთაველის გვერდით. ლექსში „რუსთაველის სურათს“ იგი თითქოს კურთხევისათვის მიმართავს შოთას:

სულწაითი ჩვენცა ვასწავლეს
გვ საიდუმლო ძღერისა,
რომ ავვისრულდეს წაძლია,
მგოსანი ვიქმნე ერისა;

რომ ჩემის მღერით აგზნილო
რავიფი ტარიღობდეს:
ჭაჯთა ებრძოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისათვის ხელობდეს..

მ.შინ, ვით ჩვენსა მნათობელს,
სახელი აღვემატება,
და შენი სახე ივერთა
გულს ძველად დაეხატება..

აკაკიმ აღადგინა, განაგრძო და გააღრმავა შოთა რუსთაველის შემეკვიდრება. ეს საოცარი ადამიანი, თავისი ჰქვიანი, ნათელი თვალებით გამჭვრიახად ხედავდა როგორც ღრმა წარსულს ისე შორეულ მომავალს.



ქვეყნობის საკითხი და სახელმწიფო პოლიტიკა

აქამდე ქვეყნის ნათელ ხსოვნას
 საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი სათუ-
 თად ინახავს. ქვეყნული — არა მხო-
 ლოდ დიდი პოეტია, იგი დიდი მოქალა-
 ქეცაა. იგი — ხალხთა მეგობრობის ერთ-
 ერთი მაუწყებელი და მომღერალია.
 ქართველ მწერლებთან ერთად, მისთვის
 ქვეყნის იყო რუსი მწერლებიც. იგი
 მოწიწებით ინსენიებდა თავის შეხვედ-
 რას შევეჩვენებთან, თავის მძაღ გამო-
 აცხადდა სომეხი დრამატურგი გ. სუნ-
 დუიანი. მგზნებარე ქართველი პატრი-
 ოტისათვის უცხო იყო ნაციონალური
 შეზღუდულობა. ქართული პოეზიის
 მაღალ ტრადიციებისადმი ერთგულებას
 აქამდე უფარდებდა თავისი თვითმყოფა-
 ღი და თავისებური ტალანტის ბრწყინ-
 ვალებას. უდიდესი ბედნიერება ზედა
 წილად აქამის, ის რაზედაც ოცნებობს
 ქვეყნობის პოეტი: მის ლექსებს მღე-
 რიან, როგორც ხალხურ სიმღერებს.
 მას სდევნიდა მეფის მთავრობა, ჩვენი
 თავისუფალი სამშობლოს ხალხებმა კი
 მისი სახელი დიდების შარავანდედით
 შემოსეს.

მე მინდა ეს მცირედი გამონათქვამი
 ჩემი „მირგოროდის ჩანაწერების“ ლექ-
 სებიდან მოტანილი ციტატით დავამ-
 თავრო. ერთ ლექსში აღვწერ ჩემს მოგ-

ზაურობას მირგოროდსა და ზუბოვკაში,
 სადაც ცხოვრობდა ქვეყნის წინა-
 მორბედი, შესანიშნავი პოეტი დავით
 გურამიშვილი. ამ მოგზაურობის დროს
 საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს
 უკრაინელმა კოლმეურნეებმა ძველ-
 ბური ჩვეულებისამებრ პურ-მარილი
 მიართვეს. აღვნიშნავ ამას ლექსში და
 ვწერ (დაე, ეს ავტოციტატი არ მოეჩ-
 ვენოს მკითხველს კადნიერებად, მე
 მგონი აქ უადგილოდ არ იქნებოდა მისი
 მოყვანა):

მუხის ქვეშ დაიწყო კრება
 კოლმეურნეთა. და სიმღერებს მღეროდნენ იქ
 რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენაზე,
 და ეს არავის მოეჩვენა უცნაურად.
 უცნაურად არ მოგვეჩვენა
 რომ ზუბოვკაში არსებობს წრე,
 სადაც რუსთაველის,
 გურამიშვილის, წერეთლის ენას სწავლობენ.

პოეტი, რომლის სახელს ჩვენ ვაყე-
 ნებთ „ვეფხისტყაოსნის“ და „დავითი-
 ნის“ ავტორთა სახელების გვერდით,
 სრული უფლებით შეგვიძლია ვაღი-
 როთ ქვეყნობის საკითხი და ნაციონალური და
 ქვეყნობის სახელმწიფო პოლიტიკა.

საშუალო



საშუალო ხის ქვეშე

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი
აკაკი წერეთელი

გაზაფხული ქალაქის კარს ალბედა,
გაიღვიძეს ორთაქალის ბალებმა,
მოიშორეს ზამთრის ცივი დარდები,
ვარდებივით აყვავილდნენ ატმები.
იციანიან კვირტინ და ირხევიან,
ბერიკაცი დინჯად მისდევს ხეივანს,
ყვავილობას უმზერს გულდაუღლელ
და ატმის წინ მოიყარა მუხლები.
ქება უთხრა გაზაფხულის მშვენიერებას,
სიტყვა უთხრა, გულსაც ქება ენება,
ქება მთების და ხმაურა ჩქერების,
ვარდყვავილთა მარადიულ ფერების,
რაც კაცთა გულში ისე იღვრება,
როგორც ლექსი ან და როგორც
სიმღერა...

კიდევ ერთი მოდის თმადათოვლილი
ერის კაცი, მრავალჭირგამოვლილი
ეტყვის. „ძმაო, როგორა ხარ, გაბრიელ?“
„რაღა როგორ, ცხოვრების გზა
განვლიეთ“.

წამოდგება გაბრიელი ღიმილით,
ღიმის აკაკიც შეაგებებს სხივივით
და ერთმანეთს ძმურად მოეხვევიან,
მერმე დინჯად გაჰყვებიან ხეივანს.
გახსოვს, მტკვარო? გაგონდება,
თბილისო?

საუბარი ორი დიდი შვილისო,
შენს ქუჩებში დადიოდნენ დილაამდღე,
მათ თვალეებში ცისკრის შუქი
ბრწყინავდა.

შენს ქუჩებში ილაშქრდნენ ოცნებით
სომხეთის და საქართველოს მგოსნები.
გაბრიელ თქვა: „ძმაო ატმებს გახედე,
ატმებს ქარი ჩვენს სულშიაც არხედდეს,
მოგვაგონოს ჩვენი კარგი ბავშვობა,
რაც ადრე, უმოწყალოდ გავგვშორდა“.
„იგი მართლაც შუქი არის სიცოცხლის,
ჩვენ ამ შუქით მარად, მარად ვიწოდით,
ქართველ მგოსნის დიდებული ხმა ისმის,
სული უწუხს, თვალში უდგას მისი, —
ნახე, მთები თოვლმა როგორ შებურა,
ორთაქალა როგორ აყვავებულა
და მგოსანიც ამ გაზაფხულს მოჰგავსო —
თმაში თოვლით, გულში ვარდით,
მოყვასო.“

რასაც ხედავ ახლა, სხვაგან სად არის,
ვინ დახატავს მის, რომელი მხატვარი“.
და ცრემლები იელეებენ თვალეებზე,
ატმის ხეებს ქარი მოუაღერებს,
ორი ერის მოზარენი მღიმიარედ
გასცქერიან აქაყვებულ მღინარეს.
ზეცა ბრწყინავს, დედამიწა იცინის,
ქალარაში ათამაშდა მზის სხივი.
ყველგან ატმის ყვავილები ქარია,
დგანან მშებნი, დგანან და უხარიათ —
გულში დიდი გაზაფხულის შემოსვლა,
გაზაფხულით სიყვარულის შემოსვა...
იმ დღეს თურმე ქვებიც აყვავებულა,
თურმე ის დღე აღარ დაღამებულა.



3 0 0

დიდმა პოეზიამ არ იცის საზღვრები— არც დროსა და არც სივრცეში. აკაკი წერეთლის პოეზია დიდი ხანია გასცდა თავის დროს და კავკასიის მთებს. დიდი და ვადამდებია პოეტის შემოქმედებაში სასიმღერო სტიქია: არ არსებობს რუსი ადამიანი, რომელსაც სიმღერა უყვარდეს და რომელმაც არ იცოდეს „სულიკო“.

განსაცვიფრებელია აკაკი წერეთლის ხალხურობა. მას ცოცხლად გრძნობ, თუნდაც არ იცოდე ქართული ენა და რუსულ თარგმანებს კითხულობდე. პოეტის მხატვრული პალიტრა მკაფიო ეროვნული საღებავებით ელვარებს. ყველაფერი, რაც მან დაწერა, საქართველოთი სუნთქავს, — მისი სიცოცხლით, მისი ბუნებით, მისი ისტორიით. მაგრამ ყოველივე ამასთან, რუს მკითხველებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს აკაკის შემოქმედების ერთი ნაცნობი ნოტა, რომელიც მძლავრად ქლერს მის ლექსებსა და პოემებში.

ეს არის იმ ჭეშმარიტი და ღრმა ხალხურობისა და შეუპოვარი მხატვრული სიმართლის ნოტა, რომელიც მსოფლიო ხელოვნების საგანძურში მეცხრამეტე საუკუნის რუსულმა ლიტერატურამ შეიტანა. თავისი თანამგზავრის, თანამებრძოლისა და მოძმის ილია ჭავჭავაძის მსგავსად, აკაკი წერეთელიც ეზიარა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეების მაცოცხლებელ წყაროს, რომელიც ასაზრდოებდა რუს მწერალთა მებრძოლ და ხალხისათვის თავგანწირულ პლეიადას.

აკაკი წერეთლის შემოქმედება ყურადსაღები მაგალითია ჩვენი ორი კულტურის ერთგული მეგობრობისა. ახალგაზრდა ქართველი, რომელმაც „თერგის წყალი დალია“, პეტერბურგის უნივერ-

სიტეტის ხალხმრავალ აუდიტორიაში, სტუდენტების მშფოთვარე შეკრებებზე, პუშკინზე და ბელინსკზე გაცხარებულ კამათში დაუმოყვრდა რუსეთს, მის კულტურასა და მის პოეტებს.

გოგოლი, კრილოვი, პუშკინი, ლერმონოვი — წერეთლის მუდმივი თანამგზავრები გახდნენ. იგი არამარტო თარგმნიდა მათ, არამარტო წერდა მათ შესახებ, — არამედ ბოლომდე ჩასწვდა მათს მებრძოლ სულს. და, რაღა თქმა უნდა, რომ ყველაზე თვისტომი იყო მისთვის მკმუნვარე და მგზნებარე ნეკრასოვი, თავისი მოუსყიდველი სიყვარულით ხალხისადმი, თავისი ნაღველითა და მრისხანებით, თავისი ჩაუქრობელი ისტორიული ოპტიმიზმით. როდესაც ვკითხულობთ აკაკი წერეთელს თვალწინ ნეკრასოვიც წარმოგიდგება:

ასე გრძნობს გული, აღლავებულო,
ხალხის მიბაძვით მოუსვენარი...
ვერ შეაჩერებს ძალით ზამთარი,
როცა გაზაფხულს ეღება კარი...

ეს სტრიქონები 1905 წლის რევოლუციური ბრძოლების ქარ-ცეცხლში დაიბადნენ. როგორი უნდა ყოფილიყო პოეტის სულიერი და იდეური პორიზონტი, როდესაც მან, სულ სხვა ეპოქაში ჩამოყალიბებულმა პოეტმა შესძლო თითქმის სიცოცხლის მიწურულს ასე მღელვარედ, ასე გულწრფელად გამოხმაურებოდა მუშათა კლასის ბრძოლას! და რაოდენ ნიშანდობლივია, ამასთან დაკავშირებით, რომ სწორედ მოხუცმა აკაკი წერეთელმა არ დაუთმო არავის პატივი ქართულ ენაზე ეთარგმნა ექვნი პოტიეს „ინტერნაციონალი“, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლო ჰიმნად იქცა!

აკაკი წერეთელი.. წარმოვსთქვამთ ამ დიდებულ სახელს და წარმოგვიდგება ლამაზი ჭაღარა სახე, ვანუშეორებლად ორიგინალური, არტისტული იერის დიდ აღამიანისა, რომელიც სულიერი კეთილშობილების შინაგანი მთლიანობის, თავისი საქმისა და მოვალეობისადმი უტყუარი ერთგულების ნათელითაა გასხვიოსნებული. თვით აკაკის ვარეგნობაში ჩაშვინათ სიმკვეთრით გამოკრთის მინი სურვილი და ხასიათი. მასში არის რაღაც შინაგანი სისხლებური. დახედავ სურათს — და იმ წამსვე მიხვდები: პოეტია!...

და რა კარგია, რომ იგი ხალხში ცხოვრობს მხოლოდ სახელით, რომ საქართველოში მოხუციცა და ახალგაზრდაც

მას უბრალოდ უწოდებს — აკაკი, განა არ არის ეს ხალხის საყოველთაო გულწრფელი და ჭეშმარიტად მშობლიური სიყვარულის ნიშანი თავისი პოეტისადმი?

...გზა მთაწმინდისაკენ ციცაბოა. გაივლი ნახევარ გზას, მოხედავ უკან, კიდევ და კიდევ დააკვირდები შენს ფერხით გაშლილ მშვენიერსა და პოეტურ ქალაქს და ისევ განაგრძობ გზას. იქ, ზევით მარმალლოს მკაცრი მონუმენტია და მასზე მხოლოდ სახელია ამოტვიფრული, ერთნაირად ძვირფასი ყველასათვის, ვინც კი ჩასწვდა პოეზიის ჯადოქრობასა და ძლევამოსილებას, მოკლე და საქვეყნოდ განთქმული სახელი: „აკაკი“.



აკაკის და ილიას კვლთან

თბილისის დილა ბრწყინავს, ინთება,
ცა საფირონით დაფერილია.
კვარცხლბეკზე დგანან ერის დიდებად:
ჩვენი აკაკი, ჩვენი ილია.

შშობელ ქვეყნისთვის იბრძოდნენ ერთად,
ერთგულად, მედგრად, მხნედ,

გატაცებით;
იმათი ქნარი ერთ გრძნობით ჟღერდა
და ერთად იქცნენ დღეს ქვა-კაცებად.

ერთი გზა ჰქონდათ, ერთი სავალი,
ქართული მიწის ცოცხლობდნენ ზედით,
და მადლიერი შთამომავალი
მათ ჰმოსავს უკვდავ შარავანდედით.

ქართველმა კაცმა დღეში ასჯერაც
რომ ჩაუაროს ამ გოლიათებს,
ყოველ გავლისას მიაპყრობს მზერას
და სიამაყის გრძნობა აანთებს.

გულში გაივლებს: ტურფა მამული
იმიტომ შეგვრჩა, მსგავსი ოცნების,
რომ გმირთა სისხლით არის ნამული
რომ სამლოცველო იყო მგოსნების.

თბილისის დილა ბრწყინავს, ინთება
ცა საფირონით დაფერილია,
კვარცხლბეკზე დგანან ერის დიდებად:
ჩვენი აკაკი, ჩვენი ილია.



აკაკი წერეთელი უკრაინაში

1895 წლის შუა მაისი იდგა. თავისი ცხოვრების მეცხრამეტე გაზაფხულს ქაბუღი აჯაი გზაში ატარებს. უკვე შორს დარჩა ჩქარააღა რიონზე ნავთი გაყვლილი რომანტიკული გზა. დიდი ხანია, შორს მოიტოვა საქართველოს მშობლიური ნაპირები. და, აი, ქუთაისის გინეზიის ყოფილი მისწავლე, მგზნებარე მეოცნებე, ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუცდელი, მომავალში დიდი პოეტი ქართველი ხალხისა, შავი ზღვის მღვდელარე სტიქონის გადაღახვის შემდეგ, გვიმთ უახლოვდება უკრაინის სამხრეთ სანაპიროს — სრულად რუსეთის სამოტრო ქალაქ ოდესას.

ახალგაზრდა, გრუნა თავადი აჯაი წერეთელი, თავის მოსამსახურე — ფანჯ კრიკორიანთან ერთად, ღვას გემბანზე, რომელსაც ქარი არხებს და გაყურებს ახალდაფუძნებელი ქალაქის კონსტრუქციას, იმ ქალაქისა, რომელსაც „ვეგენი ონგენი-ში“ პუშკინმა უმღერა. მას ჯერ არ ენახა და არც ჰქონდა წარმოდგენა ამ ქვეყანაზე — უკრაინაზე. ამა რას იფიქრებდა ქაბუღი პოეტი, რომ სწორედ ერთი წლის შემდეგ ფრად სერიოზული საუბარი ექნებოდა უკრაინის წინამძღოლსა და დიდ მომღერალთან — ტარას შევჩენკოსთან.

გემი ოდესის ნავსადგურს მიადგა. ნაპირი საესეა სამხედრო და სამოქალაქო გემების მატროსებით, პორტის მუშებთან და უმუშევარი ბოსნიკებით. ყველა აქეთ-იქით აწუდებდა, ჩქარობს, მიაქვთ-მოაქვთ ტვირთი, ზოგი მთვრალი და ივინება თუ ვიღაცას ემუქრება, ზოგი ლაზღანდარობს, ზოგი ხარხარებს, ისმის სიმღერაც... ყოფილი ლეგენდარული ზაპოროველი კახაი ასლა ქედმოხარული მტერთავე, მარჯვე მატროსისა თუ მშვიდი, ებურად განწყობილი ჩუმკის სახით, ოდეს იწურავს, რომ მწარე ლეკმა პური იშოვნის, სწვევლის თავის ზეგდრს და სიტყვით, მუშტით, მყარდით, მხრებით — მარტო თუ სხვებთან ერთად, იკაფავს გზას მომავლისაკენ.

ამჯერად აჯაი წერეთელს არ მოუხდა (თუმცა ამის კატეგორიული მტკიცება მნიშვნელოვან, საბუთების უქონლობის გამო) ახლოს გასინობოდა უკრაინის მშრომელ ხალხს. ბედს ენება, ის ჯერ შეხვედროდა ოდესის ვახაბტონებულ არისტოკრატის რომელიც გორონცოვის სასახლის ირგვლივ ფუსფუსებდა. მხოლოდ ამ არისტოკრატებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი თანამემამულე, უკრაინელი ექიმი ანდრიევსკი. იგი თუმცა შორს იდგა იმ ბრძოლისაგან, რომელსაც

აწარმოებდა უკრაინის ინტელიგენცია ვრონეული კულტურის შესაქმნელად, მგრამ მის სიტყვებში მაინც სწორად თავს იჩენდა უკრაინელი ენის პოეტური ფრთხილობა, მის ხასიათსა და მოქმედებაში კაფობდა ზოგი ისეთი თვისება, რაც დამახასიათებელია მშრომელი მასისათვის. ეს ინტელიგენტი ანდრიევსკი, ალბათ, ერთადერთი წარმომადგენელი იყო უკრაინელი ერისა, რომელიც ბედმა პირისპირ შეახვედრა მოძვე საპროტეული მომავალ დიდ მგოსანს. ამ შეხვედრის ფიქსირება განსაკუთრებით გამოადგებათ ბიოგრაფებს, რომანისტებსა და კინომატოგრაფის მუშაებს, იმით, ვინც, აჯაი წერეთელს უკრაინაში ყოფნის პირველი დღეების გასაშუქებლად დასძებნიან ადამიანს, პირველად რომ ესაუბრა პოეტს.

ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება ამ საუბრის შესახებ. თვითონ აჯაის ჩინიშული აქვს მხოლოდ ის ეპიზოდი, რომელიც თავად გორონცოვის მეშვეობით მიერ აჯაისათვის ფულადი საჩუქრის შეთავაზებას შეეხება. საჩუქარზე ცივი უარი განაცხადა ამაყმა ქართველმა. ანდრიევსკიმ ჯეროვნად შეაფასა ახალგაზრდა სტუმრის ეროვნული ღირსება, მაგრამ მაინც სახოვდა, თუმცა ამოდ, რომ მიეღო ეს საჩუქარი.

ჩვენთვის უცნობია ისიც, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა აჯაი წერეთელზე ოდესამ. შეიძლება ვეფარადლოთ, რომ კაცისათვის თავისუფალი, რომანტიკული ქალაქების შემდეგ, მშინადელი ოდესა განსაკუთრებით ვერ მოხიბლავდა ახალგაზრდა შემოქმედს. მოვიგონოთ, როგორ აღწერა ეს ქალაქი თავის დროზე პუშკინმა: — მტვერი, გარდალი ტლახი, არავითარი ქავეფილი და ტორტურაიო. მხოლოდ თავადთა სასახლეები, სომილები და აბერის თეატრი გამოირჩეოდნენ თავიანთი სილამაზით.

აჯაი, ზღვით მოგზაურობის შემდეგ, ოდესიდან გაემართა ჩვენი ევროპული ხმელეთის უძნელესი გზით. იმ 1859 წელს მეტად ნაადრევი გახაფხულო იყო.

აღდგომის დღესასწაული (12 აპრილს) — დიდი ხანია მოსტუმრებული ჰქონდათ. შესაძლოა, აჯაიმ ეს დღესასწაული მშობლების სახლიც ვაატარა. ახლა კი, მაისის მეორე ნახევარში, უკრაინის სტეპების მგზავრია. გზას მხოლოდ ის უადვილებს, რომ მაისია და დედამიწა ყვავილუბითა და ბუბულებით არის საესე. მინდვრის ყვავილთა და სოფლის ბაღების სურნელმა,

ფრინველთა სავაჭარო მუშაობა ყოველ-
 ხიელი სტეპთა თვალწინდელ სივრცეებზე
 თითქმის დროებით ანელებდა ხალხის ზღაპრულ
 ღრუბლებს, რომლითაც, გადაჭარბებული არ იქნე-
 ბა თუ ვიტყვით, ხასიათდებოდა იმდროინდელი
 დამონებული უკრაინა. ეს იყო ყველაზე უფრო
 დამაბული პერიოდი ბატონყმობის ისტორიაში.
 ყველაზე საშინელი ტანჯვა ხალხმა გადაიტანა
 სწორად რევოლუციის წინა წელს, მაშინ, როდესაც
 სახოლოდ უნდა დამხობილიყო სისტემა გლე-
 ხის შრომაზე ბატონის უფლებებისა. ყოველივე
 ამასთან დაკავშირებით, უკრაინაში მგზავრობის
 შემდეგ, რა ჩარხა გულში ქაბუჯ აკაის, შეგვიძ-
 ლია ამოვხედოთ მხოლოდ, ვიცით რა შთაბეჭდი-
 ლებიანი ბუნება პოეტისა.

აუცილებელია განვსაზღვროთ აკაის მგზავ-
 რობის მარშრუტი შავი ზღვის ნაპირებიდან
 ჩრდილოეთისაკენ, უკრაინის შიდა სივრცის გა-
 დაცვით. ამ მარშრუტის ცოდნა გამოადგებათ
 მომავალ მკვლევარებსა და მხატვრებსაც, არაბე-
 ულბერგია ეს მარშრუტი. იგი ნაზიარება აკა-
 კის წინამორბედი ბუერის დიდი აღმოჩენის ნა-
 ტურთადა. თუნდაც ის რად ღირს, რომ აკაიმდე,
 ამ გზაზე ორჯერ (1820 და 1824 წ. წ.) გაიარა
 დიშმა პუშკინმა.

რკინიგზები იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო,
 გარდა რუსეთის პირველი მაგისტრალისა—მოს-
 კოვიდან პეტერბურგამდე და კიდევ მისი პატარა
 ოცდაათწიანი შტოი — პეტერბურგიდან
 ცარსკოე სელოამდე. მგზავრობა უზარმაზარ,
 ათასეგრისობით მანძილზე საფოსტო სამსახურით
 (ტროიკით) წარმოებდა. მაშინდელ რუსეთში შე-
 მოღებულ იყო სამსახურებო რედაქციები,
 რომლის თანახმად განისაზღვრებოდა თუ რო-
 ველს ჩანგას მოხელეს რამდენი ცხენით უნდა
 ემგზავრა: მეფე ორმოც წალიკად შებმული ცხე-
 ნებით დამრძიდებოდა. პუშკინს, როგორც შეათე
 ჩანგის მოხელეს, მხოლოდ სამი ცხენის უფლება
 ჰქონდა. რამდენი ცხენით იმოგზაურა ახალ-
 ვარსკა თავადმა აკაი წერეთელმა თავისი
 მსახურით? ამ იქნებ მიეცა ზელსაყრელი შემთხ-
 ვევა, ოდესიდან პეტერბურგამდე, თანამგზავრად
 ვინმე დიდებულთაგანი უყოლოდა?!.. არ ვიცით...

საფოსტო ცხენებით მგზავრობა და სადგურები
 ოდესოდანვე ზოსტად იყო განსაზღვრული სპე-
 ციალური განრიგით. აკაიმ გაიარა მსხვილი და-
 სახლებელი პუნქტები: ქ. ნიკოლაევი — მდინარე
 ბუგის გადასასვლელთან, ნიკოლაევის შემდეგ
 გზა უხვევდა ჩრდილოეთისაკენ, ვიდრე ელი-
 საბურღარამდე. ეს იყო დიდი, ფართო საველე
 გზა მრავალჯერ გადათელილი, როგორც ქაბაკთა
 და თათართა რაზმების ცხენთა ფლოქვებით. ასე-
 ვე ჩუმათა ურამების ქარავენებით. ელისაბედ-
 გრადთან გზა კვლავ უხვევდა აღმოსავლეთით,
 კრემლურის გადასასვლელისაკენ, სადაც უნდა
 გადაეკლათ დიდი მდინარე დნეპრი. გოგონისა
 და ტარას შეგნეკოს მიერ ხობტაშესხმულ დნე-
 პრზე გადასვლის შემდეგ, აკაი შედიოდა უკრა-

ინის ტყე-ტარაშილიან, ამწვანებულ ზეობებსა და
 თეთრად შეფეთებულ ქობებთან ბალებში. აქ,
 ყველგან, სადაც კი მოუხდებოდა გულა ქაბუჯ
 მგოსონის, შედგომო ვეგონა არა მხოლოდ ბრუნ-
 ბის კენესა, არამედ ლექსები და სიმღერები
 ტარას შეგნეკოსი, ენახა მისი „კომპარია“ —
 აგრძალული შეფის ხელისუფლების მიერ —
 მოესმინა ნაცნობებისა და მეგობრების მოგო-
 მგოსონი უკრაინის დიდ პოეტზე. პოლტავისა და
 ჩერნიგოვის გუბერნიებში, თითქმის ყოველ სა-
 ფოსტო სადგურზე, რომლებიც უნდა ვაველო
 აკაის, დამატებდებოდა და უსახებოში გადასა-
 ლეზამდე ათი წლით ადრე, იმყოფებოდა ტარას
 შეგნეკო, კრემლურე, ვესაოლი პოლოდი,
 ხორალი, ლენინი, პირიატინი, პილიუკი, ნევი-
 ნი — ყველა ეს ადგილი ბრწყინვალე ეპიზოდ-
 ბით არიან დაკავშირებული პუშკინის, გოგო-
 ლის და შეგნეკოს ცხოვრებასთან. სამედი მთ-
 ვანი ყოფილა აქ. ისინი ამ ადგილებში ხელ-
 ბოდნენ ხალხს — გლეხებს, ღებურად მემამუ-
 ლეებს, საფოსტო ზედამხედველებს და შეეტ-
 ლეებს, რომლებიც უშუალოდ, მათთან ერთად
 მგზავრობდნენ სადგურთან სადგურამდე. შემ-
 დეგ კი, ყოველთვის თავმოყრებოდა პუშკინო-
 ნენ ამ გამოჩენილ აღმოჩენებთან თავინთი სა-
 უბრების შესახებ. ამ წლებში ტარას შეგნეკო
 ლეგენდარულ გზიად იყო ქცეული მთელს
 მზარეში, ერთი სიტყვით, ტარას შეგნეკოს მო-
 მავალ მკითხველს, თავისი მკვლევარს, თანამედ-
 როვესა და მომავალ თანამებრძოლ ქართველ
 პოეტს, აქვე შეეძლო ბევრი რამ დაენახა და
 მოესმინა მისი დამამტკიცებელი, თუ როგორი
 პოპულარობითა და ხალხის სიყვარულით სარ-
 გებლობდა უკრაინის სამაყო სივლი.

შემდგომში, აკაი წერეთლის ცხოვრების აღ-
 წერისა ან პოეტისადმი მიძღვნილი მხატვრული
 ნაწარმოების შექმნის დროს, განსაკუთრებული
 ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან
 ვარსკოებს: იმას, რომ აკაი მისის მეორე ნა-
 ზეგარში გაემგზავრა ოდესიდან პეტერბურგს. ამ
 დღებშივე, მისის დამღვეს, პეტერბურგიდან—
 მოსკოვის გამოვლით — ათი წლის გადასახლების
 შემდეგ, უკრაინაში პირველად ბრუნდებოდა ტა-
 რას გოგონის ძე შეგნეკო. ისინი, შესალოდა,
 შეხვედრდნენ ერთმანეთს საფოსტო გზებზე...
 მაგრამ ეს მხოლოდ „შესალოდა“. შეხვედნენ კი?..
 მხატვრულ ნაწარმოებთა ავტორებს ისტორიულ-
 ბიოგრაფიულ მონაცემებზე ძალდაუბრუნებლად
 შეუძლიათ დაეშვან, ივარაუდონ მათი შეხვედრა,
 რადგან დროცა და ადგილიც თითქმის ემთხვე-
 ვიან ერთმანეთს. მაგრამ ბიოგრაფიული გამო-
 კვლევის დროს აქ თავს იჩენს ერთი გაუგებ-
 რობა: საით წავიდა აკაი წერეთელი ნევისის
 საფოსტო სადგურთან? აქ გზებში იყრებოდა:
 ერთი მხრივდა ნევისიდან კოლოტევიში, უნდა
 ვაველო კროში, ორიოლი, ტუდა და მოსკოვის
 მიადგებოდა, მეორე კი უხვევდა მარცხნივ და
 ჩერნიგოვისა და დობრიანსკის (აქ თავდებოდა

უკრაინის ტერიტორია და იწყებოდა ბელორუსი-ის მხაჲ, რუმინსა და ვოლოკე ლუკის გავლით, რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქამდე — პეტერბურგამდე მიდიოდა პირდაპირ.

უკრაინა, რომელი მარტოა ერთი ახრია გამოუცდელმა გიმნაზიელმა აკაცი წერეთელმა, ამ მისმა ამ თანამზავრმა, ვისთანაც ამჯერად უნდებოდა მგზავრობა. თუ მათ გადასწყვიტეს მოსკოვის ჩასვლა, რათა იქიდან რკინიგზით გამგზავრებულნიყვნენ პეტერბურგს, მაშინ ნეყინში უნდა მოეხებია ჩრდილო-აღმოსავლეთით. რამდენადაც წყნის მიზანი გამოვლენილი ის ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც აკაციწერებს აკაცი წერეთელს უკრაინისთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მას იმაჯერად უკრაინის ცენტრალურ ქალაქში ყოფნა არ მოუხდა. კიდეც საგრძნობი მანძილით მარცხნივ იმყოფებოდა და ა. წერეთელმა მხოლოდ კრემენჩუგში ნახა დნებარი, როცა მთელი კილომეტრის მანძილზე გადაჭიმული ზღილით ვაიარა მასზე. უკრაინის მდინარე აქ ერთი კილომეტრის სიგანისაა. მისილი იგი იყო მშვიდი და მოღვდუნე; მის ახლო-მახლო მწყნით იმოსებოდა ტყეები და ტალღები, ყუარა ბაღები, გაიშროდა ბუღბუღის რაკარაკი... მაღალმთიან საქართველოს შეიღს, ბობოჭარის შვეფ ზღვის შემდეგ, დნებარი თავისი სიფართოვით, რა თქმა უნდა, ვერ გააყირავებდა. მდინარე პოეტის ყურადღებას მიიზიდავდა მხოლოდ თავისი სიწყნარით, მშვიდი მდინარეებით, მოსარეული ზედაპირით, რომელშიც თვალს იტაცებდა მწყანე სანაპირობა, კრემენჩუგის თეთრკედლებიანი შენობებისა და ტაძრების დიდებული ანაბეჭებები. კრემენჩუგის ამ სალოცავებმა და თეთრ სახლებში, ნახევარი საუკუნით ადრე აკაციმდე, იყო ორი დიდი ქართველი — დავით გურამიშვილი და ბესიკა. ისინი ჩამოედინენ უკრაინის განთქმული კოლონიზატორის, უბარწყინვალის თავადის პოტიომკინის რეზიდენციამდე. პოტიომკინის ტაძრები და სასახლეები, მართალია, ნაჩქარევად აყენენ ავებულნი (როგორც ყველაფერი, რაც ეთოდებოდა აქ პოტიომკინის მიერ სისხლიანი კოლონიზატორის, იმპერატორ ეკატერინე II შესახებდრად). მაგრამ 1859 წელს, ა. წერეთლის მოგზაურობის დროს, ჯერ კიდევ იდგნენ თავიანთ ადგილებზე.

შეუძლო თუ არა აკაციის კრემენჩუგში გაეგო რაიმე ბესიკისა და გურამიშვილის აქ ყოფნის შესახებ?... საიქყოია...

დ. გურამიშვილმა კრემენჩუგში მეტად მცირე დრო დაჰყო. იგი ჩამოვიდა მირგოროლიდან, თავისი „ღაუთიანის“ ზღაწეწერი გადასცა საქართველოს წარმომადგენელს თვად პოტიომკინს და მშინვეუ გაბრუნდა თავისი საიანში — მირგოროდს. როგორც ცნობილია, ბესიკე ცოტა ხანს იყო კრემენჩუგში, როგორც საქართველოს წარმომადგენელი და შემდეგ, პოტიომკინის ბანკთან ერთად, გადავიდა იანაში, სადაც ვარდაიცვალა კიდევ. ქართველი საზოგადოებრიობა

სწორად არ იყო ინფორმირებული, სად განისვენებდა ბესიკის ნეშტი — კრემენჩუგსა თუ იანაში. ამიტომ მშობლიური პოეზის დიდ მცოდნეს, აკაცი წერეთელს, შესაძლებელია, გამოეკითხა კრემენჩუგში შემხვედრი რაუმელიმე ქართველისათვის პოეტის შესახებ.

რა თქმა უნდა, რომანისტს აქაც უძლევა საშუალება იყაროდნოს პოეტი-დილომატის კეთილმოსაგონარი დილოგი აკაციისა.

კრემენჩუგიდან პოლტავის გუბერნიის ვავლოსას აკაცი, ეტყობა, არ უმგზავრია დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის გზით, რადგან გურამიშვილმა მირგოროლიდან კრემენჩუგამდე და, პირიქით, იმგზავრა სხვა პარალელური, საფოსტო ცხენების გზით. ამ გზით, რომელიც გადაჭიმული იყო გლუხოვოს, მირგოროდსა და კრემენჩუგს შორის და გადიოდა სოფლებზე: ომენიეზე, მანველიუზე, ბროვარაკზე, ფლორეასა და სტეფანოვშიანზე. თუ ა. წერეთელს, ჯერ კიდევ ოდესმე, მიღებული მქონდა გადაწყვეტილება მოსკოვის გავლით ჩასულიყო პეტერბურგს, მაშინ კრემენჩუგიდან მას შეეძლო გეზი აეღო მირგოროდსა და გლუხოვოზე. ეს უზოგავდა დროსა და ხარჯებსაც. რაც მთავარია, აქლევდა საშუალებას, რამდენიმე საათით შეჩერებულიყო მირგოროდში და ზოგი რამ გამოეკითხა თავისი დიდი წინამორბედის, დავითის ცხოვრებისა და ვარდაცვალების შესახებ. რომ აღმოჩნდებოდა ამის დამადასტურებელი თუნდაც პატარა საბუთი, მართალია, ეს აქნებოდა დავით გურამიშვილისა და აკაცი წერეთლის ცხოვრების გზების სიმპოლიური გადაჯიქვა.

ამრიგად, ივნიისის დასაწყისში 19 წლის აკაცი უჯვე პეტერბურგშია. ტარას შევჩენყო კი ამ დღეებში უკრაინაში იმყოფებოდა, მდინარე სეკილის ნაპირებზე, ქალაქ სტების მიდამოებში, სოფელ ლიხენის ხეტორ ნოეში და აქედან პირიატინის გზით მიემართებოდა დნებარის პერეიასლავლის ნაპირებისაკენ.

ეს ვარებობა უნდა იქნას გათვალისწინებული აკაცი წერეთლისა და ტარას შევჩენყოს იმ შეხვედრის დათარიღებისას, რომელიც შედგა პეტერბურგში, ვანთქმული პროფესორის ნიკოლოზ კოსტომაროვის ბინაზე. იმ დროს აკაცი წერეთელი კოსტომაროვის სტუდენტი იყო.

სამწუხაროდ, თავის მოგონებებში უკრაინის დიდ პოეტთან შეხვედრას შესახებ, აკაცი არ მოუთითებს ზუსტად წელსა და თვეს და ბიოგრაფებს კიდევ უფრო ურთულებს ძიებას როცა წერს, რომ: „... მე ავად გავხდი ტიფით და ვიწქეი ლოგინში სამი თვე, ამ დროს ის (შევჩენყო) უკვე გიმგზავრა უკრაინაში, ამის შემდეგ მას აღარ შეხვედრიაო“. ბიოგრაფებს აქ რჩებათ ამოსახსნელი პრონოლოგიური გამოცანები: — რომელ თვეში შედგა მათი საუბარი, 1859 წლის რომელ თვეს, თუ უფრო 1860 წელს, იწყა, ავადმყოფი აკაცი როსტომის ძე, და ბოლოს,

ჩატომ წერს, რომ ეს (შევერეო) გაემგზავრა უკრაინაში?

საქმე იმაშია, რომ წერეთელთან შეხვედრა შეეჩვენოს შედეგი მხოლოდ უკრაინაში მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ. შევერეო პეტერბურგში ჩავიდა 1859 წლის 7 სექტემბერს. შემდეგში აღარც არგუნა ბედმა უკრაინის ნახვად; არც 1859 წელს და არც 1860 წლის განმავლობაში (მთელი წლის მანძილზე იგი მეტად დაძაბულად მუშაობდა ერთიკეთში ოფიცრის დამზადებაზე და პეტერბურგის ლითოგრაფიებში), მით უფრო, 1861 წლის იანვარი და თებერვალი მან მიიმე ავადმყოფობაში გაატარა და პეტერბურგიდან ფეხი არსად მოუცვლია. მე მომხრე ვარ იმ ქრონოლოგიური გადამწყვეტისა, რომ ამ შეხვედრის დატა 1860 წლის მასში ევითო.

აქაი წერეთელს (სოგორც ილია ჰავეაძემს, დიმიტრი ყიფიანს და პეტერბურგის სხვა ქართველ სტუდენტებს), გარდა პირადი საუბრისა, შეველო ენაბა უკრაინელი პოეტი ლიტერატურულ საღამოზე, რომელიც პეტერბურგის პასაჟის დარბაზში მოეწყო 1860 წლის ნოემბერში.

საკატორღო გადსასაღებიდან ახალდაბრუნებული შევერეოს მონაწილეობით გამართული ლიტერატურული კითხვა პასაჟში იმ დროს წარმოადგენდა დიდ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენას. ეს საღამო მოაწყო ლიტერატურულმა ფონდმა, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა ჩერნიშევსკის ჯგუფი, თვით ჩერნიშევსკის მონაწილეობით. საღამო ფართოდ იყო აღიზიარებული და დიდი ადგიტორია მიიზიდა. მოსწავლე ახალგაზრდობის მოწინავე ჯგუფები წარმოადგენდნენ აუდტორიის აქტიურსა და მკვნებარე ნაწილს. აღნიშნული საღამოს ირგვლივ დაბეჭდა საგზაუთო ანგარიშები. ჩვენამდე მოაღწია ამ მშფოთვარე დღის მონაწილეობა პირადმა გამოხმებურებმა. ჩერნიშევსკის ერთ-ერთმა თანამოაზრემ — მ. ობრუჩევმა აღწერა ეს საღამო საზღვარგარეთ მყოფა დობრილ-ბოიუსადმი მიწერილ წერილში. ჩვენს განკარგულებაშია მ. ა. შტაკენშვიდერის განთქმული დიღობი, რომელშიც ვაღმაცემელია პასაჟის დარბაზის დაძაბული ატმოსფერო იმ საღამოს. იმევე საღამოს შესაბამე დიმიტრი ყიფიანი თავის ინტიმურ წერილში, აი რას იწერება საქართველოში: „... გუშინ ვიყავი ლიტერატურის საჯარო კითხვაზე; კითხულობდნენ, ბენედიქტოვი—შვენიერად, პოლონსკი — კარგად, შაიკოვი — მშვენიერად, ლოსტოვესკი და პისემსკი — ისე, რა, შევერეო — მილოჩასიელი პოეტი და მხატვარი — სტუტოიდ, დარბაზი ვაქედელი იყო ხალხით“.

ქართველი სტუდენტის ამ წერილის ტონის მიხედვით, რომელიც სამშობლოში მახლობელ ადამიანს ეგზანგებოდა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ არა მარტო იგი (დ. ყიფიანი), არამედ მისი შვეობარ-თანამოაზრენი, ვაერთონებდნენ აღიარებული ბელადის — ილია ჰავეაძის ირგვლივ,

დაესწრებოდნენ ამ საღამოს, რომელზე შორის იქნებოდა ქართველ სტუდენტთა საფოსტო-თანამოაზრე და თანამოაწილე აკაი წერეთელი.

პირველად აქ შეველო ენაბა მას ტრას შევერეო. კოსტომაროვის ბინაზე მათი შეხვედრის თარიღის დასადგენად, უნდა გავითვალისწინოთ კოსტომაროვის ავტობიოგრაფიის ის ადგოლი, საიდანაც ჩანს, რომ მხოლოდ 1859 წლის 20 ნოემბრისა და 1860 წლის 20 ივნისის ფარგლებში შეველო მას მიეღო თავის ბინაზე სტუდენტები, მათ შორის აკაი წერეთელიც.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მეტად სასიხარულო ხომ ამ განთქმული საუბრის შინაარსია?

ეს შეხვედრა წარმოადგენს ახალ, დიდ თავს, შემდგომ ეტაბს ქართველი და უკრაინელი ხალხების ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისა, რომელსაც ასე წარმატებით ჩაუყარა საფუძველი დავით გურამიშვილმა, მთელი თავისი შესანიშნავი სოვრებით.

აი, როგორც აღწერს მას აკაი წერეთელი:

„ჩემს ცხოვრებაში ტრას გროგორის ძე შევერეო მხოლოდ ერთხელ ენაბე, რუსეთის ისტორიის პროფესორთან — ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვთან. გამოგიტყდებით, პირველი ჩემი შთაბეჭდილება მის სასარგებლოდ არ მტყვევდება: ჩემს პაბუერ წარმოდგენას ის ყოველთვის რაღაც გიგანტურ, დიდების შარავინდელით მოსილ ადამიანად ეხატებოდა. ახლა კი, ჩემს წინ იდგა ჩვეულებრივი, გულკეთილი მოხუცი, უფრო დაბეჭდებული, ვიდრე იდეური მებრძოლი.“

შეამჩნია რა ჩემი უხერხულობა, მასპინძელმა გაისწორა სათვალე და იმ კითხვების დასმა დამიწყო, რომლებზედაც მე ხშირად მიხეუბოდა პასუხის გაცემა“.

კოსტომაროვისა და ტრას შევერეოს შეკითხვებისა და ვაითოეულობერებული სტუდენტის—აკაი წერეთლის პასუხების პროცესში ვარკვეულ იქნა საქართველოს ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი საკითხები. ტრას შევერეო გეითხებოდა აკაის საქართველოს დამწერლობასა და სიმელებზე, კართული კულტურის პობულარობაზე და აღმშოთებდა ყველას ის წინააღმდეგობა, რომლებიც არ აძლევდა ხალხებს საშუალებას ფართოდ და ყოველმხარე გასწონობდნენ ერთმანეთს. აკაისაგან მიღებული პასუხების შემდეგ, ტრას შევერეომ მრავალმნიშვნელოვნად წარმოსთქვა: „რამდენი საერთო აქვს ამ ხალხს ჩვენს ხალხთან!“

„... შევერეომ ამითობრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე. მის გულგატეხილობაზე და სხვა იგი ლაპარაკობდა ნელგლიანი ხმით, მაგრამ ვაცხოველებით, და მე ველარ ვცნობდი წინანდელ მოხუცს, ჩვენმა საუბარმა ღამის სამ საათამდე ვასტანა. დავშორდით როგორც მეგობრები და შეუპირდით ხშირად შეხვედრობით ერთმანეთს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბედნიერება არ იშედინა. ავიღ ვაგებდი ტრფხელ და სამი თვე ვიწევი ლოგინში. ამ დროს ის უკვე გაემგზავრა უკრაინაში.“



ნაში და ამის შემდეგ აღარ მომცემია მისთან შეხვედრის შემთხვევა.

ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩება როგორც ნათელი მოგონება მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. უნდა ვაღიარო, რომ პირველად შევჩვენოს სიტყვებიდან ვაგიგე, როგორ უნდა გიფეხადეს სამშობლო და შენი ხალხი“.

ამ ძვირფასი მოგონებიდან ძალიან ბევრს ვეგებულობთ, მაგრამ კიდევ ბევრა რამ რჩება გაუშვებელი. მაგალითად, ჩვენთვის უარესად საინტერესოა, ამ ისტორიულ დამეს წაუკითხეს თუ არა ლექსები ერთმანეთს დიდმა პოეტებმა (შევჩვენოს სწორად იმ დღეებში ასახელებულა მგეობრებს „კობზარის“ სიცოცხლისკონიდელი უკანასკნელი გამოცემით). წაუკითხეს თუ არა ერთმანეთს ახალა ნაწარმოებები? იცნობდა თუ არა ამ დროს აკაკი წერეთელი დანიტერესებულ იყო გაეგო თუ სად განისვენებდა მისი დიდი თანამემამულე, ავტორი „დავითიანისა“ და, როგორც ჩანს, ქართველს კრებდა პოლტავაში მცხოვრებ პირთველ დიდებულთა ოჯახებში და თვით უკანონულ საზოგადოებაშიც აწირიებდა გამოკითხვას დავით გურამიშვილის შესახებ. მას ბედმა გაუღიმა, რათა მიეგნო სწორი გზისათვის, რომელსაც პირდაპირ მირგოროდის სასაფლაოზე მიეყვართ. მხოლოდ თვით აკაკის არ მიეცა საშუალება ბოლომდე მიეყვანა კვლევა-ჩივბა და ჩვენ, მის ლიტერატურულ მემკვიდრებს, დაგვიტოვა ანდერძად განგვეგრძო ეს საქმე. ერთ-ერთ მის უბის წიგნაკში საგზაო შენიშვნების ფურცელზე ვკითხულობთ ფანქრით ჩანაწერს: „ქალაქ მირგოროდსა და სოფელ ზუბოვკაში აუცილებელია მოიძებნოს დავით გურამიშვილის საფლავი“ (ჩანაწერი პირველად გ. აბშინიძემ გამოაქვეყნა გაზეთში „Komyuiciti“, 1959 წლის 5 მაისს). იტყობა, ეს ჩანაწერი აკაკის უკანონოში ჩამოსვლის პირველ დღეებშივე გაუკეთებია.

გაურკვეველია აგრეთვე ისიც, მიიღო თუ არა აკაკიმ მონაწილეობა 1861 წლის 28 თებერვალს პეტერბურგში ტარის შეჩვენოს დაქრძალვის მსოზრეო პროცესიაში, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ამ პერიოდში აკაკი ძალზე მოუღებელი იყო სტუდენტური გამოცდების გამო. ვაგვახარბდა კი, რომ ის ყოფილიყო იმ სტუდენტთა რჩებში, რომლებიც ასე დემონსტრაციულად და ერთობლივად შეკავშირებით მიაცილებდნენ დიდ უკანონელს უკანასკნელ გზაზე. თანაც ორჯერ იყო დაქრძალვის პროცესია: პირველად თებერვალში, როცა შეჩვენოს ცხედრას საშხატრო ავადმთილად სმოლენსკის სასაფლაოზე მიასყეებდნენ და მეორედ — 26 აპრილს, როცა მის ეფხბის სმოლენსკის სასაფლაოდან რკინიგზის სადგურზე მიაცილებდნენ მშობლიურ უკანონაში ვადასასყეებლად.

საქართველოში დაბრუნებისას, ილია ჭავჭავაძეს თან მოჰქონდა ტარის შეჩვენოს პორტრეტი, აკაკი წერეთელს კი — შეჩვენოს მთავონებული ლექსების კრებელი „კობზარია“ და ამ წიგნს სასოებით ინახავდა სხვიტორში სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ოჯახური, ნათესაური, მატერიალური თუ სხვა საქმეების გამო აკაკი წერეთელს ზნორად უხდებდა უკანონაში ყოფნა (აკაკის მიუღელ ნატალია ბაშილევსკია უკანონელი იყო), კერძოდ, ხარკოსა და პოლტავაში, ცხადია, ეს დიდი ადამიანი უკანონის ქალაქებში ყოფნის დროს, ვერ

შეპოიფარგლებოდა მხოლოდ ოჯახური ინტერესებით. იგი უფოლ დაუკავშირდებოდა პოლტავისა და კიევის მამონდულ მოქიბვე საზოგადოებას და შეიძლება (რა თქმა უნდა, შეიძლება) ერთხელ მაინც სწვეოდა თვით მირგოროდსაც. ჩვენ ხელთა ვეაქვს დამადასტურებელი საბუთები იმისა, რომ უკანონაში ჩამოსვლის დროს, აკაკი წერეთელი დანიტერესებულ იყო გაეგო თუ სად განისვენებდა მისი დიდი თანამემამულე, ავტორი „დავითიანისა“ და, როგორც ჩანს, ქართველს კრებდა პოლტავაში მცხოვრებ პირთველ დიდებულთა ოჯახებში და თვით უკანონულ საზოგადოებაშიც აწირიებდა გამოკითხვას დავით გურამიშვილის შესახებ. მას ბედმა გაუღიმა, რათა მიეგნო სწორი გზისათვის, რომელსაც პირდაპირ მირგოროდის სასაფლაოზე მიეყვართ. მხოლოდ თვით აკაკის არ მიეცა საშუალება ბოლომდე მიეყვანა კვლევა-ჩივბა და ჩვენ, მის ლიტერატურულ მემკვიდრებს, დაგვიტოვა ანდერძად განგვეგრძო ეს საქმე. ერთ-ერთ მის უბის წიგნაკში საგზაო შენიშვნების ფურცელზე ვკითხულობთ ფანქრით ჩანაწერს: „ქალაქ მირგოროდსა და სოფელ ზუბოვკაში აუცილებელია მოიძებნოს დავით გურამიშვილის საფლავი“ (ჩანაწერი პირველად გ. აბშინიძემ გამოაქვეყნა გაზეთში „Komyuiciti“, 1959 წლის 5 მაისს). იტყობა, ეს ჩანაწერი აკაკის უკანონოში ჩამოსვლის პირველ დღეებშივე გაუკეთებია.

ხარკოვის არქივში ინახება ცნობები, რომლებიც ირწუნებენ აკაკის ნაცნობობას ხარკოვის მოწინავე ინტელეგენციასთან. კერძოდ, იმ ადამიანებთან, რომლებიც თავს იყრიდნენ განთქმულ განმანათლებელ ქრისტი ალწვესკიასთან. ალწვესკების ოჯახი ცნობილია, ეს ოჯახი იხსენიება ლენინის ნაშრომებში. ქრ. ალწვესკია იყო ხარკოვის საკვირაო სკოლების დიდი ორგანიზატორი; სახალხო განათლების საქმეს შესწრია ამ ქალმა მთელი კონება, სახლკარა და თავისი მგზნებარე ენერგია. მან დააარსა სახალხო ბიბლიოთეკა და დაბეჭდა ცნობილი კატალოგი სახალხო ბიბლიოთეკებისათვის. ალწვესკების ოჯახს ეკუთვნოდა საიმპერატორი თეატრის განთქმული ორგანიზატორი — ბარტლომი ალწვესკი. ქრ. ალწვესკიას ქალიშვილი, დედის თანამოსახევე ქრისტი უკანონელ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ლირკოსი პოეტი. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ქრ. ალწვესკია მის მეგობრული მიწერ-მიწერა ჰქონდა ანრი ბარბუსთან. აი, ეს ალწვესკების ოჯახი შედიოდა აკაკის ხარკოველ ნაცნობთა წრეში. უშუალოდ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყვნენ ა. წერეთელთან ხარკოვის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული დარგის პროფესორ-მასწავლებლები. ჩვენამდე მოაღწია პროფესორ სემცოვის მიერ დიდი ქართველი პოეტის საიუმბრლო დღეებში გამოგზავნილი წერილში, შეჩვენოს თანამებრძოლ ნყოლოზ კოსტომაროვს კი სია

კვილამდე არ გაუწყვეტია უკრაინული აკადემიისთვის. პეტერბურგში ყოფილ ჩასვლაზე ნახულობდა მგოსანი მას. მათი ველითადი საუბრების შესახებ დამწერეთა ცნობები გამოქვეყნებულია მაშინდელ უკრაინულ პრესაში. უკრაინული ინტელიგენცები თავიანთ მოგონებებში ყოველთვის აღტაცებით იხსენიებენ აკაი წყურთელს: „უღამაშესეჲ ქართველი“, „აღღრთოვანებული პოეტი“, „სარაგვეულებრივი თავადი“ და სხვ. ყველა შემთავრებულ დიდად აფასებს ამ შესანიშნავ ადამიანთან შეხვედრას.

პოლტავაში აკაის ყოფნის შესახებ უშუალო ცნობები არ გავიანია, მაგრამ არის ზეპირი გადმოცემები, რომლებიც მომდინარეობს პოლტავასა და პოლტავეშიანში მცხოვრებ ქართველ თავადთა მრავალიცხოვან შთამომავალთაგან.

1914 წლის 15 აპრილს ქართველი ხალხის სამაყო შეილის აკაის მონაწილეობამ შევჩენკოს სსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში უკრაინის მთელი საზოგადოებრივობა აღაფრთოვანა!

პოეტო-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი ამის გამო წერს:

„გაიყოფიდა ჩვენი აკაი სცენაზე. მაგრამ რა გამოვიდა ივადიებს საზღვარს არა ჰქონდა. როცა ტაშის ცემა მიწყდა, აკაიმ დაიწყო: „Да, я лично знал батько Тараса Шевченко“. ამ სიტყვის თქმა იყო და ახალი ტაშის ტქეა-ქუხილი. ხალხი წამოდგა და ვიღერ აკაი თავის მოგონებას დათავებდა, ფეხზე იდგა. ჩვენი პოეტის ლაშაზი და შინაარსიანი სიტყვა აღღრთოვანა ფეხზე ადგომით მოისმინა. უკრაინელები პატერში მყოფ ქართველებს ეხევირდნენ და ჰკოინდნენ. ჰუმშირილიც ეს აყო პროტესტი ცარიზმის პოლიტიკისადმი, რომელიც კრძალავდა შევჩენკოს სახელის ხსენებასაც კი; ეს იყო ორი ერის ერთიანი გრძნობით გასჰვეალვა, თავისუფალი ამოქაბილი და სამშობლოს დროშის ქვეშ გმირული დაჩაშვა, სიყვარულით გაერთიანება... აკაიმ თავისი სიტყვა ასე დათავა: „გიყვარდეთ თქვენი სამშობლო და დედა-ენა ისე, როგორც განსვენებულ შევჩენკოს ეყვარდა, რადგან მისი ხსოვნისათვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძველი იქნება“. ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის გულდან ამონათქვამი პასუხი იყო.

თავისი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, აკაი მიუხლოვდა სცენის შუაგულში დაღვრულ შევჩენკოს პიუსტს, მუხლი მოიყარა მის წინაშე და პატეისცემის ნიშნად დახარა ტაღარა თავი...

1 ტარას შევჩენკოს სსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო შედგა 1914 წლის 15 აპრილს, თბილისში, სახალხო სახლში, ზეიმი მოაწყო თბილისში მყოფ უკრაინელთა დამამართლებს წრემ.

ამ სერატომა აუწყრელი შთაბეჭდილება მოახდინა. მაყურებელთა ტაში და შეტახილები ახანს ხარებდა თეატრს“.

აკაის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში უკრაინა საშინლად იყო შევიწროებული ცარიზმის მილიტარისტული პოლიტიკით, იმპერიალისტური ომით გამოწვეული შოვინიზმით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკრაინის ინტელიგენციამ მაინც მოაწვდინა საქართველოს თავისი ხმა, თავისი გულის ტყვილი. ერთ-ერთ ტელეგრაფშიც ვკითხულობთ: „თავს ვიხრით ქართველი ხალხის დიდი მგოსნის—აკაი წყურთელის ცხედრის წინაშე და ვერაბობთ ჩვენს გულის ტყვილს მოაწვე ქართველი ხალხის შწუხარებას“.

აკაი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმი მოეწყო მთელს უკრაინაში და კერძოდ, ტარას შევჩენკოს მშობლიურ სოფელში — დიდი უკრაინელი პოეტის ძველთან.

მრავალ მილოცვათა შორის, რომლებიც საიუბილეოდ გამოიგზავნა უკრაინის სხვადასხვა კუთხიდან საქართველოში, მეც მგვმა წილად ბედნიერება 1940 წლის 21 ივნისს ჭალაქ ლუბინიდან გამოიგზავნა დეგემა სასიხარულო ცნობით, რომ მიჩეგოროდის უსპინსკის ეკლესიის მეტრიყულ ჩანაწერთა დავთარში, რომელიც იხსენება ლუბნის ისტორიულ აბქივში 1792 წლის თარიღით, ამოყვითაჲ ა. წერეთლის დიდი წინამორბედის — დავით გურამიშვილის დასაფლავებას დრო და ადგალო.

და იი, მე საქართველოში ვარ... გულთ ვეატრებ მადლობასა და სიყვარულს გრძნობას დიდი ქართველი ადამიანისადმი. მიეყვები მოჩქროაღე მდინარის მარჯვენა ნაპარს და მივემართები სხვიტორში მის თავჯანსაცემად. ჩიყველი მთებში მოდარაგე მწიღმისადგომ ციხე-სმმაგრებებს, რომელთაც შშირად გაყურებდა აკაი, ვეახლოვდები მის სახლ-მეხუელს... მოწიწებით შევედივარ ოთახებში, რომლებსაც ჯერ არღვე შეთონებახს მგოსნის ცოცხალი სენთიქის სითაბო, მორთოლვარე ზელთ ვეებში ძველებურ ხის აფიანს, რომელშიც ნანახს უმღერდნენ პატარა აკაის; ვადვივარ აიგანზე და ვსტუმები სხვიტორისა და საჩხერის ვაწუშეორებელი პანორამით. იი, იქ, ბარში, მშის მიცხუნვარე სხვიტობთ განათებულ ვენახებს შორის, დღეობარეობს სოფელი სავანე, სადაც თავისი ძიძის, გლეხის, ქალის იჯახში ექვს წლამდე იზრდებოდა პოეტი...

შემდეგ თბილისში... ავდივარ მთიწმინდაზე და მელეკარებით აღსავსე ეღგები დიდი აკაის საფლავის წინ. ქართველი ერის ამ წმიდათმწიფი და ადგალს, შვეი ბრინჯავის ძველზე ვკითხულობ ლაკონურ წარწერას: „აკაი“.

დიდება და დღეგრძელობა ქართველ ხალხს, დიდი მგოსნის — აკაის მშობელს.

გიორგი კაჭახიძე



მგოსანი ხმელეთ-ზურმუხტის...

მახსოვს, წარმოსთქვა ყმაწვილმა ხალხში
ლექსი პატარა და სახალისო...
ბავშვი ვიყავი... გაისმა ტაში:
— ყოჩაღ!.. აკაკის ლექსი არისო.

ფანდურს ჩამოჰკრა ბრმა მეფანდურემ,
კმუნვის ნაეურით ქუჩა აიგსო...
ერთხმად აღმოხდათ სმენით გართულებს
— ყოჩაღ!.. აკაკის სევდა არისო.

გოგომ ჩონგური ააწკრიალა,
სოფელს გადასწვდა ხმა სამაისო...
ეაქმა შეჭლიმა გზიდან ცქრიალას:
— ყოჩაღ!.. აკაკის ცეცხლი არისო.

ვარ იმ წლებიდან ლექსით დაჭრილი,
ხმა გულითადი სულს ემოყვრება
და მშობლიური მგოსნის აჩრდილი
ხმელეთ-ზურმუხტის ჰანგად მომყვება.

ხან ყიეინაა, ხან წუხილია,
ხან სასოება, სულის ვარდობა,
და დამაჩვია, როგორც ილიამ,
უკვდავებასთან ფიქრის განდობა.

მგონია: ვით მტკვარს ერთვის არაგვი,
დასაბამიდან მისი ტოტია,
ასე ილია, ასე აკაკი
საქართველოსთან ერთად მოდიან.

დავან გომთა



უფოთლო ხის ჩრდილი

მოგონება

მე ახლა აღარ მახსოვს — რა ხე იყო ის, რომელზედაც მაშინ, ბავშვობაში, გულის წყურბულით ავცოცდი და უეცრად ბევრ რამეზე თვალი ამეცრა.

იმ პატარა ბაღთან მერმეც არაერთ-გზის ამივლია და ჩამომივლია, როდესაც დროდადრო დიდებულ ქართველთ მთაწმინდისკენ მივასვენებდით. მაგრამ ვეღარ ვხედავ ამ ხეს... იგი ან მოსჭრეს, ან ისე გაიზარდა, რომ ვეღარც ვცნობ... აი მის უფოთლო ჩრდილს კი ახლაც ვხედავ.

...მას შემდგომ დიდმა დრომ განვლო... ბევრ გზა-ღრანტებში მატარა. ხე და ხევი რა ბედენაა... არა ერთ მწვერვალზეც ავსულვარ — იალბუხისა და მყინვარწვერის ჩათვლით... იქედან შორეთისთვის თვალი გამიყრია... მაგრამ იმ, არც თუ დიდ, ხიდან ერთბაშად დანახულის ოდენა მაინც არაოდეს აღარ დამინახეს, არც შემიგნია... ასე გულალალი, ვგონებ, არაოდეს აღარც ვყოფილვარ.

ეს ხე, მთაწმინდის კალთაზე, მამადავითის ბაღში, ქუჩისპირა ვისოსს თავზე ადგა და სხვა ხეებისგან არაფრით არ გამოირჩეოდა. მას ახლაც მთელი სხეულით ვგრძნობ... ახალ გამოზამთრებულს, ჯერ უფოთლოს, მაგრამ ნამშებარულსა და კვირტებმოკითხულს. მაშინ მე უკვე ნასწავლი მქონდა:

...თებერვალი დადგაო...

ხეში წყალი ჩადგაო...

...პოდა, სწორედ თებერვალია, კვირა. ხეზე ბავშვებია შესული. მე ყველაზე ქვევით ვარ. სამაგიეროდ ქუჩისაკენ გადახრილი ტოტია და ზედ გადაშჯდარს სამხერი უფრო ხელსაყრელი მაქვს.

ქუჩა-მოედნის გასწვრივ ხელი-ხელაჩაჭიდებული ხალხი დგას. შუაში კი მოდიან, მოდიან... მწყობრად ჩამდგარი შეჩოხიანი, შეჩიქილიანი მგალობელნი... დიდნი, პატარანი... მოაქვთ წამოხრილი შავი დროშები, შეძახული ჯვრები, ხატები... შეჩაჩოხიანი სურათები... ნეტავ, ქვეყნად სად იყო ამდენი შავი? თვალებს ვაცეცებ, ხარბად ვეწაფები... გადახრილ ტოტზე უფრო წინ მივცოცავ. რაღაც ახალი, „ხალხის გრძობა“ მიტაცებს და თან ზარსა მცემს... ნეტავ, ქვეყნად სად იყო ამდენი ხალხი? მიღამოს ხეები დახუნსლულია ჩვენი უბნის ბიჭებით. ყველა ჩემსავით გაფაციცებულია და შემკრთალი... გონებაზე უფრო გული გვიგრძნობს, რაღაც დიდი ამბავია!

კიდევ კარგად ზოვასწართ. ჩვენი ოჯახი მაშინ — აქვე, მთაწმინდის შესახვევზე ცხოვრობდა. მე ჯერ ათისაც არ ვიყავი, ცხოვრებაში მოკლე შარვლით შესული. ცნობისმოყვარეობა გაუმძღარი მქონდა, მაგრამ გარემო აგრე იოლად როდი მიმხელდა თავის გულისნადებს. ჩემ თვალსაბრუნავში და გულსაზრუნავში ათასი გაუგებარი ამბავი ხდებოდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა. ყველაფერი ხატოვანად მესახებოდა... ზუნებსასა და ნივთებს თავისი იღუმალი ჩრდილი და ჭვირი ჭკონდათ... სიტყვებსაც რაღაც შეუცნობი ჩხრიალი ასლიოდათ და მუდამ ნათქვამზე უფრო მეტი, თავსატეხი მნიშვნელობა ჭკონდათ.

მე უკვე სკოლაში დავრბოდი — „დედა-ენასა“ და „მამა-ანგარიშს“ ვეწაფებოდი. ყური ცქვიტ ადგილზე მქონდა

შებნული და ოჯახშიაც „საზოგადო და საქვეყნო“ ბევრი რამ ნაადრევად გამეგონა, თუმცა ვერც თუ გამეგო.

დამწუხრებულმა მამამ, მეც „უფროსივით“ გამოიხიარა, რომ „ჩვენს სამშობლოს ახალი დიდი უბედურება ეწვია“... გატყდა მისი „სალამური“... გმირების მაძებარი „დაფი და ნაღარა“ და ახლა „მსკოვანი მწერალი“ დიდ მთაწმინდელეს უერთდება, იქ უნდა დაიდოს „სა-უკუნო ბინა“. სურათიც კი მაჩვენა მსკოვანისა.

მომავონდა, რომ ერთხელ ტფილისის მთავარ ქუჩაზე შეგხვდი ამ „პირწმინდად დათოვლილ კაცს“, რომელიც „თავ-აღმართულად“ ზეცისაკენ იხედებოდა და გზას „თავმოხრილ“ ჯოხით მიიკვლევდა.

მე თვალი მომპრა მისმა ნათელმა. მაშინ კიდევ ვსწავლობდით საღვთო სჯულს და მე ღმერთი მხოლოდ ასე წარმომედგინა.

ახლა კი ეს „თეთრი ღმერთი“ მთაწმინდაზე აპირებდა „სამუღამოდ დასახლებას“.

მე სიკედილი ჯერ მეტად ბუნდოვნად წარმომედგინა... ხანგრძლივ, არც უამო ძილისდაგვარად... ისიც თავისი სურვილით... რომელსაც რაღაც კავშირი ჰქონდა თეთრ წვერთან, ჰალარა ნაწნავებთან და დიდ პატივისცემასთან და ყვეაილებთან. ხოლო ეს ვერ გამეგო — რაღა მაინცდამაინც კუბოში და მიწაში ჩააწვენდნენ ხოლმე ლოგინში და ბუმბულში ნაჩვევ ადამიანს?

მამადავითის ბაღს რომ მივაშურეთ, უკვე გზები ხალხით გაქედილი, ყოველი ხე ბიჭვებით დახუნხლული აღმოჩნდა. ჩვენი ქუჩის ბიჭვებიც ბაღის მაღალ ვისოსს გადავევლეთ და ერთადერთ „თავისუფალ“ ხეს მივაწყდით. ხის თავისუფლების მიზეზიც მის ძირში, მუხლებზე იდგა, თავი ხის ტანზე მიედო, ხელებიც შემოევლო, ბრმა თვალებს აპარპალებდა და ხმაძალდა გაიძახოდა:

— გაიკითხეთ!... აკაკის მადლითა და სახელით გაიკითხეთ! მამ, მე უნდა ხის

ძირში გავკვივოდე და ის კარისსკელები ში მუნჯად იყოს!

მიწაზე კი მისი კაკვა-ჯოხი და თუნუქის ცარიელი ჯამი იდო.

ხეებრის ძახილს ყურადღებას არვინ აქცევდა. არც ჩვენ გვეკითხებოდა რამე, მაგრამ ბრმის უკან თავისუფალი ხე იყო... ქუჩის ქვედა მხრიდან კი დაგუბული ღუღუნე და შეუცნობი მოძრაობის ჩარბულალა მოდიოდა. მოთმინებისა და ლოდინის დრო და გული აბა ვის გააჩნდა.

მე ეშმაკობისა თავიდანვე არა მქონდა რა... მაგრამ ერთმა კი ჯიქურ-ხერხი იღონა...

— ფული გაქვთ ვინმეს?

მხოლოდ მე აღმომაჩნდა დედის მოცემული კაპიკიანი.

გამომართვა და ხეიბარს ხმინად ჩაუგლო ჯამში... მაგრამ ვიდრე ბრმა დაიხრებოდა, ბიჭმა ისევ ამოიკაცა ჯამიდან, სხვას გადასცა, დაბრილ მთხოვარს გადაახტა და ხეზე შეფორბდა.

ახლა მეორემ ჩააჩხრიალა ჯამში ჩემი კაპიკი და ხეზე შეხტა. კაპიკიანი კი მესამე ბიჭის ხელში იყო...

— ჯამში ჩაავდეთ... ხალხნი ჯამში მე — ბრმას არა მცდება და თქვენ აცილებთ? თვალები გაახილეთ... თვალები — მთხოვარა ცარიელ ჯამში და მის ირგვლივ აფათურებდა ხელებს.

ბოლოს ჯერი ჩემზეც მოდგა. მე აღარ ამომიღია კაპიკიანი და თავზე რომ გადავახტი ბრმას, მისი ხმაც ფეხ-შობებით მომყვა:

— ეჰ, ჩვენი ცხოვრების ფასი კაპიკია... მაგრამ შენ მაინც დაილოცე ერთა და ჯილაგითა... გაიხარე, თუ ქართველს უწერია სიხარული... პაი... დედასა... ცა ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოი... გაიკითხეთ!..

ხალხი კი შუა ქუჩაში მწყობრად ვიდოდა და ვიდოდა... გალობდა და გალობდა... იცრემლებოდა და იცრემლებოდა... ქვევით, ქუჩის ვიწროში მიწა გუგუნებდა... მაღე სულ აირია მწყობრი და რიგი... ახლა ყველა სახლვარი



წაიშალა... ხალხი შავ დროებს განი-
ერ ხნულად წამოება. თითქოს თავად
მიწა და ტალღა აღმავლითად მოგორა-
ვდა. გალობა უკვე ჩათხრობილ, გაურ-
კვევ ღუღუნში ინთქებოდა. თითქოს
სამგლოვიარო ზარის ხმა ისმოდა და
აღარც ისმოდა... ისიც ვერ გამერკვია,
ზართლა ზარი იყო თუ დედა-ქალაქისა
და მომდგარ ერის გულისცემას?

ვუშვებდი ამ თავებისა და მხრების
ზღვას და ტანში ჯერ განუცდელი ცახ-
ცახი მივლიდა. ჩემთან ცახცახებდა ტო-
ტიც, მთელი ხეც და ვგონებ, იქ, ხის
ძირთან მყვირალი ხეიბარი.

— გაიკითხეთ! მე კი არა, სიკვდილი
ყოფილა ბრმა და პირშავი! შევარცხვი-
ნე მისი სტუმარ-მასპინძლობა... ზენ-
ხასიათი... — კაკვა-ჯოხი შემოჰკრა ჩვენ
ხეს... და მოზღვაგებულ ხალხის დახ-
შულ ღვანდგარს კვინისში ასული ძახი-
ლი შეჰმატა...

— გაიკითხეთ, ქართველებო!.. ეგ
უპატრონო ჯერ რჩეულებს ირჩევს!
რჩეულებს ირჩევს დაეიწყების პირსა
და არაიყორას ახვედრებს! გაიკითხეთ!
გაუკითხავ საქართველოში! ...გაოგნე-
ბული ვუშვებდი, ვუსმენდი... ხარბად
ვისრუტავდი ყველაფერს და თავბრუ
მეხვევოდა... ვერკი ვერკვევოდი... ჩემს
მიხვედრას რაღაც ძირითადი მარჯვალე
აჯღდა და აბნევედა... სად არის, სად...
თავად „რჩეულთ-რჩეული“? სად არის
ამ ზღვა-ხალხში „გმირების მამებარი“
აკაკი? ან რა საქმისთვის ეძებდა გმი-
რებს? ან თუ იპოვნა გმირები „გაუ-
კითხავ საქართველოში“? თუ არა, და,
ამდენი ხალხი რა ძალამ მოიყვანა, მზა-
რი-მზარ შეჰყარა და ზვირთად შეანინე-
თა ამ აღმართზე, მთაწმინდის კალთაზე
თუ მაპადავითის ქედზე... სადაც მე
პრაცლავერ მირბენია, ქვეები მისრო-
ლია. ასკინკლით ასკილი მიკრფვია,
კლდის ფრიალოზე თუ გამზრდელისაგან
გაგონილ „მოდინახეს ციხეზე“ თავგან-
წირულად ავცოცებულვარ... ქართულ
ზღაპრების „უკვდავების წყარო“ მიძებ-
ნია, ეკლებთან და ქინკრებთან „დედა-

ენის“ მაგარი ყდით „სამვედრო-სასი-
ცოცხლოდ“ მიბრძოლია... და გამიმარჯ-
ვია კიდევაც!

ერთხელ მაინც უნდა გამიმარჯვო კაც-
მა, რომ მერმე ათას დამარცხებას გაუ-
ძლო!

ხალხის ზვირთი კი ამოგორდა მამა-
დავითის მოედანზე, ამოგორდა და თით-
ქოს მხრებში გაიშალა, მორევით შეტ-
ბორდა... ყველა ქუჩიდან ნაკადი შემოი-
მატა... თითქოს საქართველოს ყველა
წინარე აქ იყრიდა თავს... აქ იყრიდა
თავს... და მაინც — საქართველოში რამ-
დენი მდინარეა?... რამდენი მაპადავი-
თის ქედი? ღმერთო, როდის დავივლი
ყველას?

და უეცრად ამ თავების მორევზე
ღეღ შევ ნავივით რაღაც გამოცურდა.
ვიგრძენ, რომ ეს და სწორედ ეს, დიდი
და უძრავი, არის ძალა შემკრები ამ
მოძრავ ცოცხალ ტალღისა... და ყველა
მას უშვებს ამოძრავებულ ქუჩებიდან
თუ აცახცახებულ უფოთლო ხეებიდან,
ჩაშავებულ საჩქმელებიდან თუ ამოძა-
ძულ აივნებიდან, თავჩაქინდრულ სა-
ხურაკებიდან თუ ასულდგმულულ
მთის ფერდოებიდან.

— იგია, იგია — ჩურჩული მოჰყვე-
ბოდა ბალის უფოთლო ხეებს.

— იგია! — აჩურჩულდა ჩვენი ხეც
და ზედ გახვეებული ბავშვებიც. იგი კი
თანდათან ახლოვდებოდა, იზრდებოდა...
უკვე ვეებერთელა, გოლიათურად გა-
დაწოლილიყო... თეთრ-ქათქათა ლომ-
ფაფარით ნათელ სახის ირგვლივ შემოვ-
ლებული.

და მე ვიცანია... ნიშანცხადლივ მხო-
ლოდ ახლა წარმომიდგა... იგი — აკაკი,
„მსოციანი მწერალი“, „პირწმინდად
დათოვლილი კაცი“, „თეთრი ღმერ-
თი“... თავღმართულად ტფილისის მთა-
ვარ ქუჩაზე მომავალი... მას მაშინ თავ-
მობრილი ჯოხი ჰქონდა... ახლა კი ჯო-
ხიც გადაუგვია... სახე შეუბრუნებლად
სულ ზეცაში იხედება და ისე მიდის
ფეხებს არც კი აყარებს დედა-მიწას...
აი, რა ყოფილა უკვდავმა! კაცი ჯოხს

რომ გადაადგებ და ისე მიხვალ... ისე მოგყვება ხალხი.. ველარ გამიგია — ეს კაცის სიკვდილი თუ არის — რალას ჰქვია კაცის გამარჯვება?!

ხალხის მთავარმა ტალღამ ჩემ ხემდე მოაღწია... და თითქოს თავი დაჰხარა უფოთლომ, მაგრამ ბავშვებით შეყურესულმა ხემ... მასაც გული ჰქონია და მას რომ ვეკერი, ძვერასაც ვგრძნობ... გულის მიღმა კი მესმის ხეიბრის ხმაინა-კარგული დუღენი: — აბა რა სანუგეშოა და... ხანდახან შედნიერი ვარ, რომ ბრმა ვარ!.. აბა, კარგს რასა ჰხედავთ, გეთყვამ გაიკითხეთ და გამაგებინეთ!

— ვაი, რომ მართალს ამბობს! — შეეხმინა ვიღაც გამვლელი, — გული გაგიტყდება, მაშ რა მოგივა.. ჩვენ უკანასკნელ დიდებას მიახვეწებენ!..

მაგრამ ახლა სხვა ხმაზე აღუდღუღდა უსინათლო:

— ნუგეშ-იმედიც გაიკითხეთ!.. ხალხნო! სიცოცხლე მაინც სჯობნის სიკვდილსა... ერთი კვდება — ათი იბადება! თავი ვიტეხოთ და გული არა!

აკაკის წინ ერთადერთი, შავ-მწვანე, ორსიტყვიანი გვირგვინი მოუძლოდა: — „აკაკის — საქართველო“...

— აკაკის გვარი საქართველო ყოფილა — ჩვენ ხის კენწეროზე წაიჭურჩულა ბავშვმა... იმანაც გაიგო რალაც! მე კი მაშინ პირველად, ნათლიე ვიგრძენი, რომ მეც საქართველოს ნაწილი ვარ... აკაკის საქართველოს ნაწილი!

და მეც, ჩვენი ყოველმა თაობამ, უნდა ვეძებოთ გმირები, ვისწავლოთ, ვიწვავლოთ, ჭვას, ხეს, რკინას შუბლი ვახალოთ... ერთი მოკვდეთ, ათი დავიბადლოთ... ოღონდ ხის ძირში ჯდომასა და სიბრმავეს თვალი და გული ავაცილოთ... ჩვენ თვითონვე უნდა გავიკითხოთ ჩვენი თავი და საქმე... თავი და საქმე!.. თავი ვიტეხოთ და გული არა!

ხალხის მთავარმა ტალღამ აიარა. ახლა იგი მთაწმინდის ჩამონაოჭებულ კალთაზე მიჯრილად მიიკლანჯებოდა და მალდა, როგორც ალამთ-ალამი, ახალი მთაწმინდელის ნეშტი მიჰქონდა... ეს

„ცა-ფირუზზე“ ამაღლება უფრო გვიწვიდრე დაკრძალვა!

ხიდან მე ყველაზე ბოლოს ჩამოვედი. მე კი ჩამოვედი, მაგრამ ჩემი ბალღობა საღაც ამ ჯერ შეუფოთლავ ხის ტოტზე დამჩხა. უკვე ჰაბუჯური ყურები ახლა სულ დაღესილი მქონდა... კიდევ მსურდა რამის გაგება... და გავიგე კიდევ... ერთმა მოწიფულმა, შუბლით კაცმა უთხრა მეორეს:

— ერმა, რომელმაც თავის ღირსეული შვილის ასეთი დაფასება და სიყვარული იცის...

— ის ერთი უკვდავია და ის ღირსეული შვილიც! — დაასწრო მეორემ...

სიცოცხლეში ნეტავ რამდენჯერ უნდა ამეხილოს თვალი? ახლა ხის ჩრდილიდან უკვე „ბრძნულ-ჰაბუჯურად“ შევხედე მთაწმინდის ქვეყანას, მის ხალხს, სიცოცხლეს, შრომას, მოვალეობას... ისიც ბასრად და ნათლად ვიგრძენ, რომ სიკვდილი საბოლოოდ აუცდენელი „სტუმარ-მასპინძელია“ დიდთა და მცირეთა, რჩეულთა და ურჩევთა... რომ ეს ყველასათვის ძველთაგანვე ცნობილია, მხოლოდ მე ვიჯექ ხეზე...

ხოლო შემდგომ „დავიწყების პირსა და არაიყორას“ მხოლოდ ის აღწევს თავს, ვინც თავის ნიჭსა და შრომას სამშობლოსათვის არ იშურებს... ვინც თავის ხალხს თავზე ევლება... ხოლო სამშობლოს, ხალხის დიდი სიყვარული აღამიანს გულთამილაგობის ძალას უჩენს, ანიჭებს, უზრდის... იქნებ გმირადაც ხდის!

მეც გავყევი ხალხს. უკან კი მომდევნდა ბრმა ხეიბრის ძახილი:

— გაიკითხეთ! ჰაი, დედასა მტრისას! მე, ბრმა, ცოცხალი ვიყო... თვალნათელ აკაკის კი სიკვდილი აბრმავებდეს, მიწას აბარებდეს!?

მაგრამ მე ახლა უკვე ბრმაზე უკეთ ვიცი, რომ სიკვდილს აღარ შეეძლო აკაკის „დაბრმავება“, არც მისი საღამურისა, დაფისა და ნალარის დახშობა, დაჩუქება... მისი სახელი და სიტყვა

უხმოზდა თაობებს! ერთმა ნაპერწკალ-
მა მეც ამინთო ჩუმი სანთელი და იმის
შემდეგ გულში დამაქვს უფოთლო ხის
ჩრდილთან ერთად.

P. S. როდესაც კაცი, სამხრობის ჟამს,
ბავშვობის დღეებს იგონებს, — დროის
ვარაუდი ეშლება კალამს. ბავშვი უნებუ-
რად უფრო ჰკვიანს, ადრე შეუფროსე-
ბული, მიამიტობადაკარგული გამოდის.
ნაგრძობიცი და ნაფიქრიცი შემდგომი
ნალექით ივსება და ცხოვრების დახ-
ლართულ ფაქტორში იკარგება მოსა-
გონარ დილის ცვარ-ნამი. ჩანს, პირველ-
განცდილის ფხაშეურევი აღდგენა ისე-
ვე შეუძლებელია, ვით ბავშვობის შე-
მობრუნება. ეს მარცვალიც ან სულ
მომსპარი, ან უკვე ამოზრდილია... კბი-

ლიც მოცელილი... ჩვენი ბავშვობა
უკვე ჩვენივე შემოქმედების ნაწილად
ხდება, ხანდახან მთავარ თემადაც იქცე-
ვა და არის ასე.

ამ გულწრფელ აღიარებას, კალმის
გენიოსებიც აღბათ მამატიებენ... მათ
ეს უკეთ მოეხსენებათ...

...იმ ხის უფოთლო ჩრდილს კი ახლაც
ვხედავ, თუმცა მის შემდეგ მთაწმინდის
მიწამ არაერთი დიდი ქართველი მიიბა-
რა, ხოლო მთაწმინდის ხეებს ფოთლე-
ბი ორმოცდახუთჯერ აუმწვანდათ და
ჩამოსცივდათ.

ახლაც ფოთლოთცვენაა... მაგრამ გა-
ზაფხული მუდამ სჯობნის შემოდგომას
და ზამთარს; ერთი მოგვცდეთ, ათი ვი-
ბადოთ!

გრიგოლ მაჭავარიანი



დაუზიწყარი მოგონება

მამაჩემი მწიგნობარი კაცი იყო. მან პატარაობიდანვე ჩამინერგა აკაკისადმი უსაზღვრო სიყვარული და ზეპირად შესასწავლა მისი ლექსები.

განვლო წლებმა. სათანადო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე დამეწყო მასწავლებლობა, მაგრამ ეს საქმე მაშინ არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან მასწავლებლები გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე სკოლები. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ან რაიმე „დამსახურება“ სამოსწავლო მთავრობის წინაშე, ან დიდი პროტექცია. ჩავეარდი საგონებელში, მაგრამ ისევ მამაჩემმა მიხსნა მდგომარეობიდან.

— ბიჭო, ნუ დარდობ, შენ დღესვე უნდა მოუსვა თბილისისაკენ, იქ ნათესავი გეყავს, მეტად მოხერხებული კაცი, სოსიკო მერკვილაძე, ხომ გახსოვს, შარშან ჩვენთან რომ იყო სტუმრად „ღვთისმშობლობას“, მას ბევრი დიდი, ნასწავლი კაცი იცნობს და თუ მოინდომა, უსათუოდ გაშოვნინებს მასწავლებლის ადგილს.

იმ დამესვე გავემგზავრე თბილისში. სადგურიდან პირდაპირ გავეშურე სოსიკო მერკვილაძესთან, რომელსაც ქალაქის ცენტრში, ახლანდელ ჯორჯაძის ქუჩაზე, საუკეთესო წიგნის მაღაზია — „ცოდნა“ — ჰქონდა. გარდა ბუკინისტური წიგნებით ვაჭრობისა, ის პატარა გამომცემლობასაც აწარმოებდა. აკაკის ლექსები პატარ-პატარა წიგნებად პირველად მან გამოსცა მასობრივად და დიდ პოეტთან მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა.

რომ დამინახა, სოსიკოს გაუკვირდა.

— ბიჭო, რა გაგიკირდა იმის ფასი,

რომ ამ პაპანაქება სიცხეში სოფლიდან თბილისში ჩამოდი?!
— მართლაც, რომ მიკირს, ბატონო სოსიკო!

— მაინც რაშია საქმე?

— მასწავლებლის ადგილს ვეძებ, თქვენ მოგაშურეთ, მამაჩემმაც ძალიან გთხოვთ.

სოსიკო ცოტა ჩაფიქრდა, შემდეგ სახეგაბრწყინებულმა მითხრა.

— ნუ გეშინია, მაგ საქმეს მე გაგიკეთებ, ოღონდ საჩხერეში დაგვეკირდება წასვლა. იქ ისეთი დიდი ვინმეა, რომ იმან მოინდომოს, მასწავლებლის კი არა, დირექტორის ადგილს გამოვნინებს.

— ვინ არის ასეთი, ბატონო სოსიკო?!
— ვინ არის და მეფის შთამომავალი, ელისაბედ წერეთლის ქალი, ურომლისოდ, რომ იტყვიან, ქუთაისის გუბერნიაში წყალი არ დაიქცევა.

— თქვენ პირადად იცნობთ იმ დიდ ქალს?
— როგორ არა, მეც ვიცნობ, მაგრამ მე კიდევ იქ მყავს უფრო დიდი კაცი, რომელიც...

— ალბათ აკაკიზე ბრძანებთ?!
— ყოჩაღ, მიხვდი, ჯერ აკაკის უნდა ვთხოვოთ. ის ჩემი კარგი მეგობარია, აი, ხომ ხედავ, რამდენი მისი ლექსები გამოვეცი, და მიმითითა დახლზე ლამაზად დალაგებულ აკაკის ლექსების წიგნებზე.



მეორე დღეს, სისხამ დილით უკვე საჩხერეში ვიყავით მე და სოსიკო. ახლად ამოსულ მზის სხივებში იყო გახვეული ლამაზი არე-მარე, გავეშურეთ

სხეიტორისაკენ მიმავალი ოღრო-ჩოღრო გზით. შარავხის გასწვრივ გიქმაყი მდინარე, აკაკის საყვარელი ჩიხურა მიჩუხჩუხებდა.

სულ მალე მივეუახლოვდით უზარმაზარ კაკლის ხეებში ჩადგულ ორსართულიან ქვიტყირის სახლს, რომელიც მედიდურად გადაყურებდა მიდამოს. შევადგით ფეხი მწვანე სამოსელით შემკულ დიდ ეზოში, რომლის საგრძნობ ნაწილს უშველებელი ქვის მაგიდა ფარავდა.

ადრე იყო და ჯერ ყველას ეძინა. სულ ცოტა ხნის შემდეგ აივანზე გადმოდგა საცვლებისამარა კაცი, აკაკის მოურავად წოდებული — კოტე აბდუშელიშვილი. დაგვინახა თუ არა, მაშინვე ოთახში შეტრიალდა და ახალუხვადაცმული ჩვენკენ გამოეშურა.

— რაღაც კაი ამზავია, ბატონო სოსიკო, რამდენი ხანია ჩვენთან აღარ მობრძანებულხართ, — მიმართა სოსიკოს, რომელმაც ჩემი თავიც გააცნო.

— აკაკი ხომ კარგად ბრძანდება? მოიკითხა დიდი პოეტი მერკვილაძემ?

— გმადლობთ, კნიაზი, გვარიანად გახლავთ, ღამით სულ წერდა, დიდი ხანი არ არის რაც ჩაეძინა, მაგრამ თქვენ არ მოიწყინოთ, სანამ საუზმეს გავაწყობდეთ, ისიც აბრძანდება, — თქვა აბდუშელაშვილმა და სახლში შეტრიალდა.

მე კვლავ ვერ ვისვენებ.

— ძია სოსიკო, ხომ არ იცით, რა ჰქვია, აი, იმ სოფელს?

— ოო, ეს სოფელი სავანეა. იქ აიღვა აკაკიმ ფეხი, ეს მისთვის მეორე მშობლიური სოფელია. სავანე ვაგიყებით უყვარს ჩვენს სასიქადლელო მგოსანს, — ამბობს მერკვილაძე.

სოსიკომ ნობი მოითხოვა და ყველაზე დიდი კაკლის ქვეშ მამაპაპურად წამოწვა დასაძინებლად. მე კი რა მომასვენებდა... გულის ფანცქალითა და მღელვარებით შევყურებდი აკაკის საწოლი ოთახის კარებს, საიდანაც დიდი პოეტი უნდა გამობრძანებულყო.

აა, აღსრულდა... თორმეტი საათი იქნებოდა, რომ გაიღო მგოსნის საწოლი ოთახის კარები, გამოვიდა ახივანი, უყვე თმაშევერცხლილი, შიშნადველი სახის ადამიანი. თვალები წამერთვა, რომ იტყვიან, ენა მუცელში ჩამივარდა და ძლივს ჩავლულულდე მერკვილაძეს ყურში.

— ძია სოსიკო, ადექით, მგონი აკაკი აბრძანდა.

სოსიკომ მაშინვე გამოაჟყიტა თვალები, მარდად წამოხტა და ცქვიტად გაეშურა აივნისაკენ, მე კი ფეხები გამიშეშდა, ადგილიდან დაძვრას ვერ ვახერხებდი, სულ დამავიწყდა, რისთვისაც ვიყავი აქ მოსული.

აკაკი სოსიკოს მეგობრულად მიესალმა და ცოტა წააშუსაიფების შემდეგ ეზოსკენ დაიძრნენ, სოსიკო შორიახლო მოჰყვებოდა მგოსანს, მეც მოვიკრიბე ძალ-ღონე და გადავდგი ნაბიჯი.

— იმერელი აზნაურიშვილია, ბატონო აკაკი, ესეც და მამამისიც ოქვენნი დიდი მოყვარულები არიან, ახლა მასწავლებლობას აპირებს, — გააცნო ჩემი თავი პოეტს მერკვილაძემ.

— გამარჯობათ, ყმაწვილია!

ცეცხლივით ავენაიე და დავაპირე ხელზე შეამბორა, მაგრამ აკაკიმ უშალვე გამომტაცა ხელი.

დაიწყეს საუბარი. ილაპარაკეს ეურნალ-გაზეთებზე, თბილისის ახალ ამბებზე. აკაკი შეეკითხა: „როგორ არის შენი გიგოს „თემიო“ (გიგო დიასაშიძე იყო რედაქტორი „თემისა“, რომელიც ყველას „გუნდრუკს“ უქმევდა გ. მ.). შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა „ეშმაკის მათრახში“ მოთავსებულ რომელიღაც იუმორისტულ მოთხრობაზე და ბოლოს აკაკიმ ჰკითხა:

— სოსიკო, შენ რომ ჩემი ლექსები გამოეცი, თუ იყიდება?

— როგორ არა, ბატონო, სულ იტაცებენ.

— ჰოდა, სოსიკო ჩემო, ცოტა მეც უნდა მიგდო ყური. ხომ იცი, ტკბილია,

ქანქარი, როგორც შაქარი, — თავისებურად წაიხურა მგოსანმა.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო აკაკი, ამ ბოლო დროს ჰონორარი ვეღარ მოგაწვდინეთ, რა გქნა, ვალეზში ვარ ჩავარდნილი, სტამბებმა სულ შემჭამეს, ქალაქი ძნელი საშოვარი გახდა. მალე „თორნიკე ერისთავი“ უნდა გამოვედ დიდი ტირაჟით და ყველას ერთბაშად ავინაზლაურებთ, — უპასუხა სირიკვილისაგან ლოყებშეწითლებულმა სოსიკომ.

— არაფერია, სოსიკო, მე და შენ ხელის ქუჭკის გულისათვის არ წავინახუბებით, — გამოიყვანა პოეტმა უხერხული მდგომარეობიდან სოსიკო.

— ბატონო, საუზმე მზად არის, სად გაეშალოთ სუფრა, აქ თუ ოთახშიო, — წამოგვადგა თავზე გამრგე ქალი, კოტე აბღუშელაშვილის მეუღლე — ანა.

— აქ, — მოკლედ მოუქრა პოეტმა და ქეის მაგიდაზე მიუთითა.

კოტა ხნის შემდეგ კოტე აბღუშელაშვილიც გამოცხადდა.

— კნიაზო, რომელი ღვინო ამოვიღო, თეთრი თუ წითელი, — შეეკითხა მგოსანს.

აკაკიმ წარბები შექმუხნა და წყნარად უთხრა:

— კაცო, რამდენჯერ გითხარი კნიაზს ნუ მეძახი-მეთქი, კნიაზი ახლა ის არის, ვისაც ფულები ბლომად აქვს, — და თან სოსიკოსკენ გააპარა თვალი.

საუზმის დროს, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ახალგაზრდობაზე, სოსიკომ მოხერხებულად ჩაურთო ჩემი ამბავი.

— აი, ეს ყმაწვილიც არ არის კარგ მდგომარეობაში, მასწავლებლობა უნდა, მაგრამ ჯერ ვერაფერი გააწყო და საგანგებოდ გეახელით თქვენთან, რომ დახმარება გავციწოთ ამ საქმეში...

— სოსიკო ჩემო, შენვან არ მივირის! მე ვინ შეეკითხება მასწავლებლის დანიშვნას, — გააწყვეტინა პოეტმა სიტყვა მერკვილაძეს და თან მე შემომხედა.

— თქვენ არა, ბატონო აკაკი, მაგრამ

იქნებ ელისაბედთან მიგვიწეროთ ორი-ოდე სიტყვა.

— ჰო, ის მართლაც მოხერხებული და გავლენიანი ქალია, სახალხო სკოლების დირექტორ შემოინოვთანაც მეტად დაახლოებული. ელისაბედს შენც კარგად იცნობ, მე წერილს ვერ მივსწერ, უხერხულია, დღეს შვილის დღეობის გამო დიდი წვეულება აქვს, მეც დამპატიე, მაგრამ ავადმყოფობა მოვიმიზეზე და უარი შევუთვალე, ხომ იცი, არ მიყვარს ქეიფი „ჩინორდენოსნებთან“. ისე, თუ გნებავთ, ჩემს მაგივრად სთხოვეთ ელისაბედს, რომ დაეხმაროს ამ ყმაწვილს.

მადლობის ნიშნად, მე მაშინვე წამოვხტი ფეხზე.

— ლევან, მოხედე, ვილაც არის ჭიშკართან, მიმართა მოურავს აკაკიმ და თან თავისი ღვთაებრივი თვალები ჭიშკრისაკენ წარმართა.

კოტა ხნის შემდეგ აბღუშელაშვილი დაბრუნდა და მოახსენა:

— ჩვენი ნიკოია არის, ხომ იცით, დაბლა რომ ცხოვრობს.

— როგორ არ ვიცი, რატომ არ მოიპატიე?

— მეჩქარებო, მითხრა. კოტა საშინალო ადგილს თხოულობს ზევით, ფული ახლა კოტა მაქვს ხელში, ნაშემოდგომეც ვიშოვნე და მოგცემთო. მე ვუთხარი კნიაზს შევეკითხები და ხვალ გეტყვი-მეთქი პასუხს.

— კაცო, რად უნდა ამას შეეკითხვა, კაცი ცუდ ადგილას სახლობს, სამოსახლოს თხოულობს და უარი როგორ უნდა ვუთხრათ? ან ფული რა შუაშია! რატომ დღემდე ვერ გაიგე, კოტე ჩემო, რომ ეგ ხალხი თავისი შრომით ქმნის აი ამ პურ-მარხის, რომელსაც მე და შენ ასე მადიანად შევექცევით ხოლმე, და მან თვალი გადაავლო სახეს სუფრას.

გვარიანად დანაყრებულ სოსიკოსთან ერთად (მე კი სიმორცხვისაგან ლუკმა ყელში მეჩხირებოდა) გავეშურე ელისაბედ წერეთლისაკენ, რომელსაც სოსიკო დიდი მოწიწებით ეამბორა ხელ-

ზე, მე კი მარტო ხელის ჩამორთმევით დავეკაყოფილდი, რის გამო სოსიკომ თვალით მანიშნა — გადი აქედანო. მეც უსიტყვოდ გამოვიძურწე. ცოტა ხნის შემდეგ სოსიკო გამოვიდა და მრისხანედ მითხრა:

— ბიჭო, ამხელა კაცი გაზრდილხარ და ზრდილობა ვერ ისწავლე?! როგორ გაბედე, რომ ელისაბედს ხელზე არ აკოცე, ძალიან ეწყინა და გაუკვირდა, დიდი უზრდელი ვინმე ყოფილაო, ბრძანა, ალბათ, შუმი გლეხის შვილი თუ არიო. მეც დაგიწყე მართლება: ჯერ ახალგაზრდაა და აპატიეთ-მეთქი. ვთხოვე; დავედრიჯე, აკაკიმაც გთხოვათ-მეთქი მოვახსენე და როგორც იქნა მივაწერინე წერილი ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორისათვის. აი წერილი და მოუსვი აქედან.

წერილი ჩამოვართვი და უკანმოუხედავად გამოვედი ეზოდან. სოსიკო კი იქ დარჩა.

იქიდან რომ დავბრუნდი, დიდხანს ვიყავი ატლუხელი აკაკის ეზოს შესავალთან. მინდოდა კიდევ შემეხვედა საყვარელი პოეტისათვის, რომელსაც ცისკენ აღეპყრო თვალები და ეზოში დინჯად მიდიმოდიოდა. ლ. აბღუშელაშვილიც იქვე ახლოს ფუსფუსებდა. კარგახანს ვიყოყმანე, მაგრამ შესვლას მაინც ვერ ვბედავდი. თვალი მომკრა თუ არა აბღუშელაშვილმა, მაშინვე ჩემკენ გამოეშურა.

— რა ქენით, ყმაწვილო, გავიკეთათ საქმე კნენინამ? სოსიკო იქ დარჩა? — მომაყარა კითხვები.

— დიახ, დიახ, — ვუპასუხე დაბნეულად.

— კნიაზის ნახვა ხომ არ გინდათ?

— თუ შეიძლება, მინდა მადლობა მოვახსენო...

— კარგი, შემოდით.

აკაკიმ მომკრა თუ არა თვალი, შემეკითხა:

— გაიჩარხა, ყმაწვილო, საქმე?

— დიახ, ბატონო.

— ახლა პირდაპირ ქუთაისში წადით და ინახულეთ დირექტორი, ის უსათუოდ შეასრულებს ელისაბედის თხოვნას.

მე ერთ ადგილას ვაეშეშდი. დიდმა პოეტმა კი კვლავ განაგრძო წინ და უკან სიარული. ბოლოს ისევე მომმართა და მამაშვილურად დამიწყო დარიგება.

— მაგრამ მასწავლებლობას რომ დაიწყებთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სკოლაში ქართული ენის სწავლებას, რომელიც, იცოდეთ, აქემად დიდ საფრთხეშია, ჩაუნერგეთ მოსწავლეებს სამშობლოსადმი სიყვარული...

50 წელზე მეტმა განვლო ამის შემდეგ, მაგრამ ყოველივე ეს ისე კარგად მახსოვს, როგორც გუშინდელი ამბავი.



დიღო მგოსანო!*

დიღო მგოსანო!

ნება მოგვეცი შენს სადიდებლად აჩქეფებულს წრფელ გრძნობათა ზღვას ჩვენც შევეუერთოთ სიხარულის და აღტაცების ანკარა წყარო.

მართალი არის, შარაიანდედს შენსას ბრწყინვალეს სხივს ვერ შემატებს შორეული სუსტი ხმა ჩვენი და შეუმჩნეველად ჩაინთქება ზოგად დაღაღში, მაგრამ დე წასკდეს გულსა გრძნობა, გრძნობა უზაკვო და დაენთხიოს დაფნით მოსილ მგოსნის ფერხთა ქვეშ.

მაშ მოგვისმინე!

ნაზ ჩონგურს შენსას სათუთ გრძნობათგან დაგრეხილი სიმნი უბია. მას არ ძალუძდა გაეხადა ვალობის საგნად არც მრისხანე ზღვა, დორბლიანი, ფაფარაყრილი, რომლის მქუხარ ზვირთთა დასტრიალებს ბოროტ სულთ გუნდი და შავ ღრუბელთა, რისხვით მოსილთ, ელვით განგმირულთ გრგვინვა და ჰეჰა.

არც ბუმბერაზნი, ატყორცნილნი ცის კამარაში, მედიდურნი, ჰალარა მთანი, რომელთა მწვერვალთ თოვლ-ყინულით დაგვირგვინებულს, მხოლოდ ღრუბელი დაქათქათებს თეთრი, სპეტაკი და თვით არწივიც, ჰაერით მეფე, ვეროდეს სწვდება..

არცა ვნებათა ქარტეხილი დაუნდობელი, გრძნობათა წარღვნა უღმობელი, ადამიანთა გულის, სულის ამოხრები.

არცა გოლგოთა, კაცთა ტანჯვის მთა შავბედითი, თხემის ადგილი ტვირთ-მძიმეთა და დამაშვრალთა.

ნაზ ჩონგურს შენსას სათუთ გრძნობ-

ათაგან დაგრეხილი სიმნი უბია და სულ სხვა არის მისი ჰანგები, ტკბილნი, წარმტაცნი. მამულისადმი სიყვარული იმედინი, ფირუზი ზეცა, კავკასიის ნაზი გუმბათი და ზურმუხტისფრად მოქარგული მინდორ-ველები.

ია და ვარდი, ბადრი მთვარე, ბოლბულის კენესა.

რუის რაქარკი, სალამურის ხმა — კრიმანჭული.

სევედის დოლბანდით შებურვილი მითროლგარე გული.

ნათელი გრძნობა ნაზ სხივოსან სიხარულისა.

მშვენიერება სიცოცხლისა, რთულის, ფერადის.

ნაზი ტრფიალი და ტკბილ-მწარე ტანჯვა-ნაღველი.

ნაზი ბუნება, ნაზი გრძნობა, ნაზი ფერები.

აქ შენ მეფე ხარ, ციურ ნიჭით უხვად ცხებული და ისეთ კილოს აძლევ შენს ჩანგს, გრძნობით მიბნედილს, რომ გულის ძგერით, აღტაცებით გისმენს ყოველი.

იცი, მგოსანო?

საოცნებო შენს სამეფოში, რომლის მშვენიერ საიდუმლოს შენებრ რჩეულთა ნაზი გრძნობა მისწვდება მხოლოდ — დღეს მზადებაა.

სხვადასხვა ფერად აყვავებულ ორ სერთა შუა ტურფა წალკოტი მობიბინე გადაკიმილა.

ამ ქველუც წალკოტს ორად აპობს მოუსვენარი რუი ანკარა, მუდამ ცელქი მუდამ ცქრიალა.

სურნელოვანი ნაზი ია, მორცხვი ყვავილი, და ვარდ-კოკორი უფურჩქენელა

* ამ სიტყვით გახსნა შ. შარაშიძემ 1908 წ. 2 დეკემბერს პეტერბურგში დიდი პოეტის აკადემიის წარმართის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავი სათუბლეთ საღამო.

თავს დაჰხარბიან რუს, ვით მიჯნურს შე-
ვეარებულნი.

ჭრელი პეპელა, იით მთვრალი, გაბ-
რუებული, ახლა ზამბახს შესკულებია.

ბულბულს, ხმა ტკბილსა, ვარდის ქება
შეუწყვეტია და სხვაზე ფიქრობს გატა-
ცებით, სულგანაბული.

მთვარეც ნარნარი იქვე არის... მხო-
ლოდ სერს უკან დამალულა კდემამო-
სილი და ფიფქი ღრუბლით სახეს იბანს
დღესასწაულისთვის.

ნიაგი არ ქრის, აღბათ ისიც ფიქრს
წაუღია... და სალამური და ჩონგურიც
დადუმებულან...

ყველა ესენი, სულიერი და უსულონი,
დღეს მიგელიან შენ, მგოსანო, გრძნულ
აკაკის!

რა წამს ფეხს შესდგამ იმ წალკოტში,
შენს სამეფოში, შეიფრთხილებს მყის
ყოველი და შესაფერი ქება-შესხმით
შეგეგებება.

ვარდის კოკორი ჯერ იფეთქებს, გაი-
ფურჩქნება და შემოგაკმევს სურნელე-
ბას დამატებოზელსა.

და ია ნაზი, აღტაცებით დამძიმებული,
თავს დაბლა დახრის: ვერ გაუძღებს
ბედნიერ წამსა.

ჭრელი პეპელა აფრინდება, გარს შე-
მოგველის და ჭადრაზე გადმოგაფრ-
ქმევს თვის ლამაზ ფრთების ფერად
ფერფლსა.

პირბადრი მთვარე, განბანლი, გაბრ-

წყინებული, სერს გადაღმიდან შორ-
ცხვად, ნელა ამოცურდება: თავს დაგე-
დგმება შარავენად და ჯადო-სხივითა ნა-
ქსოვებში გაგზვევს თრთოლვითა..

რუი ანკარა მეტის გრძნობით აჩუბ-
ჩუხდება.

ცელქი ნიაგი ტკბილ სალამურს ნა-
ზად ჩაბერავს და ზეციურ ხმებს მოგა-
გებებს სადიდებელსა.

და ჩონგური-კი, აწყობილი, იღუმალ
თითთა ნაზ შეხებით, ხოტბას გიყლე-
რებს.

გულდაკოდილი იადონი ჯერ შემოგ-
ხედავს, ტრფობის თვლით დაგაშტერ-
დება და რა გაიძღებს გულსა ცქერით,
თვალეებს დახუჭავს და დაუსტვეს
თავდავიწყებით.

ასე შეგხედება ოცნებათა უცხო სამე-
ფო შენ, თავის მეფეს გვირგვინოსანს,
გრძნეულს, უბაილოს.

ჩვენ კი, მგოსანო, ნუ დაგვეძრახავ, თუ
შენს დიდ ნიჭსა საკადრისი ვერ შეე-
ძღენათ ქება.

მოკვდავ სუსტ ენას განა ძალუძს,
რომე ერთბაშად გამოხატოს უკვდავი
ნიჭის ღირსებანი, მშვენიერება.

ნება მოგვეცი მოვიგონოთ შენებრ
დიდის მგოსნის მოსწრებულად თქმული
სიტყვები: „სათქმელი ზღვა გვაქვს,
თვალ-უწვდენი, უფსკერ-უკიდო, შაგრამ
არ ვიცით, რომელი მხრით, რომელ ნა-
პირით შევეცუროთ მასში“...



მობონება

1908 წლის შემოდგომა იყო. ფოთში ხმა გავარდა დიდ პოეტს — აკაკი წერეთელს იუბილეს უმართავენო. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. ყვაველებით მორთეს კლუბი, რკინიგზის სადგური, „ნიკოლაძის კოშკი“. კლუბში უნდა გამართულიყო იუბილე, რკინიგზის სადგურზე უნდა დახვედროდნენ აკაკის, „ნიკოლაძის კოშკი“ კი აკაკის დასასვენებლად იყო გამოყოფილი.

აკაკის ჩამოსვლამდე, რამდენიმე დღით ადრე, იონა მეუნარგიას ინიციატივით აკაკის იუბილე გადაიხადეს ფოთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებშია და სამოქალაქო სასწავლებლებშია ერთად, უკეთ რომ ვთქვათ, ეს იყო აკაკისადმი მიძღვნილი სალიტერატურო დღია. მე ამ დღილაზე აკაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ორი ლექსი წავეყიბებ. ლექსები წინასწარ გასინჯა იონა მეუნარგიამ და მომიწონა.

აკაკის ჩამოსვლის დღე რომ დადგა, უამრავი ხალხი მიაწყდა სადგურს. სადგურთან ორმოცი კაცისგან შემდგარი საპატიო ცხენოსანი ყარაული დახვდა აკაკის. როცა აკაკი გამოჩნდა, ხალხმა და ცხენოსანმა რაზმმა ვაშა შემოსძახეს, აკაკი ჩასვეს ეტლში; ეტლის უკან გამწკრივდა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ცხენოსანთა რაზმი. როცა ეტლი დაიძრა, რაზმმა „კუჩხა ბედნიერი“ შემოსძახა. ეტლი მიდიოდა ნელა, მოწაფეები ყვაველებს უბნევდნენ გზა-გზა, ცხენოსანთა რაზმი კი განუწყვეტლივ მღეროდა მაყრულსა და მხედრულს.

თბილი, მზიანი დღე იყო. შუქიანი, ჰაერად, ლამაზი აკაკი თეთრ მზეს გავ-

და, რომელიც თითქოს ციდან ჩამოსულიყო ხალხის გასახარებლად. ზეიმითა და სიმღერით მიაცილეს აკაკი „ნიკოლაძის კოშკამდე“. ასევე ზეიმით მოიყვანეს იგი საღამოს კოშკიდან კლუბში. მთელი ჯგოთი აქ იყო.

საიუბილეო საღამო გახსნა იონა მეუნარგიამ, სიტყვით მიმართა აკაკის და წაიკითხა ნიკოლაძის დეპეშა. ნიკოლაძე მაშინ პეტერბურგში იყო და პირადად ვერ ესწრებოდა იუბილეს. იგი იწერებოდა, აკაკი ჩემს ხარჯზე მიიღეთ და ჩემს კოშკში დააბინავეთო. ხალხი ტაშით შეხვდა დეპეშას.

ოფიციალური მოხსენებებისა და მილოცვების შემდეგ დაიწყო სალიტერატურო ნაწილი. პირველად გამოვიდა 10 ბავშვი, თავივლებით, თეთრებში გამოწყობილი, პეპლების ფრთებით. ბავშვებმა იმღერეს „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“...

აკაკი იჯდა სავარძელში, სცენის მარცხენა მხარეს. ბავშვებმა რომ სიმღერა გაათავეს, აკაკიმ ისინი დაკოცნა, გარშემო შემოისხა.

მეორე გამოსვლა ჩემი იყო. მეუნარგიამ დამარბია: „ხალხისკენ არ გაიხედო, პირდაპირ აკაკის მიმართო“. მეც ასე მოვიქციე. ლექსი თამამად წავეყიბებ. ახლა არ მახსოვს ეს ლექსი. ლექსში კი ის აზრი იყო, რომ ჩვენს პატარა ქვეყანას აკაკისთანა დიდი შვილი რომ ჰყავს, მომავალიც დიდი ექნება-მეთქი. აკაკიმ გაიღიმა და ორივე ხელი გამოიმოწოდა. მე გავიქციე სცენიდან, მეუნარგიამ დამაბრუნა, მომიყვანა აკაკისთან. აკაკიმ მომიადრესა, თავზე ხელი გადამისვა.

მასსოც ერთი საინტერესო მომენტი. ვილაცამ საოცარი პათოსით წაიკითხა — „არ მომკვდარა! მხოლოდ ძინავს და ისევ გაიღვიძებს!“ ატყდა ტანის გრილი და იმავე დროს, ბევრი ატირდა. დარბაზში თეთრი ცხვირსახოცები აფრიალდა.

მე, 14 წლის ბავშვმა, პირველად და მწვავედ ვიგრძენი, რომ დაჩაგრული ერის შვილი ვიყავი.

კლუბის წინ დიდძალი ხალხი უცდიდა აკაის. რადგან ეს ხალხი კლუბში ვერ შემოვიდა, ქუჩაში იდგა.

მთვარიანი ღამე იყო. აკაი მთვარესავით გადმოდგა პარმალზე და მიესალმა ხალხს. იქ ბევრი იყო ნავსადგურის მუშა და სთხოვეს აკაის მეორე დღეს ნავსადგურში სწევოდა მათ. აკაიმ მუშებს თხოვნა შეუსრულა.

ეს ძალზე საინტერესო შეხვედრა იყო. ქართველებთან ერთად პოეტს შეხედნენ სომეხი და თათარი მუშები. აკაის მისვლისას მათ შაბაში გამოაც-

ხადეს. მოედანზე გამოვიდნენ კურტნიანი, მარგანეცით გამურული მუშები და სიტყვებით მიმართეს აკაის. მე სკოლაში ვიყავი და, სამწუხაროდ, ამ შეხვედრას ვერ დავესწარი.

ფოთიდან აკაის გამგზავრების შემდეგ, საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ — ანა მიქაბერიძემ გამომიძახა და მითხრა: „აკაის შენ ძალიან მოეწონეო, და მე შენ გიმნაზიისთვის მოგამზადებო“ (მე მაშინ სამოქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი. გიმნაზიაში სწავლა კი მეტად ძვირი იყო). მართლაც, ჩემი მომზადება დაიწყო ანა მიქაბერიძემ და თვითონ გიმნაზიის დირექტორმა — ალექსანდრე იაგულოვმა. ჩქარა ნიკოლაძეც ჩამოვიდა. ალბათ გაეცნო აკაის იუბილეს ამბებს და გამოინიძახა. წამაკითხა რამდენიმე ლექსი. ნიკოლაძემაც აკაის სურვილი დაადასტურა და მე გიმნაზიაში შემიყვანეს უფასოდ.

ასეთი დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში დიდი აკაის იუბილემ.



საკაბი წერიტელის ზოგინერთი დაუბეზრავი დეჟსი

ამ რამდენიმე წლის წინათ ქართული კულტურის მეცენატმა, ყოფილმა მრეწველმა, ხოლო საბჭოთა ეპოქაში თბილისის ხილველი წყლების ცნობილმა სპეციალისტმა მიტროფანე ლაღიძემ მიაშპო: „მეგონდება ჩემი ახალგაზრდობის დროის ერთი ამბავი აკაის პატრიოტულ ლექსებთან დაკავშირებით. ეს იყო 90-იანი წლების დასაწყისში. მაშინდელ ქართველ ახალგაზრდობას ერთობ გეხიბლავდა და ვეიტაცებდა აკაის პატრიოტული ლექსები, ამ ლექსებით ავსუნებულნი ახალგაზრდები ერთ მშვენიერ დღეს შევიტრიაბეთ და გადავწყვიტეთ გაგვეზარდა მამართვა აკაისათვის, რომ ჩვენ მზად ვიყავით თავი დაგვედოთ სამშობლოსათვის, როგორც ამას პოეტი მოითხოვდა. მიმართვას ხელს აწერდა 300-მდე ახალგაზრდა და მათ შორის მეც. რეაქციის მაშინდელ პირობებში ცარიზმი სასტიკად დევნიდა ყოველგვარ პროვინციულ მოძრაობას და ასეთი შეკრებაც და მიმართვის დაწერაც მეტად საიღუმლოდ ხდებოდა და დიდ გაბედულებასაც წარმოადგენდა. პირველად აკაი წერეთელი კიდევაც შეაშფოთა ამ მიმართვამ და საყვედურითაც კი მომმართა მე, რატომ მღუპავთო. თუ მიშობდა, ვაი თუ მომმართა პროვოკაციული მიზნით არის მოწყობილი ჩემს დასაღუბავადო. როდესაც დაეარწმუნე ასეთი შიშის უსაფუძვლოებაში და ახალგაზრდობის ნამდვილ პატრიოტულ იტყინებაში, მაშინ მთხოვა, ცალკე, ჯგუფ-ჯგუფოდ შეემახვედრეთ ისინიო. მე ეს შევესრულე. აკაი ძალზე აღაფრთოვანა ახალგაზრდებთან შეხვედრამ. ამის გამო მან დაწერა ლექსი და უძღვნა ამ ახალგაზრდობას. აღნიშნული ლექსი არსად დაბეჭდილია და ხელდაწერილ ვრცელდებოდა მაშინ, მე კი მისი დედანი მქონდა. იმ ეს ლექსიც:

აღმაფრთოვანა თქვენმა ხმამ
ბეერგზის გულ-ლაგვარ სობილი
და ჩვენს საერთო მშობელსა
მზად ვარ ვემონო შობილი.
ის მიყვარს, ყველას ვეყვარდეს,
ის იყოს ჩვენი ტრფიალი —
და მისთვის ნუ გვშურს დავცალოთ
სამსალოთ საესე ფიალი.

მიტროფანე ლაღიძემ მიაშპო აგრეთვე: „აკაი ხშირი სტუმარი იყო ჩემი ხილველი წყლებების პავილიონისა ქუთაისის ბუღვარში. ერთ-ერთ ასეთი სტუმრობის დროს მან მომთხოვა საწერკალამი და შემდეგი ლექსი დაწერა: სასმელების მეტოქე ვარ —
ლეინის, ლუდის, წყლის და რძისა
ხილველთა ესენცია
მიტროფანე ლაღიძისა;
გემოცა მაქვს, ფერიცა მაქვს,
გთხოვთ ორივე გამისინჯოთ,
თორემ ისე რათ მინდობათ,
მოსხვიდეთ და ვადობრინჯოთ.
ნეტარი ვარ, ლმერთნი მსმემდნენ
მე ძველ დროში,
სიყვარული მარხია
თვითველ ჩემს წვეთში“.

მიტ. ლაღიძის სიტყვით, ეს ლექსი, ცოტათი შეცვლილი რედაქციით და ისიც არა სრულიად, დაბეჭდილი იყო რომელიღაც ჟურნალში.



წელს წულუკაძეში ყოფნის დროს, გაღმომცეს, რომ ცნობილი ქართველი მარქსისტის — სპმა წულუკაძის დედის საფლავის ემიტაფია ეკრთვნის აკაი წერეთელს, რომელიც ამ თემაზე ხშირი სტუმარი ყოფილა და რომლისათვისაც ამ ემიტაფიის დაწერა უთხოვნიდა სამას მამას — გ. წულუკაძეს. აი, ეს ლექსი-ემიტაფია:

ვითა ყვავილი სოფლისა
უეცრად ერთ წამს დამქენარი,
შობიდან 27 წლის
მოულოდნელად ვარ მცედარი;
ნათესავთ გულის დამკოლი
და მწუხარების მგზნებარე,
ორივ მხრივ წულუკაძისა
ამ ლოდს ქვეშა ვარ მდებარე.
მხედველო, მჭერეტო ამისა
ღმერთს შემავედრე დიდადა,
რომ მომიხსენოს წინაშე
მხევალი ოლიმპიდა.

ბიოგრაფიული



აკაკი წერეთლის პოლიტიკური დირიჟა

აკაკის უმდიდრეს შემოქმედებაში პოლიტიკურ ღირიკის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აკაკი სამოქალაქო ღირიკის უბედოოსტატია. მებრძოლი პოეტის თარღსული მახვილი მასრია და დაუნდობელი ხალხის მტრების მიმართ.

აკაკის შემოქმედების იდეურ-მხატვრულ ანალიზთან ერთად, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესოა მისი პოლიტიკური პოეზიის ნიმუშების კონკრეტულ-საზოგადოებრივი შინაარსის გარკვევა.

აკაკის ლექსის ფორმა სადა და გამკვირვალა, იგი უხვად სესხულობს მხატვრულ აქსესურას ხალხური პოეზიიდან, პოეტი თუმც ზოგჯერ ძველ ფორმებსაც იყენებს, როგორცაა მუხამბაში და მაჯამა, მაგრამ მათ ახალ ელერადობას აძლევს, სხვა ენობრივ, მხატვრულ და იდეურ ფუნქციას ანიჭებს და ახალი, ნოვატორული ლექსის ორგანულ ნაწილებად აქცევს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკაკის ღირიკის ერთი თავისებურება. აკაკის პოეზია სამოქალაქო-პოლიტიკური ხასიათისაა და მიზნად ისახავს ხალხის ყეთილდღეობისთვის და მისი განთავისუფლებისთვის ზრუნვას. მისი ღირიკის საუკეთესო ნიმუშები პოეზიის ისეთი პასტიკური, პარამონიული ქმნილებებია, რომ ისინი, გამოყვლებლივ, ყველა სიმღერის საგნად იქცა.

თავისი რეალისტური ღირიკული პოეზიით აკაკი გამოეხმაურა ეპოქის ყველაზე მოწინავე სოციალურ-ეროვნულ მოძრაობას, პასუხი გასცა ისტორიული მსვლელობის მიერ წამოყენებულ საჭირობოტო საკითხებს. ჯერ კიდევ ქაბუკობის განთიადზე — 1859 წელს დაწერილ ლექსში „ქართლის საღამო“ — ჩანს პოეტის ეროვნული მრწამსი:

შორს ქვეყანიდან, მოშორებულსა,
სამშობლო ჩემო, გაცხადნი გულსა,
შენს ერთგულ მონას, მსხვერპლადცა, მზასა,
შენთვის ოხრისგან დაწულულებულსა!

ქაბუკი პოეტი ხელს ჰკიდებს თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი გარდაქმნის გაბედული პროგრამის შედგენას. თავისუფალი სამშობლო, ცივილიზაციისა და ტექნიკის ყველა ახალი მიღწევით აღორძინებული იმ, სამშობლოს მომავლის სურათი აკაკი წერეთლის წარმოსახვაში. ლექსში ჩაქსოვილია ავტორის ღრმა რწმენა

თავისი ხალხის ეროვნული ღირსების შესახებ. „ქართლის საღამო“ მნიშვნელოვანი პოეტური დოკუმენტია, აქ ჩანს დარტა იმ იდეებისა, რომლებიც აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ მალე მთლიან კონცეფციად ჩამოაყალიბეს და 60-იან წლებში, ძველ თაობასთან პირველ შეტაკებისთანავე, დააწერეს ნაციონალურ-გამათვისუფლებელი მოძრაობის დროშას.

აკაკი და ილია ქაბუკობიდანვე ერთად ჩაუდგნენ სათავეში ქართული ხალხის ახალ, დემოკრატიულ საზოგადოებრივ მოძრაობას, როგორც ეროვნული ცხოვრების განახლების მებოიარბტრენი. ამ დიდი მოძრაობის დასაწყისშივე აკაკი უკვე ახალი ქართული მწერლობის იდეურ ბელადად სახავს ილია ჭავჭავაძეს. 1860 წლის აპრილში „ციციკარში“ აკაკი ბეჭდავს ლექსს „ამაო ძენა“ („მამისი ღამე“), რომლითაც პოეტი ეხმარება ი. ჭავჭავაძის „აირდილის“ მეხუთე თავს. აკაკის ლექსში აღწერილია თავგანწირული პატრიოტი ქაბუკი. ეს არის ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავის პოემაში საქართველოს დიდებული წარსულის წარმოსახვით გზას უნათებს მის უკეთეს მომავალს. როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ თავისი „აირდილი“ აკაკის პეტერბურგში წაუკითხა და ამ შემოქმედებითი შეხვედრით დაიწყო ორი ქართველი პოეტის ურთიერთობა 60-იანი წლების გარიტარაზე. ეს ლიტერატურული შეხვედრა მერად საველოსში ისტორიულ აზრს შეიცავს. ახალი საქართველოს ამ ორ დიდ მოაზროვნეს სტანჯადა ერთი და იგივე ტყივილი და ამოძრავებდა ერთი და იგივე იდეა სამშობლოს თავისუფლებისა, რაც ასეთი დიდი გრძნობითაა გამოთქმული აღნიშნულ ლექსებში.

„ქართლის საღამოს“ (1859 წ.) და „მამისი ღამის“ (1860 წ.) გარდა, აკაკი წერეთელი პეტერბურგში წერს მხერვაულ პატრიოტული გრძნობით აღსავსე ლექსებს („სალამური“, „შეიქასტა“), პოეტს ენატრება უცხოეთში მშობლიური მუსიკის ხმა, რომელშიც იგი ისმენს „საქართველოს მწარე მოთქმას“, გმირ მამა-პაპათა „მამაციურ ოხრას“. პოეტი ნატრობს შობლიური პანგების გავრცელებას, ისინი თვალწინ წარმოუსახვერ სამშობლოს მწარე ბედს, სამშობლოსა, რომელსაც

ხან სპარსელნი აყენებდნენ,
ხან თურქები აობრებდნენ,

ხან სკეილები, დროს შერჩევით,

შეუდროებას უშფოთებენ.

ამ ლექსში პირველად ჩნდება სიტყვა სკეი-თი, რომელიც რუსეთის თეთმპყრობელობის სინონიმია ვახდა მის პოლიტიკურ ღირსიანად.

დიდი პოეტური სიმღერით გამოხატა აკაკიმ სოციალური იდეები. მან განათავსებულ გლეხის შეილს უმღერა გრძნობით სასევ ლექსი „იავნანა“. მშრომელი ადამიანის შესამკობლად აკაკიმ ხალხური შემოქმედების წიაღიდან ამოკრიფა უნახესი მხატვრული სახე-ები („პაწაწინა იაღონო და ვარდის კონაო“). ყრობისას მოსმენილი გლეხი ქალის ძილის-პირათა შელოდვის ხმები პოეტმა ორგანულად ჩააქოლა თავის შედგენაში „ამერულ ნანიანა“.

ილანინშავია, რომ ქართული გლეხობის სა-მღერა „გვეგონა“, რომელიც წარმოადგენს რე-ფორმის მწარე დაცინვას და რომელსაც 60-იან წლებში უწოდებდნენ „ქართული გლეხობის პოეტური შეხის თხზულებას“, პირველად აკაკიმ წერეთელმა შეიტანა ოფიციალურ მხატვ-რულ ლიტერატურაში და ამღერა თავის გმირი პიესაში „ძველსა და ახალს შუა“. აკაკი წერე-თელი დაზავრული გლეხობისადმი თანაგრძ-ნობით სასევ ლექსებით გამოხატავდა ქართვე-ლი ხალხის პროგრესულ მისწრაფებებს.

მამფრი იდეური შინაარსის შემცველია აკაკის სამოქალაქო ღირსიის ის ნიმუშები, რომ-ლებიც მიმართულია „მამათა“ ბიანის კონსერ-ვატორული იდეოლოგიის წინააღმდეგ და რომ-ლებშიც უდიდესი როლი შეასრულეს ძველი თაობის რეტორიკადული მსოფლმხედველობის დამარცხებში. აკაკი მოქალაქობრივი გამბე-დაობის მფაღლის აძლევდა ახალთაობას და პრინციპული ბრძოლის ტრადიციებს ნერგავდა. პოეტი შეუპოვრად ამხელდა მეფის ცეზურის, რომელიც ქართული ნაციონალური კულტურის უკვედ პროგრესულ გამოვლენას ჯალათურად თრგუნავდა.

70-იან წლებში აკაკი აქვეყნებს ლექსს „რჩე-ვა ახალგაზრდა მწერლებს“, რომელშიც პოე-ტი საკრისტული კილოთი გვამბობს ხალხის მჩავე-რელებს, ბოზოლა მოხელებს („ხელჯოხი-იანეს“). ლექსის გამგებრივი ისარი უბოძოისად მიმართული იყო მეფის ცეზურის წინააღმდეგ, რომელსაც პოეტი ტენიშეისტერის უწოდებდა. ტენიშეისტერი მტერია ყოველივე კეთილშობი-ლის, ჩამხმობს ხალხის თავისუფლად აზრის, ერთგული ცერებრია მჩავერელებსა და ბოზო-ლებს — აი, დედააზრი იმ ლექსისა, რომელიც მოქალაქობრივი გაბედულების ბრწყინავლედ პოეტური დოკუმენტია.

აკაკი წერეთელი გვევლინება პოეტური აღე-ვრებიების უბადლო ოსტატად. მისი აღგორი-ები ყოველთვის მკვეთრი და გამჭვირვალეა, ისინი უმეტესად აღებულია ხალხური შემოქ-მედებიდან ან ერთგული ისტორიიდან. ამ

აღგორიებში ყოველთვის გამოხატულია დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გზრძა და მხატვ-რული მათ მტრად მნიშვნელოვანი მხატვრული შემეცნებით დიკრებულება გაანინით. ამ მხრივ მტრად საგულისხმოა ლექსი „დმერთო წვიმა მოიყვანე“ (1882 წ.).

რევილუციური პათოსით გამსჭვალული ეს ლექსი აღგორიულ სახეებშია გაშლილი; წითელი წვიმა (სისხლის წვიმა) სიმბო-ლაა ხალხის ბრძოლისა — თეთმპყრობელობის დასამხობად. სტატიამი, რომელშიც ჩართულია ლექსი, პოეტი უფრო გამჭვირვალედ ხდის ამ პოეტურ აღგორიას და მის სოციალურ ში-ნაარსს. „ვინ დაგვიწვლეს ამ ცეცხლს, რომე-ლიც შემოაბრებულად ჯალდ ქართი ვეინერავს და ძირს ვეინაშირებს? იმას ჩვეულებრივი წვიმა ვვლდარ უშველის... მისთვის სპირაო ის წვიმები, ნეგზარ ერისთავის დროს რომ ყო-ფილან, სისხლის წვიმები, და მამან იქ, სადაც ნაყარია, ია-ვარდები აღმოცენდებიან...“

80-იანი წლების რეაქციის პერიოდში დიდი გავრცელება მოიპოვა აკაკის ცნობილმა ლექსმა „ახანჯალი“, რომელსაც სამართლიანად უწო-დებენ „ქართულ მარსელიოზას“. ამ ლექსში გაისმოდა მედგარი ხმა უსამართლოდ დაჩაგ-რულისა, რომელიც შურისგებისკენ მოუწოდე-ბდა ორღესულ მახელს.

აკაკის პოლიტიკურ ღირიკას ახსიათებს როგორც ვმირული პათოსი, ისევე სატირული სიმბავილე. მამფრი სატირის ნიმუშებს წარ-მოადგენს აკაკის ლექსები, მიმართული ქართ-ველი ხალხის მტრებისა და მათი ლაქების წინააღმდეგ: „ახლანდელი პოლიტიკა“, „ჩვენი მხავა“, „იუღა“, „მატარა შერია“, „ლუკა-შელა“. 80-იან წლებში, როცა რეაქციის ბნე-ლმა ძალეზმა სასტიკი შემოტევა დაიწყო ქარ-თველი ხალხის ერთგული და სოციალური ინტერესების წინააღმდეგ, აკაკიმ თავისი სატი-რის ბასრი მახელი მიმართა ბნელუთის მოცი-ქულების წინააღმდეგ. მის ლექსებში კონკრე-ტულად გამოხატული არიან ქართველი ერის მღვეწელები, მთავალითად, ლექსში დამიფერე-ლია შემდეგი პიროვნებანი: მოღაში იგულის-ხმება საქართველოს ეგზარქოსი პავლე, უე-რდურესი რეაქციონერი, რომელიც 1886 წელს, ჩუდოციის მკველოზისთან დაეკრიბებო, პროკოპიცილი სიტყვა წარმოსთქვა და დასწ-ყველა ქართველი ხალხი, ეს სიტყვა საბოლოოდ დიდი ქართველი მოღაშის — დიმიტრი ყი-ფიანის დიდუპვის საბაბი გახდა; ყად-ღუნდე-კოე-კორსაკოვია, კეკელიის მოვარმართველი 1882—1890 წ., ამ ხანებში ვაბატონებული რეაქ-ციური რევიმის ვრთ-ერთი სულის ჩამდგმული. მან სასტიკი ბრძოლა გაანაღა საქართველოს ნაციონალურ-რევილუციური მოძრობის წინა-აღმდეგ, უმნიშესი პირობები შეუქმნა ქართული-კულტურის, სკოლისა და ენის განვითარებას;



ახუნდის სახით პოეტს გამოყვანილი პეყეს კ. იანოვსკი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მხარეველი 1878 წლიდან 1899 წლამდე, შავ-რაზნელა, მეფის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში. იანოვსკი იეზუიტური თანხმდევრობით იბრძოდა ქართული ენის განსაღდენად საქართველოს სკოლებიდან.

აკაის — ამ უღიღესი ეროვნული პოეტის მოქალაქეობრივი გამგებლობა ფრთას ისხამდა თავისუფლებისათვის მებრძოლებს, აბარაღებდა საზოგადოების მოწინავე ძალებს ცარიზმის წინააღმდეგ შემართებისათვის. აკაი, შეიძლება ითქვას, სასწოროზე ღებდა თავის ბედ-იღბალს და ყოველ ახალ ლექსში თავს ესხმოდა თვით-შეყობელობის ბურჯებს. საყოველთაოდ ცნობილ ლექსში — „მერცხალში“ პოეტმა გამოხატა ხალხის აღტაცება აღმესანდრე მეორის სიკვდილის გამო, რისთვისაც კატორღაში კინაღამ გავზავენს პოეტი. აკაიმ საქვეყნოდ სსსსილოდ იიღო იმ დროის დიქტატორი, მეფის შინაგან საქმეთა მინისტრი — გრაფი მიხეილ ტარაღელისი ლორის-მეღიქოვი სატირულ ლექსში „ჩენი მიხია“. ასეთი ვაბედული სატირა მეფის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრზე, რომელიც იეზუიტური მეთოდებით ანადღერებდა მთელი რუსეთის მოწინავე ძალებს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტი იყო თავისი დროისათვის. აკაის კარგად აქვს გაღმოცემული ცარიზმის ბოზოლას ლაჭური ბუნება, მისი კარიერიზმი და სამეფო კარის უბადრეობა.

აკაი იცავდა ეროვნულ ღირსებას ყოველგვარი მტრული ზეყოფილისაგან. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა მისი ლექსი „პატარა მურია“, რომლითაც პოეტმა მღიქვენელი ადამიანის კლასიკური სატირული სახე შექმნა. ამ ლექსში სამარცხინო ბოზება გაკრული ფრანგი ეურნალისტი მერია, რომელმაც თბილისში თავის ფრანგულ ვაზეთში უდიერად მოიხსენია ქართველები. „პატარა მურია“ პოლიტიკური სატირის ბრწყინვალე ნიმუშია.

აკაი წერეთელი ბასუსს აძლევდა არა მხოლოდ თავისი ქვეყნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მერ წამოყენებულ საკითხებს, არამედ თანაგაძრობით ადგენებდა თვალყურს ევროპისა და აზიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. იგი კარგად ერკვეოდა იმპერიალისტური ქვეყნების თვალთმაქცურ პოლიტიკაში და აშეკარებდა მსოფლიო იმპერიალიზმის დიდი და პატარა ონეიარების ბოროტ ზრახვებს. 1882 წელს აკაი წერს მერად საგულისხმო ლექსს „არაბი ფაშა“, რომლის მმადრი პოლიტიკური მნიშვნელობა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე არ იყო საჭიროდ გამოქვებული. ამ ლექსში კარგად არის გამოშეკარებული დამორბებული ერების ჩაყვრა, მზავრელო სახელმწიფოების ვრცეობა.

ლური ბუნება და მათი მმართველი წრეების ცბიერება:

გაბრეყდა არაბი-ფაშა, უბედური და მზებნელი... ნეტავ, ვის ეურჩებოდა თავისუფლების მქებნელი? კაციბრობის სინდისს აბა რა მოუჭატია? იღრინდელ ბარბაროსობას დღეს ჰქვია დიბლომატია.. უსამართლობა წინ მიდის კანონიერის გზებითა: სრული უფლება ეძლევა სხვადასხვა კონგრესებითა. სჯულის ფიცარი ვაფხიციეს, ზედ მცნება აღარ სწერია; და ისტორია ჩვენ დროში მეტორე დედაბერია! ძალა ქვეყნის დიდება, კუშმარტივება არს ძალა! წესები ისევ ძველია, მხოლოდ გზა გამოიკვალა ეს არ სყოფნია არაბსა, იმ საბრალოს და მზებნელსა... სხვისი იმედი რას არგებს თავისუფლების მქებნელსა?

აკაის ლექსში გამოხატული არაბი-ფაშა არის ევვიპიტის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვერე ახმედ-ბეი (1839-1911). მან 1881 წლის სექტემბერში რევოლუციური ვზით დაამზო ევვიპიტის მარიონეტული მთავრობა, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმის ერთგულ მსახურს წარმოადგენდა. არაბი-ფაშა გამოცხადებულ იქნა ევვიპიტის დროებითი მთავრობის მეთაურად და ნაციონალურ არმიის მთავარსარდალად. მან მედგარი ბრძოლა გაჩაღა ინგლისელ დამპყრობთა წინაღმდეგ ლოზუნგით: „ევვიპიტე ევვიპიტელებსათვის“. ეს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ინგლისის იმპერიალიზმში სისხლში ჩაახრჩო. არაბი-ფაშა უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა 1882 წლის სექტემბერში. დიდი ქართული პოეტის პოლიტიკური ღირიეს ეს შესანიშნავი ნიმუში ერთგვარად ებმურება დღეაინდელ ვითარებას, როცა აგრესიოზმთ ცდელიბენ სისხლში ჩაახრჩონ მცირე ერთი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი.

აკაის ლექსში კლასიკური ფორმითაა გაღმოცემული კაბიტალისტურ სახელმწიფოთა დიბლომატიის არსი. აკაი წერეთლის პოლიტიკური ღირიეა მერად მრავალფეროვანი და ღრმამახროვანი. ქართველი ხალხს უდიდეს ეროვნულ პოეტს პყოფნიდა გამგებლობა პასუხი გაეცა ქვეყნის გარეშე თუ შინაურ მტრისათვის. გაეცხსნეთ აკაის ღირიეს შედგერი „განთილი“. ამ ლექსში, როგორც ელვამ, გაანათ

მე-19 საუკუნის ქართული სინამდვილის წყვედი-
ადი და ხალხს დაანახა სამშობლოსათვის თავ-
დადების ძალა და მომავლის განთიადი.

აქაც „განთიადი“ ახალი ქართული ლირი-
კული პოეზიის გვირგვინია. მასში დახატულია
კონკრეტული პიროვნება, ქართველი ერისათვის
წამებულ „უბრნი რაინდი“ — დიმიტრი ყიფი-
ანი, რომლის წმინდა ნეშტი ქართველმა ხალხმა
მიიპარა თავის პოეტურ პარნასს — მთაწმინ-
დას. მაგრამ ლექსის მნიშვნელობა ვაცილებით
ფართოა, ვროენელ-საზოგადოებრივი შინაარს-
ით აღსავსე, რამდენადაც პოეტი მასში მხატვ-
რულად განაზოგადებს ქართული ხალხის გუ-
ტხელ ნებისყოფას თავისუფლების ძიების გზა-
ზე. პოეტი თავისი ლექსის მხატვრულ ელემენ-
ტად იყვებს საქართველოს დედამიწაქის პოე-
ტურ საკუთრებას — მთაწმინდასა და მტკვარს.
ჩაფიქრებელი მთაწმინდა გულში იკრავს ქვეყ-
ნისათვის თავდადებულ შეილს, მტკვარი ნანას
ეშვარის გულშემატარ რაინდს:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
წეპურებს ცასკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხავეებს მადლით ჰქვენს
თავდადებულის საფლავსა.

აქაც ლექსის პირველი ნაწილი სრულყო-
ფილ მხატვრულ სახეებში გადმოგვეცემს საქარ-
იყვალს ახალი ისტორიის ყველაზე ტრადი-
ციულ მომენტს. ლექსის მეორე ნაწილში მოცე-
მულია დრამატუზით აღსავსე მონოლოგი პოე-
ტის აღსარება სამშობლოს მიმართ საქართველოს
სიყვარულის ჩაუქრობელი ცეცხლი მასზე მგლო-
ვიანე პოეტს შთაგონებს დიდებულ ჰიმნს.

ცა-ფირებ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სწეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო.

ნერც მკვდარს გამწირავ, ნერც ცოცხალ...

ზე-კეთა დამაფარეო...
და, რომ მოგვედებო, ვახსოვდეს,
ანდერძი დავიზარეო:

„დედა-შვილობამ, ბევრს არ ვახსოვ:
შენს მაწას მიმპარეო;
ცა-ფირებ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“.

„განთიადი“ აქაც იმ განაზოგადა მთელი
ერის პატრიოტული განცდა, მოქალაქეობრივი
მოვალეობის მაღალი იდეალები. პოეტური
პალიტრის სიმდიდრითა და მრავალფეროვნე-
ბით, გაქმნობს სინაზითა და აზრის სიღრმით,
ეს ლექსი უბოლოდებო მსოფლიო ლირიკული
პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. „განთიადი“
ქართველი ხალხის საყვარელი ლექსია, რო-
მელშიც იგი ხედავს თავისი ნაციონალური
დიდების პოეტურ გამოხატულებას.

აქაც ლირიკის განვითარების ზოგადი თვა-
ლის გადავლებაც კი დაგვარწმუნებს, რომ მისი
ლექსებისათვის დამახასიათებელია სიცილი-

პოლიტიკური სიმბავლე, ხალხის ინტერესების
გაბედული დაცვა. მაგრამ აქაც სწორედ
მებოთოლი პოეტის ბუნება მოქმედებს. სინაზით
გამოვლინდა 1905 წლის რევოლუციის პერიო-
დში, როდესაც პოეტმა ხმა შეუერთა რევო-
ლუციის ქარავილს. აქაც ლექსები ამ დროს
საპროლო ლიზუნგებად გაისმა ხალხში, იგი
გმირული გაბედულებით ამღერდა:

„ხალხი მღელვარებს, ვაშა მის ლექსს!“

ილიციებით ამბობდა პოეტი და თავის ომა-
ხიან ლექსს ხალხის ანბოქრებულ სტეკიას
უერთებდა. 1905 წლის რევოლუციამ პოეტ-
მა დაინახა თავისი ხალხის ანბოქრებულობა
ძალა, რომლის რწმენა კანტუკიანიდანვე აცის-
კროვნება მის პოეზიას. ამ დროს აქაც გვე-
ლინება განახლებული ცხოვრების მებო-
რახატრედ, მის პოეზიაში გაისმის შეც-
არი მესიკა რევოლუციისა. აჯანყებული
ხალხის სიმღერებში ხმაშილა ქვარდა აქაც
პოეტური სტრუქტურები. ნიშანდობლივია, რომ
80-იან წლებში დაწერილი ლექსი აქაცაა —
„ბანჯალი“ ვახდა ხალხთა მანების საკუთრებად
რევოლუციის მტრებთან ბრძალაში. თვით „ინ-
ტერნაციონალის“ პანგებიც კი აქაცის პოეტური
სიტყვებით იბრაცა რევოლუციის ტალიებში.
ეს იყო მთხუთ ოლიმპიელის შთაგონების ახ-
ლი ძალით გაღვივება, მისი ნათელი აზრისა
და რწმენის ორგანული შერწყმა ხალხის უძლე-
ველ ნებასთან. აქაცის ლექსი თავის ხალხური
პარმონიული ფორმით და მაღალი იდეალებით
მთელი თაობების პოეტურ პროგრამად იქცა.
რა თქმა უნდა, ისეთი დიდი პოეტი, როგორც
იყო აქაც წერეთელი ვახდა საუკუნეში შეე-
ძლო წარმოეშვა ხალხს, რომელმაც საუკუნე-
ების მანძილზე შექმნა დიდი მხატვრული კელ-
ტურა აქაციმ განაგრძო რუსთაველის, გუჩამ-
შვილისა და ბარათაშვილის პოეტური ტრადი-
ცია და ახალ საზოგადოებრივ ვითარებებში
ახალ საფეხურზე აიყვანა იგი.

აქაცის ბრწყინვალე შემოქმედებითი შექმედი-
ლობა საბჭოთა ხალხის საკუთრებაა. განსა-
კუთრებით მისი მებრძოლი, პოლიტიკური ლი-
რიკა ეხმარება დღევანდლობას და ამოუწე-
რავე შემოქმედებით არსებულ წარმოადგენს
საბჭოთა პოეტებისათვის, მათ იღვრის ბრძოლა-
ში სიცილიზმის მტრებთან, კომუნისმის დია-
დი მშენებლობის პროცესებში.

აქაცის პოეზიაში დღეს გვესმის გამოძახილი
ჩვენი გმირული ისტორიისა და დიდებული
მომავლის მწვევებელი ხმები. მისი სამოქალაქო
პოეზია მე-19 საუკუნეში არსებობდა იყო
უფლებამოკლებული ქართველი ხალხის პოლი-
ტიკური დეკლარაცია, გამოთქმული სიტყვიერი
ხელოვნების უმწვენიერეს ფორმებში. ამიტომ
აღიბა აქაც წერეთელი მშობელმა ხალხმა
თავის სულიერ ბეადად და მინაგმა მას ეროვნ-
ული პოეტის უდიდესი სახელი.

ს. შავალიძვილი



ოლივიერის სახელის შუქი*

(როგორ ვიცნობდი აკაკი წერეთელს)

„ნურც მეცდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამადარეო“...

აკაკი

ყოველთვის, როცა აკაკის დიდ სახელს ვახსენებ, გულში შექვიით გაიფლავებენ ხოლმე ჩემი პატარა ცხოვრების ნათელი წუთები. ეს წუთები სიუჟეტის დღეებიდან სიბერემდე შეცილებენ და მთლამ მადლობის გრძობით მავსებენ. ამ მადლობის გრძობით ვიწყობ დაუფიქარი ოლივიერის ამ მცირე მოგონებასაც.

როცა ცხრასხუთის რევოლუციის ქარიშხალში ვადაიარა, შავი რევალციის მძიმე პირობებში ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას მზის კიატივით მოხვდა აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეები. ამ ზეიმში, რომელშიც მთელს საქართველოში გამოხატულება პოეზია ჩემს სოფელსაც მოაღწია: ჩემი სოფელი — ქვემო მანხაანი, საქმიად მოწინავე სოფლად ითვლებოდა და ყოველ ახალს, პროგრესულს ეხმარებოდა. აქაურმა კულტურულმა ძალებმა თითქმის აკაკის იუმბილეს მოწყობა.

ის დღე ჩემთვისაც განსაკუთრებით საინტერესო იყო. ჩემი სკოლის მასწავლებელმა — ილია მენთეშაშვილმა აკაკის ლექსების წიგნი მანქა და სურვილისამებრ წასაკითხი ლექსის ამორჩევა დამავალა.

მთხვენებებს, სიტყვებს, სიმღერებს მოპყვა დივრტისმენტი, რაც მანამდე უჩვეულო იყო სოფლად. ჩემი გამოსვლის რიგაც მოვიდა, დამსწრეებმა წაიკითხა მომწონეს და ვრლი-თადი ქათინაურებით და აღერსიანი ყურადღებით გამახარეს.

ამ დღიდან თითქმის ახალი ცხოვრება დავიწყე ჩემთვის. გონებაში ჩამებატა აკაკის შეხანიშნავი ლექსების შინაარსი, უხილავი, მანამდე უცნობი სამყარო გადამეშალა. პატრიოტულმა გრძობამ გამათბო და გამაგულადა. წაიკითხვის მიბაძვით, მალე თავისებური „შე-მოქმედებითი“ ვარჯიშიც დაიწყო: დაწერე ერთი, ორი, ათი ლექსი, მალე რვეულზეა გადავიტრული.

ერთი სიტყვით, გამოვიდა ისე, რომ ცხოვრე-

ბის გზა აკაკის სახელისა და შემოქმედების შორეული შთავონების წყალობით ამოვიჩიე.

დიდი დრო არ გასულა, რომ ბედმა აკაკისთან ახლო ნაცნობობაც მარგუნა. ეს იყო მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როცა გაღბდილი საიუბილეო ტრიუმფებისა და პარიზს მოგზაურობის შემდეგ, მოხუცი მგოსანი ჩვეულებრივ ცხოვრებასა და შრომის დაუბრუნდა: იგი ტრიალებდა თბილისში, მონაწილეობას ღებულობდა სალიტერატურო საღამოებში, ვსწრებოდა ქართულთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებებს, სანაკოთათბირებსა და სათავადაზნაურო საკრებულოს სხდომებს, ქართული თეატრის წარმოდგენებისა და კლუბის უკლები სტუმარი იყო და, ყოველივე ამის ბედნიერად ათავსებდა დიდ პოეტურ შემოქმედებასთან.

თბილისში იმ დროს რამდენიმე გაზეთი და ტურნალი გამოდიოდა, მაგრამ აკაკი მხოლოდ „ნაკადული“ და „უჯუჯის“ რედაქციებს თუ ესტუმრებოდა, როგორც საბავშვო ნაწარმოებთა ავტორი. მაშინდელი გაზეთებიდან „დროება“ იყო ისეთი ორგანო, რომელიც მხატვრული მწერლობისა და ქართული კულტურის აღორძინებასთან დაკავშირებულ საკითხებს ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდა, უხვად ათავსებდა ჩვენი მწერლების ნაწერებსა თუ თარგმანებს, რომელნიც „შეეწოთდნენ ენასა მამულს“.

1910 წელს სანდრო შანშიაშვილის დახმარებით თბილისში ჩამოვედი და ვახუთ „დროების“ რედაქციასში მცირე სამუშაო ვიშოვე. „დროებას“ ჩვენი კარგად ცნობილი მთარგმნელი და ტურნალისტი ილია ალბაძე რედაქტორობდა. ვახუთის ვარჯემო თავს იყრიდნენ უმეტესწილად ჩვენი მოწინავე მწერლები — ვაჟა-ფშაველა, ი. ევლიშვილი, გიგო რტილაძე (ზანგი), ანჩილ ჯორჯაძე, შ. მშენდელი, შ. არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი და სხვები. უველა მათგანი, აკაკის თანაბარი თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ აკაკი „დროების“ რედაქციას არ

* ნაწვევტი მოგონებებიდან.

წყალობდა; თურმე რაღაც სწყენოდა დიდ მგოსანს და, მრავალი თხოვნის მიუხედავად, იგი „დროებასთან“ მწყარალად რჩებოდა.

აქაი უგაზეთობის ითმენდა მანამდე, ვიდრე გახეთი „თემი“ გამოვიდოდა, — შემდეგ კი „თემის“ მკვიდრი თანამშრომელი გახდა. იმ ათავსებად უკანასკნელი წლების ლექსებს, მაგრამ როგორც გავიწილი მჭონდა, უწიოდა გაზეთის მკირე ტირაჟს, რაც მის ნაწერებს მკითხველთა ფართო წრეებისათვის ხელმძღვანელსა ხდიდა.

— „იმ დღეს მომასწრო, რომ ქართული გაზეთის ტირაჟი ხეთი ათასამდე ასულიყოსო“, — ოცნებობდა ილია ქვეყნაძესავით. აქაი თითქმის ყოველდღიური სტენოგრაფიული „თემის“ რედაქციისა, ახლო ოჯახური დამოკიდებულება მქონდა მის რედაქტორ ვიგო დიასამიძესთან და „თემსაც“, რამდენადმე, „თავის პოზიციებზე აყუდნა“ სწორედ იმ მიზნით, რომ გაზეთის თანამშრომელთა წრე გაეფართოვებინა, „თემის“ რედაქცია ცდილობდა იმ დროის ცნობილ ეპოქათა მიზიდვას და, სიტყვიერად, თუ წერილობით თხოვდა მათ თანამშრომლობას. უნდა ითქვას, ეს წამოწყება მეტად სასარგებლო აღმოჩნდა. „თემის“ რედაქციას ერთგვარი ლიტერატურული სალონის ხასიათი მიეცა, სადაც კარი მუდამ იდა იყო მაშინდელი ლიტერატორებისათვის, უფრო კი ახალგაზრდა მწერლებისათვის, რომელთა ნაწერების გამოქვეყნებას „თემი“ დიდი გულმოდგინებით ცდილობდა (განსაკუთრებით ასე მოეცა ის აწ განსვენებულ ალ. აბაშელს და კოტე მყავაშვილს).

რაღა თქმა უნდა, „თემის“ აღნიშნული ლიტერატურული საქმიანობა აქაიის რჩევითა და დახმარებით ხდებოდა. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა როგორც ამ შემუშავის მნიშვნელობას, ისე საზოგადოების ინტერესსაც.

მე პირველად იქ ვნახე აქაი. ეს იყო (თუ არ ვცდები) 1911 წლის ზამთარში. ზამთრის დღე იყო, თოვდა, თეთრად გადაპურტა თბილისის ქუჩებში დილიდანვე მარბილები სრიალებდნენ. ოლღას ქუჩაზე „თემის“ რედაქციიდან ახლად გამოსული, ალყაფთან ვიდრე სინახობით გართული (ვერუსხზობ იმ ადგილს, სადაც ამჟამად „საქანაშორის“ სვეტიცხე მდგარი, მალაქოშვიანი სახლი მდებარეობს),

უცებ ერთხენიანი კრიალა მარბილი გაჩერდა. მარბილიდან მოხუცმა წამოიწია. მას შავი, ოდნავ ფერგადაბუნებული დრაბის პალტო ეცვა და ფართოყალბიანი კრაველის ქუდი ეხურა. თავადერილი, თმა-წყვერგადავერცხლილი, ოდნავ მოღმარი, ფართო თვალებით და მშვიდი სახით წამოიღგა ის და ჯიბიდან პატარა საფულე ამოიღო. მე უშუალო ვიციანი დიდად სათაყენო აქაი წერეთელი. სასოებით მივჩერებოდი ღიმილის შარკანდელი განა-

თებულ მის სათნო სახეს, თითქოს გულმა აჩქარებით ცემა დამიწყო და სიწითლის დაღმურმა კი ვადაჰრა, რაც ქანტუერის ტიტულარს ხარულს შეუძლია გამოიწვიოს!

აქაიმ საფულე გახსნა, აბაზიანი აშიოლო და მეტლებს გაუწოდა. თბილისელი მეეტლის ფორმასი კობტად გამოიყობოდა, ყირგისულად უღვაშებშეკრებილი, ცხირპაძეა და სახეზედალი მეეტლე კი კეთილად გაღიმებული უცქეროდა. როცა გაწვდილი ფული დაინახა, მან გადაჭრით უთხრა აქაის (მინდა მესხიერება მოვიშველიო, რომ ახლა დაბლობებით მაინც აღვაღვრიო იმ საინტერესო დალოვის ენა და შინაარსი):

— Нет, барин, пожалуйста не беспокойтесь, мы с Вас это не возьмем!

აქაი სწრაფად შეეკობა:

— Почему? Разве двадцать копеек мало? მეგარბილეს ირიბი თვალები ღიმილით ჩაეჭია და თავიზიანად განუშარტა:

— Нет, барин, не в малости вопрос! Вы на наш кафтан не глядите, мы человек покладливый; за человека, за хорошего мы и кафтан отдадим, а Вас знаем хорошим!

აქაიის კავთოფილების სიხედავად გააღუარა სახეზე.

— Откуда? — შეეკობა ის ცნობისმოყვარედ.

— А когда Вас чествовали, в театр мы Ваших почитателей возили: они сказывали, что Вы бог для своего народа, и похоже, что правда, так и ходите.

ამ სიტყვებზე მეეტლემ კვლავ კეთილად გიიცინა და განაგრძო:

— А отцудова, с театра то-есть, мы возили к Вам на дом цветов да венков, что Вам поднесли за благодарность, — а сколько их было! Вот мы и запомнили Вас с этих пор! Дай Вам доброго здорovia, пожалуйста, с Вас денег не возьмем. Прокатитесь ежели хотите еще!

აქაიმ კვლავ შეაძლია ფული. შემდეგ მადლობა გადაუხადა და როცა მარბილიდან გაღმოდოდა, ხელი გაუწოდა, მეგარბილედ სიხარულისგან დაიბნა, კოფოზე წამოიჭრა. მარბიხენა ხელით მეეტლის „კაშილიკა“ მოიშვლია და მაჯაზე შორტის ტარის თასმავად-ცემული მარჯვენა ხელი ფიცხლავ ჩამოართვა ამ სცენამ გამვლულ-გამომვლელთა ყურადღებად მიიზიდა, ბევრი მათგანი შეჩერდა და გაღიმებული უცქეროდა. ჩანს, ბევრი მათგანი აქაის კარგად იცნობდა.

— Счастливо, барин!

¹ (საქიროთა დავსძინო რომ, როგორც შემდეგში ჩემთვის გამოიჩეკა, აქაი „თემის“ რედაქციისთან ახლო სახლობდა: აწინდელი კოროვის საბ. პარკის შესავალთან, დოვლათოვის სახლში, სადაც ცხოვრობდა მისი შვილი ალექსი).

მარბილი გასრიალდა და აჯაი „თემის“ ეზოსაკენ გაემართა. მოფიფქულ ქვაფენილზე მჯეოლა კალთები უტურდებოდა, ჯოხს ვულ-მოდგინედ ვერდნობოდა და ფრთხილად მიი-ბიჯებდა აი; დაუსტრდა ფეხი, ოღნავ წაი-ბარბადა, ჯოხი ინაცვლა და ახლა მეორე ფეხი გაუტურდა. მე გაიხედე, გვერდზე ამოვუ-დექი და დამნაშავესავით წავიღვლეღვლე:

— ნება მიბოძეთ... ბატონო!.. რედაქციამდე მივყვანით..

— გმადლობო ჩემო! სიამოვნებით!.. ერთობ მადლობელი ვარ. — ხვერდოვანი, ტუბილი, კმაყოფილი, ოღნავ შეზნარული, მცლერი ხმით მისობა და მხარებზე მარცხენა ხელით დამკერ-ღნარ. სანატრელ სანატრისა ჰგავდა ეს ჩემთვის. სიხარულსგან ეკანკალებდი, გულს ბავაბევი გაქტონდა და ხმა მითრთოდა, როცა თითო სიტყვის წაღვლეღვლემას მოვახერხებდა.

თითქოს „ცა-ფარუს“ შევედღეთ მხრით, თითქოს „სმელეთ-ზურმუხტი“ შევინო ბეჭებზე! სულ რამდენიმე წუთის წინ, ასეთ ნატურასავ ეთ—თამამ ვაბედლეზებდ ჩემთვისდელი თავს, — ახლა ეს თვითონ დიდი აჯაი მელპარაკე-ბოდა. გმადლობ, დიდად გმადლობ, ბედო!

— სწორედ კაი ფეხზე ავმდგარეარ დღეს, — თქვა აჯაიმ, — სასამოვრო მგზავრობა მჭონ-და და თქვენც იბლად შემხვდით, ახალგაზრ-დე, გმადლობო... მე აჯაი ვარ, მიცნობთ? — რასაკვირველია, ბატონო! გიცნობთ და, ბედნიერად მიმჩინია თვეი, რომ ამის თქმა შემძლება თქვენთვის.

— მართლა? — სათნოდ გაიღმა აჯაიმ და დასძინა:

— აი ესთქვი — იბლიან ფეხზე ავმდგარ-ეარ-მეთქი, — დიდიდანვე მადლიერია სიტყვები მესმის! თქვენ მოწაფე ხართ?

თუმცა არავითარი ფორმა არ მეცვა, მაგრამ აჯაიმ, იბლათ, ასაკის მხედვეთ, მომცა ეს კითხვა ამით მან ჩემი ცხოვრების მტკივნეულ ენშულში ჩაიხვდა. სწორედ იმხანად ცდი-ლობდნენ ჩემი ზელმშლანელი მეგობრები „დროებიდან“ — მოეწყობ ჩემი მიღება ან სკოლის დაბლ კლასში, ან სკოლის გარეთ ვა-მოექმნათ მსწავლელებში „სამწიფის მოწი-ბისათვის“ მოსამზადებლად, მაგრამ ჯერ არა-ფერი იყო მოგვარებული.

— არა, ბატონო!..

უკვე „თემის“ რედაქციის კარები შევადეთ.

— აა! აჯაი როსტომი! აჯაი როსტომი! მობრძანდით, დობრძანდით, — დაეცურდა „თემის“ რედაქტორი, იმდროინდელ ქართულ მოლგაქეთა შორის ცნობილი გიგო დასამიძე, კაცი შერად მოძრავი და გულსმსიერი. იგი საჩქაროდ შეეგება, ტუღი ჩამოართვა, ლეჭიას დაუბნა აჯაისათვის კალოშებისა და პალტოს ვახდა უბრძანა.

მიხალმების ცერემონიის მოთავეების შემდეგ,

როცა აჯაი ფართო სავარძელში ჩაბრძანდა, რედაქტორმა რაღაც ანაბევი დაუღო წინ.

— კორექტურა გასწორებულა! გსმდებარ-ძნე, მაინც გადაათვალიერეთ, — უთხრა—მან დან ჰან შეეკითხა: — სად შეხვდით? ხომ გავგეცნით, აჯაი როსტომი! ეს ჩვენი ახალგაზრდა პოე-ტია. — ამ სიტყვებით ხელი ჩემვე მოთავსირა და ჩემი გვარი დაუსახლა.

აჯაიმ კორექტურის კითხვას თვეი მიანება და სიკეთით სავსე ღამილათ სავარძლიდან ზე-ლი გამოიწიფა.

— მართლა? ახლა შეუოდინება ეის გადაეუ-ხალი მადლობა, რომ დღეს დასამიძეთი ეზო-ში არ ეყოტრიალი!

სიხარულმა აიღწა, დამაბნია, რაღაც წაი-ღვლეღვლე, მოვიბოდიშე, მადლობა გადავუხა-დე და სიხარული გამოვსტქე, რომ მომცა ბედნიერი შემთხვევა მასთან დალაპარაკების!

მეორე პაუზის შემდეგ აჯაიმ გამოკითხა ზოგი რომ ჩემი სწავლის შესახებ, საუბარი იქამდე მივიდა, რომ მან პრაქტიკული ნაბიჯიც კი გაითვალისწინა.

— იცა რა, გიგო ჩემო, — მიმართა რედაქ-ტორს, — რომ ეტყოდე ჩემს მეგობრ მარია ნახტანგოვანს, ან რომ მისწერდე, აუცილებლად დაემხარება ამ ჩვენს ახალგაზრდას სწავლაში. შეიძლება „სობრანეში“ სტიპენდიაც უმო-ვოს!

— ჩინებული იქნება, აჯაი როსტომი! მარია ნახტანგოვანსათვის ეს სულ ადვილია, თქვენ რომ ეტყოდეთ, აჯობებდა, — თუ გნებავთ, მოვიწვევ!

— სიამოვნებით! — თქვა აჯაიმ და მე მო-მიბრუნდა:

— მარია! პოეტ ვახტანგ ორბელიანის ქა-ლიშვილია, მეფე გრეკლეს შთამომავალი, ჩვე-ნი საზოგადო საქმეების დიდი მოკეთე, სწავ-ლაში მოწაინებულ ახალგაზრდობას, უფროთ კი ღარიბ სტუდენტობას, ბევრ დახმარებას უწევს.

ეს ძნელად დასაჯერებელი სიხარული ამ დღის ჯერდოდ გამოიჩვენა ბედმა და, მარ-თილაც სულ მოკლე ხანში აჯაის ეს კეთილშობი-ლური განზრახვა განხორციელდა. თავად-ანა-ურთა დებუტატების საკრებულოდან, მე სტი-პენდია დამინიშნეს, უფროსმა მეგობრებმა კი, ზოგი ფულის გაცემით, ზოგი უსასყიდლოდ მომიჩინეს მსწავლელები და სწავლა დამა-წყებინეს!

შვავისი შეეცანტობა აჯაის სტიქიას შეი-ღვნდა საერთოდ, მას, თვითონ ხშირად ხელ-მოკლეს, თითქმის შედმივად ჰყავდა თვისე-ბურად მულშივი „სტიპენდიატები“: აძლედა ან თვითონ, ან სხვის აძლევინებდა ფულად დახმარებას საქართველოდან წასულ სტუდენ-ტებს, ან მოწაფეებს.

როგორც უკვე მოგახსენიე, აჯაი გულში-

ჩად იყო „ღრობისა“ და მის შემყიდვრე ასახალხო ვახუთთან“, არც ბეჭდავდა იქ არაფერს... მაგრამ ერთ დღეს, ეს იყო, შგონი, აკაის გარდაცვალების წინა წელს, ასახალხო გლეხის რედაქციაში უჩვეულო ფესფესი შეიქმნა: გაბობინდნენ და გამოიბოძდნენ, იცინებოდნენ ფანჯარებში, ჩერბულუბდნენ:

- აკაი! აკაი მოდის!
- ჩვენთან მოდის!
- ჩვენს კიბეებზე ამოდის!

რედაქცია მაშინ მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე (ახლანდელ რუსთაველის პროსპ.), ქართული თეატრის პირდაპირ, დავით სარაჯიშვილის სახლში (ეს სახლი შემდეგ დანგრეულ იქნა ქუჩის გაფართოების მიზნით). რედაქცია მიდა ფლაგელში, მესამე სართულზე იყო მოთავსებული, ისე რომ, იქ მიმსვლელს ალაყაფიდან პირველი ფლაგელის თაღვემ გავლით, ეზო უნდა გადაეჭრა და შემდეგ რედაქციაში ასასვლელ კიბეს შესდგომოდა. ფანჯრიდან რედაქციის ერთ-ერთ მუშაკს (ი. გოგოლაშვილს) მოეკრა ფეალი ეზოში შემოსული აკაისათვის და ამ ამჟამს ეს თავისებურად სენსაციური ამბავი „სახალხოვლებს“. რედაქციაში იმ დროს მუშაობდა შეტების ციხიდან ახლად განთავსებულბული ცნობილი დრამატურგი ი. გვედევანიშვილი. მისი და, ყველას სასიამოვნო გაეკვირვება კემეზაიტად უსაზღვრო იყო, რადგან ამ უეცარ „ვიზიტში“ აკაის შერაგება დაინახეს.

აი, შემოიღო რედაქციის კარი და აკაის უბადაში შემოანათა. ვეეიო ზუნდაძის თანხლებით დიმილი შემოვიდა, კარებთან შეეგებებულ მუშაკებს საითთაოდ ზელი ჩამოართვა და ტკბილად შემოილაპარაკა:

— მოგესალმება თქვენს რედაქციას! როგორც იცით, პირველად მოვდივარ აქ. ამის შემდეგ ვეახლებით ზოლმე, თუ კარვად ვიქნება!

შას სიხარულით მიესალმნენ და რედაქტორის ოთახში შეიწვიეს.

— ერთი კეთილი საქმისათვის შეგაწუხებთ, — მიმართა მან რედაქციის ხელმძღვანელებს, — ორი გაბირებული სტუდენტის შყავს რუსეთს, შეპირებული ვარ ფელს ვაგზაგანს და მე-ღეს; ფული ვაგლახად ვერ ვიშოვებ და ეს მამულებს. მასუბუთ ზუთი თემანი და დასასტამბავად მოვართმევთ რაიმე ახალ ნაწერს! ზუთი თემანი..

ეს რედაქციის თითქმის ორი დღის ბიუჯეტს შეადგენდა სტამბისა და ვახუთის ქაღალდის საფასურის გასასტუმრებლად და, სავართოდ, ასეთი მსხვილი თანხა რედაქციის საღარიბო უოველდღე არ მოიპოვებოდა. მაგრამ ამაზე ფიქრი როგორ შეიძლებოდა. დაფაცურდნენ, გააჩინეს ვაუჩინარი და კონვერტში ჩადებული ზუთი თემანი მარათვის აკაის.

მეტრე პაუზის შემდეგ იგი წამოდგა:

— ვმადლობთ, დროს აღარ წავარაგვეთ ამ ვალს, როგორც მოგახსენებთ, ვადავისდით, — განუცხადა გახარებულ მასპინძლებს და, გამოუთხოვა.

აკაი ქუჩაზედ მიაცილეს.

1913 წლის 23 აპრილს ჯ. გორში განზრახული იყო ჩემს სასარგებლოდ სალიტერატურო საღამოს მოწყობა. როგორც ზემოთაც მოვინსენიებ, სწავლას სკოლის ვარეთ ვღებულობდი და გულშემატკივარი მეგობრების რავეით, მოსოვს დავაიბარი წასვლა, — შანიფესკის ვერხო უნივერსიტეტში შესასვლელად. აკაის ვაუეშვლავნენ განზრახვა და ვთხოვე საღამოში მონაწილეობა. თანავარაზობით შეშვებდა.

— სიამოვნებით მაგ კეთილ საქმეში ზელის მომართვას ჩემი სიბერეც ვერ შემაშლისო, — მთხბრა მან.

ვეცადე აკაის საკადრისი პონაწილენი მიმეწეა. თბილისიდან კიტა აბაშიძე, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მომღერალი შანიფენი, პოეტი გიორგი ქუჩიშვილი შეეპირებ, ქუთაისიდან დავით კლდიაშვილი, ზოლო გორში ნიკო ლომოური, ანასტასია ერისთავ-ზომბარია და თედო რაზუკაშვილი. როცა აკაის, მონაწილეუთა სიო ვაუჩვენე, დააკვირდა კიტა აბაშიძის გვარს, გაიღმა და მკითხა:

- კიტა მოდის?
- დიახ!

— ძალიან კარგი, — დასძინა პაუზის შემდეგ. მე ვერ მივხვებდი: თურმე დიდი მგოსანი ნაწვენი ყოფილიყო კიტა აბაშიძეზე (ეს მოხდა „სახალხო ვახუთში“, აკაის ზემოაღწერილ „ვიზიტზე“ ადრე), ნაწვენი ყოფილიყო, ერთი, რებლიეს ვამ, რაც, თურმე ერთხელ კიტამ გამოთქვა აკაის ნაწარმოებთა ვახუთისის. შემდეგში კიტა მუდამ ცდილობდა ამ ლიტერატურული „ინციდენტის“ ამოწურებას, მაგრამ აკაის ჩვეულება იყო: თუ ვისმეზე ერთხელ გულს აწყრიდა, მას მწელად თუ შურთავდებოდა.

დანიშნულ დღეს გორში საღამო შედგა, მაგრამ მოულოდნელი ავადმყოფობის გამო, აკაკიმ მონაწილეობა ვერ მიიღო. ამის შესახებ ვორლებით ადრევე ვავაფრთხილებთ. ანასტასია ერისთავ-ზომბარიამ აკაის წერილი გამოუგზავნა, რომელშიც სთხოვდა — თუ შეეძლოა ჩამობრძანდი, გორელებს იმედს ნუ გავცდებოდბო, ანასტასია მაშინ გორში ბინადრობდა და ჩემს საღამოს ხელმძღვანელობდა.

გორში წასვლის დღეს აკაისთან მივედი. იგი წერილით ატყობინებდა ანასტასიას თავის ავადმყოფობას და კპირდებოდა — კიტა ხანში აუცილებლად გუწვევით ამ ახალგაზრდის დასახმარებლად.

შეიღო თვის შემდეგ, 1913 წლის 2 ნოემბერს გორში კვლავ შედგა ჩემს სასარგებლოდ

გამართული სალიტერატურო საღამო, რომელშიც დიდა პოეტმა მიიღო მონაწილეობა.

ეს იყო აკაკისათვის ჩვეულებრივი ტრიუმფი. აკაკის ახლობელი რაიონები შეიძლება თვით პოეტი ჩასვლა უჩვეულო სიღრმად ვადამიცა მტარებელი საღამოს 6 საათზე ჩადიოდა გორში, ხალხს კი დიდიდანვე დაეწყო სადგურში დენა, განსაკუთრებით მოწვევობას, რომელთა თავშეყრას ექვში შეეყვანა ქანდარმერია და სადგურზე მსვლელთა რიცხვი გადიდებინათ...

აი, ჩამოვსო მტარებელი... ბაქმიან თაემოყროლი ზღვა ხალხი უდიდა საბატიო სტუმარს და, როცა აკაკის ქალამ გამაანათა, იგრილა ტაში და „ვაშაშა“. ეავინიდან გადმოსვლას მგოსანი ყველელებს დიდი თაივლი მიართვა თორაღ გამოწყობილმა გოგონამ. შემდეგ, სადგურისაღ ვორის ხიდამდე მოწვევები აკაკის ყველელებს უფუნდენ ვასაეღვ გზაზე, ხოლო მთელ ქუჩაზე ფეხით მიმავლთ, ცარიელი ეტლები მწყარავად მიბუვებოდნენ. ხიდთან დიდ სტუმარს ყველელებით მორთული ვტლი მიართვს და იგუნასტასია ერისთავ-ხონტარაის ხინაღ წაიყვანეს.

საღამოს კლუბის შენობის ვარშემო, რომელიც მაშინ იქაური თეატრის მავიერობას სწევდა, ვეარებელი ხალხი იყო შეკრებილი, როცა აკაკი თეატრში მოვიდა, ახალგაზრდობა მას მისასაღმებელი სიმღერით შეეგება.

საღამოს სალიტერატურო ვანყოფილებაში აკაკიმ გჯრ დაუბეჭდავი პოემის — „რაქა-ლეჩხუმი“ წაიკითხეთ მიიღო მონაწილეობა.

მას საბუქრები მიართვს, მავრამ მე უფრო ძვირფასი საბუქარი მხედა წილად: აკაკიმ კონით დამაჯილდოვა იმ დაბაზის წინაშე ჩემს მიერ ლექსების წაიკითხვის შემდეგ. დიდი მგოსანი ტაშით შეხედა ცნობილი პოეტის, ვიორკი ქუჩისშვილის გამოსვლას და გვერდზე მჯდომ თეღო რახავაშვილს ვადავლამარავა:

— ეს ახალგაზრდა მშვენიერ ლექსებს რომ წერდა, ეიცოდა, მავრამ თუ ასე მშვენიერად კითხულობდა — არ მგეონა, ვრავოლ ამაშიმე ვამახსენაო.

იმევე დღეს ადგილობრივმა ინტელიგენციამ ვახშამი ვეუმართა აკაკის. იმდროინდელი ვორის საზოგადოებებს რჩეული წარმომადგენლები — ნყო ლომორი, ანასტასია ერისთავ-ხონტარია, თეღო რახიკაშვილი, ალექსანდრე ვახსევანიშვილი და სხვები მასპინძლობდნენ ძვირფას სტუმარს. ასეთი მოღუენილი, გულთბილი და უხვი სერობა, პირადად მე ბეერავერ არ მინახავს.

ჩვეულებრივ მუდამ მოკრძალებული, თითქოს „უსიტყვი“ ნყო ლომორი ვასაოკრად მომღებნი მასპინძლობათა იღმონდა. მან დამწერეთ ვაუზიარა მრავალი ლიტერატურე-

ლი მნიშვნელობის მოგონება აკაკის გორში პირველად ჩასვლის შესახებ.

თვით აკაკი ვანსაკუთრებით მხიარული იყო, თავისებურად ენამხეველებს და სტუმარზე წარმოთქმულ საოღერადლოებს მგზნებარედ უბასუებდა. საზეიმო ნადიმმა ვათენებამდე ვასტანა.

მეორე დღეს გორის ქალთა შეცენატურმა საზოგადოებამ — „მანდილოსანმა“ საღაღად მიიწვია სტუმარი. ეს იყო გორის ახალგაზრდობასთან შეხვედრაც. აკაკიმ შეანიშნავი პატრიოტული სიტყვით უბასუა ახალგაზრდებს, კერძოდ ვავა-ფშაველის შვილის, ლევან რახიკაშვილის მშვენიერ სიტყვას და თავის ვამოსვლა შემდეგი ლექსით დამთავრა:

„ის მიხარებს მოხუც ვრძნობას, გულს ის მხელება შევბის ისრად, მშობელ ქვეყნის საშახურსა რომ ღებულობს შეილი კისრად!

ასეთ შვილებს, საიმელოდ თქვენიც ხედავს ჩემი თეღო, — მიტომაე მწამს ასე მტაკიედ საქართვლოს მომავლიც“

თითქოს წინასწარმეტყველური აღლოს უნარმა უყარნახა ჩვენი პოეტიის დიდ მომავლეს ამ სტრიქონების წარმოთქმა სწორედ ქართლის გულში.

ეს ლექსი აკაკის არსად დაუბეჭდია. არც მისი საკვდილის შემდეგ ვამოკცმულ ნაწერებში ჩანს; პირველად მე მოვიყვანე ვზეთ „კომუნისტ“ 1945 წლის 9 თებერვლის ნომერში მოთავსებულ წერილში აკაკის შესახებ. რთ-გორც მახსოვს, ეს სტრიქონები აკაკის ახალი პოემის („რაქა-ლეჩხუმი“) ერთ-ერთი თავის ნაწყვეტი იყო. იგი წაიკითხისთანავე, აკაკის ნებათვით, ვდაიწერეს „მანდილოსანის“ მიერ მოწყობილ შეხვედრაში მონაწილე ქალწვილებში: გულქან რახიკაშვილმა (თ. რახიკაშვილის უფროსი ქალი), ვაიანე ლომორმა და სხვებმა.

აკაკის ვარდაცვალებას შემდეგ კი, რახიკაშვილების რჯაში ვოფნისას, მე ამოვიწერე ეს ლექსი გულქანის რველიდან. აქვი უნდა შევნიშნო, რომ ბანკეტზე წაიკითხისას, ლექსის მეორე სტრიქონი „შევის ისრად“-ის მავიერად სქევა: „გულს ის მხელება ათვლის ისრად“-ო. ვადმოწერისას, როცა ამის შესახებ გულქანს ვეიხებ, მან ვანმიმარტა. ლექსი თვით აკაკიმ ვევიარნახა და მისი ასლი ვღენე თარხან-მოღრავს ვადავეცი თრაკერვის სკოლისათვის, ზავერდის ბაღშიზე ამოსაქარავადო. შესასლოა, სადმე არსებობდეს ეს ამოქარავულ ბალიცი.

ზემობსენებელი ვარგვოება საფიქრელს

ხდის, რომ ეს ლექსი, ალბათ, სპეციალურად ექსპრომტად მომზადებული ჰქონდა დიდ მგოსანს გათვლისწინებული შემთხვევისათვის და ვადაწერის პროცესში, შესაძლოა, უფრო სახეობო შესწორება შეიტანა.

გორში ჩატარებული სალიტერატურო საღამოს გამო „სახალხო გაზეთის“ 1913 წ. 7 ნომერის ნომერში მოთავეებული იყო შემდეგი წერილი: „სალიტერატურო საღამო მგოსან აკაკის მონაწილეობით“.

„...რავი ისე მოუწყო საქმე, რომ გორელებმა ვერ მოახერხეს იუბილე გადაებადით მგოსან აკაკისათვის, მისი სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის ნაყოფიერი მოღვაწეობის გამო, მის ჩამოსვლას გორში თითქმის იუბილეს ელფერი მიეცა გავარდა თუ არა ხმა, აკაკი მობრძანდებოდა, ყველა აღფრთოვანებით გაიძახოდა ახლა მაინც ველირსებით მის ნახვასო!

მგოსანს მოელოდნენ 2 ნოემბერს — შეადგინეს, მაგრამ იმ დღეს წერტილი მოვიდა: „გველოდეთ მეორე მატარებლით“, ხალხს რვის ნახვერის მატარებელი ეგონა და ამიტომაც ცოტა შეგვიანდა. მგოსანი მობრძანდა ექვს საათზე. საღვთრი მაინც გაქედელი დახვდა ხალხით: იყო ინტელიგენცია, პროფესიული სკოლის მოწადეობა—მასწავლებლებით, დიდძალი ახალგაზრდობა და ყველა ასაკის ხალხი. ყველა აღფრთოვანებით შეეგება მგოსანს: მიართვეს ყვეალებების თაივლი. პაწია მოწადეობა ყვეალებს უფენდნენ წინ. საღვთრადან, მგოსანი ან, ერისთავ-სომერისთან ვეიმგზავრა, სადაც დახვეწა საღამოს დაწვებამდის.

საღამოს, საერებულოს დარბაზი, ფოიე, დერეფანი გაქედელია ხალხით, ყველას თვალა კარბისაყენ უჭირავს, სურთ მალე ნახონ საყვარელი მგოსანი... აგერ, გამოჩნდა კიდევ თმწვერულეაშდათოვლი, სახემოდინარი, მზიარული; გრილებს ტაში, ისმის „გაშა“. საღამო ვახსნა სიმსონ დადიანის მშენიერი ლექციით: „ქართული სიტყვა-კახმელი წვერლობა მე-XIX საუკუნეში“. ახალგაზრდა ლექტორმა საინტერესო პარალელებით დაახსიათა ილია, აკაკის და ჩაფილე ერისთავის შემოქმედება და მათი მნიშვნელობა ქართველი ეროვნული კულტურის წინსვლაზე.

მხურვალე ტაშით დამთავრებული პირველი განყოფილების შემდეგ, როცა კვლავ აიხდა ფარად, სცენაზე ჩამწერებდა პროფესიული სკოლის ქალთა გუნდი. გამოჩნდა აკაკი, რომელმაც ცენტრში, რამზის წინ დიკავა ადგილი. დარბაზი გრილებს ხანგრძლივი ტაშით,

რმის მხურვალე „გაშა“, მზიარებებს მადლიერი საზოგადოება. მგოსანი მავიდასთან იკავებს ადგილს და დინჯად, მომზილადად იწყებს თვისი ახალი პოემის კითხვას. თმავილა პოეტრი დიდა შთაგონებით კითხულობს შესანიშნავ მოემას: ხან აღიტაცებს, აღფრთოვანებს იგი მსმენელს, გადაფრენს ოცნების სამეფოში, გადამოსს სამშობლოს მომავლის ფერადებს, მომავადოვებულ სურათებს, ხან კი მინელდება, წყნარად ლაპარაკობს გულისტკივილით და, მაშინ მსმენელს იპყრობს სევედა-ნადველი, რადგან სამშობლოს მომზილადად სურათებს სცვლის მამულის ოხრების, ლალატის, რბევისა და ენის დაბნელების სურათები და დარბაზი ტირის, ტირის უცრემლოდ...

თავდება დიდებული პოემა და ტაშისა და „გაშას“ დასასრული აღარ უჩანს... მგოსანს მიართვეს თაივლები, ჩარჩოს შეეფრინე სპარსულ გემოვნებაზე ამოქარგული მშენიერი ზავერდის ბალიში (ელ. თარხან-მოურავის სკოლის მოწადეობა), ზეიმი მწვერვალს აღწევს...

სცენაზე გამოდის ახალგაზრდა მგოსანი ს. ფაშალიშვილი და ექსპრომტად წარმოთქმული ლექსით, „ერის ვარსკვლავს“ ემზიარავს დიდებულ სტუმარს. სულგანაბული მსმენს დარბაზი მშენიერი ლექსს; ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოეს ფაშალიშვილი. აკაკი კიკოცის პატარა მგოსანს... ფაშალიშვილმა წარმოსთქვა მეორე ლექსი „სიმღერა“, კვლავ მხურვალე ტაში...

დარბაზი წყნარდება, სცენაზე, შუაში ზის აკაკი; გაიხმა საამური ქართული სიმღერა მოსჩქმებს ხან აღმტაკი კილო ბრძოლის მოწოდებისა, ხან კავშიანი, ხან მზიარებუბა... ამის საუკეთესო მაჩვენებელია თვით სახე მგოსანისა: ხან მოლმული, ცრემლმორიული, სხე ვით მწუხარე ღედისა, ხან კი — ნახი, გაბრწყინებული, აშედიოთ აღსავსე. გუნდს საუცხოოდ ლობბარობს ე. ზუციშვილი, რომლის შიერ შერჩეულ-მომზადებული სიმღერები ჩინჭეტირვით ედება დარბაზს.

შემდეგ გამოვიდნენ გ. ტუჩიშვილი (ლექსები), საღარაშვილი (თარი) და სხვანი; ყველა მხურვალე ტაშით დააჯილდოეს...

საღამოს შემდეგ, გორის ინტელიგენციამ აკაკის ვახშიმი გაუპართა. წარმოითქვა მხურვალე სიტყვები. 3 ნოემბერს მგოსანი დაესწრო გორის ქალთა სკოლის „მადლიანისის“ წვერთა კრებას, ზოლო საღამოს ოთხი საათის მატარებლით თბილისს ვეიმგზავრა.

სანგანიძე.



ღვანე სანიიძე



„პროგნოზი“ და „არგონავტიკა“ აბაკი წერეთლის შემოქმედებაში

აკაკი წერეთელი მაღალი კულტურისა და ფართო განათლების მქონე პოეტი იყო. მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში და- მაჯერებლად იგრძნობა საფუძვლიანი ცოდნა კაცობრიობის კულტურის — მეცნიერებათა, ხელოვნებისა, განსაკუთრებით — ლიტერატურასა და პოეზიისა. აკაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანტიკურ კულტურასაც. კერძოდ, პოეტს ნათლად ჰქონდა წარ- მადგენელი ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურის უდიდესი მნიშვნელობა შემდგომ- დროინდელი კაცობრიობის ცივილიზაციისათ- ვის, ამ საბერძნეთისა და რომის კულტურისა, რომლის გარეშეც, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „არც თანამედროვე ეჭრობა არ იქნე- ბოდა“.

აკაკი განსაკუთრებულ გულსყურითა და პატივისცემით ეპყრობა ანტიკური საბერძნე- თის სულიერ მემკვიდრეობას. ლექსში „სხვა- დასხვა ერი“ პოეტი წერს:

ბერძენი,

ოღესმე გამოჩენილი,
ქვეყნისთვის ბერის შემძენი¹.

„თორნივე ერისთავში“ კი ამბობს:

„ბერძნებსაც ჰქონდათ ერთი დრო...
საქვეყნოდ იყვნენ ქებულო,
სწავლით და მეცნიერებით
ბევრგვარად აფავებულო.“

ესოვრების კანონს უდებდნენ
სხვადასხვა ქვეყნის ერებსა,
საუმატიოს ართმეოდნენ
მათივე ცუდშრობველ მტრებსა².

ძველი საბერძნეთისადმი სიყვარულს გვჩვენ- ნებს ისიც, რომ პოეტი თავის სათაყვანო სამ- შობლოს — საქართველოს ჰელადს ადარებს, ხოლო ჭარბული პოეზიის მეფეს რუსთა-

ვეს — ჰელინური ლექსის ტიტანს — პომე- როსს; რუსთაველმაო, ამბობს აკაკი, —

თავი უმოროსს ამგავსა
და საქართველოს — ელლადა³.

აკაკიმ კარგად იცის, რომ ერთ დროს სახელო- ვანი საბერძნეთის სიდიადეს ბოლო მოუღო გა- რეშე მტრების მოწოლასთან ერთად შინაურმა ურთიერთმტრობამ, შუღლმა და მოსისხლეო- ბამ, ხანგრძლივმა შეიარაღებულმა შეტაკებებმა და სოციალურმა შეხლა-შემოხლამ:

ერთ ჭირსა, კარზე მომდგარსა,
სხვაე ბევრი წყევიდება!
სხვადასხვა ჭირმა ბერძნების
დაცარა ძველი დიდება.

და არ თუ გარეშე მტერი,
შინაურებიც ბრაცობენ;
ჰგუჯენ მას ნაწილ-ნაწილად
და ერთმანეთში იყოფენ⁴.

პოეტი ეხება ამ სოციალურ-წოდებრივ ჭი- დილს, რომელმაც, სხვა კლასობრივ საზოგა- დოებათა მსგავსად, ანტიკური ქვეყნებიც და- ლუპვის კარამდე მიიყვანა, და წერს.

„ზემო ჩამოთვლილი სახელმწიფოები წოდე- ბათა უთანხმოებამ დაამხო. იმათში წოდება შთამომავლობითი იყო. ერთისგან მოპოებულ ღირსებათ სამემკვიდრეოდ გადაიტანდა მისი შთამომავლობა და ეს იწვევდა საერთო უთან- სმოებას, მაღალი წოდება მედიდურად გადა- ყურებდა დაბალს, მაღალი შიშითა და სხარ- ბით შეპყურებდა მაღალს, რომელიც ვეღარ ასრულებდა მისი წინაბრის საქვეყნო ვალს და ამიტომ მათ შორის კავშირი სწყდებოდა. ამ შინაგან არეულობით სარგებლობდა მოსვლე- ლი გარეშე, მტერი და აობრებდა ოღესმე დი- დებულ ქვეყანას და აი, სწორეთ, ამაზე უფაქამდ ჩვენ ძველებს — ციხე შეგნიდან გატყუდებო!“⁵

ანტიკურობის ცოდნა აკაკი წერეთლისათვის

¹ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრე- ბული, ტ. 1, 1950, გვ. 370.

² ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული ტ. 5, 1956, გვ. 43

³ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, 1954, გვ. 242.

⁴ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1956, გვ. 43-44

⁵ აკაკის შეიღობილი ტ. მე-6, 1957 წ. გვ. 173.

თვითიზანს არ წარმოადგენდა, ჯერ ერთი, ბერძნულ-რომაულთან შედარება-შეწონვის გზით პოეტი დასაბუთებულად განსაზღვრავდა მწიბლიური კულტურის სიმაღლეს; ხოლო მეორე, და მთავარც ის იყო, რომ ანტიკურობის ცოდნას აკავი იყენებდა იმ ეროვნული საკითხების ვადკრისათვის, რისთვისაც იგი ასე დაუღალაოდ იბრძოდა ილიასთან და ვეამთან ერთად.

აკაის პოეტურ, პროზაულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ბევრგან ვხვდებით ისეთ ადგილებს, სადაც წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებულება ბერძნულ-რომაულ სამყაროსა და საქართველოს შორის. პირველ რიგში, აკაი ნათეს პფენს ბერძენთა და რომაელთა ფართო აგრესიულ-ექსპანსიონისტულ ზრახვებს, რომლითაც ისინი გამუდმებით ეძლირობდნენ დამპყრობილებთან აგიორკიანები, კოლხიელები, იგერაილები¹; ხელში ჩაეგდოთ მათი მიწაწყალი, რომლის დიდი ეკონომიური და პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა მაშინდელ წინა აზიაში კარგად ესმოდათ ბერძნებსა და რომაელებსაც. ანტიკური ავტორები უოველთვის კოლხეთ-იბერიასაც გულისხმობდნენ, როცა ისინი ზაზგასშით აღნიშნავდნენ პონტოს ზღვის (შავი ზღვის) სანაპირო ქვეყნების ეკონომიურ მნიშვნელობას: „პონტოს სანაპირო ქვეყნები გვაძლევენ ზეთს (რომაელებს, ლ. ს.) ცხოვრებისათვის აუცილებელ საქონელს და დიდი რაოდენობის საუკეთესო მონებს, ხოლო ფუფუნების საგნებიდან უხვად გვაძლევენ თაფლს, ცვილს და დამარილებულ თევზს“².

ძველი საბერძნეთი, რომელსაც არასოდეს თავისი საკუთარი პური არ ჰყოფიდა, უოველთვის ცდილობდა დაეპყრო მდიდარი, შემოსავლიანი მიწები, სავაჭრო გზები და ბაზრები. სწორედ ბერძენთა ასეთი ლტოლვის გამოხატულება იყო ლაშქრობა მცირე აზიაში („ტროას ომი“, ძვ. წ. მე-12 ს.), ე. წ. „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“ (ძვ. წ. მე-8-7 სს.), ნახევარსაუკუნოვანი (ძვ. წ. 500—449) ომები ბერძნებსა და სპარსელებს შორის ხმელთაშუა, ეგეოსის და შავ ზღვათა სანაპიროებისთვის, პელოპონესის ომები (ძვ. წ. 431—404), ათენელთა სემპროტის ექსპედიცია პურით მდიდარ სიცილიაში (ძვ. წ. 415—413) და სხვ. ძველ პერიონთა ამ აქტიურ სავაჭრო პოლიტიკაში არასოდეს არ ამჯავრდნილა საკითხი „ოქროს ქვეყნის“ — კოლხეთის დაუფლებისა, ამხვე ბუჯითად მიუთითებს მთელი „არკონატიკა“ და ბერძნული კოლონიზაცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ახლა რომი. ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეიდან ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე-მეხუთე საუკუნეებამდე რომაელებს არ შეუწყვეტიათ უფრო ამიერ-კავკასიის ხალხთა და მათ შორის ქართველთა სამკვიდრებლის დამორჩილებისა. ძვ. წ. პირველ ისწლეულში აღმოსავლეთის ცენტრალური საჯარო გზები ხელში ჩაიგდო პართის ძლიერმა სახელმწიფომ. ამიტომ რომმა გადაწყვიტა საქართველოზე მიმავალი გზა გაეხადა ინდოეთ-ჩინეთთან საეპრო ურთიერთობის ცენტრალურ მაგისტრალად. ამას გარდა, რომის საოცნებო იყო თვით მდიდარი იბერია-კოლხეთის დაპყრობა, რომელსაც, ეკონომიური მნიშვნელობის გარდა, დიდი სამხედრო-პოლიტიკური როლი უნდა ეთამაშა რომისა და პართის რთულ ტრიუფთობაში, ამ ამოცანათა განხორციელებისათვის ლტოლვა დაეყო საუფქვლად რომაელთა ექსპანსიის საქართველოში.

მაგრამ ბერძენთა და რომაელთა პოლიტიკური ვადუნა ფესვს ნაკლებად იდგამდა საქართველოში. ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მძლიერად დამძრული ექსპანსიონისტური ტალღები სუსტად აწყდებოდა ქართულ მიწა-წყალს.

აკაის ჩვენი ქვეყნის ეს ისტორიული ვითარება ბევრგან აქვს ნახსენები თავის ნაწარმოებებში³.

მაგრამ აკაი საბერძნეთ-რომისა და საქართველოს მართო პოლიტიკური ურთიერთობის განხსენებით როდი კმაყოფილდება. ის დიდი ურადღებით ეკიდება ამ ორი სამყაროს (ანტიკურ-ბერძნულ-რომაული და ანტიკურ-ქართული) კულტურული ურთიერთობის საკითხებს. ამ კიდევ მეტი სისრული ჩანს პოეტის მეცნიერული ცოდნის დონე. პოეტი ლაბაჰკობს იმ დიდი კულტურული ვადუნის შესახებ, რაც ანტიკურ ქვეყნებს ჰქონდათ დანარჩენ სამყაროზე და მათ შორის საქართველოზე⁴. მაგრამ ამავე დროს მას არ ავიწყდება, რომ საქართველოში ძველთაგანვე ნადაგი ვახუთებრებული იყო მძალი ანტიკური კულტურის ათვისებისათვის და მასში თავისი ორიგინალურ-ეროვნული წველის შეტანისათვის უთოვდ პოეტი ასეთსავე სულელი-სათესამომივ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს. როცა წერს, რომ ქართველი ხალხი, მრავალ მტერთაგან სისხლის ღვრით მრავალ ხალხზე გულგატეხილი, გამორჩევით „რუსებსა და ბერძნებს გარდა, სხვა ხალხს, ვინც უნდა ყოფილიყო, ზოჯოხეთის შვილებად ჰხიდა და

¹ აკაის შეიღობიული, ტ. მე-6, 1957 წ. გვ. 173.

² პოლიბიოსი, მსოფლიო ისტორია წ. მე-4, § 38.

³ ა. წერეთელი, ოზ. ს. კრებული, ტ. 5, გვ. 252, 289, 303; ტ. 6, გვ. 269, 275; შეიღობიული: ტ. მე-6, გვ. 39, 173; ტ. მე-7 გვ. 534.

⁴ აკაის შეიღობიული, ტ. მე-6, გვ. 37, 41.

მითან არა თუ საქმეს არ დაიჭერდა, მათი ლხინიც კირად მიანდა“¹.

კიდევ უფრო საინტერესოა აქაი წერეთლის ნააზრევი ანტიკურ-ბერძნული და ქართული ელტრების ურთიერთ ზეგავლენაზე: „...ძველი ხალხების მითოლოგია, განსაკუთრებით ბერძნებისა, სულ ჩვენ ზღაპრებში არიან მოქცეული; აქვე შეხედებით ჰომეროსისა და სხვაძველი დროის მწერლების თხზულებათაჲს წაწყებინაწვეყიდა, მაგრამ ქართული ხასითით და სულოთ კი ვინ იცის, ჩვენ გადმოგვიქართულებია, თუ იმათ გადაურჯულბით ჩვენი რაბი?“² ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მწერლის სპეციალური შეცნინარული „შენიშვნები“, რომლებზე 1897 წელს გამოქვეყნდა აკაკის „ყრებულში“. აქ ის კიდევ უფრო აზუსტებს თავის ნააზრევს: „ისტორიის წინასწარ თქმულებისა და მითების საწინააღმდეგო საზოგადოლო საბერძნეთთა ცნობილი — უმეტესობა დღემდისაც დაჯერებულია, რომ ისინი შექმნა ვლენების აღტიყინებულმა დანტაზიამ და შერეუდნოსთა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ, პარტიკით, ბერძნებმა ვაიკანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლბორცეს, დავისებურად გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დააბრუნეს“³.

მართლაც, დღევანდელ შეცნინარებაში ზომ დომინანტობას აზრი იმის შესახებ, რომ ძველმა ბერძნებმა ბევრი მითოსის სიუჟეტი არაბერძნული — „ბარბაროსული“ ქვეყნებიდან ისახეს, თავის „აღტიყინებულ დანტაზიამ“ გადახარშეს და ახალი, პელინიური პოეტურ-მითოლოგიური ფორმა მისცეს, მაგალითად, თქმულება ულარესად პოპულარულ გიორგზე, აქილევსზე, ბერძნებმა „პელაზგების მიერ შექმნილ ელტრურულ შინაპოეტიკაგან შეიძინეს“; აღონისის ელტრი სირია-ფინიკიიდან წაიღეს; ასევე საყოველთაოდ ცნობილ დიონისეს კულტს, რომელმაც საფუძველი დაუდო ანტიკურ თეატრს, თრაკიიდან და მცირე აზიის ფრიგიიიდან მოტანილად აღიარებდნენ თვითონ ბერძნები⁴.

ბერკის სხვა მაგალითის მოვხანაც შეიძლება, მაგრამ მათგან ჩველანე თელსაზნიოდ საკმარისი იქნებოდა თქმულებები პრომეთეოს-

ზე და ოქროს საწმისზე. აქაი წერეთელი ზემოთმოყვანილი დებულების დასაბუთებლად განსაკუთრებულ ყურადღებას სწირდა. მწერლის მითოსის აქცესს, იგი იქვე ამბობს: „...მან ნამდვილად გვიმოკიცებენ, სხვათა შორის, ძველისძველი მითები „პრომეთეოსზე“ და „იზონ-შედაზე“. ერთიკა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ვლადამში“.

ახლა აქვე ყური მივუვდეთ, როგორ მსჯელობს მწერალი მითოსზე პრომეთეოსის შესახებ:

„ბერძნების სიტყვით, „მოთაგრ-ღმერთისაგან“ ურჩობისათვის ვარისხული პრომეთეოსი კუკასიას ქედზე იყო მიზმულ-მიჯაჭვული. მიჩენილი ჰყავდა მტანჯველად ქორი, ანუ ორბი. რომელიც ველ-ღმერთ უწიწნიდა, მაგრამ გმირი არ კვდებოდა: წყლული უმთავრდებოდა, რომ ზელახლად ველჯა მის ჯალათს — უზარმაზარ ქორს — და საბრალო ტყვის სატანჯველს დასასრული არ ჰქონდა. ეს აშბავი საქარბველოში, მთელ კუკასიაში სხვადასხვა ვარიანტებლად მოდებოდა, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პრომეთეოსის ამირანი ეწოდებდა. ბერძნულად სიტყვა „პრომეთეოსი“ ნიშნავს „შორსმჭვრეტელს“, აქაც ამირანს „შორსმხედველობას“ აწერენ: „ესაში არა გამოეპარებოდა-რა და ქვეყნელში ჰიანჯველებს ზედდალო“, გვარწმუნებს ზეპირგადმოცემის ბერძნები აღარ ამბობენ, თუ რა მანქანებით უმთელდებოდა წყლული პრომეთეოსის, ჩვენში კი უფრო სრულად არის გადმოჩინა: ერთი ვარიანტი ამტკიცებს, რომ პატარა ფინია ძალი ულოკავდა წყლულს და ურჩებოდა. მეორეც ამბობს, რომ ქორის შემდეგ ყოველთვის ფსკენჯი მიდიოდა, ფრთას უსემდა და ჰყურავდა. ბერძნების გმირი დაბეძული დარჩებოდა, რომ ბერხიან კოკლ ჰეფეტს — ერთ ღმერთთათგან — არ შეეყარა მისთვის ბოიკლო. ჩვენ გმირსაც ვერავინ მიაკრავდა ქედზე, რომ არ გამოჩენილიყო ერთი გრძნული კოკლი მჭედლი. ამიტომაც საზოგადოდ მჭედლებზე ვარისხებულნი ამირანი ღლესაც დიდლობს, რომ თავი აიშვას, აიწყვტოს და, რაც ქვეყანაზე მჭედლებმა, ერთად ვეულას მურსი ვაველოს. ეს ისე სწამთ, რომ ღლესაც კიდევ მჭედლები ჩვენში დიდხუთშაბათს დილას საშველურში უზმოდ და უბრად სამაგერ ზედანედ ურტყმენ ურს გრდემლზე, რომ ამირანის საჯავო პალო ყოველ წლობით გაამაგრონ ხოლმე და თავი არ ააშვებინონ“.

პირველ რიგში, აქ აკაკი წერეთელი ამტკიცებს იდენტურობას პელინიკა პრომეთეოსისა და მისი სუბსას, ქართულთა ამირანს შორის.

¹ აკაკის შვიდტომეული, ტ. მე-7, გვ. 437.
² აკაკის შვიდტომეული, ტ. მე-6, გვ. 486. იხ. ავტორი გვ. 481.
³ აკაკის შვიდტომეული, ტ. მე-6, გვ. 491.
⁴ ს. ყუბინიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 35.
⁵ Любкер Фр. Реальный словарь классической древности, стр. 16.
⁶ Радциг С. И., История древнегреческой литературы, стр. 188.

¹ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წიგნი 2, 1959 წ. გვ. 74.

ამის საბუთებად, „პრომეთეადასა“ და „ამირანიანის“ სოფეტური შვავებებიდან პოეტი განსაკუთრებული ხაზგასმით ჰყოფს შემდეგ მოტყუებს:

1. პრომეთეოსი და ამირანი ერთნაირი ღმერთმებრძოლური შეტრფებლობით ებრძვიან „მთავარ-ღმერთს“;

2. „მთავარ-ღმერთის“ ბრძანებით ორბევნი კავასიონის ქედზე იქნენ მიბმულ-მიჯაჭვული;

3. ორივეს მკვდელი დაბორცავს და მიჯაჭვავს: პრომეთეოსს — მკვდლობის ღმერთი ჰეფესტო, ამირანს — გრძნეული მკვდელი;

4. ორივე მკვდელი — ღმერთიც და გრძნეულიც — კოჭლები არიან;

5. ორივე დასჯილი გმირი წინასწარმხედველი არიან. „პრომეთეოსი“ ბერძნულად „წინასწარმხედველს“ (pro-metheia წინასწარპეტა), „შორსმჭერტელს“ ნიშნავს და ამირანსაც „ცაში არა გამოეპარებოდარა და და ქვესენელში ქიანველებს ხედავს“;

6. „მთავარმა-ღმერთმა“ ორივეს დამატებით სასჯელად შოველინა საშინელი ფრინველი, რომელიც გულ-ღვიძლს უჭიჭენის მათ;

7. ორივე გმირს წყლული ზელახდა უმთელდება და კვლავ ეგებება ახალ სატანჯველს.

გარდა ამ „შენიშვნებისა“, აკაის მხატვრულ შემოქმედებაშიც მტკიცედ აქვს დადებული თავისი მოსაზრება პრომეთეოს-ამირანის იგივეობის შესახებ.

.....ძველი პრომეთეოსი, ქართულებს ამირანი.

ამბობს იგი ლექსში „გაზაფხული“¹ ხოლო, როცა პოეტი წერს, რომ ამირანს

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის გულს ცეცხლი არ ჰნელდებოდა,²

აქვს იგი გულისხმობს „პრომეთეადაში“ ხაზვანობით ნათქვამს: პრომეთეოსი „მთავარმა ღმერთმა“ ზევსმა ისე სასტიკად იმბიტომ დასაჯა, რომ მან ზეცას ცეცხლი მოსტაცა და ქვეყნად, დედაშიწზე აღამიანებს ჩამოუტანა. ე. ი. აქვს პრომეთეოსი და ამირანი იდენტურნი არიან.

იგივეს ადასტურებს ლექსი:

ხელში მივირავს ტალღვესი...
ის ამირანის ძღვენია,
ზეციდან ჩამონატანია...
ზნელში ნათელს მფენია.³

ასევე-პოეტის პუბლიცისტკაში:

ერთი მითოლოგიური სიბრძნე-საღერე, ანუ იგავ-არაკი, შთგვიხატობს, რომ პრომე-

თეოსი, იგივე ჩვენი ამირანი, ღმერთებისაგან შერისხული მისთვის, რომ იმან კლავბედელებს მოპაპრა საიდუმლო ცეცხლის „ანთებესა“⁴ და ბნელის ვანობისა და ჩამოუტანა და ასწავლა მიწის შვილთა, — მიჯაჭვული იყო კავასიონის ქედზე...⁵

„მითოლოგია მოგვიხატობს, რომ პრომეთეოსი, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოპაპრა და გადმოსცა კაცობრიობას ბნელის ვანობებლად, მშენიარე მთავარ-ღმერთისაგან მიჭვდილი იყო კავასიონის მაღალ ქედზე...“

პოემაში „რაქა-ლეჩხუმი“ ჰელინთა და ქართულითა გმირი-ტიტანის გაიგვივებს საფუძვლად უდევს „პრომეთეა“ — „წინასწარმჭერტა“:

უთ ამირანი შორსმჭერტი,

კავასიონს ქედზე მიკრული...⁶

ან კიდევ ამედიამი:⁷

გატყობა მეტად შორეული ხარ,
რომ ამირანზე არა იცი რა.

ვიყაყო იყო ის უძლველი,
ღმერთებთან თავი არ დამიკირა...
წინასწარმჭერტი და შორსმხედველი,
ჯიშველებს სამართლს დაბლა უჭრიდა.

და მაღლა ღმერთებს, ყოელს შემძლებებს,
შეუთოვრობით თავს არ უხრდა.⁸

ყველა ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ აკაი წერეთელი პრომეთეოსისა და ამირანის იგივეობას ასაბუთებს ე. ი. ის იცავს მოსაზრებას, რის მტკიცებასაც გასული საუკუნის 40-იანის წლებიდან იწყებენ ქართველი მკვლევარები.⁹

თუ ამირანი და პრომეთეოსი ერთი და იგივეა და თანაც მათზე თქმულმა ორი ვარიაციული (ჰელინური და ქართული) ხაზით მოდის, ბუნებრივია, შერაროს წინაშე დისმბოღა კითხვა: ვისია მითოსის პირიანდელი სახე, ძველი ბერძნებისა, თუ ძველი ქართველებისა? რომელ მათგანს შეუქმნია ამირან-პრომეთეოსის თქმულების დედანი? ან რომელია თვითონ დედანი, „ამირანდანი“ თუ „პრომეთეადა“? ანდა, რომლისაგან „ისესმა“ და „ნასესებია“, საყუთარ ფანტაზიაში ვადამუშავების შემდეგ, ახალ სამოსელით წარედგინა კაცთა სულიერ სამყაროს?

ამ კითხვებს გადაჭრით პასუხობენ აკაი წერეთლის სიტყვები, რომლებიც ჩვენ მისი მსჯელობის დასაწყისში მოვიყვანეთ: „თქმულება „პრომეთეოსზე“, ისე როგორც „იპონ-მე-

¹ აკაის „შვიდტომეული, ტ. მე-6, გვ. 40.

² აკაის „შვიდტომეული, ტ. მე-7, გვ. 623.

³ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 1956, გვ. 289.

⁴ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, 1956, გვ. 191.

⁵ იხ. მ. ჩხოვეანი, ქართული ეპოსი, წ. 1, 1959, გვ. 48.

¹ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, 1950, გვ. 109.

² იქვე, გვ. 116; ტ. 3, 1954, გვ. 71; ტ. 5, გვ. 79.

³ იქვე, ტ. 3, გვ. 356.

ლიბე“, ზენე ქვეყნის შეილია: აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე ვადასულან ზღაპრულად ელლადაში“.

თეთი „ელლინთა მწერლები უკვე მე-5-4 ს. მოყოლებული ამ თქმულებას (პრომეთეოსზე, ლ. ს.) კავასიურად... თელიდენე, პრომეთეოსის თქმულებას კავასიურ თქმულებად სთვლიდა მაგ. გამოჩენილი გეოგრაფი სტრაბონიც“¹.

ამ წყაროებზე დაყრდნობით, აკაკი წერეთლის მოსაზრებას აგრეთვე საყრდნობით უტყვებს მხარს პ. ინგოროყვა: „ძველი — ელინური გადმოცემა პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავასიას თელიდა. ეს იმიტომ, რომ თქმულება კავასიიდან არის გადასული ელინურ მსოფლიოში. და მართლაც თეთი ელინი მწერლები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ პრომეთეს თქმულება კავასიურად წარმოშობისა... მათი სიტყვით ის, რასაც ელინი მწერლები მოგვითხრობენ პრომეთეს შესახებ — კავასიური თქმულების განმეორების წარმოადგენს“².

აქ, როგორც ვხედავთ, ყურადღება გამახვილებულია „მიჯაჭვის ადგილზე“. ხოლო აკაკი წერეთელი პრომეთეოს-ამირანის მიჯაჭვის ადგილს უფრო „ზუსტ“ ლოკალიზებულ ფორმში გვაქვს:

„ბერძნის მწერლები ამტკიცებენ, რომ პრომეთეოსი ამირანტის მთაზე იყო კავასიაში მიჯრული. შესამე საუკუნეში ქრისტეს წინ ამოლონიოს როდოსელი ამტკიცებს, რომ მდინარე ზაბის ამირანტის მთიდან გადმოდისო, სადაც პრომეთეოსი იყო მიხმული. რა მთა არის ეს ამირანტი ბერძენებისაგან მოხსენებული, რომ დღეს აღარ ვიცით? ეს ის მთა არის, რომელსაც ჩენი ზეპირსიტყვიანთა „ამირან-მთა“ ეძახის და სადაც ამირანი იყო მიხმული“³.

აკაკის ეს დასკვნა გვეშვეტანელია. მის მშვენიერად აქვს გამოყენებული ძვ. წ. მე-3 საუკუნის ბერძნული წყარო, ამოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, სადაც პირველად არის მოხსენიებული იგივეთა „ფასის (ფასისა-იარიონი) მთისა“ და „ამირანის მთისა“: „ოქ კეტაიის (ქუთაათა-ქუთაისი, ლ. ს.) ხმელეთზე და კარკეს ველზე ამირანტის შორეული მთებიდან გამო-მდინარე შორევიანი ფასისი მიავარებს თავის ფართო ნაკადს ზღვისაკენ“⁴.

პ. ინგოროყვაც ყურს: „ამირანის მიჯაჭვის ადგილად მიჩნეული ყოფილა ფასის მთა, ე.ი. კავასიონის მთის ის მწვერვალი, საიდანაც ღე-

ბულობს სათავეს რიონი (ელასპეტრი ფასისი). ამ მთის პრქმეგია „ამირანის“ ანუ „ამირანის მთა“⁵.

ასევე ა. ურუშაძე: „აბ. როდოსელი ამირანტის მთებზე უდაოდ ფასისის (რიონის) ნამდვილ სათავეს, რაქის კავასიონის ფასის მთის გულისხმობს“⁶.

მართალია, „მარტო მიჯაჭვის ადგილის ერთიანობით ვერ დამტკიცდება ამირანისა და პრომეთეს იგივეობა“⁷, მაგრამ აკაკი წერეთელისა და ძველი თუ ახალი დროის ავტორიტეტულ მეცნიერთა და მწერართა მოსაზრებას ამირან-პრომეთეოსის იგივეობისა და თქმულების ქართულიდან პელინურად საშუაროში გადასვლის შესახებ, ვერაღა საუკუნეებში მოტივების თანდამოხვევითობისა, ფესვს უმაჯრებენ თვით ანტიკურ ავტორთა მტკიცებანი.

უკანასკნელ ხანებში სხვა მოსაზრებაც გამოითქვა. მ. ჩიქოვანის გამოცემაში („ქართული ეპოსი, წიგნი პირველი, მიჯაჭვული ამირანი“, 1939წ.) ნათქვამია: „პრომეთესა და ამირანის სახეები ურთიერთ პარალელური სახეებია. ისინი მარადიული ორთქლები არიან“⁸. თუმცა „პრომეთეს მთიში, და მის გაგებაშიც, იბერო-ელ-კოლხური ელემენტი აღრიდან არის შეპრალი“⁹, მაგრამ მაინც „ამირანი და პრომეთე... ერთმანეთის ორთქლები არიან. ისინი ერთნაირი საუკუნეების სხვადასხვა ადგილას დამოუკიდებელი წარმოშობის შესაძლებლობას გვიდასტურებენ“¹⁰.

„ორთქლების თეორია“ მტკიცე მეცნიერულ საყვედურებზე ამარაგებს ემყარება, მაგრამ „პრომეთე“ „იგივეობისა და ნასესხობისა“, რომლის შექმნაში ერთი წამყვანი ადგილი აკაკი წერეთელს უჭირავს, დღემდე ძალს არ უკარგავს და საუფრადღებო საყვედურ პრობლემად რჩება...

პრომეთეოსი მთელი მსოფლიოს კაცობრიულ გრძნობა-გონებაში ფეხნადგმულია როგორც კაცთა მოღვმის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი უკეთილშობილესი გმირი. მარტოს განსაკუთრებით უყვარდა „პრომეთეს“ აღიარება:

„ქვეშაირატად, შე მამაც ყველა ღმერთი“ და ამბობდა: „პრომეთე — ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წამებულია ფილოსოფიურ კულენდარში“¹¹.

¹ პ. ინგოროყვა, იქვე.
² აბ. როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის განმარტებანი, გვ. 219.
³ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წ. 1, 1959; გვ. 58.
⁴ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, წ. 1, გვ. 97.
⁵ იქვე, გვ. 105.
⁶ იქვე, გვ. 190.
⁷ მარტოს და ენგელის ანტიურობის შესახებ, 1937 წ., გვ. 1, 2.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი პირველი, მეოთხე გამოცემა, 1951, გვ. 161.
² პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 1, გვ. 184.
³ აკაკის შედგომი, ტ. მე-6, გვ. 491-492.
⁴ აბ. როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის თარგმანი, 1948, გვ. 82.

აეკი წერეთლისთვის პრომეთეოს-ამირანი თავისუფლებისთვის თავგანწირული დიდი გმირია, კაცთა კეთილდღეობისთვის მოწამებრივ ბრძოლაში გულგატეხელი და სულით უძლეველი. ამ გმირის სახით მას ზნირად თავის სამშობლო წარმოუდგენია. მრავალი მტრისაგან მრავალგზის „შებოტილ-შეაჯველი“ და „გულ-ღეიღ დავობტინი“, მაგრამ ქედებრელი და შეუპოვარი. „თუმცა ტანჯულს შვეი ყორანი გულ-ღეიღს უდრეჯდა, იტანჯებოდა, მაგრამ პრომეთეოსი, ისეთივე ზვიადი და შეუპოვარი, როგორც თვით კავკასიის ქედი, არ იბრჯედა ქედს მრისხანე ღმერთების წინაშე და ამბარტყვებით ითმებდა დაუსრულებელ ტანჯვას. გლეჯდა შვეი ყორანი გულ-ღეიღს, მაგრამ რამდენსაც უდრეჯდა, ნაგლეჯზე იმდენი აბალ-ახალი ამოდიოდა. არ ვიცი, ძველთაჲც ტანჯვაში ყოფილა საქართველო, თუ ეს არაკი იყო წინასწარმეტყველება საქართველოზე, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ამ პრომეთეოსს გვიხატავს კავკასიის ქედის ფეხით გაშლილი, ტანჯული მრავალგვარად, წამებული საქართველო“.¹

ასევე: „უხსოვარ ღრთთაგანვე აუარებელი გუნდი ბარბაროსთა, პრომეთეოსს შვა ყორანითა, გულ-ღეიღისა ჰგლეჯდენ საქართველოს, ზღუდითდენ თუ აქ, თუ იქა, მაგრამ იმას მიინე სიკრცხლე არ გაქრობია — ვასლო და გასლო...“² კიდევ: „ამაჲი პრომეთეოსი შეუპოვად ითმუნდა დაუსრულებელს ტანჯვას და არ ემონებოდა ძლიერს მტერს... ეს სუტხოვო და ბრძნული აღეგორია პრომეთეოსში იღვანულად გვიხატავს მთელს კავკასიის ხალხს, რომელსაც ვაჩე ესმოდენ ყუავ-ყორანიეთით სხვადასხვა მძინეარე ძლიერი ხალხები და არ აძლევდენ მოსვენებას. მაგრამ ქედ-მთოდრეკელი და შეუპოვარი კავკასია ამაყად ითმუნდა ხანგრძლივ ტანჯვას და არ ემონებოდა ძლიერს მტერსა მუდამ დაფლეთილი პრომეთეოსის გულ-ღეიღი იყო საბრალო ჩვენი საქართველო, რომელსაც პრომეთეოსის გულ-ღეიღით, გამთელდებოდა თუ არა, ხელ-აბლდ უფრო ძლიერი და უფრო მძინეარე მტერი დაგლეჯდა ზოლმე: მაგრამ, ეს უწინაშარი და უსაყუდურო, თვით კავკასიის ქედებისათი შურთყველი რაინდი, საქართველო, ზნეითითად არ შერყევლა... ვაწყავ ხალხი დაუტყრომელ ბრძოლაში, დალია, დიდნა ფიხეარად. მაგრამ ირი იმდენად კი იმავ დროს აბაღდა ზნეობთად. — ზოლოს საქართველოს ბედის ვასკელავი დროებითად გამოიდა დრუბლიდან, შესხლტენ მტრები, შესვენა საქართველომ...“³

ამირან-პრომეთეოსის გმირულმა სახემ და საქართველოს ბედთან მისმა ანალოგიამ ყველაზე ძლიერი მხატვრული გამოშახველობა პოემა აკაცის ლექსში — ამირანი“.

ქართველთა შორის ეს მეტად პოპულარული და საყვარელი ლექსი თვით პეტრე ი. ჯავახიშვილმაც წარმოებებშიც („საქართველოს დღეობადელი სახე“ და „თორნივე ერისთავი“).¹

აეკი წერეთლის შემოქმედების ანტიკურ პასაჟებში დიდი ადგილი უჭირავს მეორე ცნობილ მითვისს — ე. წ. „არგონავტიკას“, თქმულებას არგონავტებზე, ოქტოსის სწქისზე, „ოქტოსის ქვეყანა“ — კოლხეთზე, შედევზე და ისინზე. ამ თქმულებისადმი პოეტის დღი ყურადღების წარმოსადგენად საჭიროსია ითქვას, რომ იგი მასთან დაკავშირებულ მასალების მარტო შეკრებასა და მოგროვებას ოთხ წელს ანდომებმ², იმავ „შენიშვნებში“ აეკი წერს:

„ამბავი იაზონ-მედიამ“ კიდევ უფრო ამტკიცებს ჩვენს აზრს (ე. ი. რომ „მედია-იაზონი“ პრომეთეოსივით“ ჩვენი ქვეყნის შვილია: აქ შობილა, აქ ვახარდილა, და კოლხეთით ასე გელაგულა ზღამრულად გელადამი“, ლ. ს.) თავისის უქვეყნობით. ელიონების გმირმა, თესალიის ბატონიშვილმა იაზონმა შეპყარა გმირი იმხანავები, გააკეთებია ნაჲ „არგო“ და წამოვიდნენ კოლხისაკენ, ვითოც და მათი ქვეყნიდან დაეარგულ ოქტოსმაცულოდ ვერძის საქებრად: შემოცურებს ფაოსის მდინარეში შავი ზღვით. იმ მდინარის პირად იყო საუცხოვო ქალაქი გაშენებული, რომელსაც „ეა“ ეწოდებოდა. იქ იჯდა მეფე „აეტი“, ჰყავდა ერთი ქალი „მედია“, გრმნელი მაჰიდის გაზრდილი, იმ მაჰიდის ერქვა სახელად „თორთია“ ანუ „ციარცია“; ამან ასწიელა თავის გაზრდილ მძინეულს, შედას, გრძნულობა და სხვადასხვა სამეურნალო თუ საწამლავ ბაღახების ხარშე... აქვე, აეტის სამთავროშივე, იმწყსოდა ის ოქტოსმაცულოდანი ვერძი, რომლის საქებრულად იყო იაზონი წაიხსული. იაზონმა მედიის დახმარებით მოიტაცა ის ვერძი და მედიაც თან წაყვანა კოლად. ამ ბერძნულ გადმოცემაში როგორც ადგილის სახელედი, ისე თვით ქალაქებისაც ერთი ვერძის მოკერით უტყობა, მაგრამ, თუ ჩაუვირბებით, გამოდგება, რომ ყველა ჩვენებურია, „ქართული“, მხოლოდ მათებურად, ბერძნულად გადაიჩქორთულებული. რა წყალია ეს ფაოსი, რომლის დღეს ხსენებაც აღარსად არის?... — რა და რიონი, რომელიც ფასის მთიდან გამოდის და რომელსაც იმ სათავეში დღესაც ფასის წყალს ეძახიან. აქ გადასხვაფერებულიც არა არის-რა, ბერძნული „ფაზის“ იგივე „ფასის“ არის. — რა იყო და რა ქალაქი იყო ბერძნების „ეა“, სადაც წლის განმავლობაში მერძნარე ჰყვოიდა? — ნაქალაქევი, ანუ ზღაპრული „იას“ ქალაქი, სიდაც, ზღაპრის

¹ ა. წერეთელი, თხ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 71—72; ტ. 5, გვ. 78.
² ა. წერეთელი, თხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 391.
³ ა. წერეთელი, თხ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 71—72; ტ. 5, გვ. 78.

სიტყვით, „ლეთსავარ“ მონადირე მივიდა და ნახა, რომ ზამთარში იქ ია და ვარდი იშლებოდა, ბერძნული „ეა“ და ჩვენებური „ია“ ერთი და იგივე უნდა იყოს. — ვინ არის აეტა მეფე? — კოლხეთის მთავარი, იას ქალაქში მჯდომარე „იათა“ მამასახლისი. ამგვარ შემთხვევაში ქართული ენის თვისებაა მრავლობითი რიცხვის ხმაურება. თავის დღეში არ იტყვის „ზღვის მეფეო“, „ხმელეთის მეფეო“ და სხვანი, ამბობს: ზღვათა მეფე, ხმელთა მეფე, ვარლთა მეფე, იათა მეფე და სხვანი. „აეტა“ და „იათა“ ერთი და იგივეა. ცირცეია და თორთეია ერთი და იგივეა, რადგანაც უცხოელები „თანს“ „სანად“ გამოთქამდნენ ხოლმე. მაგალითად, პლინუსი, 29—79 ამაზის: კოლხიდიამ არის ერთი მდინარე ცელსი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი ცირის წყალს ეძახიან, შიგ რაც უნდა ჩაავლო, გაქვევდება.

ეს წყალი დღესაც არის შორაპნის მახრამი, ქითორის მახლობლად და ისევე იმ თვისების მქონეა. თირი ძველებურ ქართულად ქვა არის, ვათირვა — გაქვევებას ნიშნავს. იათას დას სწამებდნენ გრძნეულობას, რომ აღამიანის როგორც განკურნება, ისე ვათირვა-გაქვევება შეუძლიათ და მტრომაც დაურქმევიათ თირა ანუ თირთა, ადვილი საგულისხმოა, რომ ეს ორი სიტყვა თირთაია და ცირცეია ერთი და იგივეა. ამგვარადვე აიხსნება სახელი მედიაც. სიტყვა „ქალა“ მხოლოდ მერვე საუკუნეიდან შემოსულია ჩვენში, არაბულად „ქალა“ ნიშნავს დედაკეთს; მანამდე ქართულად დედაკაცს „ღია“ ერქვა. აქიდან წარმოსდგება სიტყვა „ღიასახლისი“ და კინობითი „ღიაცი“. ჯერ კიდევ დღესაც ბევრს შევხვდებით ჩვენში, რომ „აკაცა“ ანუ „მევიარაკაცი“, „ქალა“ ანუ „მევიარქალა“ ერქვას — და თუ კი, „მევიარქალა“ შეიძლება სახელად, რატომ „მეღია“ კი არ შეიძლება, რომელიც ერთსა და იმავეს ნიშნავს? ჩვენი „მეღია“ „მეღედალ“ გადაკეთებულა ბერძნულად. რომელი ერთი მოეთვალეთ? რამდენი რამ არის ბერძნებისაგან გადათარგმნილი ანუ გადაკეთებული ქართულადან: მაგალითად, ჩვენი ქვეყნის ერთი მდინარეთაგანის ბერძნული სახელი „პიბიუსი“, იგივე ცხენის წყალი არ არის? ის „კვენაკარა“, რომელიც დასავლეთით უბერაკის კოლხიდას, ე. ი. ჩვენი „კოლხეთი“, იგივე „მქვენაკარი“ ანუ ქარი არ არის?.. „მოლი“, სამკურნალო ბალახი, რომელსაც მეღია აგროვებდა, იგივე ჩვენებური მოლი არ არის?..

ძილის მომგვრელი წამალი მცენარეო... იგივე ძილისგულდა სოკო არ არის, ჩვენ რომ ვეძებთ? და შვერელები კი ლურისსგულდას ეძახიან, რადგანაც „არული“ ანუ „ლური“ ძველებური ქართულია და მცირე ხანს წაიძინებას ნიშნავს¹.

აკაცის ამ მსჯელობის პირველი ნაწილიდან

ჩანს, რომ მან კარგად იცის ამოლონიოს როდოსელის აეტრობით დამუშავებულ ქმედება — ეპოსი — „არგონავტიკა“². მკვლევარმა და პირთა სახელების ქართული გზით ძიება, ვერ დაამტკიცებს აზრს ამ თქმულების ქართული წარმოშობის შესახებ. ჯერ ერთი, რას შეუძლის ხელს უცხოელის (ამ შემთხვევაში ბერძნის) ნაწარმოების ორიგინალობას, თუკი იგი მისთვის უცხო კოლხეთში მომხდარ ამავს აღწერს და კოლხეთის ადგილმდებარეობათა თუ პირთა სახელების კოლხურად ან „გადაბერძნულებულად“ მოისხენიებს? ჩასაკვირველია, ამით არ დასაბუთდება ბერძნებისაგან სხვა ხალხთა შემოქმედების მოთვლება. მეორეც, — ასეთი საკითხის („ნასესხების თეორიის“) განხილვისას შეუძლებელია ანალოგია „პრომეთეიდა“ — „ამირიანიანი“ და „არგონავტიკას“ შორის. თქმულება პრომეთეოს-ამირიანზე მხოლოდ ზღაპრული თქმულებაა, მაშინ როცა „არგონავტიკა“, როგორც ზღაპრულ სამოთხეშიც არ უნდა იყოს ის გიხეველი, რეალურ, ნამდვილად მომხდარ ამავსებადამყარებული. დღეს მეცნიერებას საეჭვოდ აიარ შიანი, რომ ძველ ბერძენთა („არგონავტიკა“) ლაშქრობა კოლხეთში ისეთივე ისტორიულად მომხდარი ფაქტია, როგორც ისტორიული სინამდვილედ დადასტურდა მითოლოგიურ ზღაპრებითა და პომპროსის ზეცადაპირილ ფანტაზიით შეხერხილი ტრაგის ოპი. არცერთი ანტიკური დროის აეტრობი არ უარყოფდა „არგონავტიკის“ რეალურობას, უარყოფდა კი არა, — ეჭვიც არავის გამოუთქვამს. თეთი ქვეყანადმჯდარი, დაკვირვებული სტრაბონი ამ ორიათას წლის წინათ თავგამოდებით გაიძახოდა: „როგორც ყველანი ამბობენ, ფაზისში მგზავრობა სარწმუნოა... ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს მართელი მოგზაურობა... გრძნეული მედეას შესახებ მოვითხრობდნ და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე, რომელიც ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სპილენძისაგან შედგება, რაც იყო მიზნეუ ლაშქრობისა, რისთვისაც ჯერ ფრიჭემ მოაწყო თავისი ლაშქრობა. ორივე ლაშქრობის (ფრიჭესა და იასონის ლ. ს.) ძველები მოითხრებო...“¹ აქედან ჩანს: ერთი, — სტრაბონი არგონავტიკა ლაშქრობის ნამდვილობის დასასაბუთებლად იშველებს ყველა მანამდელ აეტრობას, რომელიც ერბობივად ეთამბებთან მას („როგორც ყველანი ამბობენ“); მეორე, — მასში წარმოდგენილია მდიდარ კოლხეთში ბერძენთა ლაშქრობის ეკონომიური მიზნეუბი; მესამე, — კოლხეთში ბერძენებს ერთი კი არა, ორი ლაშქრობაც ეი მოუწყვიათ: იასონზე უფრო ადრე ფრიჭეს ულაშქრობა. ეს ის ფრიჭესა, რომელიც „არგონავტიკის“ მითოლოგიებმა ცნობილ ოქროს ვერცხე“ შესვეს და კოლხეთში ჩამოაფრინეს, თან იგი, სხვისი ნიშნების დაპირობაზე

¹ აკაცის შეიღტომეული, ტ. მე-6, გვ. 492—493.

² თ. ყაბჯინშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 70—71.

და დასახლებამზე მეოცნებე ბერძნებმა აქვე კოლხეთში დასახლეს და დააოჯახეს.

მაშ, „არგონავტიკა“ ჰელიოსთა კოლხური ლაშქრობის ეპიკურ-მითოლოგიური ასახვა და ექვი არ არის, რომ მისი შემოქმედნიც არიან თითონ ბერძნები, — მებრძოლები შთა შიერვე მოწყობილი შორეულ ლაშქრობისა, სულ სხვა ამბავია ის რომ „არგონავტიკას“ შირითადი თემაა კოლხეთია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო კოლხეთის დალაშქრის მხატვრულ ასახვას თემად კოლხეთი ეგნებოდა. ისიც მართალია, რომ კოლხეთში „იმწყსოდა ის ოქროსმატყელოვანი ვერხი, რომლის სამებნელოდაც იყო იასონი წა-მოსული“¹. დიამ, „ოქროს საწმისზე“ შეთხზულ ბერძნულ თქმულებას საფუძვლად ედო ძველ ბერძენთა უწყვეტი ოცნება „ოქროს ჭვეყანა“ — კოლხეთის დამორჩილებისა, კოლხეთისა, რო-მელიც თვით აკაის სიტყვებით არის „სიმდიდ-რით ყოვლად მოუღალავი, მშვენიერებით ვარ-შემოსილი“. ანტიკური სამეცნიერო და ლიტე-რატურული წყაროები უხვად გვაძლევენ ცნო-ბებს, რომ ბერძნებმა იყიან: კოლხეთში მთი-დან დაქანებულ მდინარეებს თან შოაქვთ ოქ-როს ქვიშა; კოლხებმა ამ მდინარეებში ჩასდებენ ცხვრის ტყავებს და მითი მეოხებით იღებენ დაწმენდილ („დასაწმისებულ“) ოქროს; სწორედ ეს ცხვრის ტყავები, ოქროს ქვიშით დაღვე-თილნი, არიან ოქროს საწმისები. აკაიც ხომ წერს: „ტყავებით ვიჭერო ჩვენ ოქროს სილას, მდინარეების ჩამონატარებს“¹.

ეს ცნობები და ლტოლვა ასეთი მდიდარი ქვეყნის დაუფლებასა, დიდებული საფუძველი უნდა ყოფილიყო სხვათა მიწაყლის დაპყრობის მოსურნე და მეოცნებე ჰელიოსთათვის, რათა შეეჭმნა მშვენიერი თქმულება „ოქროს საწმის-ზე“.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სახელგანთქმულ „ტროას ომთან“ დაკავშირებით: ტროიანული ცილის მითოლოგია და მასზე დაფუძნებული „ილიადა“ ბერძნულია, მაგრამ მისი ძირითადი თემა აზია და აქტივი ქალაქი ტროა-ილიონია, რადგან „ილიადაც“ ბერძენებისაგან ტროა-ილი-ონში რეალურად მოწყობილი ლაშქრობის ეპი-კურ-მითოური ასახვაა.

აკაის კალამმა „ოქროს საწმისისა“ და „მე-ღისა“ თემის მრავალი ბრწყინვალე სტრიქონი მოუბღენა და მრავალიც განზრახული ჰქონდა. „ჩვენ ვადაწყვეტილი გვაქვს, — წერს იგი — „მედისა“ ტრილოგიად დაწერა... „მედია კოლ-ხიდაში“, „მედია ელდაში“, „მედია სამშობ-ლოში დაბრუნებულა“ როცა სამივეს ერთად გამოვეცემთ, მაშინ უფრო ვრცელს გამოკვლევას ჩაუერთავთ...“².

განზრახული ტრილოგიიდან პოეტმა სრული

¹ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 223.
² აკაის შეიდტომეული, ტ. მე-6, გვ. 493.

სახით მხოლოდ პირველი ნაწილი დავეიცოთ — დრამატული პოემა „მედია“, ბევრე „მედია კოლხიდაში“. დარჩა კიდევ ოცნებრიქონი ლექსი-ფრაგმენტი „მედია ელდაში“¹.

სიძულზე სიანტერესო კი უნდა ყოფილიყო ტრი-ლოგიის მეორე და მესამე ნაწილი. ჯერ ერთი, ავტორი „ვრცელი მიცნებრული გამოკვლევის ჩართვას ამარბუნდა“; და მეორეც, რაც განსა-კუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად ჩიათელე-ბოდა, იქნებ აკაი გააქარწყლებდა იმ შემედარ აზრს, რაც კოლხეთელ ქალზე არსებობს დღემ-დე მთელ მსოფლიოში, რომ თათქოს მედეამ, უმაღურ ქმარზე შურისასახებლად, ყოვლინ დას-ქრა საყუთარ შეიღებს (1). ეს მოვინილი ამბა-ვია და მოვინილი ასეთი დიდი შწერლისაგან, როგორც ვერბიბდე იყო. ვერბიბდეს ცნობილი ტრაგედიის „მედისა“ უარესმა პოპულარობამ კოლხ ქალს ტრადიციამა დაუმეკიდარა შემზა-რავი სახელე შეიღების მკვლელო დედისა. სწო-რედ მხოლოდ ვერბიბდესაგან მოდის, რომ დღემდე კაცობრიობის წარმოდგენაში მედეა და ღვიძლი შეიღების მკვლელო დედა სინონიმებად დაარჩნენ.

ამაში რომ ნათლად დაერწმუნდეთ, ჯერ ისევე მოკლედ მოგზახოთ ცნობილი მითისა, რომელიც აკაიმ და ვერბიბდემ საფუძვლად დაუდეს თა-ვიანთ თხზულებებს. ე. ი. ვანებისლოთ ორი „მედია“ და თან ისიც შეენიშოთ, როგორ არის მოცემული თითოეულ მათგანში სიბართლე ტრა-დიციული მითოლოგიისა.

თქმულების პირველ ნაწილში, რომელიც აკა-იმ გამოიყენა, ზოგი არსებითი შესწორებით გადმოცემულია შემდეგი:

კოლხეთში ჩამოვიდნენ ბერძენი გმირები (არ-გონავტლები) ისონის მეთაურობით. უნდა წაე-ლოთ სახელგანთქმული ოქროს საწმისი. კოლხ-თა მეფემ აიეტმა ისონს განუცხადა: ოქროს საწმისი იმ შემთხვევაში მოგცემ, თუ ჩემებრ გუთონში შეებამ ღმერთ ჰევისტოსსაგან ნაოქმარ სპილენძისფეხებიან ხარებს, რომლებიც სპი-ლენძისფეხ ნესტოებიდან ცეცხლის ზვირთებს აფრქვევენ, ერთ დღეში დახანვე ოთხდღიურ „პირქუშ მიწას“, დასთეს კბილებს გველეშაბი-სას და მათგან აღმოცენებულ დევემარებს და-ხოვავო. ისონი ამს ვერ შესაძლებდა, მაგრამ მსსენლად მას სიყვარული მოველინა. ის შეუ-ყვარდა აიეტის ასულს, გრძნულ მედეას. შე-დამ ისონს მისცა ჯადოსნური წამალი, რომ ლაიყა ამან სხეული დაიზილა, საპურველოც გაფერა და ამის წყალობით აიეტის დახლებაც შეესარულა. მეფე მიხედა, რომ შოატყუეს და საწმისის მიციმამზე გადაქრით უარი თქვა. მაშინ, ისევე მედეას დახმარებით, ბერძნებმა მთაბრზეს ოქროს საწმისის გატაცება. ისონმა მედეაც თან წყაყვანა. აიეტმა კოლხთა ლაშქარი შეჰყარა,

¹ ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 330.

სათავში თავისი ვაჟი აფსირტე ჩაუყენა და
ტრაცებლებს გამოადგენა. ბოლოს და ბოლოს
კოლხები წამოეწივნენ და გზებზე შეუტარეს არ-
გონაველებს. ისინი კვლავ მდებებს დახმარებით
სცადა თავის გადარჩენა. მისი თხოვნით მეფის
ასულმა, თითქოს და მოსალაპარაკებლად, ღამით
მოიხიშო აფსირტე. როცა დაძმა ერთმანეთს
შეხვდნენ, იქვე მიმალული ისინი გამოიჭრა და
კოლხთა სარდალი ზურგდიან მუხანათურად
განგმირა. არგონაველებმა უსარდალად დარჩე-
ნილი კოლხები დაამარცხეს და ჰელადისაგენ
გზა გაიკაფეს.

ეს არის მასალა აკაიოს „მედიასთვის“. მას-
ში ნოვა რამ პოეტმა, მხატვრული ძეგლისას,
შესცვალა, მაგრამ ისე, რომ ტრადიციული
თქმულების საერთო ხაზი არ დაურღვევია. იმ
ეს ცვლილებებიც:

1. ბერძნულად მოცემულ მოქმედ პირთა სა-
ხელებს ქართულად ფორმები აქვს შეწონილი:
აიუტი-იათა, ჰეკატა-გეჭადა (ბერძნულ ვარიანტ-
ში — იდია), მედეა-მედია, აფსირტე-ისირი, ცირ-
დი (ლათ., ცირცე)-თირთა;

2. დამატებულია რამდენიმე ახალი მოქმედი
პირი: ძიძა, ძუძუდა, მოჭრი, ქლიბი (-ხალიბი),
მოთვარ-კაბდელი, ტყვე, სახლთუხუცესი, მოცი-
ქული და სხვ.;

3. ბუნებრივია, პოემა-დრამის შექმნისას მწე-
რალი ითვალისწინებდა მისი სცენური განხორ-
ციელების შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით,
ცეცხლისმფრქვეველი ხარების გუთანში შებზი-
სა, ხენა-თესვისა და დევთა ლაშქარის გაფლე-
ტის ნაცვლად, აკაიომ, აიუტი-იათას პირით, ისინის
ჰიდაობა დააკისრა მაგრამ ისე, რომ აქაც ბერძ-
ნული ვარიანტი სულ არ დაეუფიწინა: მკითხ-
ველმა და მკითხებელმა მეფის სიტყვით იცის,
რომ, გველემას გარდა (ბერძნულშიც: დრავო-
ნი), ოქროს საწმისს

რქებმოკვდილი ბასრი ფოლადით
გარს უტრიალებს მას ორი კროს...
მათი შებმა და მათთან ბრძოლა
ნურვის ჰგონია საქმე სახურმო!

ასევე, მთხრობელს სცენაზე შემოაქვს იმბავი,
რომ ისინი ის ხარები დამორჩილა, მაგრამ
სხვა გზით და არა მედეას დახმარებით:

შვი მიზრებებს მოსახიბლავად
მან თეთრი ძროხა წინ წაიძლოლა
და მათაც, ვნებით დაქანცულუბმა,
ველარ შეიძღეს რქენა და რწოლა!

4. პოემაში ისინის აქტიურ დახმარებლად უფ-
რო მისიან მოხიბლული აფსირტე-ისირი ჩანს,
ვიდრე მედეა. ის, მდევრად კი არა, თვითონ თა-

ვის სურვილით წაყვია ისინს მედეასთან ერ-
თად;

5. აფსირტე-ისირი დაიღუბა არა ისინისა
და მედეა მუხანათობით, არამედ ის ბერძნულ
აღლუბებელი ზღვის დასამშვიდებლად ღმერ-
თებს შესწირეს მსხვერპლად.

აღლუბებულ ზღვის დასამშვიდებლად
თავისიანი რომ ვერ გასწირეს,
ისირი დამღვეს ბერძნებმა მსხვერპლად!

უქანსკენელი სამი ცელილებიდან ჩანს, რომ
აკაიომ თითქოს „ღაზოგა“ შედეა; თითქოს შუამ-
სუბუტკა ის უმძიმესი დანაშაული (ღალატე სამ-
შობლო კვეყისა, შშობლესა, ძმისა და სხვა-
თა თავისიანთა მიმართ), რაც მასზე ტრადი-
ციულ ბერძნულ მითოსშია მოცემული. მაგრამ
მედეას „განმამათურების“ აკაიოსმიერი ცდა
სრულბითაც არ აღდევს თქმულების საერთო
მსგელობას. ✓

ახლა ენახოთ, რა „დღე დააყარა“ მედეას და
საერთოდ ტრადიციულ მითოსს ევროპიდემ. უკრ
განავარძოთ თვითონ თქმულება, მისი მეორე
ნაწილი, რომლის გამოყენების აკაიოსელი
განზრახვა არ განხორციელებულა, ხოლო იგი
თავის ტრაგედია საფუძვლად დაუდო ევროპი-
დემ:

შვე შეუღლებული ისინი და მედეა კარგა-
ხანია შეღდაში, კორინთოში, ცხოვრობენ.
ჰყავთ შვილები (ზოგი ვერსითი — შვიდი ქალი
და შვიდი ვაჟი). მაგრამ ისინიმა შეუღლებუ-
გული აიყარა და პატრიმონიარული მიზნებით
(მეფედ გახდომის სურვილით) გადაწყვიტა ცო-
ლად შეირთოს კორინთოს მეფის, კრონოს ასუ-
ლი გლავა (კრუზა). შეგონებელი მედეა ამოღ-
ცილობს დაიბრუნოს შჰარი, რომლისადმი სი-
ყვარულმა უოველგვარი შშობლიური გააწირვი-
ნა და დაეარგვინა. მაგრამ ისინი მტკიცედ
დგას თავის გადაწყვეტილებაზე. მაშინ მედეამ
გადაწყვიტა შერი იძიოს ისინიშეც და კრონ-
ზეც, რომელმაც კორინთოდან მისი გაძევება
ბრძანა... ის ვითომ შურთგდა ბედს და ისინის
ახალ საცოლეს, გლავას, საშუქრად გაუგზავნა
ძვირფასი წამოსასხამი და გვირგვინი. როგორც
კი გლავა ნაშუქრებით მოიკაზმა, მაშინვე სა-
შინელი ტანჯვით გამოუსაღმა წუთისოფელს,—
მედეასგან მონაძლეინი ნივთები მოწამლული
იყო. კრონიც იმ წამსვე შეკდარი დაეცა, როცა
მან საწამლაკით ცეცხლბუდებელი შვილი
მკერდში ჩაიჭრა...

ამაღდ თქმულება ევროპიდეს ტრადიციული
ხისწორით აქვს გამოყენებული. მაგრამ აქედან
ის მითოსის მანამდე გაერცილებულ ხაზს ცვლის
და ახალი, მითოლოგიის საწინააღმდეგო, გზით
მიდის. სახელდობრ: მან ისინისადმი მედეას

1 ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6,
გვ. 224.
2 იქვე, გვ. 239.
3 „მთაბობი“, № 9.

1 ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6,
გვ. 243.

შერისიძეობა კიდევ უფრო გამაძლიერა იმით, რომ საყვარელად არ ჩასთვალა მეტოქე გლაჯასა და გორიზი კრეონის სიყვდილი და მედვას საკუთარი შეილება დააბოცუნა, რა არის და, იასონის შეილებების განადგურებით კიდევ შეტად მოუწვალა გული.

მომსახურე, მედვა როგორც შეილების მეტელე და, მხოლოდ და მხოლოდ ევრიბიდეს გამოგონილია. თუ ეს ასეა, მაშინ სინამდვილე სადღა? გვაქვს თუ არა მითოლოგიური ტრადიციები რაიმე წყარო, რომელიც სიყვარულით გზაბნეულ კლას ქალს მოხსნის შეილების მეტელელის შემზარავ სახელს? დაახ. ასეთი წყაროები არის, და გაცილებით უფრო სარწმუნო, ვიდრე ევრიბიდესაგან გამოგონილი საშინელი ფინალი ტრავედიისა.

სინამდვილეში თქმულება მედვაზე და იასონზე, ზემოთ შეწყვეტილი ამბიდან ასე ვითარდება: როცა მედვამ იასონის საცოლე და სახომარო მოსკლა, კორინთელებმა, გლაჯასა და კრეონის ნათესავებმა, სამაგიერო შერისიძეების მიწათ, მედვას შეილება დაუბოცუნეს. ამ ვაცილებით უფრო სარწმუნო ამბავს ციკლად იმას, რომ მედვამ ღვიძლი შეილები ვითომ საკუთარი ხელით დასკლა) გვიდისტრუბუენ შემდეგი წყაროები:

1. კრეონილე, ძვ. წ. მე-9—8 საუკუნეების პოეტი, პომეროსის თანამედროვე, მისი სიძე და მეგობარი;

2. სქოლიასტი სახელოვანი პინდაროსისა (ძვ. წ. მე-6—5 საუკუნე);

3. პარმენიადე, ძვ. წ. მე-5—4 საუკუნეების მენენიერი-გრატიკოსი, ბერძნული ლიტერატურის კომენტატორი;

4. პავსანია, მე-2 საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი;

5. კლავდიუს ელიანი, მე-2—3 საუკუნის ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. ეს თავის თხზულებაში („ეპირა პისტორია“ — „სხვადასხვა ისტორია“) იმასაც კი გადმოგვცემს, რომ კორინთელებმა ევრიბიდეს ხელი ტლანტი (დაახლოებით 75,000 მან.) მისცეს, რათა ბავშვების დახვედრა დედისათვის დაეზრალეებინა, ზოლო მითფისი კი ჩამოერეცხნა ბავშვთმკვლელობის სისხლიანი ღვაჭი...

აქ ჩამოთვლილთაგან თითქმის ყველა ცრეოდილეს ვარდა) შეცნობიერა მეტელეარია. მაგრამ მათთან დაკლები სინამდვილე ევრიბიდეს გენის გამოწვევას დაეწინაურებს მისცა. ისეთი დაუკლებელი ამბავი, როგორც ღვიძლსაგან ღვიძლი შეილების დაბოცვა, ევრიბიდეს მხატვრული სტიკების სიდიდემ დამაჯერებელი ვახადა. მან

უდიდესი რეალისტრობით დახატა ქალის როგორც თავდადებული სიყვარული მისევე ქალში შერისიძეობად მომსახურის სამუშაოები. და ამ რეალისტრის მსხვერპლი შეიქნა კოლხი ქალი მედვა. ამ მხრივ ის გამოჩაგისს არც წარმოადგენს. საერთოდ, ევრიბიდესაგან დახატულმა ქალებმა შერისიძეების საზღვრები არ იციან. მისი ტრავედიების ყველაზე ძლიერი ტიპები სწორედ ასეთი ქალები არიან (მედვა, ფედრა, სვენებეა, ჰეკაბე, ალკმენა, ჰერმიონე და სხვ.). ამ ქალთა ქარიშხლიანი სულიერი ცხოვრება მაშინდელ ტრადიციებს იმდენად რეალისტრად მიაჩნდათ, რომ მაშინვე დაადასტურეს არისტოტელის ერთ-ერთ კომედიამში („თესმოფორიამესები“) ნათქვამი: ევრიბიდემ ქალები ისე გალანძლა და ლაფში ამოსვარა, რომ მშრები, თეატრადან დაბრუნებისას, ევით აღსავსენი მიჯარღებიან ხოლმე თავიანთ ცოლებს და ათასნაირ ბოროტმოქმედებაში სდებენ ზრასო 1.

თანამედროვენი და შთამომავალი ევრიბიდეს უსაფუძვლოდ როდეს უწოდებდნენ მიზონის, ე. ი. ქალიშობილეს.

დამახასიათებელია ისიც, რომ წყაროები დაბეჯითებით გადმოგვცემენ ევრიბიდეს სიციხის უცნაურ დასასრულს: ის ქალებმა დაწინაურეს, თუ ცოფიან ძალეებს დააგლეჯინეს; თითქოს ასე გადღვასდეს ქალებმა მათი ძაგების დიდ მესაყვირეს...

მომსახურე, ევრიბიდეს „მიზონისობას“ ემსხვერპლა მართალი ამბავი კოლხი მედვას შესახებ. პელინი მწერლის უკლებიერება კალამმა გზას ააღდინა სიმართლე ტრადიციული მითოლოგიისა. მისმა სწორიერებამა სიტყვის ძალამ დაჯიწების ფერფლით დახატარა სინამდვილე კოლხი ქალის ტრავედიისა.

თუმცა ძნელია შებრძოლება დიდი მწერლის თუნდაც მეტადად დანერგული ტრადიციის შესაბამისად, მაგრამ აქაც წერეთლის გენისი კი ნამდვილად შეეძლო იხვე სწორ ხაზირკვლეულადედიან ევრიბიდეს კალამით გზასაცდენილი ტრადიცია. სწორედ აქვთ მითონცხებულ კალამს ძალდდა, მართალ წყაროებზე დაყრდნობით, დამარისპირებულა კოლხი ქალის „ღვიძლი მათგებელსა“. მაგრამ განზრახული ტრადიციის შიგნით ნაწილი არ დაიწერა და მედვა ვეღარ „მიეშთხვია დიღსა მკებელსა“...

„იასონ-მედიას“ თემა, მოხსენებულის ვარდა. კიდევ მრავალ მარგალიტებამ გამოკითხის აკაკიეულ შედეგებში.

1 ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 343.

შოთა ძიძიავი



აკაკი და ქართული ენა

„ბევრი მიფიქრია ჩვენს ქართულ ენაზე, დაგვირგებებია: ხან ავფრთვანებულვარ, ხან დავნადღლიანებულვარ, უძილობით ხომ დამეგები შიტეხია“.

აკაკი

თამაშად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი, ისევე როგორც ილია, ყველაზე ეროვნული მწერალია უმთავრესად ახალ ქართულ ლიტერატურაში. მისი პოეტური აზროვნებისა და შეტყულების სათავეების ამოსაცნობად ამოთა ლიტერატურული ტემინისციების მოშველება, — აკაკის შემოქმედებითი ფესვები ჩვენი ერის სულიერი კულტურის ნიადაგშია საძიებელი. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ქართული მწერლობის ისტორიაში — რუსთაველის შემდეგ — აკაკი ერთადერთია, რომელსაც ამდენი მომღვაწი და მომხაზველი პუბლიკა, — „აკაკის სკოლა“ ყველაზე ნაყოფიერი და ფართო აღმოჩნდა ახალი ქართული პოეზიის განვითარებაში.

აკაკის პოეტური შეტყულება განუმეორებელი ნიმუშია ქართული ენის ამოურწყველა შინაგანი შესაძლებლობებისა. რუსთაველი, მთაწმიდელი, საბა ორბელიანი, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა — ამ მაგისტრალური ხაზი ჩვენი ენის სტიქიის ლიტერატურული გამოხატულებისა.

აკაკისეული პოეტური ფრაზა არაჩვეულებრივი ბუნებრიობითა და ამაღლებული სისადავით ხასიათდება. ზღადაუტანებლობა აკაკის ლიტერატურული სტილის ნიშანდობლივი თვისებაა და მისთვის უცხოა ხელოვნური ენობრივი გართულება, ფრაზის კონსტრუქციული დაბნელება. მე ვფიქრობ, არსებითად ენის ბუნებრიობისაკენ მიდრეკილებამ და ხელოვნური შეღავათების უფლებეულობამ ათქმევინა აკაკი: „...საზოგადოთ მე ხელოვნებას დიდ ვერადღეებას არ ვაქცევდი... ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის, რომ, თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შეიკ გამოერე, მარჩა, გათავდა. მისი მთლიანობა და ერთიანობა ირღვევა“. ფორმულირება — „მე ხელოვნებას დიდ ვერადღეებას არ ვაქცევდი“ ზოგმა კვლევკობად ჩაუთვალა პოეტს (კობა აბაშიძე). ზოგმა კი თავის თავისადაც საყვედურის გამოთქმად (ვახტანგ კობეტაშვილი). ვარლამ თოფჩიამ ვუვი შეიტანა აკაკის ზემომოყვანილი სიტყვების გულ-

წრფელობაში, რადგან, მართლაც, ისე გამოვა, რომ მხატვრული ნაწარმოების შექმნისას ენას, მის სისწორეს, დახვეწილობას, ერთი მხრით, და თხზულების შინაარსს, ფორმას, აღსაგობას, მეორე მხრით, აკაკისათვის მნიშვნელობა არა აქვს; აკაკი მწერლის მაღალ შემოქმედებას, — თხზულების შინაარსს, ფორმას, ენას განსაკუთრებული გულისყურით ეკადება“.



აკაკის მხატვრული შემოქმედება ენობრივი რეალიზმით არის აღბეჭდილი. ენობრივი რეალიზმი კი შინაგანი აუცილებლობით მოითხოვდა ხალხური მეტყუელების სტილისტურ გადამშვეებასა და დახვეწას. აქედან ვასაგებია, რომ დაახლოებით აუცილებლობა მღადაური ქართული ფოლკლორული სამყაროს შესწავლისა და ხელშეუხებუ მასალების გამოვლინებისა. აკაკიმ ხალხური სიტყუერების ფონდების პუბლიკაციის დიდი ამაგი დსდო და საგანგებო კრებულის („აკაკის კრებული“) დაარსებით საფუძველი ჩაუყარა ხალხში განხვეული „ოპოლი მარგალიტების“ სისტემატიზაციასა და მეცნიერულ ანალიზს. ყოველივე ეს მოითხოვდა ხალხში ტრიალსა და ფასდაუღებელი ფოლკლორული მონაცემების შეკრებას. საგულისხმოა სოფტომ შვალთბლივილის მოგონება: „აკაკიმ რაც წერით გაატყდა, ერთი იმდენი — ხალხში გამოსვლით, იგი უფველ წელს წავიდა ხოლმე ხან ეროს კუთხეს საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყუა გაქჟონდა ხალხში და ქირ-ვიარამს უქარებდა და წმანდდა გუღიდან; აკაკი აერთად-ერთი მწერალია, ერთად-ერთი მგოსანი, რომელიც პირდაპირ გაეცნო თავის ხალხს, თავის ერს, ჩიბებდა მის სუღიანს, მაგრამ უმწკელო სულსა და გულში. იქიდან სეველიან ერემლთავან შეიკნძელი მარგალიტები ამოკრიფა, თავის ჩაჩვს სიმებად დაასხა. და მადლიანი მარგკეენით ააღღერა იგი“. 1913 წელს აკაკი თედო ფორდანიას სწერდა:



„ძმო თედო... მეც ცოტაოდნად კიდეც ჰველ ქართულად ვაზრდილს, ვ რო ვნულ იგაე- არაკეებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსეო“.

აქაის ბავშვობიდანვე იღებდა ფოლკლორი- სარში ინტერესი და სიყვარული. როგორც გად- მოცემებიდან ცნობილია, იგი „ჯერ კიდეც თო- ხი წლისაც არ იყო, რომ ზღაპრებს გამაღებით უღებდა უფრს“. გლეხის ოჯახში ვაზარებას, უფაღება ითქვას, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქაის ხალხური აზროვნების ფორმირე- ბასა და ჩამოყალიბებაში. აქ ეზიარა მომავალი დიდი პოეტი ჩვენი ენის სურნელებასა და ფორ- მათა ნორნაირობას, ხალხური შემოქმედების საუნჯეს, ქართულ ენობრივ სტიქიას. პატარა აკაი ხარბად ეწაფებოდა ხალხურ ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზა-ვაიმოცანებს, „ზამთრის გრძე- ლი ლაშქების შესამოკლებლად გადაა ჩემი ზღაპრებს მუდუნებოდა ხოლმეო, — იგონებს პოეტი. — ზოგიერთი მათგანი დღესაც გულის ფიქარზედ მაწერია... შახსოვს, ერთს შკაცრ ზემთარში, როდესაც შევიტყენ სარკვეში იხედებოდა და ქარიშხალიც ვარედ ისე გულ- საკლავად ზეოდა, რომ თითქოს, სიცივისაგან ატანილი, თბილ ოთანში შემოშვებას იხვეწე- ბო, — გამზიარებულ ბუხარს წინ შვლის ტყავზე რბილად და თბილად ვიჯექ და სულ- ვანბული უფრს ვუვღებდი ვადიას: იმ დროს ის ამბობდა „ოქროს წყაროს“ ზღაპარს“. ანდა: „სიღამოს... დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხარს წინ ვაგვიშლიდენ შვლის ტყავს და დაგვემადენ ზედ. ირგვლავ შემოგვეხვეოდენ ბაჭები და მოგვთყუებოდენ სოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვეწყინებოდა, მაშინ ვაეშირ- დებოდით ხოლმე ერთმანეთში, ან გამოცანებს ვამბობდითო“.

პატარა აკაი არ იყო ხალხური შემოქმედე- ბის პასიური ამოთესებელი. იმდროინდელია აკა- კის შიერ გამოთქმული შაირები, სადაც ნათ- ლად ეგრძნობა ხალხური რემინისციები. მაგა- ლითად, შორეაღზე მის ასეთი შაირი გამოთუ- ქვამს:

ბეღელს თავი შესხვევია,
ხრავს სულ რაც სახრავიო,
მაგრამ თვითონ დიდ თავვი
თვითონ შორეავიო.

ქრისტეფორე ბერზე გამოთქვამს:

ქრისტეფორე ბერიაო,
ცოდვას ვაუბერიაო,
წვირები ჩვენს ვიას მიუვაეს,
განზე ვაუშვარიაო.

შინაყმა თომა სადუნისეილზე უთქვამს:

ყვო, ყვო, ყვანალო,
ჩამოვიღლია ქალო,

თუ შეიტყე, როდის მოვა
ჩვენი თომა ქანალო.

ხაბაზი ასე „მეუშვია“ პატარა აკაის:

შენი ვამოშქვარა პერი,
ლავაში და შერასაო,
აღამიანს არ ექშევა,
ვადუშარეთ შერასაო.

საინტერესო თემა აკაის შემოქმედებაში ფოლკლორისმების გამოყენება, ხალხური ციტა- ტების გამოყენება. არაიშვიათია მის პოემებში ამგვარი ნიმუშები:

1. ათონით დაბარუნებული,
თორნივე მოციქულობსო
და „ორივე ხელით იქმება
ქადა, თუ გული გულობსო“.
2. არა, „ხმა ლეთისა-ხმა ერისაო“,
ხომ ვარჯად იცი შენ, მაშინ?
დღეს ერთი ვირჩევს ერთხმად წინამძღვარად
და უარის თქმა არის ამაო.
3. და უთხრა ჯოჯიკს: — ახლა შენ იცი,
შაგი დღეებია შენ ხარ გმირიო;
„ძმა მძისთვისაო, ამ ზარისთვისაო“.
ვაგვიადვილე ვსაპირიო.

აკაის პოეტური მეტყველების ხალხურობის შესასწავლად უადრესად საინტერესოა ის გარ- რემოება, რომ ხალხურ ლექსებში ვადასულია ორგანულად შერწყმული ციტატების სახით აკაისეული პოეტური კონსტრუქციები. მაგა- ლითად, მიხვალ ჩიქოვანს იუალთოში ჩაუწერია თქმულბა შოთა რუსთაველზე. აქ ჩართულია სავსებით ბუნებრივად აკაის ლექსები. რუს- თაველი თამართან დაიროქებს და ეუბნება:

ერთხელ მხოლოდ სიზმრად ენახე,
ქალთა ჰქონდათ ერთად კრება,
ტახტზე იჯდა თამარ მეფე
მოცინარო, შოშილიმარო,
მარჯვნივ ეჯდა თინათინი,
მარცხნივ ნესტან-დარეჯანი.
ვარსა ესხა სხვა ქალები,
როგორც შთავარს ვარსკლავები.
— ერთხელ ენახე თქვენთან ძილში, —
(ეუბნება შოთა თამარს), —
ქალთა ჰქონდათ ერთად კრება,
გუთიცებით ერთგულებას,
დღესაც ისე მენატრება.

მ. ჩიქოვანსავე ლეზბუში ჩაუწერია ერთი შობუცი ქალისაგან აკაის ლექსი „ქართული ქალი“, რომელსაც მოქმელი ხალხურ ლექსად

ასალებდა; ჩაწერბლია ამავე ლექსის ვახლ-
ბურებელი ვარიანტიც.

აქაის პოეტური ენის ლექსიკის მასა-
ზრდოვებულ წყარო ისევ ხალხური სიტყვობ-
რივი სტიქია. ჯერ კიდევ ყრმა აკაი გღებს
ოჯახში უცვირდებოდა შრომითს საქმიანობას
და ითვისებდა სათანადო ტერმინოლოგიას. ეს
ისეთი სიტყვებია, რომლებსაც მანამდე არ
ღარსებია ლიტერატურული გამოხატულება.
„ზეთი-ვუკის წლისამ ძლიან ქარგად ვიყოდი,
თუ როგორ უნდა პირტყევის ყურისგღება,
ფრინველის მოვლა, საღიღ-ვახშამის მზადება,
ვაკა-ვაშტაკცვა, ვამოცობა, სხედასხევაჯარი
შევიმანდის მომზადება და სხვანი. შესწავლილი
შქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა ხენა-
თესვა, თონა, შვა, სხვა და სხვანიო“, ამბობს
აკაი. უმკველი, ამ გზით მეცოდნებოდა მო-
მავალი მწერლის სამტყველო ცნობიერებაში
ძირებული ქართული სიტყვები და გამოთქმები,
ქართული კაცის შრომითს საქმიანობასთან და-
კავშირებული ტერმინები.

ხალხური ზეპირსიტყვიერება რომ სათავეა
სალიტერატურო ენის ლექსიკონის გაძიდებები-
სა და ვაპოხიერებისა, ეს უტყუარი ღებულება
არასოდეს დაეიწყებია ჩვენს დიდებულ პოეტს.
სწორედ ეს აძლევდა საფუძველს აკაის ეტყვა:
„ძვირათ რომელიმე ხალხი გვეგვლება, რომ
ქართულელებსავეთ მდიდარი ლექსიკონი ჰქონ-
დაო“. შემდეგ დასძენდა: „მეტი ვზა არ არის,
ზეპირსიტყვიერობას უნდა მივაქიოთ ყურადღე-
ბა“. აკაი ზახვასით აცხადებდა, რომ ენა
ხალხმა ქარგად იცის და არ ვიციით მხოლოდ
ჩვენ, რადგან კანონტში ვზიერთ და ხალხს
არ ვიციითო. განა ყრმობასა და კმატუბაში
შეთვისებულა ხალხური ლექსიკით იფარგლე-
ბოდა პოეტი, — იგი ხანდაზმულობის ემსაც
ხარბად იწერდა იშვიათ სიტყვებს და იყენებ-
და თავის ნაწარმოებებში. „აი, ახლაც სოფლე-
ლებს ზღაპარს ვათქვეიწებ ზოლმე, — ამბობს
აკაი, — და, უნდა ნახოთ, რამდენს სიტყვებს
მისთანას ჰპარობენ, რომელიც მე ან დაეიწყე-
ბული მაქვს და ან არ მყოღნია, მაგარან ნანდ-
ვილი ქართული სიტყვები კი არის... ხალხში
ინფლგანია არა ვართ, მათს სიტყვა-პასუსს ყური
ვუგდოთ...“

გაეცნოთ ერთი ტერმინის დაღგენის ისტო-
რიას.

დაისვა ხაკითხი რუსულა „ვოლოადის“ ქარ-
თული გეოგრაფიკის დაღგენის თობაზე. უღ-
რესად საინტერესოა აკაის ძიებები ამ შიშიარ-
თულეობით. იგი გულდასმით სწავლობს ხალხში
ამ ცნების შინაარსს, უყვარღება კლდიდან გაღ-
შომსკლარი წლის ნაირსახეობებს და ავროვებს
შესაბამის დიფერენცირებულ ტერმინოლოგიას.
„დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ
უნდა ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოლოადი“?
— ამბობს აკაი. — ზოგმა „წყალვარღილი“

იმზარა, ზოგმა „ჩანჩქერი“, ზოგმა რა და ზოგმა
კიდევ რა? ვერ შეთანხმდენ და ერთ-გადმე-
რისს ვერ დაადგენ... არ იციან, რა დაეძახონ,
მანინ როდესაც სიტყვა „ვოლოადი“ ქართუ-
ლად სხვა და სხვა წოდებით იმზარება, მათ-
მათი განსაკუთრებითი ხასიათის შესაფერადო“
და გვაწვდის ამ „განსაკუთრებითი ხასიათის“
შესაფერ სახელწოდებებს, შეკრებილს ხალხ-
ში. აი ეს სიტყვებიც: „ჩქერი“ ანუ ვაღამა-
ხინჯებულად „ჩაქერი“ ჰქვია მდინარის ამ იღ-
გისს, სადაღ ქვები ყრბი და გაქანებული წყა-
ლა, ქაფად გამსქდარი, თავზე ეღება ლო-
ღებს... რუსები იმას „პაროვს“ ეძახიან. — სიტ-
ყვა „ჩაქერი“ „ჩქარისაგან“ უნდა იყოს წარ-
მოშღდარი. — როდესაც მადლიდან კდღებზე
გაღმორჩხნუბებს წყალი და კლდის კედლებს
კი არა შორღება, იმას ეძახიან „ჩანჩქერს“ ანუ
„ჩინჩქერს“. როდესაც მადლიდან შორსა სცემს
ცოტად და კლდის კედლს არ ევარღება, იმას
„საჩქერი“ ჰქვია. აგრეთვე როცა მადლიდან
უფსკრულისაკენ ექანება, ჯღრღმულწო ჩადის
და კაცი ზეღდან დაწყურბებს, თუ პატარა წყა-
ლია, „ჩახრიალა“ ჰქვიან და თუ დიდი წყალი —
„ჩაქუხა“. ეს ხალხმა ქარგათ იცისო“, დასძენს
ავტორი.

აკაი თავს ესზოდა ისეთ მწერლებს, რომ-
ლებიც ხელოვნურად თზზადნენ, დღდაენის
კანონების გაუთვალისწინებლად, ახალ-ახალ
სიტყვებს და არ ეცნობდნენ ხალხური მტყ-
ველების წიაღში ფესვადგმულ და დაბუღებულ
ლექსიკური საუნჯებს. ასეთი მწერლები „თავის
საკუთარი გამოიგონი სიტყვებბთ და ფრზზე-
ბით ნავარღობენ! სიტყვების მნიშვნელბა არ
ესმით და აზრს აუტელმარღებენო“, გულის-
ტივიებით ამბობდა იგი.

აკაი ხალხური მასალების გაუთვალისწინებ-
ლობის შედგად იმასაც მიიჩნევდა, რომ ენა
ნაგვიანდბა გაუმართლებელი უცხოური სიტყ-
ვების შემორტანობა და დანერგვით. ამავე ღრის,
ჩვენი პოეტი ყურადღებას მივაქვევდა იმ გარე-
შობებს, რომ ისტორიულად სხედასხევა ენიღან
შემოსულ სიტყვებს ოღნავადაც არ შეუბლა-
ღავთ ქართული ენის ლექსიკონი, არ შეუცე-
ლიათ მისი სხვე, არ განუღვანათ ძირბული
სიტყვიბრივი მასალა. აი რას ამბობს იგი:
„არა, ჩვენი ენა მდიღარი არის, ძვირათ დარ-
ჩენილა ენა, რამელსაც არ შემოეწიროს ჩვენ-
თვის რამღენიმე სიტყვა, ჩვენს ენაში ვებღავთ
სხვადასხევა ენების სიტყვებს: პარსულს, არა-
ბულს, ეზრალულს, სომბურს, ბერძნულს, თათ-
რულს, რომაულს“. ამ უცხოური სიტყვების
შემორტანას რამღენიმე გაუმდიღრება ჩვენი
ენა და ეს პროცესი სინონიმის წყაროღაც
გამსღდარი. „ამ მიზნობთ შიშირად ერთისა და
იმავე სავნის გამოსახატავად ჩვენ გვაქვს რამო-
ღენიმე სიტყვა“. საესებბთ სწორი შეხედულე-
ბაა. აკაი აღნიშნავს ქართული ენის საოცარ

სიმყარეს, მისი გრამატიკული წყობის სიმტკიცეს საუკუნეთა განმავლობაში, მიუხედავად სხვა ენების დიდი დაწოლისა და შემოტყვისა: ასაკირველი ეს არის, ამდენ ვაი-ვაღასში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა, ვერც ერთ ენის ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადურვევია, ვერ გადურჯულუბია, დაუთმია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ გადმორჯულუბულა. სხვათა შორის, შესანიშნავი კიდევ ეს არის რომ, როდესაც ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავად სხვადასხვა სიტყვები შემოსულა, განსაკუთრებით, ცოტა რამ განკარგებითი ხასიათი მისცემია... ბევრი სიტყვები გვაქვს შემოღებული სხვადასხვა ენებიდან... ამგვარათ, მივიღია რამდენიმე ლექსები (ე. ი. სიტყვები მ. ძ.), მაგრამ ჩავინდგამს მათთვის ქართული სული და შეგვისხამს ქართული ხორცი. იმ ძალუნებურ შეტყუებაში მინც ძლევა-მოსილი დარჩენილა დედა-ენა. ერთ სტაქან წყალში რამდენიმე წვეთი ღვინოსა რომ ჩაურთოთ, უთუოდ ფერს უცვლის წყალს, მაგრამ რამდენიმე წვეთი წყალი რომ ერთ ყანწ ღვინოში ჩაურთოთ, ვერც ფერს დააკარგვინებს და ვერც ძალას. სწორედ ასეთ წვეთ-წვეთებად შემოსულან ზოგიერთი სიტყვები უცხო ენებიდან ჩვენს ენაში.

ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს აკაცის საღი და მეცნიერულად საყვებთ მართებული შეხედულება ქართული ენის ისტორიული განვითარების თაობაზე. ავტორის მიერ წამოყენებული დებულება სრულიად ეპოქურანულია: ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორია მთლიანად ადასტურებს დიდი პოეტის ალღოს, პოეტისა, რომელსაც შესანიშნავად აქვს შეინარჩობილი ჩვენი ენის საუკუნეობრივი განვითარების გზა.

ხალხში ტრიალმა და ცოცხალ შეტყუებაზე ღრმად დაკვირვებათ თვითონ აკაცის სამწერლო ენაში ამოატყვივია შრავალი სიტყვა, იდიომატური გამოთქმა, ფრაზოლოგიზმები, რომლებიც სამუდამოდ შევიდნენ ქართული სალიტერატურო ენის სიტყვობრივ საგანძურში.

აქ დავკმაყოფილებით ერთი მაგალითით, საღანაც ჩანს, თუ როგორ მოიპოვა აკაციმ ხალხში ერთი სიტყვა და გასაქანი მისცა მის გავრცელებას ჩვენს ენაში. მოვეყავს ფორაქიშვილის მოგონებებიდან აკაცის სიტყვები.

„ჩემი მოგზაურობის დროს ერთხანს მომიხდა ქართლს ერთ-ერთ სოფელში ყოფნა. ჩამოვტყვი ერთი გლეხის ოჯახში, ამ ოჯახის მეთაური აღმოჩნდა ძველი თქმულებების, ამბებისა და საერთოდ ზემირსიტყვაობის დიდი მცოდნე. მეც დავეინტერესდი, და რადგან ამ ოჯახში შეველამ მთხოვა, რამდენიმე დღეს დაერჩა.

ოჯახის მეთაური მთელ იმ მხარეს განთქმუ-

ლი ყოფილიყო, როგორც კარგე მცოდნე და დახელოვნებული ჩვენებური წესწილუბისკენ მართებისა და მოწყობის საქმეში. ახლა კი, რადგან იგი მოხტყვილობაში შესვლიყო, მოეწადინა თავისი ხელობა და ცოცხა გააღვივა თავისი უფროსი ვაჟისათვის. ამიტომ მას გზავნიდა წისქვილების გასაკეთებლად და ხელმძღვანელობას უწევდა სახლიდან. იმაჟამად უფროსი ვაჟი ამავე სოფელში ამოთერებდა ახალი წისქვილის გაკეთება-გამართვის. როცა იგი საღამოთი დაბრუნდა სახლში, მამა შეეკითხა:

— რა ქენი, შეილო, როგორაა შენი ახალი წისქვილის საქმე?

— რალა როგორ არის მიმანეო, წისქვილი მზად არის, გამართულია ყოველმხრივ, მაგრამ, როცა წყალი მივუშვით ღარში, ბორბალი არ დატრიალდა. რამდენი ვეწვალე, ვეცადე, მაგრამ ბორბალი ვერ აეამუშავე.

— კარგი, შეილო, — მიუგო მამამ, — ახლა დაისვენე, ვივამშოთ, ხელ დილით გამოვყვენი, გავსინჯავ და იქნება საქმე მოვაგვარაოთ.

მეორე დღეს, — განავრძობს აკაცი, — მეც გავეყვი მათ. მამამ ახალი წისქვილს ყველაფერი გასინჯა და გამართულობა მოუწონა შეილს. შემდეგ წყალი მიამუშებინა ღარში, მაგრამ წისქვილი ბორბალმა მოძრაობა მინც არ დაიწყო. მამის მოხუც ხელოსანი მიანერდა ხის ღარს, დაიწყო მისი სიღრმის და სივანის ზომვა და უთხრა შეილს:

— იი სწორედ ეს არის მიზეზი შენი წისქვილის უხედურობისა. ღარისათვის ტყვა საკმატისი არ მიგეცა. ღარი უნდა გამოცვალოს. სახლში ერთი ღარი რომ მაქვს, წინათ ღამზადებულა, ჩემი გარუდით აქ გამოდგება თავისი ტყვით, წაიღ ჩქარა სახლში, მოიშველიე სხვებიც და მოიტანეთ ის ხის ღარი.

არ გასულა დიდი დრო, მოიტანეს სახლიდან ღარი. მოხუცმა ხელოსანმა გაამართვინა, როგორც რიგია. მიუშვეს ღარში წყალი, ბორბალი მაშინვე ამუშადა, საჭკვავიც დააყარეს, წისქვილი წესიერად ფქვავდა, ყველანი ნასიამოვნებები იყვნენ. მამამ შეილი დაარბია:

— კარგად დაიხსომე, რომ წისქვილის ღარს როცა აკეთებ, ყოველთვის ტყვა მეტი მიეცი, რადგანაც ღარს ტყვა თუ მეტი აქვს, ამით საქმე არ დაშვადება, თუ საჭირო იქნება ტყვის შემცირება, ეს ადვილად შეიძლება, ღარში წყლის ნაკადს საჭიროებისამებრ შეამცირებ.

აკაციმ განავრძო:

„მე აქ გავორილმა სიტყვა ტყვამ, ტყვადობამ ძალიან დამაინტერესა, სწორად მსმენია ხალხში ნათქვამი ფრაზა: ჩვენს დარბაზში იშოდენა სტუმრები შეიკრიბნენ, რომ ტყვა არ იყო, ან ეკლესიაში იმდენი ხალხია, რომ ტყვა არ ჰყოფნისო.

ბოლოს, კარგა გამოკითხვის შემდეგ, გამოირკვა, რომ სიტყვა ტყვა ან ტყვადობა ნიშნავს,

რასაც რუსულად ეწოდებოდა „იომკოსტს“ (ѲМОКСТЪ).

ამიტომ ხალხში დარჩენილ ზებირსტიყვაობას როგორც წინათ, ისე ახლაც დიდ მნიშვნელობას ვაძლევს.

ზემოთქმულიდან ვრწმუნდებით, რომ აჯაკი ქართული ენის სალიტერატურო ლექსიკონის გამდიდრების ქვაკუთხედად მიიჩნეულა ცოცხალი მეტყველებიდან, დღაღმკრებნიდან, სტყუების შემოტანას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველგვარი დიალექტური სიტყვა-გამოთქმა ღირსია მწერლობაში დამკვიდრებისა. აჯაკის კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სიტყვების შერჩევისას საჭიროა ფრთხილი მიდგომა და ფაქიზი ანალიზი. მასალათვის ამოსავალია დღებულმა ხალხური მასალის გადაშეყვებისა და სალიტერატურო დახვეწის შესახებ.

აჯაკი საუბრებით სწორად შენიშნავდა, რომ „...ნიკიერება მწერალში სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს უველიაფერი, რაც გაიგონა, ნახა, არამედ ჩაწეროს. არა, ასისა თასის სიტყვა-ფრაზისაგან უნდა იორბიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს; რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით“. აქედან გამომდინარეობს, რომ საჭიროა შერჩეული ენის მასალის გამოყენება დასავლური კოლონიებიდან, მავალითად, აჯაკის შესაფერის სიტყვებად მიიჩნია: ფორა — ბეწო, ჯანჯგალი („ვანაჭიოთ და ვეჯანჯგალოთ“), მავვაბლა — მაჯლაჯენი, ხვანდარია — ხანცვალი, დაფიცვა-დამაღვა, არგამელაქეხა, და სხვ. აჯაკი შემოიტანა მწერლობაში, აგრეთვე, ისეთი სიტყვები, როგორცაა შეხმატკილგემა, ბობლა გაიძვერა და შრავალი სხვა.

ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების ინტერესს მოითხოვდა, რომ მწერლობაში გასაქმანა არ მისცემოდა ისეთ ფორმებს, რომლებიც დღევანდლის კანონებს არ შეესაბამება. ენის სიწმინდისათვის ბრძოლა აჯაკის საბატო მოვალეობად მიიჩნია. ამით იხსენება, რომ ჩვენი პოეტი დაუნდობლად ამხედდა იმ მწერლებს, რომლებიც უწყის ვრამატიულ ფორმებს აბატონებდნენ და ხელს უწყობდნენ სამწერლო ენის დანაგვიანებას სხვადასხვა დიალექტისათვის დამახასიათებელი ვრამატიული ფორმების შემოტანით. „ეთქმის მწერალი მისთანა თაყუდესა და გამბედავ მგლბანელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა, არც განვითარებულა და არც ქვეყანასა და ხალხს იცნობს?! რასაკვირველია, არა“, ამბობს აჯაკი. მამსაღამე, მართლწერა სავალდებულოა ყოველი მწერლისათვის.

აჯაკი ასახელებს სხვადასხვა ეილოში დამკვიდრებულ ფორმებს, რომლებსაც სალიტერატურო ენა არასოდეს არ მიიღებს. ის არს ამბობს იგი: „გუბრიაში ამბობენ: „ნენა! რას უყუცუტლებ? დრომ, ჰაჟა შეუიღოთ ცეხლს და ზა

ვსიეთ“... იმერეთში: დანენი მოსულარაგან და იქანეი ჯილარიან...; რაკაში: ქვექინან ფონ ქვერე ჩემ ვოქუქელას...; ქსნისა და ჯალბან თაზუ წყახსი და ჩქეწისან ქრამაღა ფოფოლიაც მოაბოტებდა...“ პოეტი დასძენს: „ამგვარი რამ ყოველ კუთხეშია — ესენი ყველა პროვინციალიზმია; მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამეების შემოტანა, აქაო და ჩვენ კუთხეში ასე ხმარობენო, ნუ თუ ენის ვარყენა არ იქნება?“.

როგორც ვიცი, აჯაკიმ დიდი ვაჟა-ფშაველაც არ დანდო და მას ფშავერი დიალექტური ვრამატიული ფორმების გამოყენება უციენია. ვიხსენებთ მისი საუკვედრი რაზიკაშვილისადმი: რაზიკაშვილი „უხვად არან მადლით მიმადლებული... ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფინა“ ერთი უკეთესივანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წერილშიან ლექსები ხომ საკუთრად ვაქის, ისე იმის მხის „პანანასი“ და თედოსი საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან... პროზა ხომ კიდევ უკეთესია. მაგრამ საწყენი ის არის, რომ ვანგუბ ამბინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოებებს ქართულს გადაჯორჯ-გალმჯორჯეთი და შივა და შივ ისეთ რამეებსაც ახატევენებენ, რომ შეენიერებას საუწმინდურად ჰდღაღვენ... ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უშეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და შიშობრა. ვინც ზმნებს ჯეროვდალ ვერ ხმარობს, ის უეჭველად ქართული ენის უშეცარიანი... და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, ვანზაბ არა ხმარობენ სისწორით, ამბინჯებენ და უკუღმართობას ბატვიერების ვარყვანი ვასხივ-ციკსიოვება ჰვონათ“ (ასახელებს მავალითებს).

ზმნის ფორმების — „აღვიარებ“, „ვილიარებ“ გამო დიდი კამათი იტყდა „ვერისია“ და „ვეალს“ შორის. ამ საკითხს აჯაკიმ 3 ფელეტონი მიუძღვნა.

ენის სიწმინდის თვალსაზრისით აჯაკი აკრიტიკებდა თარგმანების ენასაც (მათაბელი, მამავარიანი...).

აჯაკი თავის მხატვრულ-პუბლიცისტურ ფელეტონებში „ველის წვერა კალშით“ ეწეწლავდა ჩვენი დღევანდის დამახინჯებელთ, რომლებიც „უღვალა-ენაზედ მწყურალად იყენენ: წერაკიოხევა ანინიერად იყოღენ და ლამარაკი ჩოქორათულად, მაგერათ ჰვანაწყვერით პრიშტი-პარეშტობდენ უცხო ენაზედ, თითქმის თავისი აღარ ასსოვით...“

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სალიტერატურო ენის შენების პრინციპი მოითხოვდა ბრძოლას ვრამართლებელი დიალექტური ფორმების წინააღმდეგ ლიტერატურაში. ამასთანავე, ახალი სამწერლო ენა უნდა განთავისუფლებულიყო ღრმომკმული არქაული ფორმებისა.

გან. ეს იყო უიარვღო რთული ამოცანა, რომლის გადაწყვეტას ესოდენ დიდი ამაგი დასდო აკაკიმ, დიდ ილიასთან ერთად.

გ. წ. „შამათა და შეილთა“ ბრძოლის დროს არქაისტებმა იერიში მიიტანეს აკაკიზე, რომელიც თავისი თეორიული შეხედულებებითა და ლიტერატურული პრაქტიკით ძველის ნგრევასა და ახალს დამადგმას აღასტურებდა.

აკაკი დაუდობლად ამხელდა ძველი თაობის ლიტერატორთა ენობრივ პოზიციას. დამახასიათებელი მისი სატყვეობი არქაისტების მიხედვით: „ახალგაზრდებმა პირველი შემოიტანეს ამ ბუნდოში სინათლე და, მართალია, მათი ლამპარი საქორწინო ლამპარი არ იყო, მაგრამ შანც ანათებდა ამ ბუნდს იმდენად, რომ ერთმანეთის დანახვა შეიძლებოდა ჩვენმა პაპებმა, — შეიძლება და რა მოხდა? ის, რომ, როდესაც თავისი დატრეკილ-დასისხლიანებული სხეილ-პირი დაინახეს, იუცხოვეს და ნაცვლად იმისა, რომ გაზან-განწყენდნენ შესდგომოდნენ, გულის ამოყრა ამ ნათლის მკვირველ ახალგაზრდობაზე მოინდომეს... ეს ასეა ყოველთვის... მაინცეს სარკე ეზარება!... ჩვენებური ანდა ამაბობს: „ქურდს რა უნდათ და ბნელი დამყო“.

თავის „ენების გასამართლებამ“ აკაკიმ დასცინა არქაული ლიტერატურული სტილის დამცველთა ეს სტილი ადვოკატის — აბმახის პირით ასეა წარმოდგენილი: „ენითა მით მტრულელიო შეთელ-ჩხრუხობითო მშვენიერ ლექსად. ამევე ენით ლაღადებდა ბრძენ, რიტორ, პიიტაკოს ანტონ გაოსისთურთ... ენა ესე ვანაგონ არს მხოლოდ რჩეულთათვის და არა საზოგადოდ. იღესკა, შშმდე ლიტეროლისა, დღესა ერთსა უბნობად ჰყვეს კათალიკოსმა ანტონ და მიტროპოლიტმა ბოდუნდმა, ერთი ეჭრა გაჰყებო ვერცა ერთისა შარკელისა მით მიერ თქმელისა, სდუბდა საკერაველებითა, ამგვართა მუგალითა ძალგვიდს წარმოდგენა ლეგონი“.

მსაჯულებმა ასეთი ვანაჟენი გამოიტანეს: „რადგანაც ვე მშვენიერი ენა საქაოს ილარავის ეუბრება, ცოდვა არის, რომ ტყვილად გავუძღეს და ამისათვის უმჯობესაა საიჭიოს გააგზავნოს გაიყვანეთ მშვიდობით წარვედინ“ გაიხსენით, აგრეთვე, აკაკის „ხარაბუხა ლენკარალ“.

როგორც ვხედავთ, აკაკიმ მხატვრული ნაწარმოების ფორმას მიმართა იმ შეცნიერული დებულების ნათესაყოფად, რომ ენა იცულებდა, განვითარების კანონს ემორჩილებდა, ხალიტრატორ ენა უნდა განთავისუფლდეს მკვდარი, ვარდასული ფორმებისაგან, დაუახლოვდეს ხალხის მტყუველებას, „სოფლიური ენა“

— სახალხო ენა უნდა გახდეს მწერლობის ქვაკუთხედს, მისი მასხარლოებელი წყარო.

თუ დიდმა ილიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა უმთავრესად თავისი თეორიული სტატიებით არქაული ენის დამცველებს, აკაკიმ იგივე როლი შეასრულა ამ პოლემიკაში მხატვრული მეთოდის გამოყენებითაც. ორივე გზა ერთ მიზანს ემსახურებოდა თანამართი ძალით...

აკაკის, ისევე როგორც ილიას, აღმშებლდნენ, არქაისტებმა „აკაკიებსა და ბაკაკიებს“ დარბაისლური ქართულის, რუსთაველის ქართულის შეჩვენა და გადაგვარება შესწამეს. „მღაბაურ“, „სოფლიურ ენაზე“ წერა ქართული ენის „მტერობად“ ჩაუთვალეს. ილიასა და აკაკის მიერ ენის ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით სწორად არჩეული გზები ათვალ-წუნებისა და სატირული გამოხდომების საგნად იქცა.

ზოგიერთ ჩვენს თანამედროვეს ჰგონია, რომ ეს უბრალო კინკლაობა იყო, მაგრამ ისტორიული ვითარების ობიექტური შეფასება და მოვლენებში ღრმად ჩაწვდომა გვიყარახებებს, თავი შევიკავოთ თაობათა შორის ჩვენი ენის ირგვლივ გაშლილი დაუღებელი ბრძოლის გაუმართალებისა და შეუფასებლობისაგან.

აკაკის პირველსად ლექსს („საიდუმლო ბარათი“), რომელიც გამოქვეყნდა 1860 წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში, მწვევედ გამოგზავნა „დარბაისლური ენის“ მუხაბარატრენა. ახალგაზრდა პოეტის უიყენებდნენ „მღაბიო ენაზე“ წერას და ტრადიციული პოეტური მტყუველების უგულვებელყოფას. ასე, მუგალითად, ანსისხატრს დეკანოზი ეფრემი აკაკის სწერდა: „ვილოცე მოშაირობას და თანევე ვხოფე, შამაშეილობას, ამისთანა ლექსებს მღაბიო ენით ნუ სწერ! დარბაისლური ენა ეჭირება და შენ-რაღა სოფლიური ენითა სწერ. და ეს ნათ უფრო საშეშია, რომ შენი ლექსი უველას გულში ზედება. გამოსვლისთანავე სისიფლერი ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერებენ, და ვინ თუ შენ ენას მიიჩვიონ და გადადგონ გულთან ძველი დარბაისლური ქართულიო“. თავადი იაკალი ლორთქიფანიძე ენას უწუნებდა ახალგაზრდა მკოსანს და სთხოვდა, ძველი ქართული ეჭრა. აკაკი დასძინა: „ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს, ვამყოფინეს. ცხამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერებენ“. და მეც გადაწყვიტე, რომ თავი დაუდგა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვჭერო“.

„ცისკრის“ იმვე ნომერში, აკაკის ლექსის გვერდით, მოთავსებული იყო არქაისტის ბარბარე ჯორჯაძის ლექსი. იმისათვის, რომ ერთი შეხედვითაც თვალსაზრისი გახდეს ამ ორი

ლექსის სრულიად განსხვავებული ენობრივი ბოზიცია, შევედაროთ ისინი ერთიმეორეს, და აქედან აღვილი მისახვედრია, თუ როგორ უბირისპირდებოდა ერთმანეთს პოეტური ენის ორი საწყარო:

ჯ ო რ ჯ ა ძ ე :

გამზავსებ ბრძენსა, სოლომონს მძლესა,
დავიოს ფსალმუნით გამომეტტშლსა,
ღმთის პირველ მცნობელს, აბრაამს მქსნელსა,
ჩტმსს შემომეტანელს, კერპთა მომსვრელსა.
პსკულთ მასწავებელს, ფარაონთ მთხრობელს,
მოსეს ისრაელთ, გამომეტანებელს,
იუსტიანეს, შრომის მოყარეს,
რომის კეისარს, დიდათ საყრველს.

ი ა კ ი თ :

საიდუმლო ბარათო!
გიობრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მომნიველ
და სევედსა ფარადო“.
მისთვის გიდეგ უბეშო,
ვალბოთ ცრემლის ვებეშო,
აღსარულო, რაც გიობრეს,
თუ ხარ ჩემი ნუვეშო

და სხვა.

ესაღია, ღვარჯნილი ქართლის, ენის ხელოვნური კონსტრუქციების უკუგდება ოდნავადაც არ ნიშნავდა კლასიკური ქართული სალიტერატურო ენის სალი ფორმების უგუღუბელყოფას ახალი ქართული სამწერლო ენის შენების პროცესში. აქაც ურჩვევად მწერლებს, რომ ენის გაზიდრებისათვის ძველი წიგნები გავდაიკითხოთ, რათა იქიდან ამოკრიფონ შესაფერისი, ქართული ენის ბუნებისა და თვისებებიდან გამომდინარე ფორმები, ფრაზოლოგიკები, ლექსიკური მასალა. „ძველ წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ“, გულისტკიავლით ამბობდა პოეტი. მართლაც, აქაცხეულ ენაში იგრძნობა, რომ პოეტი ჩინებულად ფლობს ძველ სალიტერატურო ენას და ზომიერად იყენებს ბრწყინვალე ენობრივ ძეგლებს, რომლებზეც დაგვიტოვეს ძველი საქართველოს გამოჩენილი საიტყვის სტატიკა.

მართლაც, ახალი სალიტერატურო ლექსიკონის შემუშავება მოითხოვდა, გარდა ხალხური ენისა, ძველი წერილობითი ძეგლების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი სიტყვის ძიება, რომელშიაც მჭერვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენმა პოეტმა. ვახტანგის საუენის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც ლიხის უღელტეხილში „ტონელი“ გაიყვანეს, დაიბადა აუცილებლობა ამ სიტყვის ქართული ვეფიქრების მონახვისა. ქართულმა ვახტანგის საგანგებო თათბირი მოიწვია, რათა მონახუ-

ლიყო „ტონელის“ ფარდი სიტყვა. გადაწყვიდა, „ქებახერბია“ დაკანონებინათ, მაგრამ მრც-ეს ხელოვნური სიტყვა აკმაყოფილებდა ნახსენის მონაწილეთ. ბოლოს საჭიროდ დაინახეს, გადაეთვალაიერებინათ ძველი მწერლობის ძეგლები, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. „გაენაწილოთ შრომა და დაეწუდით სიტყვა გვირახსო“, ამბობს აქაც... ეს შავალითი კარგი ნიმუშია იმისა, თუ რა წვლილი შეეძლო შეეტანა ახალი სალიტერატურო ენის ლექსიკურ შედგენილობაში ძველი ლიტერატურული წყაროების მონაწილეობა.

ამრიგად, ახალი სალიტერატურო ქართლის შედგენილობაში მცირე როლი როდი შეასრულა ტრადიციულმა ენობრივმა კონსტრუქციებმა და სიტყვობრივმა ელემენტებმა, რომლებიც სამუდამოდ დაინერგა ენაში კლასიკური მწერლების უცვლადი მხატვრული ქმნილებების გზით.

სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას, აქაცის აზრით, უნდა ვხეღმდინაელობდეთ ენის საზოგადო პრინციპებითა და კანონებით. ენის ხალხურობა არ ნიშნავს ლიტერატურული მეტყველების სტრუქტურის დაყვანას დიალექტური მეტყველების სტრუქტურამდის. სამწერლო ენა ხალხური მეტყველების გადაშუშავების შედეგია, — იგი ხალხური ენის უშაღღესი ფორმაა, — და ვს გადაშუშავება თუ სტილისტური დახვეწა გულისხმობს ენის გრამატიკული აღნაგობის ნიშანდობლივი თვისებების გათვალისწინებას, საერთოეროვნული ენის სტრუქტურული თავისებურებების ანალიზს. აქედან გასაგებია, რომ აქაც უარყოფდა ენობრივი ნატურალზმის გამოვლენას ახალ ქართულ მწერლობაში და მოითხოვდა ხალხური ენის შერჩეული და დედაენის ბუნებისათვის შესაბამისი ფორმების დამკვიდრებას ლიტერატურაში. აქაც აღნიშნავდა, რომ აუცილებელია სიტყვის ოსტატები „ენის ხასიათს დაუკვირდენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ“, რაც „დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა, მისაბძავია საყოველთაოდ“. ჩვენმა დიდმა პოეტმა კარგად იცის, რომ „ენა, როგორც ნაგრძობა-ნაფიქრალის გამოშავებული იარაღი, აღამიანის ვაგეითარებას თან მიჰყვება და მიტომაც თანდათან იესება და მდიდრდება“, ენა „უნდა ვაჩხარდოს, მაგრამ ამ ზრდასაც თავისი კანონები აქვს. ამ კანონების გადახვევა ცინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება“ (ხაზი აქაც და ზემოთაც ჩემია, შ. ძ.).

სავსებით სწორი მეცნიერული დებულებაა. მე თოდოლო გი ურად აკაკი მეციდრნი დადაგუე დგას და მისთვის, როგორც ლიტერატურული ენის ერთერთი რეფორმატორისათვის, ენის

შინაგანი კანონზომიერების გათვალისწინებას ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს.

აქაც ილია და აკაკი ერთ თვალსაზრისში ერთმანდებიან.

• •
•

აკაკის ლიტერატურული პრაქტიკის ფართო ანალიზი არ შეუძლია ამ ჩვენი პატარა წერილის ფარგალში. ეს ღიბი თემაა. ზემოთ უმთავრესად დახასიათებულია აკაკი, როგორც ახალი სალიტერატურო ენის თეორეტიკოსი და მისი დამკვიდრებისათვის მებრძოლი, ის თეორიული წინამძღვრები, რომლებსაც ეყრდნობოდა სასიქაიდლო პოეტი ახალი სამწერლო ქართლის ჩამოყალიბებისა და გავრცელების პროცესში. აქ იმას-ღა დავსძენთ, რომ ჩვენი

ენის პრესტიჟისათვის აკაკის დაუცხრომელი ძიებების ხორცშესხმას თვით მისივე მხატვრული ენა წარმოადგენს, — „აკაკის ენა“, რომელშიც ბრწყინვალე დადასტურება პოემა მრავალსაუქუნოვანი ქართული ენის განვითარებამ, ჩვენი ქართული მეტყველებების სიღრმემ, სინანარემ, შხომ და ლაზათმა.

აკაკი ანთებულ შუშას, როგორც თავისი ცხოვრების სიმბოლოს, მიმართავდა:

„აენტე, აენტე, უსულო ხაგანო! მარტო შენ არ იწეი! ყველის თავ-თავის ცეცხლი უკილია, და მეც შენი დღე მადგას, საშობლოს გამთვალისწინებელს... მისი „წარსული“, „წმუ-წყო“ და „მოშაელი“, ე. ი. სიტყვო, სიმწარე და ოცნება, ერთად არეული, გულს ვჭიდებთან და მწვევობით ამოკლებენ დღეგრძელობას...“

აი ეს მამულიშვილური ცეცხლია სათავე და პირველსაწყისი აკაკის შთაგონებული მხატვრული სიტყვათშემოქმედებისა.

ბანია პრისთავი. ნიწო ჩინაძე



ბაბკის ღმსნი N-ს...

აკაცი წერეთელი განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა პოეტს და საზოგადო მოღვაწეს — ჩვენი შწერლობის პატრიარქს — რაფიელ ერისთავს.

აკაცი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც ცარიზმის პირობებში უხუცესი პოეტის იუბილეს გადახდის საკითხი დააყენა.

1895 წლის „კვალში“ აკაცი სწერდა: — „ყოველ ქვეყანაში, ყოველ ხალხისაგან, გარდა ველურისა, მიღებულია, რომ თავიანთ გამოჩენილ შვილების ოც-და-ხუთი წლის ჭოღღაწეობა იღვესასწაულონ ხოლმე, ამ დღესასწაულს ეძახიან: „იუბილეს“. ჩვენ არ მივდევთ ამ ჩვეულებას, ალბათ იმიტომ, რომ ოც-და-ხუთი წელიწადი არ მივაჩინია საგმარისად და მერტ ვთხოულობთ, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ დღეს გამოდის რომ ორმოც-და-ათი არ კმარა...“

სწორედ ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოსულა სალიტერატურო ასპარეზზე ჩვენი საყვარელი მოხუცი, პატიოსანი მოღვაწე რაფიელ ერისთავი და დიდი უბედურებაა ჩვენთან მის შესახებ გულმაყვირობა და ჩვეულებრივი დაუდევრობა“.

ამრავად, აკაციმ პირველმა მოაგონა ქართულ ხალხს რაფიელ ერისთავის დამახატვრების შესახებ და თავის სტატიაში კატეგორიულად მოითხოვა მისი იუბილეს გადახდა.

აკაცის ამ შესანიშნავ მოწოდებას გულთბილად გამოეხმაურა „კვალის“ რედაქცია. თავის საერთო განცხადებაში იგი მოუწოდებდა რ. ერისთავის იუბილეს თანამგრძნობთ, შეყრებილიყვნენ და დაენიშნათ დღე დღესასწაულისა.

პირველი კრება ბანკის სახაფხულო ბაღში შედგა. დაესწრნენ ქართული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართული თეატრალური საზოგადოების გამგეობები, ქართველი მსახიობები და სხვ. არჩეულ იქნა საუბილუო კომიტეტი. საიუბილუო დღედ გამოცხადებულ იყო 24 ოქტომბერი.

როცა ვახუტეებმა უკვე დაიწყეს ცნობების ბეჭდვა იმის შესახებ, რომ მარბებში სხვადასხვა დაწესებულებები ემზადებიან რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის აღსანიშნავი საუბილუო დღესასწაულისათვის და ყველა დარწმუნდა იმაში, რომ აკაცის მიერ

წამოჭრილი საკითხი რაფიელ ერისთავის იუბილეს ჩატარებისა დროული და დიდი მნიშვნელობისა იყო, „კვალს“ „ივერია“ — გამოეხმაურა, გადასტამბა იუბილეს სადღესასწაულო წესრიგი და იმავე კვირას მოუწოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს კვლავ შეყრებილიყვნენ.

მთელ საქართველოს ელვის სისწრაფით მოედო ღვაწლმოსილი პოეტის — რაფიელ ერისთავის იუბილეს მოახლოვებული დღეების ამბავი. ყველა ერთზე — ქართლ-კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ფშავესსურეთი დაიძრა ქართველი შწროშლი ხალხის გულის მესაიდუმლის — საყვარელი მგოსნის შესახებდრად.

იუბილე საყოველთაო, ეროვნული დღესასწაულის ხასიათს იღებდა. ყველა მოუთმენლად ელთდა ამ დღის ჩატარებას. ამის მსგავსი არაფერი გვინახავს — გულწრფელად აღიარებდნენ იუბილეს დამსწრენი.

იუბილარის გვერდით მეჯდარი აკაცი, მასთან ერთად უბედნიერეს წუთებს განიცდიდა, ყველა უმადლოდა ამ იუბილეს სულის ჩამდგმელსა და რაფიელის დიდ დამფასებელ აკაცის.

აკაცი წერეთელი არც იუბილარისადმი მიძღვნილ ნაღმზე დაზარებია დიდებულ მგოსანს და აქაც შესანიშნავი სიტყვა უთხრა, რომელიც დღესაც რაფიელ ერისთავის პოეზიის ბრწყინვალე შეფასებას წარმოადგენს.

რაფიელის ოჯახის უახლოესმა მეგობარმა — აკაციმ არაჩაღები ღვაწლი დასდო რაფიელ ერისთავის დას, პოეტ ბარბარე ჯორჯაძეს. პროვინციიდან ჩამოსულ ახალგაზრდა ქალს აკაციმ პირველმა გაუხსნა შწერლობის გზა.

ჯერ კიდევ 1864 წელს, როცა აკაცი მხოლოდ „ციცქის“ ფურცლებიდან იცნობდა პოეტ ქალს, ლექსით — „პასუხად კ. ბარბარე ჯორჯაძისას“, გამოეხმაურა მას:

„სევდით საცე სახედ ქალი,
გულში ალი ვაიდება
და წამწამებზედ კერცხლები
მარგალიტებ ვაიდება.
თავის ნაშობ ცნებდს მისი თვალი
თვით ვერ ბედავს, შორს გაპურებს
და, ვინ იცის, მაშინ ქალი
რას უჩივის ვის იმდურებს“¹.

¹ „ციცქარი“, 1864 წ., № 10.

ეს პასუხი გამოწვეული იყო ბარბარე ჯორჯაძის იმ მძიმე სულიერ განწყობილებით, რომელიც პოეტმა ქალმა გულწრფელად გამოხატა თავის ერთ-ერთ ლექსში.

აქაი ანუგეშებს პოეტს, არწმუნებს მას, რომ ყოველი მისი კმუნვა და სევდა სიხარულით, საქართველოს ბრწყინვალე მომავლით შეიცვლება.

უფრო მოგვიანებით, აქაიმ თავის წერტილში ქება შეასხა პოეტ ქალს და საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობას: „მხოლოდ ამ ოც-დაათი წლის წინათ, როდესაც „ცისკარი“ გამოდიოდა, პირდაპირ და შეუპოვრად გამოვიდა სამწერლო სემპარეზე ერთი ახალგაზრდა ქალი და ეს ქალი იყო კნ. ბარბარე ჯორჯაძისა“ — წერდა აქაი.

აქაის რაფიელის ოჯახთან ავრეთუე აკვეშირება ბარბარე ჯორჯაძის ქალიშვილი, რაფიელ ერისთავის დისშვილი, მშვენიერი მანანა ჯორჯაძე. ეს უკანასკნელი ხშირი სტუმარი იყო თავის ბიძის — რაფიელ ერისთავისა იმ ხანად, როცა პოეტი ქუთაისში მუშაობდა და ცხოვრობდა. მანანა მუდამ სიხარულით მოსტრავდა სოფელ გრემიდან ქუთაისში. იგი ხშირად თევობით რჩებოდა ხოლმე ბიძასთან.

ემზიან, დანჯ, მომზიბველ ქალიშვილს თავს ევლებოდა ქუთაისის სუფიქტისა ახალგაზრდა და ნატრობდა მასთან შეუღლებას. მანანას თავყანისმცემელთა შორის იყო ჩვენი სასიქადფლო მგოსანი აქაიცი. ოცი წლის ახალგაზრდა, ახოვანი ჭაბუკი მანანას ხელზე ოცნებობდა.

ამ დროს ქუთაისში, პოეტ რაფიელ ერისთავთან მოსამართლედ მუშაობდა ნიკოლოზ გეტმანი.

მანანას სილამაზესა და კდემამოსილებას არანაყებ დაეტყვევებინა ნიკოლოზ გეტმანის გულიც. იგი ყოველნაირად ცდილობდა მასთან დაახლოებას. გეტმანს ბედმა გაუღიმა, ნატერა შეუსრულდა. მანანამ თანაუგრძნო მის სიყვარულს და ცოლადაც გაყვა.

ქუთაისში დაბრუნებულ აქაის ეს მოვლოდნელი აშბაი ელდასავით მოხედა გულზე. ვისთვის იშბა გაეზიარებინა გულისგამაპოხელი სევდა?! მგოსანმა ჩვეულებრივად მიმართა თავის განუყრელ კალამს და შესჩივლა მას მწირე ხედრი, რომ უცხო ტომის კაცმა აჯობა და საბატარალო ხელიდან გამოაცალა.

ახალგაზრდობის წლების ეს მძიმე განცდა ლექსად გამოხატა პოეტმა. აი, ეს ლექსიც:

მ-ს — — — — —!

„შორს რომ იყავ, ახლოს ვიყავ
განუყრელად შენთან მეცა!

ახლოს რომ ხარ, შორს დავიწრება
გულს ისარი მტრული შეცაღნიქონებს

მინდა გნახო, მაგრამ როგორ,
რომ იმედი არ მომეცა?!
სიანს განწირულს ბედისაგან
გადმომუყრებს რისხვით ზეცა.

ვით ბუღბულსა, ავზნებულსა,
აღმაფრენით უყვიარს ვარდი,
ძმობით, დობით, წმინდა გრძნობით
გეტრფოდი და მეც მიყვარდი,

მაგრამ ახლა, რომ ვეღარ გპირებ
შავს უღსკრულში გადავარდი!

ბევრჯერ მითქვამს: „თუ გიყვარდნი
აწ, მეც ვატყვი: თუ გიყვარდი,
თავდადებულ მეგობრად თუ აღმიარე
ან მიწამე,

საუტუნო მეგობრობა
რად მიწუხე და მიწამე?

წმინდა სული, წრფელი გული,
რად მომიჯალ? რად მიწამე,
და სიციცხლით ისევე საევეს,
დამაყვარე რად მიწა-მე?!

1870 აქაი¹

თუ ჭაბუკი აქაის სიყვარული განუზორციელებელი დარჩა, არც მანანა ყოფილა ბოლომდე ბედნიერი. იგი მალე დაქვრივდა, დარჩა ზუთი ასაზრდელი (ოთხი ვაჟი და ერთი ქალი). ახალგაზრდა ქალი არ შეეღივნება ცხოვრების სიმწინღეებს, თავს ევლებოდა დედის ანაბარა დაჩენილ ობლებს და აღზარდა ნამდვილი ქართველი ვეკაცები, საზოგადო მოღვაწეები და პატრიოტები. მათ შორის უნდა დავასახელოთ ჩვენთვის ყველასათვის ცნობილი, პროფესორი ვიორჯი ნიკოლოზის-მე გეტმანი, რომელმაც თავის უანგარო შრომითა და მოღვაწეობით დიდი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს.

აქაი სიციცხლამდე დარჩა რაფიელ ერისთავისა და მისი პოეზიის თავყანისმცემელი. რაფიელის ნათელი სახე არასოდეს არ ავიწყდებოდა პოეტს. არ ავიწყდებოდა ასევე მისი თბილი ოჯახი და აქ მშვენიერ მანანასთან გატარებული უბედნიერესი წუთები, რომელმაც პოეტის გულში წარუშლელი კვალი დასტოვა.

1911 წელს, 24 ივლისს აქაი ეწვია რაფიელ ერისთავის მშობლიურ ქუთხეს — სოფელ ქისტაურს. რაფიელი უკვე ათი წლის გარდაცვლილი იყო, არც ლამაზი მანანა ამშვენებდა მის

¹ სპ. სახ. ლიტერატურული მუზეუმი, 17721/291

¹ „კელო“, 1893 წ., № 14.

სახლკარს (იგი უკვე დარბაისელი შვილების დედა იყო).

რაფიელის მამაპაპერმა კარ-მიღამომ ფართოდ გაუღო გული საქართველოს სათაყვანო შგოსანს — აკაკი წერეთელს, რომელმაც იწევა რაფიელის მშობლიურ ეთხეში სტუმრობა.

საყვარელ პოეტის შესახებ დარად ყველა ემზადებოდა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. ყველა საქმით იყო ვართული. ერისთავიანთ განთქმული მარანი ხალხებით მოერთათ, კედლებზე შეწოდა ირმის რქები, ყანწები, ოქროვერცხლის ზარნიშმოვლებული მამაპაპერი იარაღი. თვალს იტაცებდა ოქრო-ვერცხლით დაფერილი ტურქული. მარანში, ღვინით საყვ ეყება ქვევრებს შუა, დიდი და ფართო სუფრა საყვ იყო ნაირ-ნაირი, სანაქებო საჭმელებით. ნუგზარი (დავითი) — რაფიელ ერისთავისა და ბარბარე ჯორჯაძის მისწეილი და აღექ. ყაზბეგის დისწეილი (მამა ამ წერილის ერთ-ერთი ავტორის მარამ ერისთავისა) — გულუხვად მასპინძლობდა უძვირფასეს სტუმარს. სუფრის თავსა და ბოლოში ახილი ქვევრები ელოდნენ საქართველოს სიამაყეს — დიდ აკაკის. მალე მოისმა ეტლის ხმა, ცხენების ჰიხინი და ხალხის ხმაური. ბავშვები მინდვრის ყვავილების თაიგვლებით დატეირთულნი, გულის ფანქვლით დაიძრნენ მინდვრისკენ, რომ სწრაფად შეერთებოდნენ უფროსებს და ვარდ-ყვავილებით მოეფინათ გზა დიდი პოეტისათვის.

ნუგზარი პურ-მარილით, ბავშვები თაიგვლებით მიეგებნენ პოეტს.

აკაკი ვადაეზვია ნუგზარს. ბავშვები ფეხქვეშ უფენდნენ შგოსანს ყვავილებს.

აკაკიმ სიყვარულით გაღმედა: „ჩაფიქვლის კარ-მიღამოს. აიყოლა თვალი აყოველ წმინდას“ ფერდობს, სადაც რაფიელის საფლავი ეგულეობდა. შემდეგ... მუხლი მოიყარა დიდმა პოეტმა მერვე პოეტის საფლავზე, დიდარონი ვარდის კონებით შეამკო ის და ირგვლივ შემოჯარულ ხალხს მიმართა სიტყვიით. შგოსანი თავის სიტყვაში აღნიშნავდა — რაფიელის ღრმა პატივისცემას, სიყვარულსა და მისი პოეზიის უდიდეს მნიშვნელობას ქართველი ხალხისთვის... აგუგუნდა მომღერალთა გუნდი ნიკო სულხანიშვილის ზღმძღვანელობით, შუავულ ტყვიდან გაისმა აკაკის უცვლავი, გულში ჩამწვდომი სიტყვები: „სად ხარ ჩემო სალამერო, ზმა ტყვილო და საამერო“. ამას მოჰყვა — „სადაც ვმოხილვარ, გავზრდილვარ...“ — რაფიელისა.

რაფიელის ეზო-მიღამო აივსო სტუმრებით. ნუგზარმა შგოსანი შეიპატივა მარანში. პოეტი დასვეს სამატიო ადგილას, მას მხარს უმწეენებდნენ რაფიელის ქალი — ტასო კახიძისა და სილამაზით განთქმული სება მანდილოსნები. საღვებრძოლოებს მოსდევდა ყარალაშვილის შესანიშნავი სამღერები. ყველა ოჯახი ბედნიერად სთვლიდა თავს, ხალხის საყვარელი პოეტის — რაფიელ ერისთავის უახლოესი მეგობრის, საქართველოს ბელბულის — აკაკის სტუმრობით.

კონსტანტინე ბეჰუაძე



როგორ ემზადებოდა ქუთაისის 1908 წელს აკაკის
იუბილეშტვის

1908 წელს შესრულდა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემორიალის 50 წელი. მოწინავე ქართველი ინტელექტუალის თაოსნობით გადაწყვიტა მოწყობილი ყოფილიყო აკაკის იუბილე. შეიქმნა თბილისში საიუბილეო ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა საზოგადო მოღვაწე გიორგი ყაზბეგი. საიუბილეო კომიტეტმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას, რომელშიაც აღნიშნული იყო: „1908 წ. გიორგიობისთვეში სრულდება ორმოცდაათი წელწი, რაც დიდებული მგოსანი, სიამაყე სამშობლო პოეზიისა, აკაკი წერეთელი, პირველად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე... და ამ დიდებულის, ზეგარდმო ნებით ცხებელის მგოსნის პატივსაცემად მისი ნაკრძანებულების დასაფასებლად და საშვილის-შვილოდ გადასაცემად მადლიერმა სამშობლომ განიზრახა საერო დღესასწაული აკაკის ორმოცდაათი წლის მგოსნობისა. ამიტომ საზოგადოებამ გადასწყვიტა იღვთისაწაუღოს ეს დღე და დაეილა საგანგებოდარჩეულ საიუბილეო კომიტეტს ლარსეულად მოაწყოს ეს დღესასწაული.

შთაბარი კომიტეტი გატყობინებთ რა ამ გარემოებას, უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, მოწვეული ხელმწიფე, მიიღოთ შრომა, შეადგინოთ ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც იზრუნებებს შესაფერი მონაწილეობის მიღებისათვის ამ საერო დღესასწაულში. ამასთანავე სახელმძღვანელოდ გეგზავნებთ კომიტეტისაგან პროგრამა დღესასწაულისა. საიუბილეო კომიტეტის წევრები არიან: თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი, მისი ამხანაგი იაკობ გოგებაშვილი, მდივანები: სოფრომ მგალობლიშვილი და სამსონ ფირცხალავა. წევრები: ივანე გომარეთელი, ვალერიანი გუნი, ნიკოლ. ერისთავი, იოსებ შერაილიძე, პავლე თუმანიშვილი, მარიამ ჯემბაყურიანი-ორბელიანისა, პარმენ ჭიჭინაძე“.

ამ შთაბრძოლას თან ერთვის „აკაკი წერეთლის 50 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეს პროგრამა, რომელიც შედგება 3 განყოფილები-

საგან და 14 მუხლისაგან. პროგრამაში ლაპარაკია იუბილეს სახელობის ლიტერატურული ფონდის დაარსების შესახებ, რომელიც უნდა შეგროვდეს შემოწირულობებიდან, წარმოდგენისა და გამოცემის შემოსავლიდან და აკაკის წიგნების საფასურიდან. აქვეა აღნიშნული საიუბილეო მასალის „აკაკის იუბილეს სახსოვარის“ სახელწოდებით გამოცემა და აკაკის დიდი სურათისა და ლაპარაკების დაბეჭდვა.

საიუბილეო დღესასწაულის დროს გათვალისწინებულია: პარაკლისი, მილოცვები, ადრესები, ზორი და აკაკის საბოლოო სიტყვა. განზრახულია აგრეთვე ხალხში ეფასოდ დასარიგებლად აკაკის ლექსთა წიგნაკის გამოცემა 20 ასათი ტირაჟით. იუბილეს დღეებისათვის უნდა გამოიცეს აგრეთვე ცალკე წიგნაკებზე აკაკის პოემები, დრამები და მოთხრობები.

იუბილეს პროგრამის უკანასკნელ პარაგრაფში ნათქვამია: „დღესასწაულის უკეთესად მოწყობისათვის უნდა დაარსდეს სხვადასხვა ქალებსა და დამაში ადგილობრივი კომიტეტები“. ამ პარაგრაფის საფუძველზე ქუთაისში შეიქმნა აკაკის საიუბილეო კომიტეტი, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ საქმეს სათავეში ჩაღვრილა ქუთაისის დრამატული საზოგადოება. მას თავისი საზოგადოების ხსდომარე განუხილავს ეს საკითხი და სათანადო კომისიაც გამოუყვია.

დრამატული საზოგადოება ამ დიდი ეროვნული ზეიმის ჩატარების საქმეში სხვა დაწესებულებებს მონაწილეობას მოითხოვს. სხვადასხვა დაწესებულების სახელზე გეგზავნულ სპეციალურ მიმართვაში ნათქვამია: „ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, შედგა 5 ამა ოქტომბერსა, შესახებ 50 წლის აკაკის იუბილეს გადახდისა. ვთხოვთ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელი სადღესასწაულო ვეგვის შესამუშავებლად. პირველი კრება კომისიისა დანიშნულია შაბათს 11 ოქტომბერს „უპრაჰვაში“ საღამოს 5 საათზე“ (ბეჭე).

საიუბილეო კომისია ინტენსიურ მუშაობას იწყებს. იგი კავშირს აყვარებს სხვადასხვა დაწესებულებებთან და საზოგადოებებთან და მათ აძლევს კონკრეტულ დავალებს.

1 Дело Кутанесской управы о чествовании 50-летнего юбилея грузинского поэта Акакия Церетели. 1908 г., опись № 57.

იუბილეათვის მზადებაში განზრახული ყოფილა ქალაქის დაწყებითი სკოლებისა და გიმნაზიის მოსწავლეების მონაწილეობაც. პირველყოფილი, კომიტეტი ცდილობს მთავარი საკითხები ქალაქის მმართველობასთან შეათანხმოს. საიუბილეო კომიტეტი ქალაქის მმართველობას სთხოვს:

„თანამზად ქალაქ ქუთაისის დაწყებითი სკოლების მოსწავლეებელთა კრების მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის დადგენილებისა, რომელიც მიძღვნილი იყო შესანიშნავი ქართველი პოეტის აკაკის საიუბილეო დღესასწაულისადმი, ჩვენ განმარტულებული კომისიის წევრები უმორჩილესად ვთხოვთ ქალაქის მმართველობას ქვემოთ ჩამოთვლილის შესახებ.“

1. გასეთვ თანხა 250 მანეთი, იმ 300 მანეთიდან, რომელიც შეტანილი იყო „სმეტაში“ 1908 წლისათვის დაწყებითი სკოლის ბავშვების გასართობი საგნების შესაძენად, აკაკი როსტომისძე წერეთლის იუბილეს დღესასწაულისათვის ლიტერატურული დილის მოსაწყობად.

2. იუბილეს დღისათვის თეატრის შენობა გადაეცეს კომიტეტს უფასოდ.

3. აღიძრას შეამდგომლოს ქალაქის დღემის წინაშე, რათა ქელთა ორკლასიან სასწავლებელს მიენიჭოს პოეტი აკაკი როსტომისძე წერეთლის სახელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად (იქვე).

არ ვიცი, რამდენად შესარტულა ქალაქის მმართველობამ კომისიის ეს მოთხოვნა, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ აკაკი წერეთლის სახელი ქუთაისში 1908 წელს არცერთ სკოლას არ მიკუთვნებია. პირიქით, მთავრობის მალაღ წრეებში ცდილობდნენ აკაკის იუბილე რაც შეიძლებოდა შეზღუდულად და გაუხშაურებლად ჩატარებულყო. მათ კარგად იცოდნენ, დიდი ილახე მეუღლეობით ეროვნულ ტრაგედიის შემდეგ გამოწვეული ქართული ხალხი აკაკის იუბილეს ცარიზმის საწინააღმდეგო ბრძოლის საშუალებად გამოიყენებდა. მართლაც, თუ 1907 წლის ნოემბრის ტრაგედიამ გლეგის ძაძში გაახვიდა მთელი საქართველო, 1908 წელს აკაკის იუბილე ეროვნული თავისუფლებისათვის დიდ შიმშილობად გარდაიქცა. ეს სახალხო ზეიმი არსებითად შეაკრი პასუხი იყო ცარიზმს იმ აგენტების წინააღმდეგ, რომლებმაც დიდი ეროვნული მუხა წააქციეს ილიას სახით, მაგრამ ერის მეორე სამიჯე — აკაკი წერეთელი — ცოცხალი იყო და მას მადლიერი ვერ 50 წლის სახილეთანი მოღვაწეობის იუბილეს უხდოდა.

თბილისში აკაკის იუბილე 7 დეკემბერს გაიმართა, ზოლო აკაკის საყვარელში, „საყვარლო და სამოსო“ ქუთაისში 14 დეკემბერს იუბილე დიდი პოეტის მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ქუთაისის საიუბილეო კომიტეტი წინასწარ ატარებდა ქუთაისის სკოლებსა და დაწესებუ-

ლებებში ლიტერატურულ დღის-საღამოებს, ლექციებსა და აკაკის ნაწარმოებთა კრებულ-განხილვას. მაგრამ, საიუბილეო კომისიის ქრულველი ნაბიჯი, აკაკის იუბილეს საპატრივენულო ყოველი უზარალო მოქმედებაც კი, პოლიციის მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა და ხშირად უზარალო ღონისძიების გატარებისათვის კავკასიის ოლქის მზრუნველის ან მეფისნაცვლის ნებართვა იყო საჭირო.

კომისიის გადაწყვეტილებით, 7 დეკემბერს, მანინ, როდესაც თბილისში აკაკის იუბილე გაიმართა, ეროვნული დღესასწაული იყო გამართული, ქუთაისის გიმნაზიაში მოსწავლეების მონაწილეობით უნდა ჩატარებულყო აკაკის პატრივენულო ლიტერატურული დღისა, სადაც გაიმართებოდა აკაკის ნაწარმოებთა კითხვ: და მოსწავლეებს უფასოდ დაურგდებოდათ მისი რჩეული ნაწერები.

ამ მიზნით, საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს თხოვნით მიუშარტავს ქუთაისის გიმნაზიის დირექტორისადმი გიმნაზიაში აკაკი წერეთლის ლიტერატურული დილის მოწყობის ნებართვის შესახებ. მიმართავს ნათქვამია:

„ქართული პოეტის, აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საზეიმო-საიუბილეო კომიტეტი უმორჩილესად ვთხოვთ, იუბილეობის პატრივენულო თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელში ნება დაგვართოთ ლიტერატურული დილის მოწყობისა, რომლის დროსაც მოწოდებებს მიეცემათ ხსენებული პოეტის, აკაკი წერეთლის სხვადასხვა რჩეული თხზულებანი“!

გიმნაზიის დირექტორმა ვერ დააკმაყოფილა საიუბილეო კომიტეტის თხოვნა, რადგან მას, პირადად, ასეთი ნებართვის გაცემის უფლება არ ჰქონდა.

„ქართული პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საზეიმო-საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს — უფ. მ. ქიქოძეს.“

პასუხად თქვენს მომართვაზე მაქვს პატივი გაეცნობით, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში ნება დაგვართოთ იუბილეობა, აკაკი წერეთლის პატრივენულო ლიტერატურული დილის მოწყობისა. ეს არ არის ჩემზე დამოკიდებული და ამიტომ თქვენს თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებ“!

საიუბილეო კომიტეტის თხოვნით შეინებულ დირექტორი ახსნა-განმარტებისათვის მიმართავს ოლქის მზრუნველს, როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე განმეორებით მიმართავს მას

¹ ქუთაისის არქივის გიმნაზიის ფონდი, არქივი № 2, საქმე № 157, 1908.

² იქვე.

სეთო მიზნით. ღირებურობის მიმართებაში ნათქვამია:

„ამ დღეებში ქართული პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საზეიმო-საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ მე მომართა თხოვნით, რათა ნება დამეკრათ იუბილარის საპატიოცემოდ ჩემდამი რწმუნებულ გიმნაზიაში მოწყობილიყო ლიტერატურული დღეა, რომლის დროსაც მოსწავლეებს მიეცემოდათ საინტერესო სხვადასხვა რჩეული თხზულებები ხსენებული აკაკი წერეთლისა. პასუხად ამისა მე ვაცნობე უფალ თავმჯდომარეს, რომ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული და ამიტომ თხოვნა მისი ჩემს მერს დამეყოფილებული არ იქნა. ვაცნობებთ ამის შესახებ და უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას, მომცეთ მითითება, როგორ მოვიქცეიმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე ისევ მომართავს შეამდგომლობით“¹.

ჩანს, არც კავკასიის ოლქის მზრუნველი ყოფილა ამ საქმეში უფლებამოსილი და მას მხოლოდ რჩევა მათეა ქუთაისის გიმნაზიის ღირებურობისათვის, რომ ამ საკითხზე იგი მოლაპარაკებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს. ახლა ქუთაისის გიმნაზიის ღირებურობის იმდებულ ხდება იმავე საკითხზე თხოვნით მიმართოს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს.

„მის აღმატებულებას, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის ბატონ დროებით გუბერნატორს! ამ დღეებში ქართული პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საზეიმო-საიუბილეო მომწყობის კომიტეტის თავმჯდომარემ მომმართა თხოვნით, რომ იუბილარის საპატიოცემით გამართულიყო ჩემდამი რწმუნებულ გიმნაზიაში ლიტერატურული დღეა, რომლის დროსაც მოსწავლეებს მიეცემოდათ საინტერესო აკაკი წერეთლის რჩეული თხზულებანი. ვაცნობე რა ამის შესახებ კავკასიის ოლქის ბატონ მზრუნველს, ამასთან ერთად ვთხოვდი მითითებას, თუ როგორ მოვექცეულიყავი ამ შემთხვევაში. პასუხად ჩემი პატარია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა მიბრძანა შევითხოვი თქვენს აღმატებულებას, თუ როგორი შეხედულებების იქნებოდათ თქვენ ამ საკითხზე და ამის შესახებ მომესწავნებია მისთვის“².

ვერც ქუთაისის გუბერნატორმა შექმლი „შემწავლებელი“ ღირებურობისათვის პასუხის ვაცემია და ამ „დიდი პრობლემის“, ქუთაისის გიმნაზიაში მოსწავლეთა ლიტერატურული დღის მოწყობის ნებართვისათვის საჭირო გახდა შეფისნაცვლის უშუალო ჩარევა. დაბოლოს, შეფისნაცვალმა გამოიჩინა „დიდი ვაჟბედობა“

და ნება დაართო კავკასიის ოლქის მზრუნველს ვაცეა განკარგულება 1908 წლის 7 დეკემბერს ქუთაისის გიმნაზიაში აკაკის საპატიოცემოდ მოსწავლეთა დღის მოწყობის შესახებ.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი ქუთაისის გიმნაზიის ღირებურობის ასეთ მიმართებას უგზავნის. „ქუთაისის გიმნაზიის ღირებურობის მათი ამა. უდიდებულესობამ შეფისნაცვალმა კავკასიაში ნება გიბოძა წარმოადგინოთ მოსწავლეებთან ლიტერატურული დღეა პოეტი თავადი აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილესთან დაკავშირებით. ამას ვაცნობებთ პასუხად 12 ნოემბრის №1401 თქვენი მომართვისა.“

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი კანცელარიის საქმეთა მმართველი (ხელმოწერალი)³:

ამდენი მიწერ-მოწერისა და შალაღ ინსტანციებში საკითხის გარკვევის შემდეგ, ქუთაისის ღირებურობი თავის მხრივ 24 ნოემბერს აცნობებს საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნება დაართო კომიტეტს ქუთაისის გიმნაზიაში ლიტერატურული დღის გამართვისა.

„ქართული პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის აღნიშვნელ საზეიმო-საიუბილეო კომიტეტის ბატონ თავმჯდომარეს!

პასუხად ჩემი ამა წლის 12 ნოემბრის №1401 პატარია, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ამ/წ. 20 ნოემბრის მოწერილობით №24478, ვაცნობა მე, რომ შეფის ნაცვალმა კეთილ ინება დაგართო ნება დეკემბრის 7-ს წარმოადგინო იქნას ლიტერატურული დღეა მოსწავლეთათვის ჩემდამი რწმუნებულ გიმნაზიაში თავად აკაკი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავად. ამას ვაცნობებთ თქვენს შალაღეითაშობილებას პასუხად თქვენი მომართვისა. ამასთან ერთად, ვთხოვთ შალაღეით, თუ როგორ იქნება ორგანიზებული ზემოხსენებული ლიტერატურული დღეა“⁴.

არ შეიძლება ამ სტრიქონების შეთხვევლს არ მოავგონდეს რწყილისა და ჭიანჭველის სასაიცილო ამბავი. საიუბილეო კომიტეტი გიმნაზიის ღირებურობის თხოვს ლიტერატურული დღის მოწყობის ნებართვას, გიმნაზიის ღირებურობი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან მოითხოვს ახსნა-განმარტებას, ოლქის მზრუნველი რუდოლფი ქუთაისის გიმნაზიის ღირებურობს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს სლავაიანისკისთან გზავნის და ბოლოს საქმე შეფისნაცვალმდე მიდის და მხოლოდ შეფის-

¹ ქუთაისის არქივის გიმნაზიის ფონდი, არქივი №2, საქმე №157, 1908 წ.

² იქვე.

³ ქუთაისის არქივის გიმნაზიის ფონდი, არქივი №2, საქმე №157, 1908 წ.

⁴ იქვე.

ნაცვალის ნებართვით ხდება შესაძლებელი უფროსის გიმნაზიაში აკადის საპატრუცემლო ლიტერატურული დილის მოწყობა. მაგრამ, როგორც სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, მეფის მოხელეების საქმიანობა ამით არ ამოიწურება, მათი ავენტები კიდევ უფრო გააქტიურდნენ თავი იხილეს დღეებში. აკადის იუბილე ქუთაისში 14 დეკემბერს გაიმართა. ქუჩაში აკადის ხალხი ტანისცემითა და საზეიმო ყვირით ხედებოდა. საიუბილეო კომიტეტს გადაწყვეტილი ჰქონდა „სობოროდან“ თეატრამდე ჩაეშვებინებინათ მოსწავლეები იუბილარის შესახვედრად, მაგრამ კომიტეტის ეს განზრახვა პოლიციის ავენტებმა წინასწარ აცნობეს მეფისნაცვალს და იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საშუალებით განკარგულებას აძლევს ქუთაისის გუბერნატორს.

„მე მეცნობა, რომ აწ. 14 დეკემბერს ქართული პოეტის აკადი წერეთლის 50 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საზეიმო-საიუბილეო კომიტეტი აწყობს ქალაქ ქუთაისში პოეტთან საზეიმო შეხვედრის და გზაზე — სობოროდან თეატრამდე მისი გადაყვანის დროს დაწყობილი იქნება სამოქალაქო და სახალხო სკოლების მოსწავლეებმა მწკრივად, სასუფორკეტრიბით. რის გამო, მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ თანახმად მეფისნაცვალის განკარგულებისა მოწაფეებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ლიტერატურულ დღეებზე რჩეული სიხეულეების კითხვით და გამოვიდნენ სიტყვებით თანახმად მოწაფეთა წესდებისა, ამიტომ მე მიხანგეონილად არ მიმანია მოწაფეების ქუჩაში გამოყვანა მწკრივად“¹.

ხოლო, ქუთაისის გუბერნატორი სლავაინსკი, თავის მხრივ, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის რედოლფის მომართვის საფუძველზე, ავალბებს ქუთაისის სკოლების ჯირბიტორებს, რათა აკადი წერეთლის საიუბილეო სახალხო ზეიმში მონაწილეობა არ მიიღონ მოსწავლეებმა.

„თანახმად ბატონ კავკასიის ოლქის მზრუნველის აწ. 6 დეკემბერის მომართვის № 25430, ვთხოვ თქვენს მაღალეთილშობილებას აუწყოთ ქუთაისის ყველა სასწავლებლის უფროსებს, რომ იუბილარის პატივსაცემად მოსწავლეებმა ერთსაღებათ, სასწავლებლის კედლებს გარეშე, ქუჩაში დგონა ჯგუფებად. წესის დამრღვენი ჩემს მიერ მიცემულნი აქნებიათ პასუხისმგებელი“

და ჯგუფები გაფანტული პოლიციის მიერ, გენერალ-მაიორი მ. სლავაინსკის მიერ. რომ გაიცნეს და ელფებულნარიანნი მუხარბლონ გენერალ-გუბერნატორი განკარგულება დოკუმენტზე ხელს აწერენ: ქუთაისის გენერალ-სასწავლებლის დირექტორი ა. ლეონტიევი, წმ. ნინოს სასწავლებლის ინსპექტორი გ. გოგობერიძე, სახალხო სკოლების დირექტორი სემიონოვი, ქალთა გიმნაზიის უფროსი ა. ხრაცოვსკაია, უფასო სასწავლებლის უფროსი ტაიხნეკო-რუბან, გიმნაზიის დირექტორი მ. გულაყოვი.

ხოლო, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი, გენერალ-გუბერნატორის მომართვის საფუძველზე, თავის მხრივ განკარგულებას აძლევს მოსწავლეებებს და კლასის დამრიგებლებს, რომ 14 დეკემბერს ქუჩაში არ იქნან გაიყვანილი მოსწავლეები აკადი წერეთლის იუბილეოში მონაწილეობის მისაღებად.

ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის ბატონ დროებით გუბერნატორმა მაკნობა მე, რომ პოეტ აკადი წერეთლის იუბილეში მოსწავლეებს არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სასწავლებლის კედლებს გარეშე. აქამდელი იდგენ ქუჩებში მწკრივად ან ჯგუფ-ჯგუფად, ყოველივე ეს აქამდელია გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით. ასეთში შემწერული პოლიციელების მიერ იქნებინ გაფანტულნი და ადმინისტრაციული წესით დასჯილნი. გაცნობებთ რა ამას, უმორჩილესად ვთხოვთ კლასის დამრიგებლებს, რომ თქვენს მხრით მიიღოთ ყოველივე ზომები, რათა თქვენს რწმუნებულ კლასებში განუხრელად გაატაროთ ეს განკარგულება. გარდა ამისა, ვთხოვ კლასის დამრიგებლებს, გამოაცხადონ ჯგუფებში გენერალ-გუბერნატორის ზემოდასწავლული განკარგულება და 14 დეკემბერს, იუბილეს დღეს, იქნებინ განსაკუთრებული ზედამხედველობა, რათა მოსწავლეების მიერ არ იქნას დარღვეული გენერალ-გუბერნატორის ეს განკარგულება“².

არ შეიძლება განვიფიქრობოთ გარეშე წაიკითხოთ დღევანდელმა მეთოდებმა ცარბნის ბიბროკრატი ჩინოვნიკების ეს საქმისნერი დოკუმენტები. აშკარად ჩანს ისიც, თუ რა პირობებში უხდებოდა ქართული მოღვაწეების ერთგული, პროგრესული კულტურისათვის ზრუნვა და ვის ზელში იყო ჩვენი ქვეყნის მოღვაწეთა ბედი.

¹ ქუთ. არქ. გიმნაზიის ფ. არქ. № 2. ს. № 157, 1908 წ.

² ქუთაისის არქივის გიმნაზიის ფონდი, არქივი № 2, საქმე № 789.



საპარის მემორები

აქაის ბევრი თავდანისმცემელი ჰყავდა, მრავალი მემორები იმშენებდა. მისთვის არც ერთი ქართული არაფერს დაიშურებდა. აქაი იშვიათი სიყვარულითა და პატვისცემით მოიხსენება ყველგან და ყველას მიერ.

ფანცხავეების ოჯახი — მშები — რომანოზი, ნესელნი და იაკობი აქაის ერთგული მემორები იყვნენ.

ფანცხავეების ოჯახს აქაი ამოებდა თავისი გულწრფელი და გელოზილი მემორებული ერთგულებით. ფანცხავეები კ — (ფანცხეთობით ჩვენი მწერლობის წარმომადგენლები რომანოზი, იაკობი), აქაის შემოქმედებით მოხიზლდნენ, მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის პოეზიას. როცა ხომელმა (რომანოზ ფანცხაემ) კრიტიკული წერილი დაწერა გრ. უმწიფარიძის (— ვოსკის) შემოქმედების შესახებ, აქაის მაგალითი მოჰყავდა როგორც საუკეთესო და დიდი ღირსი პოეტისა და უჩვეულად უმწიფარიძეს უფრო მეტად აქაის გავლენაში ყოფილიყო. ეს სტატია 1884 წელს ქუთაისის გაზეთ „შრომის“ დაიბეჭდა, რომელშიაც თანამშრომლობდნენ აქაი, კირილე ლორთქიფანიძე, დავ. ბაქრაძე, გრ. უმწიფარიძე, ბოსლეველი (ესტატი მუდლიძე) და სხვები.

ხომელი ამგვარად იგონებს რედაქციაში მისვლას და აქაისთან, კირილე ლორთქიფანიძესა და გაზეთის რედაქტორ-დირექტორ დადიანთან შეხვედრას: „ჩემი საუკეთესო სისხლთა და წვალებით დაწერილი სტატია პირველად მიმქონდა რედაქციაში და ისე მაგრად მივბირა ხელში იგი, თითქოს ვეზიშობდი ზელიად არ გამოვიჩინე ეს მარგალიტი და არ დავიღუპო-მითქო, თან არხენდა შევად რედაქციის კარი და გაბედულად მივართვი იგი რედაქტორს. რედაქტორმა, რა თქმა უნდა, ხელი ჩამოშორდა და ერთმანეთს გავეცანით. იქვე იყო კირილე ლორთქიფანიძე, რომელსაც გვერდს უმშენებდა აქაი. აქაიმ როცა გაიგო, რომ თბილისის სასულიერო სემინარიელი ვიყავი, გამოკითხა დაწვრილებით, თუ როგორ ცხოვრობს სემინარიელები, როგორ ემყარებიან რუსის ბერები და მსწავლელები და რა ადგილი უჭირავს იქ ქართულ ლიტერატურას და პრესას. კირილემ დაუპირა — თუკი კითხულობენ იქ ქუთათორ გაზეთს „შრომის“ და რა აზრისა არიან სემინარიელები „შრომის“ შესახებ,

სტატია მოეწონა აქაისაც, კირილესაც და ფელეტონად დაიბეჭდა.

1884 წ. თბილისში ხომელი გაეცნო მაშინდელ მოღვაწეებს: ილიას, აქაის (მეორედ), ნიკო ნიკოლაძეს, ი. ვოგებაშვილს, ნ. ლომოურს და სხვებს. რედაქციებსაც ამ დროს დაუახლოვდა. ხშირად დადიოდა ქართულ თეატრში და აქაისთან ერთად არჩევდა დიდგმულ პიესებს.

სექტაკლ „ხანუშას“ გველნით, ზაქარია ჭინიასის დედას ხომელმა ხანუშა შეარქვა, აქაიმ დიმილით უთხრა: „რომანოზ, იუმარიანტული ნიჭი ბასრი და სწრაფი აზროვნების გამოამახვილია“.

ეს მეორე შეფასება იყო, რომელსაც დიდი აქაი აძლევდა ხომელს.

1884 წლის სექტემბრიდან ხომელი მიემგზავრება ოდესაში. იქ, უნივერსიტეტში ყოფნის დროს, აწყობს ლიტერატურულ სადამოყენებს, სადაც დიდი ცოდნითა და სიყვარულით არჩევს აქაის შემოქმედებას ქართულ სტუდენტთა ლიტერატურულ წრეში.

სწორედ ამ პერიოდში დაიბეჭდა აქაის ლექსი „ხანჯალი“, იგი მაშინვე იქნა გადათარგმნილი პოლონურად, და, როგორც წერდნენ, ყველა ოჯახში როიალზე ამღერებდნენ. აქაის პოლონეთში ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოუპოვა.

ამ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოდის იაკობ ფანცხაეა („ფხა“), ხომელის უმცროსი ძმა. იაკობი შემოდგომაზე, ხომელის რჩევით, შევიდა ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ძმებს შორის განუწყვეტელი მიწერ-მოწერა წარმოებდა 1908 წლამდე.

ამ წერილებში ხშირად იხსენიება აქაი და მისი დამოკიდებულება ფანცხავეების ოჯახთან.

ხომელი გრ. ჩარკვიანს შეუამახანავდა „ქართული წიგნების ამხანაგობის“ გაძლიერებისა და გაფართოების მიზნით, პირველად გამოცემლობის გეგმაში აქაის ნაწერების გამოცემა შეიტანა და გამოსცა კიდევ. როცა იაკობ გოგებაშვილმა ამ გამოცემლობის განზრახვა გაიგო აქაის ნაწერების გამოცემის შესახებ, ხომელთან მივიდა და უთხრა: „ამ საქმის დაწყება მეც მიზნოდა, მაგრამ ვერ ვებედავდიო“.

1893 წლიდან, როცა „კვალი“ გამოვიდა,

აქაიმ, გიორგი წერეთელმა და ვანო მამახელ-
მა ამ ფურნალში კრიტიკული განყოფილების
გამგედ ხომლული მიიწვიეს. ხომლულმა მო-
ხერხებულად გამოიყენა „კვალის“ ფურცლები
და, პირველად ჩვენს შწერლობაში, მარქსის-
ტული თეაღსაზრისით გააშუქა „ჩვენი ქარ-
თული ლიტერატურის მდგომარეობა“.

— „ჩვე კრიტიკულ სტატიებში — სწერდა
ის, — პირველად საქართველოში, 1893 წელს
ფურნალ „კვალის“ ფურცლებზე შეეფასე ავა-
კის ლირიკა და დავამტკიცე, რომ აკაიის ბაღ-
ლი ლირიკოს არც გვეყოლია, არც გვეყავს — მე-
თქმე. დღეს, მაღლობა დემრთს, ამ ჩემს აზრებს
ქვაბიჯ კი დაღაღებენ. 1893 წელს ეს აზრები
მთელს რევოლუციას წარმოადგენდა და იგი
დაუზოგველი ღანძრვა-გინება მერგო წილად
მანძილდელ „ივერიაში“.

აკაიისა და ხომლულს შორის მეგობრობის
განმტკიცების ერთ-ერთ მომენტს შეგვძენია
რად იგონებს ხომლული: „ამ ქამად კალამი
ხელში მივიჩინავ და მაგონადება დიდი ივერიე-
ლის — აკაიის „თავგადასავალი“. ჩემი წერი-
ლის — „ცხოვრების მოვლადის“ პირველი თავი
1893 წელს ნოემბრის თვეში წარვედგინე ფურ-
ნალ „კვალის“ რედაქციამი აკაიისა და გიორგი
წერეთელს დასასტამბავად. სტატია, რა თქმა
უნდა, მაშინვე დაისტამბა „Nihil“-ის ფსევ-
დოსაით, ავირე კეთილად რედაქციამი რო შე-
ვიარე, აკაიმ აღტაცებით მითხრა: დიდი ხე-
ლოვნების ნიჭის პატრონი ყოფილხარ, არა თუ
მდინარე რომინი და მისი კვლევები მდამოკები
გაიციცხლე ქართულ ლიტერატურაში, არამედ
რომინს პატარა რიყის ქვასაც კი სული ჩიუდ-
გო, გამავრძე შენი თავგადასავალი“.

შე ვამბობინა. აკაის ხალისიანი გავულოინე-
ბაც. ჩასაკვირველია, ჩემთვის დიდად სასი-
აოვნო გასაგონი იყო. მაგრამ შე თავდაბლად
მიუხედავ მოსაზრს: მე უკარ ქართულ ლიტერატუ-
რამი სრულად ნამდვილი და ქვეშაირი აქის-
კანაშ ვარ-მეთქი. თქვენი კი გვირგვინი ქარ-
თული ლიტერატურისა, მისი ნამდვილი პატ-
რიარქი ბრძნდებით. რა უფლებების ძალით უნდა
დავიწყო შე ჩემი თავგადასავალი, მაშინ, როცა
თქვენისთანა ვოლიათი ერთ სიტყვასაც არ
წერო თქვენს საკუთარ და დიდ საინტერესო
ცხოვრებაზე-მეთქი.

— დაწერეთ თქვენი თავგადასავალი და
მერე ვნახოთ.

ამ დროს ვიორგიც იქ იჯდა რედაქციამი.

— მართლს ამბობს რომანოზი, — თქვა
გიორგიმ.

ამ საგანზე ვისაუბრეთ იმ დღეს და აკაიმ
ვიჩაგვისა და მეც სიტყვა მოგვცა თავგადა-
სავლის დასტამბავდა ფურნალ „კვალში“.

აკაიმ მართლაც მესამე წელსწინის (მეორე
წელსწინს გაებრდა ფურნალ „კვალს“) დაიწყო

თავის თავგადასავალი, სადაც მისი განმტკიც-
რებელი ხელოვნური ტალანტი, ქართული მთო-
ზის დიდ ნიშნად უნდა ჩათვალიყო.

— ამ შეხვედრამ საბოლოოდ განამტკიცა ის
ხიდი, რომელიც აკაიისა და ფანცხავეების ოჯახს
შორის იყო გაღებული. ხომლული მზირად იტ-
ყოდა საუბარში, ან ფანცხავეების ოჯახების
წვეულებებში, სადაც აკაიის ყოველთვის და
აუცილებლად დიდი საბატო საგარმეული ედგა,
იყო ეს რომანოზისა, იაკობისა, დიომიდესის,
ეესედნისა, თუ ვარლამისა, აკაიის გასაო-
ცარ ლირიკის მხოლოდ თავისი ტანჯული მა-
მელის ღრმა და ძლიერი სიყვარული და ან-
გელოზური გულწრფელობა ასულდგმულემ-
სო...“

ხომლულის სიტყვით „აკაიი შერისმეტად ათე-
ქარებელი, დიდსულოვანი ადამიანი იყო, ტა-
ნადობაც და გარეგანი აღნაგობაც განსხვავე-
ბული ჰქონდა. რა ვინდ ურიცხვ ხალხში გარე-
ული ყოფილიყო, უცხო ადამიანი აუცილებ-
ლად ყურადღებას მიამტკიცედა. დიდი მიზიდ-
ველობის ძალე ჰქონდა მას... ზორბა და მან-
დული, თითქმის თეთარი მარმარილოსაგან გა-
მოკეთილი კაცი, რომელსაც უმწვენიერეს თავ-
ზე ხეუქუი თმა და შესანიშნავი წვერულვაში
მდიდრულად ჰქონდა მომადლებული. მისი მე-
დად პირმკიანრე, ნათელი, გონიერი, შთაგონე-
ბული იყო ვის უტრადღებას არ მიმტკიცედა?
„ღიმილი“ აკაიისა იყო არამეფულებრივი, რა-
დაც საოცარი და მომბიბელი. მის წყნარს
მუსიფს და საუბარს წმინდა ბიბლიისებური
უზრალიობა, დიდი სიმარტივე და ამასთანავე
დიდი განმაცხოვრებელი სიტყობებიც ჰქონდა“.
„ჩემს დღეში — იტყოდა ხომლული — აკაიი არ
მინახავს თავის პირად საქმეზე აღმფოთებული
და გაბორთებული, პირადიდ ვინმეზე გაჯავ-
რებული. ვერც წარმომიდგენია, თუ ამ არწიეს
ოღისმე ვინმე გაჯავრებდა და გააფთრებ-
და“...

ვინც გულდასმით და ღრმად შეისწავლის
აკაიის ცხოვრებას, თავგადასავალს, მის ლიტე-
რატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას,
ვინც ღრმად ჩაწვდნება მის საოცარ ლირიკას,
იგი დაწმუნდნება, რომ საქმე მართლაც არა-
ჩვეულებრივ დიდ ადამიანთან აქვს.

ერთხელ, კარგად მახსოვს, იაკობ ფანცხავე-
სის „საბატო სადილზე, კ. აბაშიძესთან საუ-
ბარში ხომლული ამტკიცებდა:

„აკაიის ლირიკა იქაც კი ღრმად გამსჭვალუ-
ლია ნაციონალური ცოცხალი მოტივებით, სა-
დაც იგი უმღერის მთიარესა და ვარსკვლავებს
და წმინდა სიყვარულსაც. აკაიის ლირიკა უაღ-
რესად სიმბოლიოტიკა და ცოცხალი რეალიზმის
სული აღსავსე. იქ კი აკაიი ქართულ ლიტე-
რატურაში იალბუზოვით ცალკეა, სრულიად
მარტოდ მარტოდ დგას ჩვერ თვალწინ და ქვე-
შაირიად, გაუქრობელ უკვადებასავით აწითა

და საქვეყნოთ იწვის. აკაის თავისი საყუთარი, ინდივიდუალური, დემოკრატიული და პოზიტიური სულის თქმა ჰქონდა თანდაყოლილი და ამას წუთსაც არ მოშორებია. ამ თვალსაზრისით აკაი ჩვენში უდიდესი ზნეობრივი პიროვნებაა, რომელსაც ტალახი, ქვედაგრძობა და ბოროტება ვერ ეკარება.

აკაი სრულ და რთულ ფსიხიკის აღმზიანთა კატეგორიას გუთვნოდა. მასში, როგორც ფოქსში ჯადოსნურათ იყო შეერთებული სიყვარული და სიძულელი, სიტუბოება და სიმწარე, სიბარელი და იწუხარება, თადლი და შხამი. და ეს ერთი მეორის წინააღმდეგობანი ისე მთლიანად იყო მგოსანში შედრღებული, რომ იგი ამ მშრითაც დღსა და მდღიარს სანახაობას წარმოადგენდა.

ამგვარი იყო ხომლელის შეხედულება აკაიზე. პირველი ვამახშურება, ხომლელის შემდეგ, აკაის შემოქმედებამ პოვა იაკობ დანუხაის ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

აკაიმ იაკობი გაიკნო „აკაის“ რედაქციაში. იგი ღიდ შეფასებას იძლედა იაკობ ფანცხაის სამეცნიერო წერილების სერიას, რომელიც დაიბეჭდა 1895 წლის „აკაის“ ნომერებში.

ერთ-ერთ სამეცნიერო წერილში იაკობი ეფრწინება აკაის სიტყვებს. „საოცარი ნიჭისა და შემოქმედებითი შადლის მქონე პოეტი, აკაი ერთ თავის ლექსში ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს, ბუნების ძალთა განახლებასა და აღორძინებას რომ დაინახავს მისის ემის:

„შემოქმედების სარკვე ბუნებას...
„ეინ ჩაგისახა ვე ძლიერებას...
„ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
„ბაპერტდეს და არ გრძნოს მან ნეტარება!

აქ გამოთქმულია ბუნებისადმი სრული სიყვარულისა და ღრმა თაყვანების გრძნობა. აზრი ამ ლექსისა, თუ გნებავთ, ნამდვილი პანთეისტურია, და დღეს ეს აზრი, ეს გრძნობა ბუნებისადმი ჩვენთვის ადვილი ვსაგებია.

ხშირად, თითქმის ყოველ ბარათში ძმები-რომანოზი და იაკობი, ერთმანეთს აგებინებენ აკაის მდგომარეობას, მის ადგილსამყოფელს და მის მოღვაწეობის სეგებებს.

1895 წელს იაკობი „ველიში“ მუშაობს და იმყოფება თბილისში, რომანოზი გორიდან წერს: „იაკობ, აკაი მომიკითხე დიდი სიყვარულით“.

1896 წლის ნოემბრის ოცში ხომლელი სწერს ზესტალონიდან იაკობს: „აკაი საჩხერეშია-თავის მამულში, ივანე მინაბელი-კი ქართლშია“.

1897 წლის იანუარის სამს ქ. გორიდან სწერს ხომლელი: „აკაი ქალაქში დასამშობისას ე-

ყავი. აკაიმ დაგვატყუა და წავიკითხე თქვენი ახალი პოემისებური „ნათელა“... კი ხანია ესეთი სიამოვნება არ მიგრძნობია. მოკერის ამ კაცის საქმე. დაბრუნდა და პოეტური წარმოდგენის სფეროში ნავარდობს კიდევ იმისი ნიჭი. ჰეშმარტივად შესაშურია ამ კაცის ნიჭი“.

1897 წლის იანვრის 18 ქ. გორიდან სწერს ხომლელი: „იაკო ივრის მებრის მემამულეებმა დაარსეს „სასოფლო სამეურნეოსინდიკატი“. კვირას კრება იყო აქ და აკაიმაც მწახა და მითხრა გორიცი საძაველოვი შეხვეწია აკაის, აკაი მისთავის ღმერთია. სასიძო ამირჩიე. შესანიშნავი ახალგაზრდა, რომელიც სწავლასთან ერთად პატრიოტიც იყოლო. რაკი ამღუნ ქონებას ეძლეოდა, არ მინდა დავარგო უგანაზნოთო. აკაიმ მითხრა მე საიდუმლოდ, რომ იაკობს მიწერე, ზეენ ის გვევას სახეშოი. ქალს ეტანება იყო ამედიელები ბევრი, მაგრამ საძაველოვმა ყველას უარი უთხრა. რასაკვირველია, აკაი რასაც ლაპარაკობს, ნახევარი თუ იქნება მართალი. მაგრამ საქმე ის არის, რომ აკაის თვალში პირველი „გენიში“ საქართველოში შენაზარ, მისი აზრით, ვაბედნიერებს ვითომ“.

1898 წლის მარტის პირველს ქ. გორიდან ხომლელი ძლიერ გრცელ წერილს სწერს ძმას: „იაკო საღამოს ერთმანეთს პირობა მივეციოთ საღილათ ვაგზაზე გავსულიყავით და იქედან მცხეთაში. აკაიც იყო და ღვეანიც. ბევრმა საზოგადოებამ მოიყარა მცხეთაში თავი, მაგრამ შესანიშნავი არაფერი ყოფილა. ტასომ ბუფერტი გამართა მცხეთაში და გითრვიმ 7 მან. 50 კაპ. შეიტანა დამპატონებია „აკაის“ თანამშრომლებოი. მე საღილი იქ ვქამე, აკაი სულ ჩეენთან იყო და იქვე ეორდინასთან ვაქო შენ ძლიერ, „მესამე დასელებს“ კი მათრახები ვადაცრა. დიხოცა ზალხი სიცილით ისე ლაპარაკობდა. ნიყოლიძეზე ილაპარაკა, მაგრამ მე უთხარი—თქვენ ორი ერთმანეთზე ხართ გადავიდებულნი... და არც ერთის აზრი არ არის დასაჯერებელი, როდესაც ერთი მეორეზე პარაკობო-მოთქოი. ხმა არ ამოულია“.

1908 წლის ივნისის ექვს სოფელ ენისელიდან ხომლელი სწერს: „იაკო, შენი წერილი ერთილე ნაკაშიძემ მოშობტანა კვირას, 31 მაისს და ძალიან გამებარდა. მეტრისმეტად გამახარა იმ შესანიშნავმა გარემოებამ, რომ შენ საჯარო სიტყვა წარმოგიტყვამს ქ. ფოთში ჰალადიდლების ცხედარის წინაშე. დ. ბაქრაძე, რომ გარდაიცვალა მაშინ აკაიმ მითხრა, რომ რა არის, სულ ზეენ ვამბობთ სიტყვასო, ერთიც თქვენ—ახალგაზრდების წარმომადგენლებმაც გიავაგონეთ თქვენი ხმა საქვეყნოთო.“

აკაიმ რაცა შენი გამოსვლა ვიგო ძალიან გახარებული იყო შენი გამაბილაობით“.

1899 წელს ხომლელი მონაწილეობას იღებს აკაის „კრებულში“, რომელიც იმ ხანად ქუ-

თასში გამოდიოდა. „კრებლის“ გავრცელებისა და ხელის მოწევის შორეი, აკაის საატრეცეპლოდ, ფანცხაების საშუალო ძაბვესდნიმ დიდი ორგანიზაცია მოაწყო და ოთხასამდე ხელის მოწერი იშოვა. ამ საქმიანობამ ევსელნიც დაახლოვა აკაისთან.

1903 წელს იაკობმა გამოსცა ცალკე წიგნად თავისი სტატიები და წერილები—სახელწოდებით „თხზულებანი“. წიგნის გარეკანსა და თავფურცელზე მოყვანილია აკაის ლექსის „პოეტის“ სიტყვები:

„...ენაც მას ამბობს, რაც სმენს
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ქუთას
გაუზომ იწონია.

და
„სხვის ეყენსა თუ არ გეაწუხებს,
სხვისი არ გვესმის ტყვილი“.

ეს სქელტანინი წიგნი იაკობმა 1903 წლის დამლევს მიაართვა აკაის გულთბილი წარწერით.

1904 წლის 18 იანვარს აკაი სწერს იაკობს: „მამო იაკობი მივიღე შენი თხზულება და შორიდან ვახსენებამ უჩვეულო სამოწინება გამოაძღვეინა. უჩვეულო-ტოკ, რომ გწერ, მართო სიტყვა არ გავგონოს.

„ვეფხისტყაოსანში“ ერთი აბიჩებული ტავბია ჩართული: „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო?... ეს ლექსი შესისხლბორცებული ქონდა შესამოცე წლების თაობას და ზოგთა ცუად აყენას ისე ვერ ახერხებდენ, რომ მე იმავე დროს ქვესენდში არ ჩავეჭკრიეთ.“

ტუილად კი არ არის ნათქვამი: „ერთი ფარაცხარი, რომ ხეს შებღაღებს, ხე ვახმებო“. იმათი უსამართლობა, მეც გამაზმობენ, რომ ნიკოლაძის და ალ. ფრონელის კანტიკუნტ გამოსარჩლებას არ ვაგზავრებია ჩემი გული და არ შეეშუბუქებია სული. მეც იმ დღიდან ისე ვუყურებდი ჩვენს ინტელიგენციას, როგორც უბრალო დაყოლილი ზიტი, ფრიველი მონადირეს, შიშით ან ზიზიტი. არა თუ ენით არ მზოგადენ, კლამსაც არივი იღებდა, ისე ხელში, რომ სანადირო ნიშანში მე არ ამოველდე. ეს თითქმის წესად შემოვიდა და დაკანონდა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. იშვითად ვინმე გაქცეს ამ სადილობო კანონს და ამ იშვითთა შორის შენც. და აი თუ სად შესიაშოვნა ვახსენება და შენი თხზულებანი მიღება...

გმადლობთ და გმადლობთ.

ახლა ვიდავიდეთ კერძო საქმეზე.
ოღესლაც შავი ქვის მრეწველთა კოათურის ბანკში კრედიტი მქონდა ზელის ვასამართა-

ვად, მაგრამ საუკადრიოდ დავინახე ამ ბანკში წევრობა და მოვიწოდე სხვაგან „საღმე“ ვადს ვლა წევრად. ამას წინად ანდრია ერისთავს ვეითხე თუ შეიძლება ფოთში მიმიღოთ მეთქი? იმან დასტური მიითხა: მე კოათურის ბანკიდან გამოვედი, საწევრო ფული უკანვე გამოვიტანე და ახლა მანდ მინდა ჩავეუწრო. შემატუბომინე კერძოდ, თუ მოსახერხებელია, ზენობრივი კრედიტი თუ დამიშლის, როგორც „პოეტს“, თორემ მატერიალური კრედიტი კი მაქვს შავი ქვის მადნებიდან და მამულებიდან. შემატუბომინე თუ მიმიღებენ წევრად, აეც თხოვნას შემოვიტან და საწევრო ფულსაც წარმოვადგენ. მხოლოდ თხოვნის ფორმა გამოვიგზავნე, როგორი უნდა არ ვიცი. თუ მოიცილო და გარჯები ჩემთვის პასუხს ველი თბილისითეატრში ანუ დე-ფოსტოკ ნომერებში. შენი მარადი აკაი.

ეს ბარათი ამტყეებს თუ რამდენად ვანმტკიცდა აკაისა და იაკობის შორის ურთიერთობა. შემდეგ აკაიმ ანდერძის აღმსრულებლად დანიშნა იაკობი.

1912 წელს რაკა-ლენჩუხისაკენ გამგზავრებამდე იაკობი მიწვეული იყო აკაისთან სასტუმრო „გრანდოტელში“.

დიდი ხნის ბაასის შემდეგ იაკობს აკაიმ გადასცა ბარათი დაბეჭდილ კონვერტში, რომელზედაც ეწერა „ჩემ ღმეშპარკაშიისკ“ იაკობ სპირლონის ძე ფანცხავას. სთხოვა, რომ ეს კონვერტი ვაეხსნა მისი, აკაის სიკვდილის შემდეგ.

აკაი საერთოდ ძალიან მოუსვენარი იყო. ერთ ადგილას ყოფნა არ შეეძლო. ვარდაცოლებს უკანასკნელ თავებში, მიუხედავად იმისა რომ საშინელი თავის ტკივილები აწუხებდა, ის ქუთაისს ეწვია (1914 წლის დეკემბერში).

ზომლელს ვანზრახული ჰქონდა 1915 წლის იანვრისდ დაეწყო თავისი საუეთარი ეტრნალის გამოცემა. მას უნდოდა საუეთოესი ძალეში მოეწვია ეტრნალში მონაწილეობის მისაღებად.

ზომლელის ყურამდე მივიდა, რომ აკაი ქუთაისში იმყოფებოდა. მან დაავალა თავის მომავალ თანამშრომელს, ახალგაზრდა მწერალს სტუდენტ ივანე იოსელიანს ენახა აკაი და გადაეცა, რომ ზომლელს სურდა პოეტის ნახვა.

ივანე იოსელიანი შევიდა სასტუმრო „გრანდოტელში“ აკაისთან და რას ხედავს: „ცალკე პირველი სათულის ერთ ნომერში პირმბრუნეაელი წერს აკაი ლონგმხხლილი და კვსისის ტანზე გახდილი არ არის, თავზე ახურავს თავისი ჩვეულებრივი კარაკულის ქუდი და ვადახურული აქვს საზამთრო პალტო“.

ივანემ მოახსენა, ვინც იყო და რა დავაღებაც ჰქონდა. უცებ მოხტემა, თითქოს განახებულმა ადამიანის ყურადღებით, პირი მოიბრუნ-

ნა, ახალგაზრდის მიესალმა, დაბირდა, თუ კარ-
ვად ვიქნები, რომანოზის თხოვნას შეეხარულე-
ბო, იგი უკლებლად დავეწერე ახალ ჟურნალს
ახალ რამეს.

ივანემ შესთავაზა, იქნებ რამეს ინებებთო,
მაგრამ პოეტმა აუხსნა: „მალე მოვა ჩემი
მოურავი და თქვენ ნუ შეწუხდებით“.

ეს ამბავი ივანემ ხომილელს უამბო. ხომილე-
ლი შეწუხდა, გული აუჩუვდა, და რაკი მას
ავადმყოფობის გამო სიარული არ შეეძლო,
თავის მუხლს ანეტას დაავიდა, აკაკისათვის
საჩქაროდ დახმარება გაეწია.

ანეტა მივიდა „ვრანდოტელში“, მეპატრონე
კარგად შეაფუცხენა და მამინევე ღმელსა-
ცეცხლი დაანთებინა. ოთახის გათბობა და
აკაკის თვალეში გამოხედვა ერთი იყო.

პოეტი ანეტასაც დაჰბირდა, რომ რომანოზს
ვნახავო. აკაკი, მართლაც, საშობაოდ უკეთ
შეიქნა, რომანოზიც ინახულა, შებირდა, რომ
ჟურნალისათვის მიაწოდებდა ახალ პოემას —
„ომი“¹.

გვიმ სიმონ ჯაფარიძის თანხლებით, რომე-
ლიც კიათუჩიდან ამოვიდა, 1914 წლის დე-
კემბრის მიწურულში აკაკი გაემგზავრა ქუთაის-
შიდა, მასთან ახლდა აგრეთვე მოურავი აბ-
დულმანიშვილი.

პოემა „ომის“ წერა სხვიტორში დაიწყო.

1915 წლის იანვრის მეორე ნახევარში მოი-
სურება იაკობის ნახე:

იაკობი ეხლა ავადმყოფ პოეტს სოფელში.
მწოლარე აკაკიმ იაკობი რომ დაინახა, ძლიერ
გუგარდა. ბევრი რამ ითქვა მამინ... რის შესა-
ხებაც მოგვიტოვებთ თავის მოგონებებში ანა
იურაკვისისა, რომელიც პირადად ესწრებოდა
ამ შეხვედრას.

საინტერესოა იაკობის მოგონება აკაკის შე-
სახებ: „1895 წლის მაისიდან 1896 წლის თე-
ბერვლის ბოლომდე თბილისში ეცხოვრობდი.
ამ ხნის განმავლობაში გაზ. „ჯვალის“ რედაქ-
ციაში გაიქცინე აკაკი. აკაკი იმ ხანად 50-55
წლის იქნებოდა. მამასადაც, იგი ჯერ კიდევ
თითქმის პირამდე ვაქაცოვით გამოიყურებოდა.
ტანად ახონანი იყო, საშუალოზე უფრო მღა-
ლი. მშვენიერი და ნაკეთიანი, სათნოიანი პირი-
სახე ჰქონდა. იმის პირის სახის მიმტაცებელი
იერი ვაბრუვდა. ვაბრუვებდა, იმის ლაპარა-
კი მეტისმეტად თბილი და ტკბილი იყო. იმის
ლაპარაკის კილო ტემბრი საუცხოო განუყოფ-
ებელი იყო. ეს ტემბრი არც იმერული იყო,
არც ქართული. იგი სრულებით ინდივიდუა-
ლური იყო, აკაკის საკუთარი თვისება იყო. ეს
ტემბრი ხმისა, ბერისა, მეტი არავისაგან მსმე-
ნია. მშვენიერი ქართული ტემბრი ჰქონდა ვეა
ფშაველას, მაგრამ ეს ტემბრი ქართული იყო

და არა საკუთარი, განსაკუთრებული, ინდივი-
დუალური. აკაკის ეს ტემბრი დაეწერა იმ
საგანამდონო ფირფიტაზე, რომელიც აკაკის
50 წლის იუბილე ღრის იქნა გადაღებული და
რომელიც გადმოგვცემს აკაკის ლექსს „მოაქმინ-
დას“, თუმც ამ ტემბრის მცხოვანობის გამო წი-
ნანდელი ინკარა წერიალი ძალზე შელახული
აქვს.

აკაკიმ ტბილი, მომხიბლავი ბაასი იცოდა,
სმენას იგი კი არ გაიძულებდა, არამედ ვას-
მენიებდა ბაასს, რადგან ყოველი შემოხვევისა-
თვის უმარავი მასალა ჰქონდა ჩოგორც ისტო-
რიულია, ისე თანამედროვე ცხოვრებიდან
იღებულა. აკაკი თვითონვე თავის თავზე ამ-
ბობს „ჩემ ქვეყანას კარგად ვიცნობ, კიდით
კიდევ მომივლია“. არ შეეძლო არ გეს-
მინა ეს ბაასი, ისე ლაზთიანად, შროიანად და
ნარინარად, თითქოს მღერისო, ახმატბილებდა
აკაკი ამ ბაასს.

ოთხმოციანი წლების მიწურულში, მგონია
დავით მიჭელაძის (მეველე) სიტყვიერი განც-
ხადების გამო, ქუთაისის საადგილმამულო ბან-
კის საზოგადო კრებას აკაკი წერეთლისათვის
დაენიშნა ყოველწლიური პენსია იმ რაოდენო-
ბით, რომელი რაოდენობითაც იმ ხანად ჯამა-
გია იცოდოდა ბანკის გამგებების წევრს, ე. ი.
1500 მან. მაგრამ ამ პენსიის მიცემა ბანკის
მამინდელმა გამგეობამ გუგარაჯლი, გუგარა-
ჯლი სწორედ ამიტომაც, შემდეგ აკაკიმ დასწე-
რა თავისი ფრიად მოსწრებელი ლექსი—ინდი-
ვიდუა, სადაც შემდეგსა ამბობს:

მე კი გადავრჩი იმ ძველ სენს,
დანიშნული მაქვს პენსია,
მაგრამ სანამდი მომცემდნენ,
გამგუდავს უფულენკია.

მართლაც 1912 წელს მე პირადად ვითავე
და ვთავაყვე, რომ აკაკის ამ წლამდი სულ
მიეღო არა უმეტეს ხელისა თუ ათი ათასი
მანეთისა. მიუღებელი კი ჰქონდა ოცდახუთ-
ოცდაათ ათას მანეთამდე. 1912 წელს მე პი-
რადად ყოველზე დაწვრილებით მოვახსენე
ბანკის რწმუნებულთა საზოგადო კრებას აკა-
კის პენსიის ანგარიშის შესახებ და ვანჯაცხადე,
რომ საკუროა და სავალდებულოც, რომ ბანკმა
ასეთი პიროვნების წინაშე ვალდებულება შეას-
რულოს, მით უფრო, რომ ამ ხანად ბანკს,
ეს მიძე ტვირთად არ დააწვება, რადგან ბან-
კის დინამიური მდგომარეობა ძალზე გაუმ-
ჯობენებულიათქო. საზოგადო კრებამ ჩემი
განცხადება მოიწონა და აკაკი დაამყოფილა.
თანხმად კრების ამ დადგენილებისა, ბანკის
გამგეობამ აკაკის ანგარიში გაუსწორა პენსიის
დანიშვნის დღიდან. შემდეგ კი, სანამ აკაკი
ცოცხალი იყო, მას ყოველწლიურად ბანკი ამ-
ლევდა პენსიას 1500 მანეთის რაოდენობით.
აქვე უნდა დავუმატო, რომ ეს ჩემი განცხადე-
ბა და მოხსენება მე განვიზრახე, მევე ვიცისრ

¹ ტასო რომანოზის ასული დანცხავას პირა-
დი მოგონებებია.

სრული ჩემი ნებითა და სურვილით, რომელიც ჩემში გამოწვეული იყო აკაისადმი უღრმესი პატივისცემითა. ჩემთვის ამის შესახებ არც აკაის უთხოვნია, არც არავის სხვას, მის, მიერ მოგზავნილს¹.

• •

ქუთაისში აკაის ძალიან ხშირად დაინახავდით ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში, ანდა შალაზის წინ. მას თითქმის განუყრელად თან ახლდნენ დ. კლდიაშვილი, გ. ფ. ზღანდელი. გ. ტაბიძე, კ. აბაშიძე, ი. ფანცხავა, ხომელი, ჯ. ჯორჯიკია, გ. ფარქოსაძე, ს. გეგასიაძე, ხოლო გაკვეთილების შემდეგ მის გარშემო ბლომად ნახავდით მოსწავლეებსაც.

აკაის ძალიან უყვარდა წიგნის შალაზის მეპატრონე ვასილ ბეჟანიშვილთან ყოფნა და საუბარი, მისი ხშირი სტუმარი იყო. ვასილ ბეჟანიშვილს თავის შალაზისთან პატარა გამომცემლობაც ჰქონდა. აკაის ნაწერებს ცალკე პატარა წიგნაკებად სცემდა.

მე ძალიან მიყვარდა ივანე კილაძისა და ი. ხელაშის სტამბაში შესვლა. მით უფრო, რომ კილაძის შვილის ამხანაგი ვიყავი და ბიძია ივანე არ მიკრძალავდა საათობით შექცირა საბეჭდო მანქანისათვის.

ხშირად მინახავს ი. კილაძის სტამბაში აკაი. ქუთაისში ქართულ განმანათლებლურ კლასს ქართულ ენას გავსწავლიდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე სილოვან თომასძე ხუნდაძე. ერთ დღეს სილოვანმა აფიქსნა აკაის „ბაში-აჩუკი“. მოგვცა გაკვეთილად და მიგვითითა კრიტიკულ წერილებზე-ხომელისა და კ. აბაშიძისაზე: — ისწავლეთ ნახევარი „ბაში-აჩუკი“ და იხილეთ კ. აბაშიძის კრიტიკული ეტოუდები „ბაში-აჩუკის“ შესახებო. როგორც მასსოვს, კენტ დღეებში გექონდა ქართული ენის გაკვეთილები—სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს. სამშაბათს მოგვცა ხუთშაბათისათვის ეს მონაკვეთი.

ვათარდა ხუთშაბათი, პირველი გაკვეთილი ლათინური ენისა იყო, მეორე ქართლის. შემოვიდა სილოვანი და დაიწყო მოცემული დავალების გამოკითხვა. გამოიძახა ერთ-ერთი მოწვედი. მოსწავლემ უამბო გვირგვინით „ბაში-აჩუკის“ ნაწილი და დაამთავრა ამგვარად: „იხილეთ კ. აბაშიძის კრიტიკული ეტოუდები“. შეჩერდა, მასწავლებელს თითქო აგარძობინა, რომ ამით დაამთავრა საშინაო დავალება. სილოვანი გაცხარდა მოსწავლეს ამგვარ პასუხზე და უყვირა: „როგორ, შე უფუფურტო, შე უნდა ვიხი-

ლო, თუ შენ უნდა გვიხლა და გვსწავლიო?“ ეს ამბავი სიცილად არ ეყო მთელ კლასს და მუდამ ყველას პირზე ვერაზი *მეც ეს ინციდენტი ვუამბე ჩემს ბიძებს — რომანოზსა (ხომელს) და იაკობს. რომანოზს ძალიან უყვარდა ამგვარი სახუმარო ამბავები და იმდენს იცინებდა, სანამ ხველებს არ დაწყვიტებდა. „ბაში-აჩუკთან“ დაკავშირებით მან შიოხია, რომ: „აკაკიმ ის დაამთავრა 1895—1896 წლებში. იმ დროს, როცა „ბაში-აჩუკს“ ამთავრებდა აკაი ცხოვრობდა თბილისში, სასტუმრო „ტელიბუქურში“ (სტელიბუქურა) იყო სტრუქტურანი აღზნდელი ლომბარდის შენობაში), რომელსაც ზემო სართულზე ნომრები ჰქონდა.*

ამ ნომრებში ხშირად ცხოვრობდნენ თბილისში ჩამოსული ქუთაისელი ინტელიგენტები-რევოლუციონერები. პოეტები, მსახიობები და სხვ. უმთავრესად ხელმოკლე ინტელიგენცია. აკაკი ხშირი სტუმარი იყო-ამ სასტუმროსი.

1895 წელს აკაი ცხოვრობდა აქ და დიდად მისი განმავლობაში ნომრისა და ხარჯის ფული ვადახდელი არ ჰქონდა. აღუქსანდრე თოიძე, ამ სასტუმროს პატრონი დიდი მომთმენი და თვადუკრილი კაცი იყო. მას არ უნდოდა შეეწუხებინა აკაი, მაგრამ რას იზამდა, თანაშემწე არ აძლევდა ამის ნებას და დავალიანებებს სულ აღუქსანდრეს აწერდა. ვამოლოდა, რომ თოიძე თვის ბოლოს ხელცარიელი უნდა წასულიყო სახლში და ოჯახი უფულოდ დაეტოვებინა. რამდენი იყო ისეთი როგორც აკაი, — მიხა ცხაკაია, დ. დარჩიაშვილი, კ. ჩხეიძე, ი. კვიციანიძე, და სხვები. აღთოიძემ დიდი შორიდებით აცნობა ამის შესახებ აკაის.

აკაკიმ ვალის დასაფარავი ფულის შესაგროვებლად შეჰმდეგ ხერხს მიმართა: აკაის ამ დროს „ბაში-აჩუკი“ დამთავრებული ჰქონდა. მან სთხოვა ერთ-ერთ მეგობარს ეცნობებინა სხვა მეგობრებისა და ამხანაგებისათვის შეკრებილიყვნენ აკაისთან ნომერში და მოეშინათ მისი ახალი მოთხრობა და „სალამურის“—სასიმღერო ლექსების ნაწილი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ვისაც რამდენი შეეძლო, შემოეტანა აკაის ავადმყოფობის ხარჯების დასაფარ ფონდში, აკაი იმ დღეებში შარტლაც ავად იყო.

ამ ხერხმა გაჭრა და იმდენი შეიკრიბა, რომ ელიო ვაისტურკის და ზედმეტიც დაჩაბო.

სილაშოს დასწერდა, როცა ყვეზობდნენ ამის დაუმატებდნენ ხოლმე, „ზადხული იყო და აკაი თეთრუელის ამბარა, საწოლზე წამოშვდარი კითხულობდა თავის ნაწარმოებებსო, იმდენად ლამაზი იყო, ამგვარი პოზა იმდენად უხდებოდა — ქანდაკებას მოგვავიწყებდაო“. აკაი, რა თქმა უნდა, საყვარელი იყო ყვე-

¹ იხ. ი. ფანცხავას პირადი ფონდი № 51, საქმი 13315 — 6, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი.

ლსათვის და პირველ ყოვლისა, ჩემთვის, რადგან ჩვენი ოჯახის სათავეანო მეგობარი იყო და ჩემი ბიჭები ძალიან დიდ პატივსა სცემდნენ. მამანკში მუშაობდა ქუთაისის სასწრაფო ნიღბის საზოგადოების საკრედიტო ბანკში. იქ ერთხანს დირექტორადაც იყო. ანდრია ერისთავის თავმჯდომარეობის დროს. აქავე ფული ყოველთვის უქირდა. ვექისზე სხვადასხვა პირის ხელმოწერით მამანკში უწყობდა კრედიტის მიღებას.

1907 წელს, იუბილეს წინა წელს, ხომლელის (რომანოზ დანცხავას) მეუღლემ აკაკი მიხაძეც სადილად, იაკობი ქუთაისში არ იყო, მგონი თბილისში იყო ქალაქის თეიმურაზოვლობის საქმეების გამო. კარგად მახსოვს, აკაკიმ იაკობზე ჩამოავდო ლაპარაკი და აღნიშნა: მართალია, რომანოზ, იაკობი არჩეულია ქალაქის მოუჩაყის, ქალაქის თავის თანამდებობაზე, მაგრამ მგონი გუბერნატორი მას, როგორც სოციალისტს, არ უპირებს დამტკიცებას, თუ ეს ასე მოხდება, არ დაამტკიცებს, ჩემი წინადადება იქნება იაკობი იქნეს არჩეული ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად.

კარგია, მაგრამ იაკობი, ნუ გავიწყდებათ, თქვენო ბრწყინვალეებო — თავადო, რომ ფანცხავა არის. ის არც აზნაურთაშვილია და არც თავადი, მიუგო რომანოზმა.

— ის თავისი მოზაღვებით, დარბაისლობით და ქუელი ყველა დღევანდელ კანდიდატებს იყიდის და გაყიდის, ის დიდი ინტელიგენტია. ამგვარებია საჭირო ბანკის სათავეში, — თქვა აკაკიმ.

მართლაც, აკაკის ზრუნვამ იმდენი გავლენა მოახდინა წერილ შემამტლეთა დამჭირებულ კლეინტებზე, რომ იაკობი 1909 წ. დირექტორად აირჩიეს.

• •

მოწოდებები, დავინახავდით თუ არა აკაკის, მუხლდელით ბავშვივით, ხან წინ და ხან უკან ჩამოვრჩებოდით. მან წელი და დინჯი სიარული იცოდა. როგორც ვაჟადრო ორ დიდ ადამიანს, თორემ ხშირად ახალგაზრდებს ვაგვეცი-ნებოდა ხოლმე, როცა წვიმიან დღეს ქოლგებით, ქვაფენილებს მწყობრად მიდიოდნენ აკაკი და კირილე ლორთქიფანიძე.

კირილე უკვე მოზრდილი იყო წელში. აკაკი კი ისევე ბუმბუტაზივით ჩანდა ამ მოზრდილ, ოდესღაც წარმოსადგე ადამიანთან. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი უკვე მოზრდილი იყო, კირილე მაინც მიმართავდა მწყობრად. „ვათ რას მიიჭმარა“. „ვათ“, ეს იყო კირილეს საყვარელი სიტყვა, რომელსაც არას დროს არ ივიწყებდა, როცა მამააკის მიმართავდა.

ერთ დღეს, ვხედავთ თეთრ ხილზე მოკვავთ დატყვავებული ქართული გიმნაზიის მოსწავლე ცხ მისწავლე იყო ს. გორგოლიანი, რომ

მელოც პოლიტიკური საქმისათვის ისეთი ცალკე-საღებელი). დღის სამი საათი იქმნებოდა აკაკი-თეთრ ხილის მეორე ყურთან შეჩერდა და შეაკვირდა ტუსაღს, ან ესიამოვნა... ჩვენ, უმცროსი კლასის მოსწავლეები, მის ვარსემო შემოგვიჩინებოდა. მან ვაღმთვხვედა და ლინი-ლით მოგვმართა: „განა თოვლის ბაბუა ვარ, რომ ჩვენი გიმნაზიის მოსწავლის დატყვავება და ნომბატში ჩაგდება არ მაინტერესებს? მართლაც, ყველანი თოვლის ფიფქში ვიყავით ვახვეული, აკაკის წვერ-ფლავაშს კი მტერც არ უნდოდა.

სიმონ ქვარიაძე, როცა საფრანგეთიდან დაბრუნდა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში მიიწვიეს საქართველოს ისტორიის მასწავლებლად.

ს. ქვარიაძეც ერთ დღეს, მგონი მისი მეუღლის საპატივცემულოდ სადილი გაართვა. მიწვეული ვყავდა აკაკი. სადილზეც აკაკი ძალიან გამხიარულდა (სხვათა შორის ქვარიაძის შეი-ლობილს ათი შურტი ანუქა). ს. ქვარიაძის მოწვევებიდან ორი ახალგაზრდა ვისხედით სუფრასთან. აკაკიმ მოგვმართა მე და ჩემს ამზადას, —აბა რით შევიძლიათ ვაგვაართოთ, ამბავი გვიამბებთ რამეო“. მე ვთხოვე სიმონ ქვარიაძეს, თუ არ გეწონებოდა, უამბობ სტუმრებს თქვენი ვაკვეთლის შესახებ-მთქი. როცა თანხმობა მივიღე, აკაკი შემომჩერდა: აბა! უორჩადლო მიხნა.

მეც ვავსლე დროა.

„საქმებათს, საქართველოს ისტორიის ვაკვეთილი გვაქვს. პატივცემული სიმონ ალექსისძე გვიამბობს გიორგი სააკაძისა და მისი დროის ამზავს, როცა მივიდა გ. სააკაძის გვირგვინის დასასიოთებამდე თქვა:

„ვამწვილებო! გ. სააკაძე თავგანწირულად თავს დაესხა თრიძელთის მიღამოებში ვერაც მტერს... და განსაკუთრებულად აღელდა მისწავლებელი. ამ დროს ჭერადან ჩამოცივიდა სილა, კირი და თავზე დაეყარა თეთრ ჩვენს მასწავლებელს. სიმონმა სასწრაფოდ დაიფარა ხელი თავზე და მოართო ყვირილი „რა ამბავია, უმამწვილებო, რა მომართა შენ შესხმან თავს?“

აკაკიმ ბევრი იცინა და დასძინა: „მკერა, ნამდვილად ასე იქნებოდით“.

ქართული გიმნაზია — ეს იყო ქუთაისში ყოველი კულტურული საქმიანობის საჯანე. ამ მისწრაფებით იყო გამსჭვალული გიმნაზიის მოწინავე მოსწავლეები.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქუთაისის ქართული გიმნაზია ახალ შენობაში გადავიდა — ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე, გ. ზდანიოვიჩის სახლ-კარისა და ეზო-გარემოს გვერდით. თითქმის ორ კვირაში ერთხელ, ეწყობოდა ლიტერატურული საღამოები ორი-სამი განყოფილებით. ამგვარად საღამოების სერის ჩამდგმული იყო მეხუთე კლასის მოსწავლე მისა შოთაძე. მისა შოთაძის

თაოსნობით ხშირად იდგმებოდა გიმნაზიის ახალი შენობის ზედასართულის წინა დერეფანში სურათები „თამარ ციციტიდანი“, „თორნიკე ერისთავიდან“, „ბანი-ახუტიდან“ „ღვთის გვირგვინიდან“, ამავე დროს სცენაზე კითხულობდნენ აკაის ლექსებს. ყოველთვის, როცა საღამოზე გათვალისწინებულ იყო ლექსების კითხვა, უთუოდ აკაის მოიწვევდნენ სილოვან ხუნდაძე ან თვით იოსებ ოცხელი, მაგრამ ხშირად აკაი ვერ ესწრებოდა. როგორც მახსოვს, ჩვენ მიერ გამართულ მხოლოდ ორ საღამოს დაესწრო პიეტრი. ერთ-ერთ საღამოს „პატარა კახი“ უნდა დადგმულიყო. ცნობილია, რომ „პატარა კახი“ ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამაა. ვადაწყულა ხუთივე მოქმედება წასულიყო შემოკლებულად, ე. ი. ორნახევარ მოქმედებად უნდა გადაკეთებულიყო შოელი „პატარა კახი“. აკაი მოწვეული იყო ნ საათისათვის. მისთვის პეტრე ყოფიანს უნდა გამოეყო და წამოეყვანა.

მასწავლებელი პეტრე ყოფიანი თავის დროზე გამოცხადდა და აკაი არ მოყვანა. თავი იმართლა—ვერსად ვერ ვნახე აკაი, ეცადე, მაგრამ არ გამოჩნდა“.

მოსწავლეები და მოწვეული მშობლები დელადუნენ. აკაის დაუსწრებლად საღამოს დაწყება არავის არ უნდოდა.

სილოვანმა (ხუნდაძემ) დამავალა, რომ წაესულიყავი და სასტუმრო „გრანდოტელიდან“ ეტლით წამომეყვანა აკაი. ფიცხლავ შეეპრიადლი, ჩამოვედი სცენიდან და შუა დერეფანში, საგარძღებსა და სკამებს შორის შერდელივით გავჯარდი დავალების შესასრულებლად. კარგად მესმოდა როგორი პასუხისმგებლობა მკისრებოდა; ეინ უნდა მომეყვანა იქ, სადაც ამდენი ხალხი ელოდა სულმნათ მგოსანს. დერეფანში შემხვდა ინსპექტორი გერასიმე ცაგარეიშვილი, როცა გაავლ აკაის მოსაყვანად მოვედიოდი, თან გამოამადენა ჩვენი გიმნაზიის უღამაზესი დაჩაჯი, ჩხობა-ახალუხში კობტად გამოწყობილი სვეტირან პარდაველიძე. მივედი სასტუმრო „გრანდოტელში“, მაგრამ აკაი იქ არ დამხვდა. კახის კაგმა, გვითხრა, რომ დიდი ხანი გავიდა და აღბათ ი. მთავრიშვილის წიფენის მალაზიაში ეწინება, ანდა ისიდორე კვიციანიძის ეურნალ-გაზეთების კანტორაშიო. გავსწიეთ იქით, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა, მხოლოდ ისიდორე კვიციანიძემ მითხრა, აკაი იყო ჩემთან წილოდ გახვითი „იმერეთი“ და გავიწიე. ბეჟანეიშვილთან შევედი. ჩვენ ვიკრძურეთ ე. ბეჟანეიშვილის მალაზიისაყენ. შევედი მალაზიაში. სვეტირანე გარეთ მიციდა. აქაც არ აღმოჩნდა მგოსანი. როცა ვიკითხე, გამოიდველმა მითხრა, აკაი მეორე ოთახშია. მორიდლებით შევედი კარი და ვხედავ ხის აკაი და უახლ ბეჟანეიშვილთან ქადრაკს თამაშობს. ბეჟანეიშვილს მოვხსენე, რომ სილოვანის

თხოვნით, დიდი მგოსანი უნდა წამოებრძინდეს ქართულ გიმნაზიაში საღამოზე-ქვემოთ, ე. ი. ეს აკაიმ ვაიგონა და ბოლდში მიიხადა:

— მე მგონა უფრო გვიან იწყებოდა, თო-ზემ დაეწყებოდა არ გადამვიარდნია გულოდნ. აკაი მამინევე წამობრძანდა, სვეტირანემ ეტლი მოართვა, მე გულის ფანქვალთ მიუჯვ-ქი გვერდით დიდ პოეტს და გვაგზავნარეთ გიმნაზიისაყენ. მეებტლეს დული ბეჟანეიშვილმა მისცა.

აკაი გზაზე სულ ქართული გიმნაზიის ახალ შენობაზე ვეესაუბრებოდა; უხაროდა, რომ ქართული მოწინავე ახალგაზრდობის სამვედლოს ასეთი შესანიშნავი შენობა შეეძინა. როცა სკოლის ეზოში შევედიო, ეტლი სიღარბაზო კარებთან ვარერდა. ჯერ ჩვენ, მე და სვეტირანე ვაღმოვედიო, უშველეთ მგოსანს ეტლიდან გადმოსვლაში.

როცა დერეფანში შევედიო და შუა ადგილას, ე. წ. „პატარაში“ შევედით ფეხი, იტვდა ტამის გაროლი. ჩვენ პირველად ვიყუვედ მოქმე ამგვარი ოჯეიისა. ყველა ადგომით შეხვდა და მიესალმა დიდ პოეტს. შუა ადგილის იოსები და სილოვანი მიეგებნენ და აკაი მიარბძინეს საგარძღლთან, სადაც ის იჯდა სპექტაკლის დამთავრებად.

წარმოდგენის დასასრულს ავიდა სცენაზე, მადლობა გადაუხადა და უმბლზე ორჯერ აკოცა პატარა კახის როლის შემსრულებელს — მიშა შოთაძეს, რომელიც პირველ ორ მოქმედებაში ბავერდოვან ქულაჯაში იყო გამოყვანილი, შემდეგ თეირ, მოკლე ჩხობა-ახალუხში.

აკაი დიდად ნასიამოვნები წავიდა. 1914 წლიდან წავედი მასწავლებლად მოსკოვში.

მოსკოვში ყოფნის დროს არ მოეწყვეტოლვარ ქუთაისს. ხშირად ვიკონებდით ერთმანეთს. ვანსაკუთრებული მიწერ-მოწერა მქონდა ჩემ უფროს ბიძასთან — რომანოზ ფანცხავასთან (ზომლელთან). 1911 წლიდან ზომლელი უმდევ-ბოდა „შინაურ საქმეებს“, ხოლო 1915 წლიდან დაიწყო საკუთარი ეურნალის — „განთიადის“ გამოცემა.

მე მწერდა, რომ ეურნალის საქმე ვაინარხე-ბა, რადგან საუკეთესო ხალხი შევეკრებე მის გარშემო, თვით დიდი აკაკიციკო დამეთანხმა ეურნალში თანამშრომლობაზეო:

„ჩემი სოსიკო! შობის წინა კვირაში ჩემთან იყო აკაი ქუთაისში და აღტაკებით შეხვდა ჩემი ეურნალის დაწეების საქმეს და აღმიტევა კომდე დიდი თანამშრომლობა“, მწერდა ხომლელი 1914 წლის ბოლოს.

არ გასულა ამის შემდეგ 28 დღე და მოვიდა ამავე, რომ აკაი ვარდაიციკოდა სოფ. სხვიტორში, საკუთარ სახლშიო. თაჯარდამიციკე-მი იყო მთელი ქართული ხალხისათვის სხვი-

ტრის გლოვა, ქართველი ხალხის საამყო შვილის — აკაის დაკარგვა.

1915 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) ხომელი მწერდა მოსკოვში: „ჩემო სოსიკო! აკაი გაგვიქრა... როგორც გვერდო, შობის წინა კვირაში (ე. ი. ეს იყო 18 დეკემბერს) აქ იყო და აღტაცებით შეხვდა ჩემი ვერნალის დაწყების საქმეს. აღმოთქვა კიდევ დიდი თანამშრომლობა, მაგრამ რა ვიციდი ან მე. ან აკაიმ, თუ ეს უველაფერი სიზმარი იქნებოდა. ახლა გადაწყვიტე ჩემი ვერნალის მთელი მეოთხე ნომერი შევსწირო აკაის, ამისათვის მივსწერე ნიკო ნიკოლაძეს, კირილე ლორთქიფანიძეს, იაკობ ფანცხავას, ივანე ელიაშვილს, იასონ ბაქრაძეს და მინდოდა გ. ზდანიუჩის შეწყობა, მაგრამ იგი ლოვინად არის ჩაეარდნილი და არ შეუძლია წერა, გამომიგზავნონ ადრე და მალე მოგონებანი ამ საყვარელ კაცზე, სტუდენტობის დროის, ან მერე მწერლობის დროის. შენც ვთხოვ და ამხანაგებზეც გამოაფხიზლე ამ საქმის გამო“.

მოსკოვის სტუდენტობამ საერთო დელეგაცია ამოარჩია და გამოგზავნა სხვიტორიდან პოეტის გამოსვენებაზე დასასწრებლად, შემდეგ კი გვმა შეიკვალა, რადგან ვერ ასწრებდნენ ჩამოსვლას და ქუთაისში მყოფ ორ სტუდენტს დაველა მოსკოვის სათვისტომოს სახელით გვირგვინის გაწყობა და წარმოადგენლობა. მე ჯარში გაწვევის გამო მაინც უნდა გამოვცხა-

დებელიყავი საქართველოში. წამოვედი და დაკრძალვას მოვესწარი თბილისში და იმ ორ ამხანაგთან ერთად მეც ვღებულობდი მონაწილეობას პროცესიაში. მოსკოვიდან გამოგზავრებაამდე, აკაის ვარდაცვალების დღესვე, ვაცნობებ მთელ სათვისტომოს და ქართველი საზოგადოების შენობაში (ხლეგნიკოვის ქ. № 5-ში), მოვაწყუთ პარაკლისი — პანაშვილი.

• •

1923 წელს ხომელი შეუჩნდა კოტე მუჟაშვილს აკაის სახლის სანახავად მოეწყო ექსპედიცია.

ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის დ. ლორთქიფანიძის თბილისში ჩამოსვლამ, რომელსაც მე გავეუზიარე ეს გეგმა. დაგვეთანხმა და გვთხოვა, უსათუოდ კოტე მუჟაშვილი წაგვეყვანა.

ამგვარად, კ. მუჟაშვილი აღ. ცირეკიძე და მე გავემგზავრეთ სოფ. სხვიტორში, აკაის მშობლიურ სოფელში სადაც დაგვხვდა თოთქმის დაუღაგებელი ოთახი დიდი მკონისა და უზარმაზარი აივანი. სახლში ფუსფუსებდა აბლემულაშვილის ქალი, რომელიც უკანასკნელ წუთებში აკაის არ მოცილებია და აწვდიდა მის ენახში მოკრებილ ყურძნის მტევნის, კემპალს.

ილია მაისუკაძე



პაპი წერეთელი და „ვიწმე მუსი“

1897 წ. აკ. წერეთელმა დააარსა ყოველთიერი ერთნაღი „აკაკის კრებული“. პოეტის მხატვრული ნაწარმოებების გარდა, აქ იბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტური ხასიათის სტატიებიც, მაგრამ უმთავრესი ყურადღება მიანიჭებდა ქართულ ზეპირსიტყვიერებას ექცეოდა, რომელსაც ერთნაღის მესამე განყოფილება ჰქონდა დათმობილი. აქ წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი ზღაპრები, ლექსები, თქმულება-გადმოცემანი, ლექსები და ანდაზა-გამოცანები. მათი ჩამწერი და მომწოდებელი პროვინციებში მცხოვრები მოწინავე ინტელიგენტები, სალხორი-საუნჯის დამფასებელი და გულშემატკივარი მუშაკები იყვნენ, როგორც მაგალითად: გრ. აფსინაშვილი, ს. მერკვილაძე, ი. გომელაური, კ. გვარამაძე, ნ. ჯანაშია, ა. მახაბელი, ს. ქვაჩიაანი და სხვ.

1899 წელს ერთნაღის რამდენიმე ნომერში გამოქვეყნდა მესხეთში მომუშავე მოღვაწის, „ვიწმე მუსის“ ფსევდონიმით ცნობილი მწერალ-მწიგნობარისა და ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების შემკრების—ივანე გვარამაძის (1831 — 1912) სტატია „არხეოლოგიური ფერკლები“, რომელსაც რედაქტორის ასეთი შენიშვნა ახლავს: „ამ პატივც. ავტორის ისტორიულ მონაზრებას დღემდე ზოგან არ ვეთანხმებით, მაგრამ მიანიჭ სიამოვნებით ვებუდავთ, მით უფრო, რომ სხვა დონების გარდა, დიდი ვაჟობის აქვს ჩვენი ზეპირი გადმონაცემობასთან“ 1.

ამ მცირე შენიშვნის ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ თავისი კრებულის ძირითად ამოცანად ჩვენი სასიკადალო პოეტი სწორედ ფოლკლორული შემოქმედების ნიმუშთა შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეს მიიჩნევდა. აქედან ისიც ირკვევა, თუ რა პატივისცემით ეპყრობოდა იგი ი. გვარამაძისთან თავდადებულ მუშაკებს, რომლებიც უნაგარო პატრიოტული გატაცებით იღვწოდნენ ჩვენი წარსულის შესასწავლად საკუთარი მასალების იდგილებზე შეკრება-აღწერსებდათ.

მესხეთსა და ჯავახეთში ი. გვარამაძის ელტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-შემკრებლობით მუშაობაზე აკაკის ერთნაღის სხვა ნომერებშიც ვხვდებით საკმაო ცნობებს:

1907 წ. პირველ ნომერში მოთავსებული ნარკვევი „სოფელი ხიზაზავრა“, სადაც აღნიშნულია, რომ ამ სოფელში პირველი სკოლა ააშენა და გახსნა ი. გვარამაძემ, 1886 წელს მანვე აღმოაჩინა დათათ სერის დარანი, წაიკითხა ჰაიტის ეკლესიის ხეცური წარწერა, გადმოიღო კოჭით ნაფუზარში მიწის ბორის დროს აღმოჩენილი საეკლტო ქვის გამოსახულებანი, ღიტის კვლებთან მდებარე ძველი ეკლესიის ეზოში დაედებული ქვის ლერსმულად მიჩნეული წარწერა და სხვა.

გარდა ზემოთ ნახსენებია, „აკაკის კრებულში“ გამოქვეყნდა „ვიწმე მუსის“ კიდევ რამდენიმე ნაშრომი: „შეიდფერობა, ახალწული და ბელაბა“ (1899 წ.), ვრცელი ნარკვევი „ახალციხე“ (1900 წ.) და „სოფ. ვალო“.

ირკვევა, რომ დიდ პოეტთან ი. გვარამაძეს დაახლოებული პირადი ნაცნობობა და წერალობითი ურთიერთობაც ჰქონია, რასაც ადასტურებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული მისი წერილები მგონისადაში.

1880 წლის 30 გიორგობისთვის დათარიღებული წერილიდან ვვებულობთ, რომ „ვიწმე მუსის“ აკაკისათვის გასაცნობად და შესაფასებლად ვაღვზავნიდა თავისი პოემა „წყარღენა“, რომელიც 2134 სტროფისაგან ყოფილა შემდგარა. წერილი უაღრესი მოწიწებითა და პატივისცემით არის გამსჭვალული. მუსხი მოღვაწე სთხოვს პოეტს, დაუნდობელი კრიტიკოსის თვალში მხედგეს მის ნაწარმოებს: „გთხოვთ უმორა ჩივისად სრულად ნუ დამზოვთ, ისე ვანსაჯეთ, როგორც მტრისა და ცხრა მთას იქითელ უცნობისა სინდისით, რომ საზოგადოების სასარგებლოდ იყოსო“, — სწერს იგი.

რა შეფასება მისცა აკაკიმ სხენებულ „წყარღენას“, არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დიდი პოეტი ი. გვარამაძის ამ საქმიანობას უფრო აფასებდა, რომელიც მიმართული იყო ენობრივი მასალებისა და სიტყვიერი შემოქმედების ნიმუშთა შეგროვებისაკენ, ვიდრე მის პოეზიას. აკაკი ზელს უწყობდა კიდევ თავისი კუთხის კარგად მცოდნე მწიგნობარის ამ ეთილშობილურ მუშაობაში და, როგორც ირკვევა, დავალებებსაც კი აძლევდა, ეს კარგად ჩანს „ვიწმე მუსის“ მიერ პოეტისადმი 1890 წელს მიწერილი წერილიდან, სადაც ვკითხულობთ: „თქვენ რომ შემედივითე ქართული დიქსიონის

1 „აკაკის კრებული“, № V, 1899 წ.

დაწერა, ხელი ვახლე უკვე. ბ. ჩუბინოვის ლექსიკონი გადავებრუნ-გადმოვებრუნე და 20000 ლექსი მივემბრე, სულ ცოტა რომ ესთქვა...*

1892 წელს ავტორის აკაკისათვის გაუგზავნია კიდევ თავისი ლექსიკონის შვიდ შედგენილი პირი, იგი წერს: „ლექსიკონის შავსაც ვაგზავნი. თუ ამ კალოზე შეიძლება, გადავათეთრებ, თუ არა და, უბრალოდ რად ვიშრომავო“.

უნდა ვიფიქროთ, რომ აკაკი ამ ლექსიკონს დადებითად უნდა გამოხმაურებოდა, რადგან ავტორის იგი მალე გადაუთეთრებია და 1893 წლისათვის უკვე მზად ჰქონდა შემდეგი სათაურით: „ქართული ლექსიკონის დასამატა ლექსები სიტყვიერების გასამრავლებლად“. ეს ხელნაწერი დღემდე შემონახულა. იგი დაკულია ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხოლო შისი უფრო ვრცელი ვარიანტი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში (H—52) სათაურით: „ქართული ენის საენჯე“, რომელიც დაახლოებით 38000 სიტყვას შეიცავს.

1904 წელს, დაბა აბასთუმნიდან „ვინმე მესხი“ კვლავ ლექსიკონის თაობაზე სწერს აკაკის წერილს. პირველ რიგში იგი აღრესაძს თავის შენიშვნებს უზიარებს დ. ჩუბინაშვილის ცნობილ ლექსიკონზე და შემდეგ რჩეიას ჰკითხავს, თუ როგორ მოიქცეს თავისი მასალების მიმართ, ცალკე შრომის სახით წარადგინოს, თუ ხსენებულ ჩუბინაშვილის წიგნში ჩაერთოს შეგადამიგ.

უკანასკნელი წერილი მსოფიანი მესხი მოღვაწისა 1908 წელს იკუთვნის. იგი წარმოადგენს გულშეხრეალე საიუბილეო მილოცვას, სადაც გულწრფელი აღტაცებითა და სიხარულით არის შექებული ხალხის საყვარელი მგოსანი, აღწესულია მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე 50 წლის მანძილზე. წერილის შესავალში ავტორი ეტება ქართველი ერის მიმე მღვთმარებას უკანასკნელ საუკუნეებში და აღნიშნავს, რომ ამ დროს აღარა დაგვრჩა რა ჩვენი,

ერთიან ტუვესაით ხელ-ფეხებთრეკული და გულხელდაკრებილი დარჩათ მტერ-მოყვრის ამარას, ერთად ერთი ენა დაგვრჩენოდა პირში სატიალ-სავაგლბათო, ისიც ჩვენს მოსწრებაში, 60—70 წლის წინად, მხავესებულ-მხარწილი იყო. ის იყო სული უნდა დალია, რომ დმერთ-მან, სხვათა შორის, 60 წლის წინად მცველ-მფარეველად გაგვიჩინა აქეთ ძლიერი მგოსანი ილია ქავეჟავე და იქით აკაკი წერეთელი, ღეთის მაღალ ნიჟ-მადლით დალოცვილი და კერთხეული. ამათ და ამათ მოწაფეებმან გამოპრთელ-გამოკეთებით გამოგვიცოცხლეს ენა, ჩვენი სიცოცხლე და სულ-გული.

თავისი დიდი საყვარული სასიქიდულო მგოსნისადმი ი. გვარამაძემ ერთხელ კიდევ გამობატა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, რთდესაც თავისი ერთ-ერთი შრომა გულწრფელი გრძნობით მის მიუძღვნა: ხელნაწერთა ინსტიტუტში დაუღლია „ვინმე მესხის“ მიერ შედგენილი ქრესტომათიული ხასიითის კრებული — „სამესხეთის ძველი სიტყვიერება, ვალოზანი, სუფრულნი და საყოფაქეთონი, სასიამოვნო, სამხიარული და ჩასავგონებლნი, აღდგენილი და შეკრებილი მესხი ი. გვარამაძისაგან, 1909 წ. ქ. ახალციხე“. წიგნს თავზე ავტორისავე ხელით წარწერილი აქვს: „გულწრფელი იუბილიანს, მგოსანს თ. აკაკი წერეთელს“, ხოლო თავფურცელზე მოთავსებულია ი. გვარამაძის ლექსი მიძღვნილი აკაკი წერეთლისადმი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება:

ხარ ჩვენი დიდი მგოსანი,
ენაშზე, ტბილი, ხმოსანი...

და თავდება შემდეგი სტროფით:

მაგით ხარ ქართველთ დიდება,
რაც თქვი, უკვდავად იღება,
იცოცხლე, რაც დრო გინდება,
ხმა შენი არ მოგწყყინდება!



აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის ზოგიერთი საკითხი

ა. ქვეყნაძემ და ა. წერეთელმა განაახლეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების ხასიათი. ქართველ ხალხს მე-19 საუკუნის მანძილზე არ ჰყოლია უფრო დიდი მასშტაბის მოღვაწენი, ისინი უანგაროდ ემსახურებოდნენ ჩვენი სულიერი კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგს. მათ შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს თეატრსაც. მეტად მრავალმხრივია ა. წერეთელის მოღვაწეობა თეატრის სფეროში. ამ დიდი საკულევო ობიექტიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხს გამოყოფთ. განვიხილავთ ა. წერეთელის შეხედულებებს თეატრის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ბრძოლას ერთგული დრამატურგიისათვის, მის მოსაზრებებს სამსახიობო ხელოვნების სპეციფიკურ საკითხებზე.

ა. წერეთლის თეატრალური შეხედულებანი წარმოაჩენს ამ დიდი ერთგულ განმათავისუფლებელი მოძრაობის რთულ პროცესებში, რაც ასე მძაფრად განიცადა საქართველომ გასული საუკუნის 60-იან წლებში.

ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით იყო ნაჯარნახევი თეატრისათვის განსაკუთრებული ფუნქციის მინიჭება. აკაკის სწამდა, რომ ასეთ ღრის თეატრს უდიდესი როლის შესრულება შეეძლო: ერთგული თვითშეგნების გაღვივება, ხალხის იდეური მომზადება და ერთად მიზნისაკენ წარმართვა, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვა, ერთგული დრამატურგიისათვის მხარდაჭერა, სასცენო რეალიზმის დამკვიდრება, თეატრალური პროფესიონალიზმის განვითარება — ან ის ძირითადი ამოცანები, რაც თეატრს უნდა განეხორციელებინა. „სცენა ხომ სარტყ უნდა იყოს, — წერდა აკაკი, — ცხოვრების აკარგის უტუფურად მაჩვენებელი, და იმავე ღრის ხალხის განმრთუნელი უმადლესი სკოლა, ეს ბეერს არ ესმის და ისე უფურთხად თეატრს, როგორც ვასართობს საფენდრატო რამეს“. ერთი წლის შემდეგ აკაკი ქართული თეატრის არტისტთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „თეატრი ხელოვნების ტამბრა, საზოდგრა ამბოინი და არა უბრალო ვასართობი, საფენდრატო რამ. სცენა არის ერთგული სარტყ, რომელიც უში-

შრად და უტუფურად უნდა გვისახადეს ჩვენი ცხოვრების აკარგის, რომ სანახაობით მოხიბლული მშვენიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშეგრებამ ზიზლით გაუბოდეთ“. ამ სპროვრამო გამოსვლის შემდეგ წლები გავიდა, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. მე-20 საუკუნის დასაწყისში თავისი ახალი საფიქრალი და საზრუნავი მოიტანა. მაგრამ უცვლელი დარჩა აკაკის ეს შეხედულებანი, როგორც მოწინავე ქართველი მოღვაწეების მისწრაფებანი. 1910 წელს ა. წერეთელმა სტატიაში — „გახსენება თეატრის შესახებ“ — მოიგონა რა ქართული თეატრის ისტორია, კიდევ უფრო ცხადად აღნიშნა: — „რაც აღამიანისათვის, კერძო პირისათვის სარტყა, ის მთელი ხალხისა და საზოგადოებისათვისაც თეატრია, რომ ქვეყანამ შიგ ჩაიხედოს, თავისი, როგორც ნაკლი, ისე ღირსეა დაინახოს და გასწორდეს. თეატრი იგივე სკოლაა ხალხისათვის, მოხიბლავი, გამასწორებელი და არა უბრალო, სასაცილო რამ საფენდრატო განათლებულ ქვეყნებში სწორედ ამ აზრით მართავენ თეატრს და ნაყოფიც კეთილი მოაქვს“.

აკაკის ეს მოსაზრებები ტუნებლივ გვაგონებენ გოგოლის სიტყვებს, რომ მისთვის თეატრი იყო „უდიდესი სკოლა, ანუ ისეთი კათედრა, საიდანაც მსოფლიოს ბევრი რამ კეთილი შეიძლება უთხრას“. და, მართლაც, ეინ არ იცის, რომ რუსულმა თეატრმა ერთგვარი უმაღლესი სკოლის როლი შეასრულა იმზანად.

საგულისხმოა აკაკის აზრი: „ქვეყანამ შიგ (ე. ი. თეატრში — ე. კ.) ჩიხივდოს, თავისი, როგორც ნაკლი, ისე ღირსეა და დაინახოს და გასწორდეს“, მაშასადამე, თეატრმა ცხოვრება უნდა ასახოს ყოველმხრივ, უნდა გვიჩვენოს მისი ავიცა და კარგაც. მხატვრულ, სცენურ ფორმებში უნდა წარმოსახოს სინამდვილის არსებითი მხარეები, ისე, რომ ხელი შეუწყოს მშვენიერის, ესთეტიკურის დამკვიდრების, უარყოს ცუდი, მოაზღინოს მისი განწმენდა.

მრავალჯერ თქმულია და აქაც უნდა გავიმეორრო, რომ იმავედ ქართული ენის დაცვის პრობლემასთან თავს იყრიდა სხვა უაღრესად დიდი ერთგული საკითხებიც, მაგრამ ცენტრა-

ღერი ადგილი მაინც ენის საკითხს ეჭირა და, ბუნებრივია, რომ რუსთაფიატორული პოლიტიკა ამ ცენტრის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას კარგად გრძობდნენ ქართველი მოღვაწეები და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ იმ კულტურულ კერებს, სადაც ქართული ენა თავს აფარებდა. მათ შორის ყველაზე მთავარი მაინც თეატრი იყო. „ზხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია, — თეატრი, — წერდა აკაკი, — საიდანაც შეგვიძლია გავივინოთ ჩვენი დედა-ენა, ის ენა, რომელზედაც მუსიკობით არუსთაველი... ჩვენ ამ თეატრის წყალობით, შეგვიძლია გავიხსენოთ ჩვენი წარსული, დაეინახოთ აწმყო და წარმოვიდგინოთ მომავალი!“

რა დასამაია, რომ მაშინ ხალხის დიდი ნაწილი ნაკლებ ინტერესს იჩენდა თეატრისადმი. ბევრს არც სწამდა იგი. ზმირად სათაველად ითვლებოდა წარმოდგენაში მონაწილეობა და, საერთოდ, თეატრში სიარულიც კი. მოწინავე აღაშინებენ თავგანწირვით იბრძოდნენ თეატრის საზოგადოებრივი ავტორიტეტის ასამაღლებლად. მათ სურდათ თეატრი ცხოვრების აუცილებელ ნაწილად ექციათ.

ახალი ლიტერატურული ენის დასამკვიდრებლად აკაკის ბრძოლა თანაბარი ძალით შეეხო, როგორც პაროხას, პოეზიას, ასევე თეატრს, თეატრალურ აზროვნებას. აკაკი იყო თეატრალური კრიტიკოსი, დრამატურგი, რეჟისორი, თეატრის ხელმძღვანელი. ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ აკაკი, როგორც მხოლოდ თეატრალური მოღვაწე — ჩვენს წინაშე მაინც დიდი აღაშინი წარმოდგება, თავისი მაღალი ლიტერატურული და პატრიოტული მგზნებარებით, ქართული ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი ბუნებითა და მასიური კრიტიკული ალღოთ, აკაკის დამოკიდებულება ქართულ თეატრთან სამაგალითოა და არ შეიძლება არ გვახსოვდეს იგი, როცა ქართული მწერლობისა და თეატრის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ.

აკაკიმ, თეატრის როლისა და ამოცანების განსაზღვრისას, არ დაივიწყა ერთი მეტად მტკუნეული საკითხიც — თეატრალურ მოღვაწეთა ეთიკა. „სცენა საზოგადო ასპარეზია, — აღნიშნავს აკაკი, — ყურძნ მოედანი არ ვახსოვთ, აქ უნდა ფასდებოდეს ნიჭი, შრომა, ნამსახური და ღვაწლი და არა მისთანა რამ, რომელსაც მხოლოდ სცენის გარე აქვს ფასი და მნიშვნელობა... სცენაზე გარეგან ანგარიშებს, პირად სანდომიანიობას და უსანდომობას ადგილი არ უნდა პოინდეს“. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. აკაკი ვასპუკილის, რომ თეატრში მსახიობის ადგილი და ღირსება მისი ნიჭისა და საზოგადო ღვაწლის მიხედვით უნდა იზომებოდეს და არა იმით, თუ ვის რა ურთიერთობა აქვს თეატრის გარეშე აღაშინებთან, გარკვეულ პიროვნებებთან, რომელთაც შეეძ-

ლიათ ერთგვარი გავლენა მოახდინონ ამა თუ იმ მსახიობის შეფასებაზე.

გვიქრობთ, რომ ამ მეტად მთავალ მომსახურებაშიც კი იგრძნობა თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა აკაკი ქართულ თეატრს. განმარტავდა რა თეატრის მიზნებსა და ამოცანებს, აკაკი ამასთანავე გარკვევით მიუთითებდა მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებზე. აქედან უმთავრესი იყო დრამატურგია. აკაკი წერეთელმა კარგად იცოდა, რომ თეატრს ესოდენ დიდი მოვალეობის შესრულება მხოლოდ იდეურ-მხატვრულად სრულფასოვანი პიესებით შეეძლო. დრამატურგიას უნდა მოეხდინა ეს მღელვარე იდეები, ის პატრიოტული მოტივები, და ცხოვრების სიმართლით ამსახველი სურათები, რომლებსაც უნდა მიეხიბლა მაყურებელი და განსაზღვრული მიზნისკენ წარმარა მისი ფიქრი და გრძნობა. ეს კი მხოლოდ ორიგინალურ დრამატურგიაში შეეძლო. უცხოური აქ დამსმარე საშუალებად თუ გამოდგებოდა. ასე რომ, თუ ქართულ თეატრს სურდა წარმატებით შეესრულებინა თავისი ისტორიული მისია, მას უნდა შეექმნა მაღალმხატვრული რეპერტუარი, რომ დაქტა, რომ ერთგული თეატრის შექმნა წარმოადგენს იმ ერთგული დრამატურგიათა გარეშე. საილუსტრაციოდ რუსეთის მაგალითიც საკმარისია. აქ ყველთვის იღმებოდა შექსპირი, მოლიერი, შილერი, იესენი და სხვები, მაგრამ რუსული თეატრი გოგოლის, გორკის, ჩეხოვისა და ოსტროვსკის დრამატურგიათა საფუძველზე შეიქმნა ასევე, ქართული თეატრისათვის საარსებო წყაოოდ უნდა ქველდითი ქართული პიესები...

ა. წერეთელმა არა ერთხელ განსაზღვრა თავისი პოზიცია ქართული თეატრის რეპერტუარის საკითხში. ა. წერეთელი ამბობდა, რომ სცენა მოვალეა ჩვენი ცხოვრების აუკარგა ვაგვაციოს, ბიოკრიტიკული შეგვაძლოს და კეთილი შეგვაყვაროს. ეს შესაძლებელია თუ ჩვენს გრძნობა-გონებასთან ექნება საქმე და მშობლიურ ნიადაგს დეხქვეშ არ გამოიცილის. თუ რომ ჩვენ ისტორიული პიესები არ გვექნება, მაშინ მინაგვანებს უნდა დაუჯერდეთ; თუ საკუთარი ცხოვრებიდან ხელოვნურად ბევრი ვერა იგვილია-რა, ვიკმართ დრომდე სცენებიც-კი და ჩვენს ერთგულნი რეპერტუარში უნდა გავიხსენოთ. ნათარგმნი, უმნიშვნელი, დეკადენტური პიესები ჩვენთვის არაფერი ხელსაყრელია მართალია ზოგიერთ პიესებს, რომელნიც ყველა ერთგულნი სთავის ერთნაირად საგულთს სთავის, გვარდს ვერც ჩვენ ავუვლოთ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ხოლმე ხანდინან და არა ყოველთვის. ჩვენი პიესები შეიძლება წყალ-წყალად გამოდგეს, და ვერ უტოლდებოდეს უცხოეთის პიესებს, მაგრამ რა ეყუთ მერე? ვინ არ იცის, რომ შამპანური

დენო სჯობია წყალს? მაგრამ თუ არწვეანზე წვეარდება საქმე და ორივესი ერთად შოვნა არ შეიძლება და ერთსა და ერთ მათგანზე სამარადიად ზელის აღება საჭირო იქნება, წყალს მიეცემა უპირობო, როგორც აუცილებელ საჭიროებას. ჩვენი ცხოვრებიდან არახელოვნურად დაწერილი პიესებიც შედარებით „უჩიელ აქოსტისა“ და „ამბლუტთან“, წყალია... მაგრამ რა ექნათ, უწყალოდ გაძღვება არ შეგვიძლია. ზოგიერთები იმ აზრის არიან, რომ თუ ქართულ სცენაზე იმისთანა პიესები არ წარმოვადგინებთ, რომელნიც ცნობილი, სახელგანთქმული არიან სხვაგან, და ქართულ რეპერტუარს დაავადებთ, მაშალ წოდებისაანი აღარ იქნებიან თეატრშიო. არა მგონია ეს ტექნიკარტება იყოს ჭე, თუ მართალია, მამულიც კიდევ ჩვენი ზენის ერთგული გზით უნდა ვეცადოთ გავლას წახვი ვვეღვან ჩვენი გ. კ.) და ვისაც არა სურს, გადაუტოვოს მათი ნება, იმეოვს იმან, ვინც ეძებს და ვავლას იმის, ვინც ირეკს“.

საგანგებოდ მოვიყვანებ ეს ვრცელი ამონაწერი, როგორც უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. მისი მნიშვნელობა მარტო წარსულის თეატრალური ცხოვრების სფეროში არ ძვეს. იგი დღესაც ვაგაწვდის თუ როგორ უნდა დაიცვათ ეროვნული დრამატურგია, რა პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ თეატრალური ცხოვრების ძირითადი ტენდენციები.

ა. წერეთელი თეატრისაგან შოთხბოვს, რომ მან თვალწარმოვ აჩვენოს მათურბებელს მისი ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების სურათები. თეატრი ამ რაღს შოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ „მშობლიურ ნიადაგს ფუტქემ არ გამოიკლეს“. ამ ძირითადი დეიულების შემდეგ აჯეი მიდის საფსებით სწორ დასკვნამდე, რომ ეროვნული დრამატურგიის ინტერესების დაცვამ არ უნდა გამოიწვიოს უცხოური, კლასიკური პიესების იგნორირება რეპერტუარში თავისი ადგილი უნდა დაეთმოს „ველა ეროვნებისათვის ერთნაირად საგულისხმო დრამატულ ნაწარმოებებს“. მაგრამ მათი შერჩევა საჭიროა მოხდეს დიდი სიფრთხილითა და ტაქტით.

ეროვნული დრამატურგიისათვის ბრძოლისას ბუნებრივად წამოიჭრა თეატრში თანამედროვე და ისტორიული თემატიკის შეფარდების საკითხი. ა. წერეთელმა, ისე როგორც ილია ჭავჭავაძემ, შესანიშნავად იცოდა, რომ თანამედროვეობის გრძნობის გარეშე თეატრი ჰკარავს თავის მნიშვნელობას.

ძალზე ცოტა იყო იმ ხანად თანამედროვეობის ამახველი ქართული პიესები. ეს დიდ სიმწიფეს უქმნიდა თეატრს. ა. წერეთელმაც საკითხის ამ მხარეს მიაქცია მთავარი ყურადღება. მან კრიტიკის ბრალი დასდო, რომ იგი

აქტიურად არ უქერდა მხარს ახალ მივსებს, ერთგვარი დახმელობა და გდღგდღეულობა შექმნდა. დრამატურგიაში კლასიციზმს უნდა მიეწერათ ისიც... — შენიშნავად აჯეი, — რომ არტისტები ახალ პიესებს, ახალ-ახალ როლებს გაურბიან და ძველებს ეტანებიან, ამ ძველ პიესებს, რომლის გზაც დიდი ხანია გატკეპნილია და ზედ გავლაც ადვილია, თუ სულ საბუარი არ არის კაცი“.

როდესაც ამ სტრიაქნებს გკითხვობთ, ასე გვგონია თითქმის იგი ეხლა ხანს იყო და დაწერილი. ვანა ასევე არ ზდება დღესაც? მსახიობს ზშირად ძველ ვოდვილში ურჩევია გამოსვლა, ვიღრე ახალ, თანამედროვეობის ამახველ პიესაში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ისიც არის, რომ ორიგინალური პიესები ზშირად მოკლებულნი არიან სიღრმეს, აზრისა და ემოციის სიღადადს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ არა ერთი პიესა „დაუსჯეაო“ უმართებულოდ, არ გამოუჩენიათ მისი დამი ნამდვილი ყურადღება და გავების სურველი. ა. წერეთლის აზრით, ამგვარი პეი სწვევია თავის დროზე გ. წერეთლის პიესას — „ოჯახის ასული“. აჯეის აზრით, იგი იმდენად კარგი პიესა იყო, რომ „დღესაც კი შეიძლება მისი წარმოდგენაო“. მაგრამ „მამინდელმა კრიტიკოსებმა წუხი დასდეს, პიესაში მოძრაობა ცოტა არისო და ჩვეულებრივ უხმო პიარები, რომლებიც მოქმედების დროს ვარბოდნენ და გამობრძოდნენ სცენაზე. რასაკვირველია, პიესა ვაფუძებს და მერე აღარ უთმამაშაო“.

სიახლე, რომელიც თერგდალეულებმა მოიტანეს ქართულ ლიტერატურასა და ზელოვნებაში, ცხადია, პირველ რიგში, სწორედ თანამედროვეობის ასახვაში პოულობდა გამოხატულებას. ამიტომაც იყო, რომ აჯეი ასე მედგარად იბრძოდა სცენაზე თანამედროვეობის თემის დასამკვიდრებლად. მაგრამ ზოლოდ ამით ვერ შემოიფარგლებოდა თეატრს. საჭირო იყო ისტორიული თემატიკაც. ცნობილია, რომ ქართულ ხალხს სამკერო-სასიციცილო ბრძოლები უხდებოდა უცხოელ დაპყრობთა წინააღმდეგ. ისტორიული პირობების ამ თავისებურებამ განსაზღვრა პატრიოტული თემატიკის როლიც, საერთოდა, ლიტერატურასა და, კერძოდ, თეატრში.

ომებმა, ხალხის მედმივმა საბრძოლო მდგომარეობამ, მოუსვენარმა და მფოთიანმა დღეებმა, დაუსრულებულმა ფიქრმა ეროვნული მეობის შენარჩუნებაზე — მეტი სიფაქრე და სიმშაფრე შემატა ქართველი კაციის პატრიოტიზმს.

ილია ჭავჭავაძემ და აჯეი წერეთელმა, როგორც თავიანთი ქვეყნის დიდმა აღამიანებმა, მეტად მაღლა ასწიეს პატრიოტული თემატიკის როლი და მნიშვნელობა ქართულ დრამატურგიაში, რადგან მათ სწამდათ, რომ სწო-

რად ასახული ისტორიული წარსული აქტიურად უხაზოვდება თანამედროვეობას.

აქაის სურდა სცენაზე გამოსახულ ისტორიულ წარსულს უმუალო კონტაქტი დაემყარებინა თანამედროვე მყურებელთან, გაეღმეძებინა მასში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, სულიერი სიმშენე და ენერჯია შეემატებინა მისთვის. იგი გულსიტყვილს გამოსთქვამდა, რომ თეატრში შესაფერისი მხატვრული განსხვავება ვერ ჰყოფს, მთელმა რიგმა პიესებმა, მათ შორის „ჯეჯეზინაში“, „მარიაშ დედოფალმა“, „ერთსაველმა“, „დავით აღმაშენებელმა“, და სხვებმა. უნდა ითქვას, რომ ამ პიესების ხარისხი დაბალია, მაგრამ იმეპიად მათ ვარკვეული როლის შესრულებაში მიიწვევდნენ.

ერთგულ დრამატურგიისათვის ბრძოლაში ა. წერეთელმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო პიესების გადმოქართულების საკითხს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მტრისმეტად ფართო გასაქანი მიეცა უცხოურადინ პიესების გადმოქართულების პრაქტიკას. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, ორიგინალური პიესების სიმცირით და, მეორე მხრივ, თეატრის ვაზრდილი ინტერესებით. ამ პროცესს საყვებით ბუნებრივად მიიწვევდა აქაი და მას ძირითადად დადებით შეფასებათ აღწევდა. მაგრამ იგი მისთვის წვეული პირდაპირადად მოითხოვდა ამავე დროს, რომ დიდი სეროზულობითა და პასუხისმგებლობით მოკიდებულიყვნენ ამ საქმეს, საყვებით გაუთვალისწინებით ის სირთულე, რომელიც გადმოქართულების პრაქტიკას თან ახლდა.

პიესის გადმოქართულებს შეეძლია პირველ წყაროდან აიღოს თემა, ზოგადი სიუჟეტური მონახაზი, ზოგჯერ იდეაც, მაგრამ სულ სხვა სული უნდა შეთავსოს მას, სხვა გრძნობით უნდა აამტყველოს, სხვა ზნე-ჩვეულება და ხასიათი უნდა მისცეს. ამაში მისი თვითმოქმედებაა. ასაზოგადოდ ამგვარი პიესები, — წერდა აქაი, — მაშინ არის კარგი და ნაყოფიერი, თუ რომ თავის საკეთარ ნიადავზე ამოსულა და მშობლიურს მიწაზე გაუღვამთ ფეხი, ისე როგორც ხეს და თუ უცხო მხრიდან არის გადმოტანილი ნერვით, უნდა შესაფერა შტო ატრიაოთ და მარჯვდ, მოხდენილად დაშენათ, რომ შეეზარდოს, შეეზარცოს, შეითვისოს“. აღნიშნული პირობების დაცვა ორმხრივად უკავშირდება ერთნული დრამატურგიის ინტერესებს. ერთი, რომ ნიჟიერად გადმოკეთებულმა პიესამ შეასრულია ორიგინალურის ელტრადობა მიიღოს და ამათ ზღლი შეეწყოს ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებას, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელისშეშლელის როლი ითამაშოს. ქართული თეატრის ისტორიაში ყოფილა როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევა.

ა. წერეთელმა თავის განთქმულ წერილში „სათეატრო შენიშვნა“ თითქმის ამოწურავედ განიხილა დ. ერისთავის „სამშობლო“ კლშიად მოთქმებული და დასაბუთებული შენიშვნების მიუხედავად, პიესის მალა შედისება მისცა: „ეს პიესა წინებულ ადგილს დაუკერჩენს მწერლობაში“ — სთქვა მან და ოთხი წლის შემდეგ კვლავ ხაზგასმით მიუთითა, რომ „სამშობლო“ მყურებელს უღვიძებდა წრფელ სულიერ ზრახვებში. ყოველივე ამასთან ერთად ა. წერეთელმა ამხილა „სამშობლოს“ სუსტი მხარეებიც. კრიტიკა მან იმის ვარკვევით დიწყო, თუ რამდენად სწორად არის პიესაში ასახული ისტორიული სინამდვილე. პირველ დებულებაში იგი ამბობს: „ისტორიული თხზულება უმკვლელოდ ჰეშმარტებაზედ უნდა იყოს დამყარებული“. ერთი ამ ისტორიული მოვლენების გადმოკეპის სიუჟეტზე მიუთითებს, მაგრამ ეს მინც საკითხის ერთ მხარედ მიიჩნია, არის ერთგვარი თხზულება, თუმცა არა ნამდვილი ისტორიული... როდესაც... როგორც მოქმედებს, ისე მოქმედებ პირც გამოვლილია განარკვევით; მაგრამ ისე ნამდვილად კი, რომ იმ დროს, რა დროსაც ეკუთვნის, ხასიათსა და ვითარებას ნამდვილად ვეხიბრავს და როცა ამბავი მოხდებოდა, სწორედ ისე, უნდა მომხდარიყო, როგორც ატორი ვეხიბრავს, არა სხვა გვარად“. არ შეიძლება აქ არ დავინახოთ, რომ ამ აქაი საყვების ორივე მხარეს მოლიანობაში იხილავს და ხაზს უსვამს დანტრუიის განსაკუთრებულ როლს ისტორიული ნაწარმების შექმნისას. იგი პირდაპირ ვეუბნება: შეიძლება თხზულება იყოს „არა ნამდვილი ისტორიული“ (ე. ი. არ იყოს მასში დაცული ფაქტობრივი სიუჟეტ, ან ხასიათები არ იყვნენ კონკრეტული ისტორიული პიროვნებანი), მაგრამ მასში ისე ასახოს ესა თუ ის მოვლენა, რომ იგი საყვებით შეესაბამებოდეს ისტორიულ ჰეშმარტებას. აქაის აზრით, „სამშობლოს“ ატორი მივლედ იყო დაცევა ეს პირობები. ნაცულად ამისა, მან მთელ რიგ შემთხვევებში დაუშვა ისტორიული სინამდვილის ვაყალბება: 1). პიესაში ქართულება ჯებნათ არიან გამოყვანილი. ქალაქში ადგილი ჰარა არის მათ მამოსახარობათ. ისინი ზედზედ მარცხლებიან, გულდნი კი არსათ ჩანან. ასი რომ ერთზე მოვიდეს და დავამარცხოს, სიმზადლეს როლი ნიშნავსო, მიუთითებს აქაი: „თუ ოდესმე დამარცხებიათ ქართულები, დუმარცხებიათ რიცხით და არა ვეყაცობით“. სანამ იარაღთარტება „კიდევ შეძლო ქართუელს, ის ტყვეთ თავს არავის ჩაუდლებდა“. 2) არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ქართულმა სულიერმა მამებმა დიდი როლი შესრულეს ერის ცხოვრებაში. პიესაში კი ისინი გამოყვანილი არიან, როგორც უმოქმედონი. რატომ და რისთვის? ამზე პასუხი უნდა ვაეცა ატორს. ხომ

მხოლოდ მოვსორდი მათ, მაგრამ ის კი მოვლავს გულს, რომ ისინი მათ ქვეყანაში შენე გირვეენ და უკანასკნელს ღროს იქა-აქ ლაპარაკობენ შენივე არა კეთილ-მოსურნეები, ვითომც ამ საძაგლობების ბრალი, ეს ყოფილიყოს რომ ვითომც ივანე მესხსა⁶ და ბესარიონ ჯადარბიძეს⁷ ვაღაწყვეტოლთ ჰქონდესთ, რომ შევსებუე-ლი პირები და მათს რიცხვში განსაკუთრებით მე, როგორმე დამინარცხონ. აი ეს აზრი არის და არ დავაფიქცავ, როგორც მეგობარს ამაში რასაკვირველია შენც გბევეენ და ანობენ, რომ ეს აქ პირველი არ არის, საზღვარ ვარე-თაც ასე იყო. შენის მხრივთ მე ამას არ დავაჯერებ, არც მგონია, რომ ჯადარბიძე ამის-თანა რამეში გაეროს და შენა ძმამ კი დამ-ტკიცა. შენ კარგად იცი ჩემი შეხედულება, როგორც შენს ძმაზედ ისე ბ. ჯადარბიძეზედაც და რა ვქნა მე ვერ წარმომიდგენია რომ იმათ ცუდ-კაცის დასაღუბავთ, თუ კი ცუდ-კაცთ სცნობენ, არა პირდაპირი საშუალება იხზარონ, და გაერონ ამისთანა საძაგლობაში, როგორიც აქ ჩიადინეს შვალითად. საძაგული ცილის წამებები და ბოლოს დროს ავანაჯურათ ღამე დახდომა და დახარობის მოწოდება, რომელიც უთუოდ გაგონილი გვექნება. მაგრამ ეჰ, დავა-ნებოთ თავი ამას და პირადად მოვილაპარაკებთ ამაზედ.

ზაქაროს გამოართვი ჩემი ტანისამოსი და გამომიგზავნე. ფრაკი, სერთუკი და შალვარი, სულ ტრტველა ვარ სივანეთი. გეთუყა, მელე გამომიგზავნე. კალენდარი რას შერება.

შენი მარად შეუცვლილად მისის მხრით აკაცა.

IV
ძმარ სარკო

[1875 წელი დეკემბერი]⁸

თუ ჯერ კიდევ არ ამოგფხვრია ვუღიღამ ჩვენი აღრინდელი მეგობრობა, გუბუნები მის სახელით, რომ მე წრის⁹ შესახებ არაფერი ცუდი მექნის არა თუ საქმით არც პაზრით... იმ წრესი, ვრია ოთხოდე პირი პირადად ჩემი მოსხსნარი და იმართის ინტრიგით ვახლა ეს საქმე, მათ აიყოლიეს სხეებიც და ყოვლის უმიზნოთ მომდგენ მე: რამოდენჯერმე ისეთი ცილი მსწამეს, რომ მომავლდანიებლად უსინდი-სო. მაგრამ დასამტყიცებლად მისი, რომ წრის პატრონის ცემა შექონდა და მაქვს, ესთხოვე დაე-ნიშნათ მეგლიში და გაეყსამართლებიო; მე მინდოდა ამ პირების ცუდი მოქმედება დამე-ნახებია წრისათვის და დამეშტოციებოა თუ რათ სცდილობდენ ჩემს ცილის წამებას, მაგ-რამ იმათ ფარმენეს და რადგანაც ჩემი ვასამ-ტყუნარი ფაქტი წრის შესახებ არა ჰქონდათ

არ, ვეღარ ვაბედეს სჯა და მუახლერი ინტრი-გებს კი მოუმატეს ძველმეგობრებმეგობრის მოიგონეს ცილი ვითომც მე შენებო¹⁰ [?] [?] [?] რამოდენიმე თვის წინეთ კოლხიდაში შეთქვას უზნურიათაქო და ეს ვახადეს საზოგადო სა-დევნელ საქმეთ. (ხუმრობა არ ვგეგონოს? მარ-თოს ვანბობს... წრე, საზოგადო საქმე და მაშ¹⁰... ხელ... ხახახა...).

ექვლამ შევიძლია დინახო თუ რა სურვილი ჰქონიათ უბრალოთ ჩემი გალანძღვის. — მაშინ კი მივხვდი მეც რომ საქმე სხვებ ყოფილი-თქო და მათს ლანძღვას პასუხი არ ვუწე, მხოლოდ მოვსორდი, საუკუნოთ გამოვეთხოვე მათს კაცობას და მას შევძღვე არც ავით და არც კარგათ მათი მსხრენებელი და მცნობი აღარა ვარ. — ბევრი ბანძური ლანძღვა და ცილი მომაყენეს. დღესეც არ იზოგვენ თავს, მაგრამ მე იმათ მოქმედებას ვსტოვებ უფროდ-ლებოდა... ის ორივე პირი მოქმედობს, ვითომც წრის სახელით და თუმცა მათი ჩაქვავება კი შემიძლიან, მაგრამ არც იმათა ვსცემ ხმას წრის პატრიისცემისათვის, რადგანაც ისინი პირა-დობას წრეს აწერენ და სხვა. მაგრამ ეს კი მივიყარს, რომ არ ვიცი რას მერჩიან? მგონია რაღაც ბრინციბი უნდა ჰქონდესთ და ეს შენს ძმებს⁶ უკეთ ეცოდინება. შენგან ივანეს⁶ ქება ვამიგონია, პატროსინია და შჯერა. მაშ იმას ჰკითხე, რათ ამიტუდა და რა აქვს დასამტყიცე-ბელი საბუთი. განა ცარიელი „ასე ანობენო!“ მას კარგი, ვევე ჩემს გზას დაადგეს საზოგ-დო საქმეში, ნურავის დაერიდება და ნახავს რას იტყვიან მაგაზედაც. — მაგრამ ჰე, მე იმათ-ზედ ხმის ამოღებას არა ვხეი საჭიროდ და ახ-ლაიც არას ვიტყვი, მაგრამ შენი თხოვა ამისრულებას... რაც შევხება მეგ სტატისა,⁴ ის იყო საზოგადო და შეხება კი წრის ორ წევრ-თავანს მხოლოდ, მაგრამ რადგანაც შეიძლება-და საზოგადოთ მიღება, კარგი, რომ არ დაბე-კვდ. — გიმეორებ, რომ სინდისი წმინდა მაქვს და შენ გინდ დაიჯერო და გინდ არა. ეს სტა-ტია უსიკვდილოდ დაბეკვდ. — ეს იქნება ჩემი უკანასკნელი თხოვნა¹¹.

[ხელმოწერა არა აქვს.]

P. S. შენი დღევანდელი სტატია მომეწონა ძალიან¹².

V
ძმარ სარკო

[მეტერბურგადან] 12 მაისი [1879 წ.]¹³

ბესარიონ ლოღობერიძის სიკვდილი ძალიან სამწუხაროთ დამირჩა. ჯერ-ჯერობით არა თუ მისთან [ა], იმაზედ უმდარები კაცებიც კი სა-ჭირო არიან ჩვენთვის და მათი დაკარგვც

სამიმიოა. — მომწერე დაწვრილებით, როგორ მიიცივლია და რაჯვარ ან სად? მე ამ დღეებში სტატია¹⁴ გამოვიგზავნი განსვენებულზე და თუ ღირსად დანიხავ, რასაკვირველია, ადგილს მისცემ „დროებაში“.

„დროებას“ იმაზედ ბევრი უსიამო რამ უთქვამს, მაგრამ ამასაც დავანახებთ მკითხველებს, თუ რასთვის და რათ გვეუბნოს საყვედური, მისთანა კაცზედ, რომელიც ყოველთვის სასარგებლო რაზმში გვეყოლა ჩათვლილი ქალბატონი¹⁵ მომაკიფხე. სტეფანეს¹⁶ გადაეცი რომ ექნის და ფული ორივე მისწრება არის. სწორედ წელსა მწყვეტს დაგვიწინებთ. ახლა ისე საჭიროა ჩემთვის, რომ გამოთქმა არ შემიძლია. შენა კირიმე უთხარ, რომ ამ დღეებში ხელს ნუ შემიშლის, საქმე არ წამბიდეს. განა არ იცი, რომ ხანდახან მცირე რამე დიდი საქორება არის? რასაკვირველია მაგან უნდა იცოდეს, როგორც როდნილმა საქართველოსა, და მე მომავალი პერეთმა ვარ, და გვ უნდა ხელს მხარბთავდეს. რა ანხავი მოახდინა აქ ქართულმა წარმოდგენამ. ამ დღეებში კიდევ ითხოვა საზოგადოებამ წარმოდგენა მისივე.

„გოლოსში“¹⁷, როგორ გეპინიკა სტატიები სემინარიაზედ? არ შეგონი კი თუ დამიბეჭდვადენ. უკანასკნელი სტატია ბაბტანს¹⁸ იყო — განა კარგი იყო?! თუ ვინცოხაა ქვეშინსკიმ¹⁹ ხმა გამოიღო; რაკი რამ დაბეჭდილა სემინარიაზედ, მოამწვდინე. — საბარლო ჩემ „ეოლავილს“²⁰ ვერა უშველეთ რა, შინც უნდა იფამაშონ! აქტიურობა და მასპარობა ჩვენში იჯარა კიდევ ერთია...

გეთაყვანე ანღრია²¹ კაპანაძე შეარცხებინე, რომ არა თუ დამირბეჭდებს, წიგნსაც არ მაგზავნის და თუ ქალაქი ენანება შენ უთიდე ერთი დსტა ქალაქი და მიეცი.

შენი შარად მოსიყვარულე აკაცი. ჩხუვი²² ხომ მშვიდობითა გუყავს? სარაჯოვი²³ მომიკითხე! ვიორგიც²⁴ მომიკითხე და უთხარი, რომ მისი სტატიები „დროებაში“ თეითონ ბიკონსფიდის²⁵ ნაწერიათქო.

VI
შპაო სარგო!

[პეტერბურგიდან 1879 წ. ნოემბერი]²⁶

დიდი მადლობელი ვარ შენი და დავით ვრისთავის²⁷ ბრატშია და ფულმა ისე გამოაკიჩა, რომ ვერ ჩემს ტვეზედ არ მოეყოლოვარ, რომ მადლი ვუთხრა და სიტყვა შეურსულად მეტად გაეშტერდა... მეტად... მე კი ამ მოკლეხანაში უთუოდ წამოვად; ცოტა საქმეებმა შემაშტერეს... ძალიან გული მწყუდება იმ ჩემ მუხანებზედ თუ შართა იმას უძირავს კორექტურას... მეტად ბევრი შედლომებია და არ ვარგას... რატომ სხებტორელის²⁸ კორესპონდენტებს და მელოქიშვილის, ფელტონებს არ

ბეჭდავ? ახალციხური ფელტონებში? *წინააღმდეგობა*...

გეთაყვა მომწერე ზაქარა მთწმინდელი²⁹ ვინ არის? ზაქარა როგორ იქნება?! — ანღრია კაპანაძის უთხარი, რომ ჯინებები დაკვრივს და ხიდის უფროსი ყალიონი მოსწიოს და გამლელ-გამომვლელებს უსალოს. მეც მილუ ვინახვ და ყოლიფერს გაიკვებს.

შენი აკაცი.

VII
შპაო სარგო!

[პეტერბურგიდან 1879 წელი დეკემბერი]³¹

დედაბერმა დიდმარბეგში ქათამი ასუქა, ინებათკვირეში კერატსი დაუღვა. დიდ პარასკევს შეღება, შაბათს გაფტქენა და ცისყარზედ წვიდა, მაგრამ წირვის გათაგებამდე მოკვდა და კერატსიც შეუშველო დაერჩა. თუ მეც ისე არ მომივიდა — ერთი კარგი საქმე გეთაყვე. მომავალ იანვრიდამ მოვიღრთნათ ფეხი, დავიბანათ ხელი, მოვატანიოთ ავილიშვილის პური, ახელედანის ყველი, ქავეჯაბის ლენო და ქეიფი ვავსწოთ. (სხვას ხომ შინც ვერაფერს მოვპარებებთ რომ გვაგვეთათ სიმდიდრის დროს?) მადლობა ღმერთს ეს ერთი საქმე, როგორც იქნა, გეთაყვე. მაგრამ ისე კი დავიბერტყე, რომ მადეთვენ წამოსვლას ვეღარ ვახერხებ. ჩაერჩი ამ ოხრეთში ისე, როგორც ვარეთ... აქ ანღრას გეტყვოდი, მაგრამ შენ ვერ გაიკვებ, რადგანაც საანდაზო ვავლია, ანუ უკეთ ვსთქვათ დამალული გაქვს. სხვა რა მომწერო, აქ ყოფით, წნეობითდაც ბევრი ვისარგებლე. კიხების ჯინი მოვიკალი და წერიოთაც ვეჭყედი თავს. ჩამოდენიმე ლექსი დავჩახანე, ორი მოთხრობა ერთი პატარა და ერთიაც კი გეგარბანი დიდი და ერთიც დიდი ისტორიული დრამა „ნახარ-ფამა“³² გეთაყვე, რომელიც უნდა გამოეიტყვედ, მე ძალიან მომწონს, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ შართლა ძალიან კარგი იყო, რადგანაც ჩემისთანა ცალმავე პოეტებს სზირად თაიხის ვირი ბუდაური ჰგონათ ხოლმე. — ვიგზავნი ამ ლექსს. თუ ივარგოს დაბეჭდე და რაც სიტყვა არ გაუშვას ტენ-მეისტერმა³³ წერტილებით ამოაკენინე. აქ ერთი ქალაქელი მოვიდა და მოიტანა ანხავი. რომ ნიკო ნიკოლაძე ძალიან ავათ არის და საშიში აიანტყოფიყო და თუ დღერთი გქამს, მალე შემატყობინე. მართალია თუ ტყუილი? უნდა ვიოხრა შართლო, რომ იმ ოხრის შეიღმა ისე შემაშინა, რომ იმ დამეს ძილი გამოეყდა. არისტო ჭუთათელაძე სად არის და შართლა ისე ვაილდაცადა, რომ თურმე დრო აღარა აქვს პასუხი რომ მომწეროს კაცს? — ნეტავი შართლა და ვინ შამა ოხერი გამოემცნაურება!... ველი პასუხს.

შარად შენი (თუმც არა ჩემი) აკაცი.

კომენტარები და შენიშვნები

1. აკაის შეიღვე წერილი წარმოადგენს ავტოგრაფს და ინიხება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბელნაწერთა ინსტიტუტის სერ. მესხის ფონდში № 58.

2. წერილი უთარღოა. შინაარსის მიხედვით ეს არის პასუხი სერგეი მესხის მე-5 წერილზე, ხოლო აკაის ამ წერილის პასუხი სერგეის მე-6 წერილია. ეს წერილი გამოგზავნილია 1874 წლის ნოემბერში, ს. მესხის წერილები იხ. ბელნაწერთა ინსტიტუტის ა. წერეთლის ფონდში № 325. წერილები გამზადებულია დასაბუქდა.

3. წერილი უთარღოა. ესაა პირდაპირი პასუხი ს. მესხის მე-7 წერილზე, აქ საუბარია აკაისა და ქუთაისის „ქართული თეატრის მოყვარეთა წრის“ წევრთა შორის ჩამოყარდნილ უთანხმოებაზე. ამ წერილში მოყვანილი ფაქტების შეჯერების მიხედვით დავთავაზილეთ. დაწერილია. 1875 წლის ნოემბერში.

4. იგულისხმება აკაის სტატია — „ვიტკაცებმა“, რომელსაც ბოლოში ერთვის ლექსი, ქუთაისის ახალგაზრდობის „ქართული თეატრის მოყვარეთა წრის წინააღმდეგ მიმართული, რომელიც სერგეი მესხს არ დაუბუქდია.

5. წერილი უთარღოა. ამ წერილის პასუხია მესხის მე-8 წერილი. ამის მიხედვით წერილი ეწეა დათარღლეს 1875 წლის დეკემბრის პირველი ნახევრით.

6. აკაე გულისხმობს სერგეი მესხის ძმებს: ივანესა და კოტეს, რომლებიც ამ დროს ქუთაისის წრის წევრები იყვნენ და მათთან უთანხმოება ჰქონდა.

7. ბესარიონ ჯაფარიძე (1850—1877) იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. 1868-69 წლებში სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის იჯდა პეტრე-პაულეს ციხეში. 1869 წელს III—IV თვეს პეტერბურგთან ვადმოგზავნილი იქნა რაჭაში, თავის სოფელში, სადაც პოლიციის ზედამხედველობაში იმყოფებოდა. 1870 წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ენევეში. იქიდან თანამშრომლობდა ვაზ. „დროებაში“. სახლვარჯიშობიდან დაბრუნების შემდეგ, 1875 წელს, ქუთაისში იმყოფებოდა. მონაწილეობდა ქუთაისის „ქართული თეატრის მოყვარეთა წრის“ მუშაობაში. მას პირადი მეგობრული ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონია ს. მესხთან.

(იხ. ივ. მესხის წერილი — „ბესარიონ ჯაფარიძე, სურათი (ნეკროლოგი)“, „ივერია“, 1877, № 44, გვ. 12-16). წერილი ზელმოწერალია ინიციალებით: ი. ა. დათარღლებულია: 20 დეკემბერს, 1877 წ. ქ. ქუთაისში.

8. წერილი უთარღოა. ესაა ს. მესხის მე-8 წერილის პასუხი. გამოგზავნილია 1875 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში.

9. აქ იგულისხმება 1875 წელს ქუთაისში ჩამოყალიბებული ახალგაზრდობის „ქრე. წრის“ წესდების სრულ ტექსტს აქვე ვაქვეყნებთ:

„ქართული თეატრის მოყვარეთა წრე“
(დაარსდა ქ. ქუთაისში 15 ავლისს 1875 წელს)

წრის მიზანი:

1. ქართული თეატრის მოყვარეთა „წრის“ მიზანი არის: ა) რომ გააყუთოს ქ. ქუთაისში ქართული წარმოდგენებისათვის საფარვისი სცენა, ბ) რომ განაგრძელოს ქართული საზოგადოებაში ქართული წარმოდგენების მოყვარება და გ) რომ შეძლების დავჯარად დაეხმაროს „წრისაგან“ ნაწახს ქველმოქმედებით მიზნის წარმატებას.

II

ამ მიზნის მისაღწევნელად საშუალებები.

2) „წრის“ წევრებიღამვე — განუყოფლად საზოგადოებასთან, არსდება სხვადასხვა ენებიდან ქართულს ენაზე დრამატული თხზულებების მოთარგმნება წრე.

3) სხვა და სხვა ენებზე დრამატული თხზულებებიანი ბიბლიოთეკის დასაარსებლათ ყოველი წევრი ვალდებულია „წრეში“ შევლიოსანავე, შემოიტანოს ფული რამდენიც მას შესურს.

4. ვარდა ამ ბიბლიოთეკის საზოგადოებას აქვს კასსა, რომელსაც შეადგენს ქართული წარმოდგენებიდან შემოსული ფული: კასის დანიშნულება მხოლოდ წრის მიზანია (6 1).

III

წევრები და მათი ვალდებულება.

5) „წრის“ წევრებთ შეიღება იყვნენ: ა) პირნი სცენაზე მოთამაშენი, ბ) პირნი მთარგმნენი. და გ) ის პირნიც, რომელნიც პირდაპირ „წრის“ მიზნის შესრულებას რამე მოქმედებით ეხმარებიან.

6) რომელიც ახალი პირის წრეში წევრად მიღებისათვის უსათუთო საქირთა წრის სამი წევრისაგან ამ ახალის პირზე ცნობის წარმოდგენა.

7) ახალი პირის წევრად მიღება შეიძლება სხდომაზე დამსწრე წევრების 2/3-ის ხმის უმეტესობით. — ხმის მიცემა უნდა იყოს იღუშა ალ.

8) წევრი, რომელიც ვი აკისრებს მე-5 მუხლში მოხსენებულს რომელიც თანამდებობას, ვალდებულია მტკიცეთ აღასრულოს ეს თანამდებობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამოირიცხება საზოგადოებისაგან. დამსწრე წევრე-

ბის 2/3-ის ხმის უმეტესებით. ხმის მიცემა აქვს ი დ უ შ ა ლ ი ა.

9) როგორც ახალი პირის მიღება „წრეში“ მოხდება ხოლმე სამი წევრის გაცნობით, ისე გამოირჩევა წევრისა უნდა მოხდეს სამი წევრის წინადადებით. — გამოხარობაც პირს აუშვია მსურს და აქვს თავის ვასამართლებელი საბუთი, შეუძლიან ეს საბუთი მოიყვანოს საზოგადოების წინაშე.

10) არავის წევრთაგანს არ შეუძლიან საზოგადოების ნებადართვებლათ მიიღოს მონაწილეობა, რომელიმე სხვა წრის წარმოდგენაში ქ. ქუთაისში.

11) არც მთარგმნელი წრეს ერთთ და არც რომელიმე მის წევრს ცალკე არ შეუძლიან თავის-თავათ პიესის ამორჩევა და გადათარგმნა. ვინც „წრისაგან“ დანიშნული კომიტეტი გადასათარგმნელ პიესას არ განარჩევს და არ დაინახავს საჭიროთ სხენებული პიესის გადათარგმნას და წარმოდგენას. (12).

შენიშვნა: 1. თარგმანი თუ დაიბეჭდა და გაყვიდა იქიდან შემოსული შეირიცხება „წრის“ კასში და ითვლება წრის კუთვნილებათ. II კომიტეტისაგან წარმოსილგენათ არჩეულს პიესას საზოგადოება მიიღებს უკანტროლოთ. ხოლო წარმოდგენის დროს კი საზოგადოება ნიშნავს.

IV

წრის კომიტეტი.

12) საზოგადოება ირჩევს 5 წევრისაგან შემდგარს კომიტეტს, რომლის შოგალუობა არის: ა) ახარხის და განარხიოს გადასათარგმნელი პიესა, ბ) მიანდოს ეს გარჩეული პიესა რომელიმე წევრს გადასათარგმნელათ და ვ) მოიწოდოს საზოგადოება არჩეულეებრივი კრებისათვის (5 16).

13) ვარც იმ პირებთა, რომელნიც შეადგენენ კომიტეტს, საზოგადოება ირჩევს თავის წევრიდამ — ვ ა მ გ ე ბ ე ლ ს, რ ე ე ი ს ო რ ს, ს უ ფ ლ ი ო რ ს და კ ა ს ი რ ს, რომელსაც შეეძლება „წრისაგან“ შექმნილი ყოველგვარი ქრება.

14) კომიტეტი და კასია ამორჩევა ერთის წლის ვილით და დანარჩენნი პირნი კი, როგორც გამგებელი, რევისორი და სუფლორი — ყოველი წარმოდგენისათვის ახალი.

V

კრება და საქმეების წარმოება.

15) ყოველი თვის უკანასკნელს რიცხვში მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც იქნება მოლაპარაკება საზოგადოების საქმეებზე.

16) ყოველი საქმე, რომელიც მოითხოვს დაუკრებლად გადაწყვეტას, განიხილვას წინამტეტისაგან მოწვეულ არჩეულეებრივს II კრებაში (12, ვ).

17) კრება მხოლოდ მაშინ ითვლება კანონიერად, როდესაც დამწერე წევრების რიცხვი შეაწევს მთელი საზოგადოების წევრების რიცხვის ნახევარამდე.

18) ყოველი კრებაზე ბაასის რიგიათ მსვლელობისათვის საზოგადოება ირჩევს უ ბ რ ა ლ ო ხ მ ი ს უ მ ე ტ ე ს ო ბ ი თ თ ა ე მ გ ლ ო მ ა რ ე ს.

19) საზოგადოების რაიმე გადაწყვეტილებას, მხოლოთ ექნება ძალა, მაშინ, როდესაც ის დამტკიცდება სხდომაზე დანსწრე წევრების 2/3-ის ხმის უმეტესობით (იხ. წესდებას ტექსტი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ს. მესხის ფონდი № 78).

10) აქ იგულისხმება მაშინო ხელთფლობილის ქალი, ქუთაისის ქართული თეატრის მოვლადობა წრის წევრი.

11) წერილის ბოლოში ხელმოწერა არა აქვს. იგი აქავის ავტორგრაფია (შავი) და დამთავრებული სახით არის წარმოდგენილი.

12) აქ აქავის მხედველობაში უნდა ქონდეს 1875 წ. 21 დეკემბრის №145-ის ვახ. „დროების“ მოწინავე „1875 წლის გამოსათხოვარი“, რომელიც ს. მესხის კალამს უნდა ეკუთვნოდეს.

13) წერილი უთარიღოა, აქავი, 1879 წლის ზამთარში პეტერბურგში იმყოფებოდა. წერილი აღნიშნული ფაქტების მიხედვით, (ბესარიონ ლომბერძის გარდაცვალება და მის შესახებ აქავის სტატია „დროებაში“), შესაძლებელი გახდა მისი დათარიღება. გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1879 წლის 12 მარტს. ბესარიონ ლომბერძიმ (1833 — 1879) საზოგადო მოღვაწე. 60-იანი წლების პეტერბურგის ქართული სტუდენტების ერთერთ მეთურთაგანი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. 1861 წელს სტუდენტთა არეულობის აქტიური მონაწილე, იგი სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და სხვ.) რამდენიმე თვეს კონსტანტინის ციხეში იჯდა. უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ უარი თქვა პროფესორად მოწოდებისათვის დატოვებაზე და საწმობლოში დაბრუნდა სამოღვაწეოდ. პირველად შედაგოვიერ მუშაობას ეწეოდა. 1876 წლიდან ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე იყო. 1873 წლიდან ნ. ნიკოლაძესა და ბ. ლომბერძიმეს შვიცე პოლემიკა ქონდათ გამართული საბანკო საკითხებზე. (იხ. ნ. სკანდელის — „იმერეთის ამბები“, „დროება“.

1873, №№ 25, 26, 27; „ბეს. ღოღობერაძის ტიტინი“, „ღროება“, 1873 წ. № 29; ბ. ღოღობერაძის საპსუხო წერილი — „მოთხრობა ჩემის „ოინობისა“, „ღროება“, 1873, № 28, 29).

აჯი წერეთელი, ნ. ნიკოლაძესთან ერთად, ქუთაისის საბანკო საკითხებზე ატეხილ პოლემიკაში მონაწილეობას იღებდა ბეს. ღოღობერაძისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ (იხ. აჯიის წერილები: „ნურაფერს უკაცრავად“, „ღროება“, 1873, № 20; „იმე!“, „ღროება“, 1873, № 29).

14) აჯიის შიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი სტატია — „ბესარიონ ღოღობერაძის სახსოვრად“ დაბეჭდა „ღროებაში“ (№ 69, 29/III, 1879 წ.); იხ. აგრეთვე „ბესარიონ ღოღობერაძის განსვენება“, „ღროებაში“ მოწინავე სერგეი მესხისა (№ 55, 13 მარტი, 1879 წ.).

15) აჯიის მოკითხვა ეხება სერგეი მესხის შეუღლეს — აჯის (ცნობილი შეცნინერის პეტრე შელიქიშვილის და).

16) სტეფანე მელიქიშვილი, გაზეთ „ღროებაში“ გამოქვეყნებული, სერგეი მესხის ცოლის ძმა, იგი სტ. მლის ხელმოწერით „ღროებაში“ თანაშრომლობდა და წერდა ფელეტონებს, ადგილობრივ მიმობილეებს, ქრონიკებს.

17) ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „Голос“ 1863 წლიდან გამოდოდა პეტერბურგში ა. ა. კრავესკის რედაქტორობით. 1879 წლის მარტის № 60 და № 66-ში დაბეჭდა ორი კორესპონდენცია: 1) „Из Тифлиса, 19-го февраля (корреспонденция „Голоса“). წერილი ეხებოდა თბილისის, ქუთაისის გუბერნიისა და საერთოდ კავკასიის მხარის სკოლებში გამეფებულ ცუდ სასწავლო პირობებს. „Из Тифлиса 26-го февраля корреспондентия „Голоса“ ეხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებულ საშინელ პირობებს, ინსპექტორ კუვინინკის თავაშეხებულ მოქმედებას და სხვ.

აჯი იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა სამეცნიეროდ. ეს კორესპონდენციები შიის წარდგენითა და მეცადინეობით დაბეჭდილია როგორც წერილიდანაც ჩანს, პირველი კორესპონდენცია აჯიის ეკუთვნის, ხოლო მეორე ელია ბახტაძეს. აჯიის V, VI და VII წერილი პეტერბურგიდან არის გამოგზავნილი.

18) ილია ბახტაძე (1859—1900) — ხონელის ფსევდონიმით ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. თანაშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში: „Кавказ“, „ივერია“ „НОВОЕ обозрение“, „მოამბე“, „კვლი“ და სხვ.

19) კუეშინსკი — თბილისის სემინარიის ინსპექტორი 1870 — 80-იან წლებში. შერაზმელი, მეფის რუსიფიკატორული პოლიტიკის ურყევად გამტარებელი. მის დროს უკიდურეს ზომამდე მიაღწია სასულიერო სემინა-

რიაში ქართული ენისა და მოწინავე ქართველ მასწავლებელთა და მოწიფელთა ღვეწმანე-მოღებული იქნა ეანდარმულ წესებზე, წინაშე რაში გამეფებულა იეტანელი პირობების წინააღმდეგ და მშობლიური ენის დასაცავად „ღროების“ ფერცლებიდან მრავალჯერ იშვალდებინათ სმა ი. კავჭავაძეს, აჯიის, სერგეი მესხისა და გოგებაშვილს.

20. აჯიის ვოდევილი „ბუტიობა“ იღვე-ბოდა მშინდელ ქართულ სკენაზე, როგორც რაიონებში, ასევე თბილისში. პირველად დაიბეჭდა ცილქე გამოცემად (თბ., 1879 წ.), შემდეგ „ჩრებულში“ (1899 № 1).

21. ანდრია კაპანაძეს ემღერის აჯი, რომელსაც მისი დავალება არ შეუსრულებია და პასუხიც არ მიუწერია. შემდეგ წერილში აჯი უფრო გულმოსული იხსენიებს მას.

22. ჩხიკვი — შატია ჩიტო, სერგეი მესხის საყვარელი ფრინველი, რომელიც „ღროების“ რედაქციაში მუყავდა (ამის შესახებ იხ. სინტერესო ემოზიონი აჯიის ოხუნჯობიდან, ღ. მესხის „გოგებუნაში“, გვ. 72-75).

23. დავით სარაჯიშვილი — ცნობილი ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი. დიდ ეკონომიურ დახმარებას და მფარველობას უწყედა ქართულ მწერლობას და ევლტურულ საქმიანობას. გარდაიცვალა 1911 წელს.

24. იგულისხმება გიორგი წერეთლის სტატიები — „საწყალი შირალი ავღანის ემბრა“ („ღროება“, 1879 წ. № 41), „კავკასია — ევლანი“. ისტორიულ-პოლიტიკური განხილვა („ღროება“, 1879 წ., № 70, № 71, № 72, № 74, № 75).

25. იგულისხმება პირველი მინისტრი — ღორდი 1870-80-იან წლებში, რომელსაც აჯი გ. წერეთელს იდარებდა თავისი სტატიების გამო.

(აჯიის ეს წერილი იხ. ა. კოპლავაშვილი, ა. წერეთელი და კიათურის მარგანეცი, 1958, გვ. 107).

26. წერილი უთარბოდა. გაზეთ „ღროებაში“ 1879 წლის ნოემბერში ზაქარია მოწინდელის სტატიებისა და ახალციხური ფელეტონების მიხედვით, წერილის შინაარსთან შეეჯერებით დავითარდეთ. წერილი გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1879 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში.

27. დავით ერისთავი (1837—1890) დრამატურგი, ცნობილი დრამის „სამშობლოს“ ავტორი. პირველი ქართველი დრამატურგის, გიორგი ერისთავის შვილი. თანაშრომლობდა გაზეთ „ღროებაში“ და სხვა ქართულ და რუსულ პრესაში.

28. სხეიტორელის ფსევდონიმით გაზ. „ღროებაში“ წერდა დავით წერეთელი, აჯიის უფროსი ძმა (იხ. ამის შესახებ. „დავით წერეთელი — სხეიტორელი“. „მნათობი“ № 5 1947 წ.)

გაზ. „ლატერატურა და ხელოვნება“, (1948 წ., „სხვიტორელის არქივი“.

29. ახალციხური ფელეტონები — ვინმე მესხის ხელმოწერით იკეთების ივანე მესხ-გვარამიძეს. უმთავრესად წერდა შესხეთჯავახეთის ხალხის ისტორიული წარსულიდან; ფელეტონებს, ისტორიულ ნარკვევებს. ხალხურ თქმულება-გადმოცემებს და სხვ. (იხ. 1879 წლის „დროება“, № 19, № 43, № 44, № 86, № 87, № 16, № 117, № 127, № 128, № 135, № 136 და სხვ.).

30. ზაქარია მთაწმინდელის ფსევდონიმით „დროებაში“ თანაშრომლობდა ზაქარია ჭიჭინაძე აკაკის უფრადლება მიიპყრო 1879 წ. „დროებაში“ დაბეჭდილი მისმა ფელეტონებმა: „ჰაიათა თებურნიშვილი, გვირი მეფის ირაკლი მეორისა (გაგონალო ამბავი)“, (№ 118, № 119); „ალაქარდობა კახეთში“ (№№ 211, 212); „როსტომიანი“, „შაჰნაშე“ (ნათარგმნი სპარსულიდან შეჩვიდმეტე საუკუნეში, ხოსრო ოფრმანძისაგან)“ (№ 225, 226); „ქართული წარმოდგენები მეფრამეტე საუკუნეში“ (№ 236, 237, და სხვ.).

31. წერილი უთარხილა. წერილის ზუსტად დათარიღება შესაძლებელი გახდა შინაარსის მიხედვით. გამოგზავნილია პეტერბურგიდან 1879 წლის დეკემბერში და არა 1878 წელს, როგორც ეს პირობითად დათარიღა ი. კოჭლავაშვილმა (იხ. ა. წერეთელი და ქიათურის მარგანიევი, 1958, გვ. 106).

32. როგორც ჩანს, აკაკის თავისი სამშობლებიანი ისტორიული დრამა „ნახიჩფანის“ სახელწოდებით დაუთავრებია 1879 წლის დე-

კემბერს, პეტერბურგში უოფნის დროს შემდეგში მისთვის სათაური შეუცვლია და აქედურ-ჩანუშის სათაურით დაიბეჭდა პეტერბურგის „ივერიაში“ 1880, წ. № 2.

33. ივლისსმება ცენზორი. იხ. აკაკის ლექსი — „ჩნევა ახალგაზრდა მწერლებს“, რომელიც მიმართული იყო ცენზორის. — „ტენ-მეისტერის“ წინააღმდეგ იგი წერდა:

„აქიქინე აქი-ბაქიამ
მართალს, ჭკვიანურს ნერის იმღერო,
თორემ გამოტყრავს შენს ჩანვს, ეთ ჭია,

ჭუღის მტარველი ტენ-მეისტერი“ (იხ. „კრებული“, 1873 წ., III წიგნი, გვერდი 61-64).

ცენზორის შესახებ თავის მოგონებაში: აკაკი ერთგან წერდა: „ჩემ სიცოცხლეში ცხადათუ სიზმრად, ერთი რამ უფრო მაღრთობდა ყველაზე და სადღაგშიც ქარ-ცეცხლად მიჩვებდა. მე ვამბობ ცენზურაზე ვინც მომწერე არ არის და არ გამოუცდია, იმას, მარტო განაგონებით, წარმოდგენაც არ შეუძლია, თუ რა იყო წინეთ ის სოცარი ცენზურა! (იხ. გაზ. „საქათველო“, 1908 წ., № 3).

ბევრი სიღუბეოზე და სიმწარე გადაუტანია აკაკის მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში, მეფის ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთერთ ასეთ უღმობელ ცენზორად იყო ლუკა ისახლოვი (1881 — 1888 წლებში), რომლის წინააღმდეგაც აკაკიმ დაწერა ლექსი — „არაკი“ (იხ. „დროება“ 1884 წ. 22 იანვარი № 16) მას ზედმეტ სახელად „ლუკა-მელის“ და „ГЛАВНА“-ს უწოდებდნენ. (მის შესახებ იხ. დ. მესხის „მოგონებანი“ გვ. 83).



ბაზაღმურის ტბასთან

მთხრობა

I

ზაფხული მიწურული იყო. ჩამავალი მზე მწვერვლიდან დაჰყურებდა ბაზაღმურის ტბას.

მრავალფერად ციაგებდა ცასავით გამჭვირვალე, მთაში ნატვრის თვალივით ჩასმული ტბა და ვინ იცის, რას ამბობდა, რაზე მეტყველებდა. იქნებ ტბაში ჩაძირული „ოქროს აკენის“ ლეგენდაზე მოუთხრობდა მშობლიურ ქვეყანას, იქნებ ქართველთა ქირავარაშზე ამბობდა რაიმეს, — მის წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე. მაგრამ ადამიანს არ შეეძლო გაეგო ბუნების ენა...

და აგრე, ერთმანეთს მისდევდნენ დღეები, წლები, საუკუნეები და მაინც ვერვის შეეცნო ბაზაღმურის ტბის საიდუმლოებათა საიდუმლოებანი...

ახლა ზაფხულის ბოლო დღეებია, კვირაა და ტბის პირად ქალ-ვაჟი გვერდი-გვერდ დგანან.

მოშორებით, ტბაში ახალგაზრდების ყიფინა, შეძახილები, ბაასი ისმის.

განცალკევებით მდგარი ქალ-ვაჟი კი ბაზაღმურის ტბასავით დადუმებულან, თუმცა ტბასავით აჩქოროლებული მათი გულეები უსიტყვოდაც ბევრ რამეს ამბობენ.

ტბის ციაგში მომავალი ცხოვრების სურათებს ხატავენ ოცნების თვალით.

— წავიდა ზაფხულის სანეტარო დღეები. მივდივართ და ვტოვებთ საყვარელ სოფელს, — დაარღვია სიჩუმე ვაჟმა, ხშირ ქოჩორზე ხელი გადაისვა და აღდრონი, თაფლისფერი თვალები მიაპყრო მხესუმხირასავით სახემომრგვალებულ, ძლივს შესამჩნევი ღიმილით პირგახსნილ ქალწულს.

— სანეტარო დღეები... — სინანულით გაიმეორა ქალიშვილმა და თავი დახარა, — უნივერსიტეტშიაც ერთად ვიქნებით, ლევან, არ მოგვწყინდება... ყველგან კარგია... — და სიტყვა გაუწყდა.

სამაგიეროდ ლევანმა დაასრულა:

— სადაც შენა ხარ, — მერე ისევ ტბას გახედა შორს, კარგახანს უცქირა, დაუმატა, — იქნებ ეს ტბა ოდესმე დაშრეს, ქეთევან, მაგრამ რა დააშრობს გრძნობების ტბას?

ქალიშვილი გაწითლდა, აიღეწა, ღიმილი თითქოს გულში ჩაიტანა, სიტყვა ვერ დასძრა. ფიქრით უპასუხა: „მე კი არა, სადაც შენა ხარ“.

მზის უკანასკნელი ნაპერწკლები იფერფლებოდა, თითქოს ქეთევანის თმებში რჩებოდა. ტბაზე დაშვებული მთების ჩრდილიც ახლოვდებოდა.

ასევე სახედაჩრდილული და პირმოკუმული ვიღაც ბრგე ჭაბუკი, აქეთკენ მოდიოდა, ახლოვდებოდა, მას თავი დაეხარა, სიღრმეში ჩაკარგული, წერილი თვალებით ფეხებს ისე დასჩერებოდა, ტუჩებსაც ისე აცმაცუნებდა, თითქოს შემკრთალ ნაბიჯს ითვლისო.

— აგერ, ნიკოც! — წარმოსთქვა ლევანმა და გაზაფხულის ახლადამოსულ მოლივით მოჩითულ ულვაშებზე ხელი მოისვა, — ალბათ თავის ახალ ჩექმებს ეაღერსება.

ქეთევანმა არ უპასუხა; რაღაც თვალმოწყურვით გახედა ნიკოს. ამით თითქოს უთხრა: „ხელს რატომ გვიწლიო“.

— მზე ჩადის. რაღას ელოდებით. შინ არ წავიდეთ? სულერთია, ქეთევანმა ცურვა არ იცის, ალბათ, არასოდეს უბა-

ნავი, — თქვა ნიკომ და მოშორებით შეჩერდა.

— ცურვა არც შენ იცი, ნიკო, მაგრამ მაინც ბანაობ, წასვლას კი მოვესწრებით; რა ჯობს აქ ყოფნას, — უპასუხა ლევანმა.

— კარგია, როცა... — და ნიკომ არ დაასრულა.

ლევანი მიუხედა:

— განა შენც არ შეგეძლო ცხოვრების თანამგზავრი აღმოგეჩინა?

— რატომაც არა, ვინ თქვა, არ აღმოვაჩინე?... თუმცა, ჰო, ამაზე არ ღირს; მშვენიერი საღამოა, დიდებულია, მაგრამ სევდაც მოაქვს, — ნიკომ განგებ შეცვალა საუბრის საგანი და ცალყბად გაიღიმა.

— წავიდეთ შინ, — უსიამოვნო გრძნობით ჩაილაპარაკა ქეთევანმა და ლევანს გახედა.

— წავიდეთ.

სამნი ერთად მიდიოდნენ სოფლისკენ.

შეგრძელებული ნიავი ქეთევანს თმებს უწეწავდა, პაერში შლიდა, ათამაშებდა. ვაჟებსაც ჯეჯილივით ურხევდა ქორის.

უკვე სოფელს მიუახლოვდნენ.

სალამოქმას, ნობივით აფერადებულ მთის კალთაზე ფოთოლივით დაეარდნოლი პატარა სოფელი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ისიც ამ წუთისოფლის მგზავრია და ბაზალეთის ტბიდან მომავალ მგზავრებს ელოდებოდა, რომ ისინიც თან წამოიყვანოს დროთა უსასრულობის უღვეველ გზებზეო.

— ნახვამდის, — თქვა ქეთევანმა, როცა სოფლის შუაგულს მიიღწიეს. სამიოდენ ნაბიჯით ვამორდა ვაჟებს, ლევანს მოხედა და დაუმატა: — მაშ, ხვალ დილით, სრულ რვა საათზე!

— რვაზე! — უპასუხა ლევანმა.

ახლა მზე მიეფარა და გზაზე ჩრდილი ჩამოვდა.

ნიკომ ღიმილით თქვა:

— კარგია, წელს ქეთევანიც მოგვეყვება.

ლევანმაც ღიმილით დაუდასტურა.

ცოტახნის შემდეგ ისევ ნიკომ დაიწყო:

— პურ-ღვინო ბლომად წავიღოთ, რომ ჩივალთ სუფრა გავშალოთ.

— თბილისში სუფრის გაშლას, წიგნის გაშლა აჯობებს, ნიკო.

— წიგნს განა პურ-ღვინო შეუშლის?

— თუ წიგნს ღვინო დაეასხით, შიგველარაფერს ამოვიკითხავთ.

— ახირებული კაცი ხარ, ლევან, სულ წიგნი, წიგნი...

— თუ სწავლაა, წიგნი გვეჭირდება, თუ ქეიფია, ღვინოა საჭირო, ბრძოლაში კი უიარაღოდ არ გავგვესვლება.

— ახლა წიგნს ქეთევანიც რომ დამატება, ხელს არ შეგვიშლის? — შეაპარა ნიკომ და წვრილი თვალები უფრო მოწკუწა.

ლევანი შედგა, ნიკოს უსიამოვნო გრძნობით ახედ-დახედა.

— ქეთევანი აქ რაღა შუაშია?

— თუ წინა კურსის სტუდენტმა, პირველისას არ წამოეშველე, ჩამორჩება და ცოდო იქნება, — ნიკომ ამით გამოსწორა წელანდელი ნათქვამი და გაიღიმა.

— დახმარება? ეს სხვა საქმეა, თუმცა დახმარება როდის ჭირდება, ქეთევანი ნიჭიერი ქალია, არ ჩამორჩება.

— ნიჭიერი ქალია, დიახ, ნიჭიერი, — ვითომ დაეთანხმა ნიკო და თავი დაუქნია.

მალე ისინიც დაშორდნენ ერთმანეთს.

შინ მარტო მიმავალი ლევანი ქეთევანზე ფიქრობდა. დილით თბილისშიაც ერთად წავიდოდნენ და ეს ახარებდა. ქეთევანის სახე, მის სულში შუქივით იდგა...

მივიდა შინ. შეაღო თუ არა კარი, უმალ ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ლევან! შოდი, ძია ჩემო, გელოდებოდი!

ლევანმა იცნო და ხელგაშლილი მიექრა:

— ძია თომა, ააიდანე!

— მოვედი. კავკასიონი გადმოვლახე და ამ დილით ჩამოვედი, — უთხრა თომამ და ლევანი გვერდით მოისვა. თავზე

ბავშვებით უსვამდა ხელს. სახეში ღიმილით ჩასჩერებოდა.

— სად იყავი, ძია, რა ნახე რუსეთში?

— რუსეთში ბრძოლებია. რევოლუციია, გზა გავიკაფე და აქ ჩამოვედი. ცოტაც კიდევ და ისევ წავალ აქედან... აქაც ყველაფერი რიგზე როდია! საქართველოში რევოლუციის ფრთა შეუქცევებს, ბავშვს დაბადება არც კი აცალეს. ხალხს დახმარება ჰქირდება. დროზე უნდა ვუთხრათ სიძარტლე, სანამ გვიან არაა.

— აქაც ჭურში როდი ვზივართ, ძია. რუსეთის ამბები ქვეყანას ესმის. ჩვენც როდი გვძინავს. ჩვენგან ბევრი გადაასახლეს, ზოგიც ციხეშია, მაგრამ ბავშვის დაბადებას ციხის კედლებიც ვერ შეაჩერებს. რა შეაჩერებს, ვინც ერთხელ თავისუფლების შუქი იხილა. ჩვენთან, უნივერსიტეტშიც, განა გულხელი დაგვიკრფია?

ძია თომას მზით დამწვარ, ფართო სახეზე შუქმა იმატა, მის ცისფერ თვალებშიაც შუქმა იელვა.

— ჩინებულა! როგორ ვფიქრობდი, შენც თუ ასეთი ვაჟაკი ვახდებოდი, — დაიძახა მან: მერე შექალაქებულ წვერზე ხელი ჩამოისვა და ჩაახველა, — გამოდის, რომ ჩემი მოწაფეები სოფელში მასწავლებლებად დამიხდნენ.

— იმდენს გვასწავლიან და გაგვანათლებენ, თვითონ ბნელ სარდაფში თავს ამოჰყოფენ და მერე გვიან იქნება, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ოთახის კუთხეში ნაადრევად თმაგატალარავებულმა, შუახნის კაცმა. მან პაპიროსი გააბოლა და წარბები უსიამოვნოდ შეათამაშა.

ლევანმა გაიღიმა:

— ჩემი მოქმედება არ მოსწონს მამაჩემს, თუმცა არც ის მოსწონს, რომ უმიწაწყოლად დატოვებს. რაც მემამულეებს მიწა ჩამოაჭრეს, ხალხს ლუკმად არ ეყო.

— შეილო, უფრთხილდი, ხომ გაგიგონია, „მართალ კაცს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“. განა გაპატიებენ? — ჩაუერთო გამხდარმა, შავი ნაჭრით თავ-

წაქრულმა დედამ და შოთი ბურჯი მადგინა დააწყო, — ერთი მყავებარ და უშენოდ მზე არ ამოვა, ვახშმის შემდეგ თომამ ბევრი რამ უამბო მათ რუსეთზე, რევოლუციასზე, ლენინზე, მტრებსა თუ მოყვრებზე.

თომა რომ წავიდა, ჩაფიქრებული ლევანი ლოგინში ჩაწვა. ძია თომას ნაამბობი არ ამინებდა. ტრიბუნაზე ხელგამოღლილად გადმოხრილი ლენინის სახე ედგა თვალწინ. მისი მგზნებარე, ცეცხლზე მწველი სიტყვები ესმოდა, ტანში ქრუანტილი უფლიდა, გული საგულეში აღარ ეტეოდა, ბრუნავდა, ხან ერთ, ხან მეორე გვერდზე წებოდა. მერე ამ ზაფხულს ქეთევანთან ერთად გატარებული დღეები მოიგონა, ყოველი სიტყვა, რაც უთქვამთ ერთმანეთისათვის. ყოველი ნაბიჯი საყვარელ ქალიშვილთან ერთად გადადგმული. — ქეთევანის ყოველი მიმოხვრა, გამომეტყველება, ღიმილი; მისი სუნთქვაც მოესმა, ტანში თითქოს მთის მაკოცხლებელმა ნიავმა დაუბერა, ააცურა და აამალა.



ქეთევანი ლევანთან შეხვედრით და მასთან საუბრით ისე იყო გულავსებული, რომ შინაურებში სიტყვას ვერ ძრავდა. ჩაწვა, ოთახში ჩამომდგარი ღამე ვერ აბნელებდა მის თვალწინ ანთებულ ლევანის სახეს. ლევანს ხედავდა არა მარტო იქ, სადაც შეხვედრია, სადაც უნახავს, იქაც, სადაც ისინი არასოდეს ყოფილან: ზღვაზე, კავკასიონის უმაღლეს მწვერვალზე, ცაზე, — თეთრი ღრუბლების ზემოთ და მერე ოჯახში, საზოგადოებაში, სიხარულსა თუ მწუხარებაში. ყოველ წვრილმანსა და მნისვნელოვანს აფასებდა იმის მიხედვით, რამდენადაც ის ლევანთან აკავშირებდა; ყველაფერს, თითქოს ლევანის თვალთაც ხედავდა. მისთვის ყველაფერში ლევანის გული ფეთქავდა, ამ გულის სითბო აცოცხლებდა, შუქს ფენდა ყველაფერს.

შინ უგუნებოდ მისული ნიკო ვასც-ქეროდა მთვარის შუქით მოვერცხლილ ბაზალეთის ტბას. ეგონა ქეთევანი იმ ტბიდან იშვა და სოფელში იმიტომ მოვიდა, რომ მისი გული მოეკლა. მუშტებს გულში იცემდა, ბუზღუნებდა: „მისი გული ლევანმა დაიმორჩილა. მე კი რა დამრჩა? ქეთევანის ფეხის მტკერი და ყინულივით ცივი თვალები? არა, ამას ვერ ავიტან“. წამოდგა, მაგიდას ისე სწრაფად შემოუარა, თითქოს ქეთევანს დასაქერად მისდევსო.

II

დილით, ალიონზე ამდგარ ქეთევანს ქვეყანა სხვანაირი ეჩვენებოდა: მწვერვალებზე ქედებივით დახურული ნისლეები. მიწაში ვეებერთელა სარკესავით ჩადგმული ტბა, ცა და თვით სოფელი.

დღეს მიემგზავრებოდნენ: სიყვარულისა და განათლების გზა თბილისისაკენ ერთად მიდიოდა. სიხარულს გული ვეღარ იტევდა. დედას უცქეროდა და ეცოდებოდა, სოფელში რომ რჩებოდა, რადგან მისი აზრით, რაც ამ ქვეყნად სიხარულია, ყველა თბილისში მიჰყვებოდა, აი, ამ დილით.

დედას კი აოცებდა ქეთევანის ასეთი უჩვეულო აღზნება გამგზავრების წინ და ვერ მიმხვდარა იყო, რომ მზე, რომელიც ქეთევანის სულში ამოდიოდა, მისთვის დიდი ხანია ჩასულიყო და ჩამქრალიყო; ხელმეორედ ვეღარ გაათბობდა მის მიმქრალ ცხოვრებას.

ქეთევანმა ეზოში ორი ჩემოდანი გამოიტანა. ერთზე თვითონ, მეორეზე დედა ჩამოჯდა.

— ახლა როდისღა ჩამოხვალ, შეილო? — ჰკითხა დედამ.

— მალე, დედიკო. განა არდადეგებს მოვუცდი? ჩამოვალ, გინახულებ და გაეფრინდები.

— იფრინე, შეილო, ჩემდა იმედად, შენი გამოჩენა ჩემი გათენება იქნება.

— დედი, ნუ მრიწყენ, მამაც იალა-

ლებიდან მალე დაბრუნდებარა, ^{საგვარჯიშო} გაც გვეზრდება, ^{აბა} თუ გავაგვიტყვი-
დება.

ხსენებაზე სახლიდან გამოვარდნილი. ფეხშიშველა გიგაც მიეჭრა დას:

— მიდიხარ, ქეთუნი? — და ყმაწვილმა ნამძინარევი თვალები მჯიღით მოიფშენიბა, მერე მოტიტვლებულ მუცელს დააჩერდა, გულაჩუყებით წამოიძახა:

— არ მინდა, არა! არსად გაგიშვებ!

— არა, ძამიკო, არ დავიკარგები, მალე შენთან ვიქნები.

— მოვედით, ქეთევანი! დილაშემვიდობისა, დეიდა სალომე! — მოისმა ამ დროს უკვე ეზოში შემოსული ლევანის ხმა.

მას სიკოც მოჰყვა.

ქეთევანმა ხელები გაშალა, ზეზე წამოიჭრა, გაწითლდა.

— მობრძანდით, მობრძანდით!

მალე გზას გაუდგნენ.

— თქვენ იცით, შვილებო, ჩემი სული თქვენ გაბარიათ; მიმიხედეთ ქეთევანს, — გასძახა დედამ კარგა მანძილით დამორებულ ვაყებს და ეზოში შემობრუნდა.

გიგა კაბის კალთაში ეტანებოდა, თვალცრემლიანი გაიძახოდა:

— რატომ გაუშვი, არ მინდა, არა!

— გაჩუმდი გიგა! მოეა შენი ლიკო, — დაუყვავა დედამ, აიყვანა და გულში ჩაიკრა. გიგასა და ფოთლების სუნთქვასღა უსმენდა.

... ქეთევანმა ახლა იგრძნო მშობელ დედასთან და პატარა ძმასთან დამორების ტკივილი და მოიწყინა.

სოფელი დუმდა. დუშეთისაკენ მიმავალ გზაზე არავინ ჩანდა. დამე უძილობით მოქანცული ძაღლები კანტიკუნტად ჰყვდნენ აქა-იქ.

ნიკოს თვალები ძალაუნებურად წინ მიმავალი ქეთევანისკენ გაუბრუნდა.

— კარგ დროს წამოვედით. მიგუწურებთ დილიდან, — წარმოსთქვა ლევანმა.

— მივდივარ, მიხარია და გულიც მწყდება; შინ აცრემლებული დედა და

აბდავლებული ძმა დაეტოვებ — თქვა ქეთევანმა.

— ყოველ სიხარულს საწყენიც მოსდევს და, ზოგჯერ, პირიქით... რას იტყვი, ნიკო?

— შესაძლოა, — ყრულ უთხრა ნიკომ. მას ენა ჩავარდნოდა, ფიქრებს შეეპყრო.

მალე დილიდანვე მოეწყენენ.

მზე ამოვიდა. მითქარუნებდნენ დილიენის ცხენები, ფრუტუნებდნენ, ხენეშოდნენ და მოსაწყენად გაბმული ელარუნი აღარ წყდებოდა. ამას მედილიენის იშვიათი შეძახილი და მათრახის წივილიც ემატებოდა.

გზაში ურმები და ამხედრებული ფშავ-ხევისურები ხვდებოდათ აქა-იქ, ხან შორდებოდა, ხან უახლოვდებოდა და უდგრომელი არაგვის თქრიალი, რაც ნანასავით ესმოდა ქეთევანს და უქარწყლებდა განშორების ტყვილს, აქეთ-იქით თვალგაცეცებით იხედებოდა, მისთვის აქ ყველაფერი მღეროდა; მათრახის წივილიც კი სიმღერად ესმოდა.

მალე არაგვის ვალმა, საგურამოს ფერდობზე ილია ქაეჭავაძის კარმიდამო გამოჩნდა.

— აგერ, ქეთევან, სად ცხოვრობდა ჩვენი ილია, — უთხრა ლევანმა.

— ილია? — გაფაციცებით ჰკითხა ქეთევანმა და სახე გაუნათლდა.

— ილია!

— აი, სად ყოფილა არწივის ბუდე! — და ქეთევანმა ადგილიდან ისე წამოიწია, თითქოს იმ ბუდეში გადაფრენას ლამობსო.

— აღამიანების უმრავლესობა თავისთვის ცხოვრობს, ილია ქაეჭავაძე კი ყველასათვის ცხოვრობდა. და, აი, წიწამურის გზაზე. ყველა სიკეთისათვის, ხალხის მტრებმა შუბლში ტყვია არგუნეს.

— როგორ, ტყვია სიკეთისათვის? — ქეთევანმა თავი დახარა, მოიწყინა.

შორს, მთის მწვერვალზე ცაში მშვილდ-ისარივით შეტყორცნილი ჯვარის მონასტერი გამოჩნდა.

— აი, ჯვარი! — წამოიძახა ლევანმა.

— ო, დმერთო ჩემო! — აღმოხდა ქეთევანს.

— რად გვინდა, გაუქმებულნი ვართ სიაა, — როგორც იყო ხმა ამოიღო ნიკომაც.

— ეკლესია კი არა, ჯვარი ჩვენი ისტორიის დიდებით ბრწყინავს, — უთხრა ლევანმა.

ქეთევანმა ნიკოს გაკვირვებით შეაელო თვალი. მერე მზის სხივებზე გაბრწყინებულ ჯვარს მიახერხდა.

— აგერ სვეტიცხოველიც! ჩვენი ძველი კულტურის კიდევ ერთი ბრწყინვალე ძეგლი და დიდ წინაპართა სავანე, — განაგრძობდა ლევანი. აი, ის ადგილიც, სადაც ვერაგულად მოჰკლეს არსენა. მოჰკლეს, რადგან ბატონებს ებრძოდა. აქ კი, ზომ ზედაც, საქართველოს მიწაზე სამტროდ მოსული პომპეუსის ხილია. ხიდი ქვევით იწვევს, იძირება, საცაა, მტკვარი დაფარავს.

გაშორდნენ მცხეთას. მთაწმინდის კლდეზე მტრედივით შეფრენილი მამადავითი აღიმართა მათ თვალწინ და ამ თეთრმა მტრედმა ქეთევანიც გამოაცოცხლა.

— მთაწმინდა, თბილისი, მამადავითი! — და ხელი დაუქნია. მერე გულში გაიკლო: „მოვდივართ. მე და ლევანი მალე შენთან ვიქნებით!“

ჩამოვარდნილ დუმილს ისევ დასიცხული ცხენების თქარათქური, ეყენების ელარუნი და მათრახის წივილი არღვევდა. მოღლილ-მოქანცული მეეტლე კი თვლემდა, თვალები უნებლოდ ეხუშებოდა. მხოლოდ ზოგჯერ ასწევდა თავს, შეშინებულივით თვალს დააცეცებდა და მათრახს მეტი ძალით ააწვილებდა.

... მეორე დღეს ქეთევანი ოდნავ ფერმიხდილი, სუნთქვაშეკრული, ფეხაკრეფით შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალ კარებში, როგორც ტაძარში.

III

თბილისში გაზაფხულის თბილი დღე გათენდა. ქუჩებში საპირველმაისო დღესასწაულზე გამოსული ხალხის ჩოჩო-

ლი იდგა. რუსთაველის პროსპექტზე თავიდან ბოლომდე სამფეროვანი დროშები არაზმულიყო და ნელა თითქოს ფეხშემკრთალი წინ მოიწევდა.

ამ დროშებს ასევე ფეხშემკრთალი და ნაირფერი ხალხი მიჰყვებოდა. კოლონებს შორის სამფეროვანი დროშებით შორთული სამი თუ ოთხი საბარგო ავტო ძლივს მოხობავდა.

სტუდენტების კოლონის ერთ მწკრივში ლევანი, ქეთევანი და ნიკო გამოჩნდნენ.

ლევანს რაღაც ცხარე ბაასი ვაგება სტუდენტებთან...

— შენ როგორ გგონია, ჩვენი შთავრობა მოახერხებს, რომ ხალხს დაუშალოს სიმართლე? პირველი მაისის დღესასწაულს ვატარებთ და ამით რევოლუციის საქმეს ვაქეთებთო, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას მეტყველებს. სინამდვილეში რევოლუციის მონაპოვარი თითქმის დამარხეს და ეს სამგლოვნი პროცესია ახლაც გრძელდება.

— შენ როგორ ფიქრობ, ვითომ დიდი ბედნიერება მოგვანიჭა რევოლუციამ? — შეეკითხა ნიკო.

— ცხადია, შეეძლო მეტი მოეტანა, მაგრამ საქართველოში გზები შეუერეს და შეაჩერეს მისი მსვლელობა, — უბასუხა ლევანმა.

ამ დროს პროსპექტზე, მათკენ წამოსულ ადამიანთა ჯგუფი შენიშნეს.

— აი, მთავრობა!

— აქეთკენ მოდის! — გაისმა ხმები.

ცოტათი მოშორებით ხალხითა და სამფეროვანი დროშებით დატვირთულ ავტოზე ჩოჩქოლი ატყდა. უეცრად სამფეროვანი დროშების წრეში წითელი დროშა ალივით ავარდა.

უნებურად ლევანიც ადგილიდან დაიძრა. წუთიც კი არ გასულიყო, რომ უკვე იმ ავტოზე ისიც გამოჩნდა. მან წითელი დროშის გვერდით გაშალა ხელი და მთელი ხმით დაიძახა:

— გაუმარჯოს საქართველოს, ოქტომბერს!

— ვაშა! — გაისმა ხალხში, მაგრამ იქვე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა.

საიდანღაც გვარდიელების მარაზმებდ გამოჩნდა. ავტოზე აიჭრა და დაჭრა მუხლზე ადამიანთა პატარა ჯგუფი მუშტიკრივით ძირს გადმოყარა, მალე აფრიალეული წითელი დროშაც ძირს ჩამოავდეს.

ქეთევანიც იქვე მიიჭრა. ლევანს ეტებდა, მაგრამ ის აღარ ჩანდა.

— ლევან, სადა ხარ, ლევან! — შეშფოთებული აქეთ-იქით დარბოდა. მერე დაპატიმრებულთა ჯგუფში რომ დაინახა, ისევე გასძახა:

— ლევან, ლევან!

— მალე მოვალ, ქეთევან, დაებრუნდები, გულს ნუ გაიტეხ! — გაამხნევა ლევანმა.

ქეთევანს უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, მუხლები მოეკვეტა და ჩაიკეცა.

ამხანაგები წამოეშველნენ, წამოაყენეს, წყალი ასხურეს.

როცა ქეთევანმა თვალი გაახილა, ნიკოს ხმა მოესმა:

— რა მოგვიდა, რა მოხდა ასეთი?!

ქეთევანს არ უპასუხია, მხოლოდ იმ გზას გაჰხედა, საითკენაც ახლახანს წაიყვანეს დაპატიმრებული ლევანი. მერე უეცრად მოწყდა ადგილიდან და ხალხს შეუერთდა.

მარტო დარჩენილი, უსიამოვნო გრძნობით შეპყრობილი ნიკო ადგილზევე ბრუნავდა, წრიალებდა, ბუტბუტებდა:

— აი, სერიო! ეს აშარი რაღამ გადაჩია?!

სახეშეფაცვებული და ენაჩავარდნილი ქეთევანი შინისაკენ მირბოდა. ეზოში შეიჭრა, კიბე აირბინა, კარიც გააღო, საწოლზე მოსხლეტილი მიეგდო და ქვეთინი შორათო. როცა გული იჯერა წამოდგა. აცრემლებული აივანზე გამოვიდა. ცას მიაჩერდა.

— ქეთევან, ქეთევან! — მოესმა ქვემოდან.

ქეთევანი შეკრთა, მიმოიხედა, თვალს არ უჯეროდა, რომ ეზოში შემოსული ლევანი ეძახდა.

— ლევან! — გასძახა თვითონაც და

კიბეზე დაეშვა. ეზოში ლევანს რომ მიუახლოვდა, უეცრად შედგა, სახეზე ხელები მიიფარა და ცრემლები წასკდა.

ლევანი მივიდა, მკლავში ხელი მოჰკიდა და, როგორც ბავშვს, ჩურჩულით უთხრა:

— დამშვიდდი, ქეთევან. შეჯარებული ხალხით ვისარგებლე, ვიდროვე და გვარდიელებს ხელიდან გავუსხლტი. შენ რაც შეგემთხვა, ისიც გავიგე და გამოვიჭერ. ახლა ხომ ერთად ვართ, ისევე ერთად ვართ.

ქეთევანი თრთოდა, კანკალებდა, დახშული ხმით ქვითინებდა.

— კარგია, ჰო, კარგია, კარგია, — თითო-ოროლა სიტყვა ვედრებასავით აღმოხდებოდა და სახეს მალავდა. შევიდეთ შინ, — ხმა ამოიღო და თავდახრილი გაბრუნდა.

აივანზე უხმოდ ავიდნენ.

— აი, აქ დავსხდეთ, — უთხრა ქეთევანმა და ლევანს აივნის კუთხეში მიდგმულ ტახტზე უჩვენა.

დასხდნენ.

ნორჩი ფოთლები ელამუნებოდნენ აივნის სვეტებს.

— კიდევ კარგი, მამიდაჩემი შინ არ დამხვდა, თორემ რას მეტყოდა, — თქვა ქეთევანმა და ლევანს მხოლოდ ახლა მიაპყრო ცრემლშემშრალი თვალები.

უხმოდ უქკეროდნენ ერთმანეთს.

— რად მოხდა აგრე? — ბოლოს ჰკითხა ქეთევანმა.

— კარგია, რომ უარესი არ მოხდა, თუშეცა ეს მხოლოდ დასაწყისია.

— დასაწყისია? — შეშფოთდა ქეთევანი.

— მაგრამ ეს ჩვენი ბრალი როდია. მოპოვებულს ქარს ვერ გავატანთ, რაც უკვე წავგვართვეს, მის დაბრუნებას უნდა ვეცადოთ. უბრძოლველად კი არავინ დაგვიტომობს.

ქეთევანმა კიბეზე ამომავალი მამიდა დაინახა და მიეგება.

თმებშეჭალარავებულმა, საკმაოდ მოტეხილმა დედაქალმა შეათვალიერა ერთად მდგარი ქალ-ვაჟი და ხელი გაშალა:

— შეილებო, აგრე მალე როგორ დაბრუნდით?

— კი არ დავბრუნდით, გამოგვგადეს, დეიდა, — უთხრა ლევანმა.

— ეს როგორ, რას ამბობ, შეილო? მოდით, შიგ შევიდეთ, მიიპატყა და კარი გააღო.

... ლევანი გვიან წავიდა შინ.

IV

უნივერსიტეტში სიწყინარე იყო. სტუდენტების ჩურჩულს თუ გაიგონებდა კაცი. უნივერსიტეტის აღმინისტრაციის დუმილში კი რაღაც დაძაბულობა და ნერვიულობა იგრძნობოდა.

პრორექტორის კაბინეტში გამომძებული ნიკოც ჩურჩულებდა:

— დიახ, ის იყო. იმედია არ გამამხელთ. საბარგო მანქანაზე აიჭრა, დაიძახა: „გაუმარჯოს საქართველოს, ოქტომბერს!“

პრორექტორმა, გამხდარმა, სახეაწითლებულმა, შუახნის კაცმა თავი დაუქნია:

— გბირდები. ჩვენ სიმატლის აღდგენა გვინდა, სხვა არაფერი.

ნიკო როცა კარებში გაძვრა, სტუდენტების გასაგონად წამოიძახა:

— ეს საზიზღრობაა! რა უნდათ ჩემთან, რა დავაშავევ?!

სტუდენტები შემოესიგნენ და გამოჰკითხეს თუ რა შეემთხვა:

— ვილაცას უთქვამს, თითქოს საპირველმისო დემონსტრაციებში ბოლშევიკებს ვუჭერდი მხარს; მე კი ყველაფერზე უარი დავურტყვი!

— ბარაქალა ასედაც უნდა! — დაიძახა ერთმა სტუდენტმა.

— ვითომ რაღაო! — გამოეხმაურა მეორე.

ამისობაში ნიკო, ვითომ მეტად გაბრაზებული, იქაურობას სწრაფად გაშორდა, უნივერსიტეტის შენობაც დატოვა და ქუჩაში ქშენით გაიჭრა. ცოტა მანძილი რომ გაიარა, უეცრად შედგა: „თუ გამიგო, ქეთევანიც არ მაპატიებს, არც გამიკარებს; სიფრთხილეა საქირო“. იმევე დღეს, საღამოს, უნივერსიტე-

ტის შენობიდან ლევანი და ქეთევანი ერთად გამოვიდნენ.

ლევანმა სინანულის გრძნობით მოპხედა უნივერსიტეტის მიხურულ კარებს და თავისთავს უთხრა: „ამ კარებს, ალბათ ვერასოდეს გავაღებ და ვერ ვიხილავ, მშვიდობით“.

სახეშეფაცლებული და თვალნაწვიმარი ქეთევანი არაფერს და აღარავის ხედავდა, არც უნდოდა დაენახა; მხოლოდ საკუთარ ფეხებს დაჩერებოდა და ისე ფრთხილად მოადგამდა, თითქოს ემონია, მიწა არ ვასკდესო. ის ახლა არც უნივერსიტეტში და არც მის გარეთ საიმიდოს აღარაფერს ხედავდა.

უნივერსიტეტის ეზოდან რომ გავიდნენ ჩურჩულით თქვა:

— ასეთი რა დაამავე, რატომ გავრიცხეს?

ლევანმა არაფერი უპასუხა.

— აქ რაღა ვამაჩერებს, როგორ დაერჩები?

— შენ უნდა დარჩე, განა უნივერსიტეტს ჩვენ გავურბივართ?

— არა, მაგრამ, — და ქეთევანს სიტყვა ცრემლმა მოსტაცა.

— ქეთევან, ცხოვრების სიძნელეს ვერ გავექცევით. განა ცხოვრება ჩვენი სურვილების მიხედვით მიდის? მას თავისი კანონები აქვს და საჭიროა გავუძლოთ, ავიტანოთ, გადავლახოთ დაბრკოლებები, სანამ დასახულ მიზანს არ მივაღწევთ, წავიდეთ, ქეთევან!

— სადღა უნდა წავიდეთ ახლა?

— მამადავითზე. ერთხელ კიდევ გამოვხედოთ თბილისს.

— წავიდეთ, ლევან.

უნდა მიდიოდნენ მთაწმინდის აღმართზე.

რაღაც დიდი სიძიმე გულს დასწოლოდათ. რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი, მაგრამ ახლა უთქმელობით უფრო მეტს ამბობდნენ. გულს მინდობოდნენ და მიჰყვებოდნენ მის გზას, მის მართალ კარნახს. მძიმე იყო აღმართი, მძიმე გრძნობითაც დატვირთულიყვნენ, მაგრამ მაინც ამჯობინებდნენ არასდროს დასრულებულიყო ეს გზა. მიდი-

ოდნენ და მათ გულში ხანგრძლივად ტბა ირხეოდა, ხან შეინგავრჩებოდა — კავკასიონის მთების გვირგვინი, ზოგჯერ მქუხარე არავი აკიაფდებოდა.

მამადავითის ეზოში შევიდნენ. აქ ყოველი ხე, რტოებს რომ არხევდა, საჭორწილო სამზადისით გართულ პატარა ძალს მოგაგონებდა, ზოლო ცადაწვდილი კვიპაროსები — კელეპტრებს, მამადავითზე განსვენებულ დიდებულთა საფლავებზე ანთებულს. ილიასა და აკაკის საფლავები მოინახულეს. მერე დასხდნენ და დუმილს ფიქრებით გაჰყვნენ. თითქოს აქ განსვენებულ დიდებულთა მაგიერ, მამადავითის მიწა სუნთქავდა, და ეს სუნთქვა მთელ საქართველოს ესმოდა.

ჩამავალი შზის უკანასკნელი სხივები მოწყდა მწვერვალებს. ცაზე ცხვრის ფარასავით მოდებული ღრუბლებიც ჩაჰქრნენ, დაჰკარგეს ფერი და მოიწყინეს. მერე მთაზე ამოსულ მთვარეს უფრო დიდი სედა ამოჰყვა. ახლა რაღაც სხვა ხმით, თითქოს სედიანადვე ღრმად ჩაისუნთქეს პაერი წიწვიანმა ხეებმა და ერთბაშად დადუმდნენ...

ქეთევანის ცისფერი თვალები უსაზღვრო იყო და ლევანს მოეჩვენა, რომ ის ზღვას უძირო, უსასრულო, ყველაფრის ჩამტევი. მერედა, რა ჯობს ამ ზღვაში ჩაძირვას, მის ალერსიან ტალღებზე დანდობას. უსაზღვრო თავდავიწყებით მის წიაღში სამუდამოდ ჩაჰარგვას!

— დროა, ლევან? — წამოდგა ქეთევანი.

— დროა, წავიდეთ.

ფრთხილი ნაბიჯით, დიდი მოკრძალებითა და სასოებით დასტოვეს მამადავითი. დაეშვნენ ქვევით, მამადავითი კი ჩაუქრობელი შუქის სვეტივით იდგა მათ გულში.

მეორე დღეს, დილით, უნივერსიტეტიდან გარიცხულ ლევანს ამხანაგების ჯგუფი მიაცილებდა.

ლევანი დილიჯანსში იჯდა და თითქოს მხიარული გასძახოდა მეგობრებს:

— ნახვამდის, მხოლოდ ნახვამდის!

— ნახვამდის! მალე დაბრუნებას გისურვებთ, ლევან!

ქეთევანი დუმდა. ეშინოდა სიტყვას ცრემლებიც არ მოჰყოლოდა და ლევანს თვალშემპარავად გასცქეროდა გაფითრებული. დაობლებულივით სულ მარტო იდგა.

როცა დილიჯანსი დაიძრა, ამხანაგებისა და ლევანის ძახილი შემოესმა, მაგრამ სიტყვებს ვეღარ არჩევდა.

დილიჯანსი თვალს მიეფარა და ქლარუნი მიწყდა, აღარ ჩანდა ლევანიც, თუმცა მისი ძახილი ქეთევანს ისევ ესმოდა.

— ქეთევან, წავიდეთ! — შემოესმა რომელიღაც ამხანაგის ხმა და მიიხედა; სტუდენტების ჯგუფი შენიშნა, მოიფიქრა. „უხერხულია, ასე რამ გამაშეშა“. და ფეხი მოიცივალა. ხმაჩავარდნილი და გულმოკლული გაჰყვა მეგობრებს. მხოლოდ ესღა შენიშნა:

ნიკო უცნაური ღიმილით აცქერდებოდა:

V

მეორე დღეს ქეთევანს ნიკო უნივერსიტეტის კარებში შეხვდა.

— საღამო, ქეთევან! — უჩვეულო გამოცოცხლებით მიესალმა ნიკო თავჩაქინდრულ, უძილობით გაფერმკრთალებულ ქალიშვილს. რა მოგივიდა, რა გუყვით მერე, არაფერია: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, — დაუმატა ბოლოს ქეთევანთან სათქმელად წინასწარ მომზადებული, ხალხში გავონილი ანდაზა. — ჰო, უკეთ უნდა მეთქვა: „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა სბალნაროსა“, ახლა შოთას პოემაში ამოკითხული სტრიქონიც ზედ მიაცოლა.

ქეთევანმა ისეთი თვალით შეხვდა, რომლითაც წყრომასა და გაკვირვებას გამოხატავდა.

— რალაც ვიხარია და ვერ გამიგია რაა მიხეზი.

— ჩემი სიხარული შორსაა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. დრო დამცხროვება ჩემთვის მუშაობს.

— თავი დაანებე, ნიკო, გადაკრულ ლაპარაკს. ჯობს, პირდაპირ თქვა სათქმელი.

— რომ შემეძლოს, ვიტყვოდი, მაგრამ ვიცი, ნადრეგია... ჰო, რატომ დაიღუბა თავი ლევანმა; სწავლისა და უკეთესი მომავლის მაგიერ ხელში რა შერჩა? შერჩა სოფლის შუკები, ბოსლები და ნაკელზე მომრავლებული მკებენარა ბუზები. განა ამისათვის იბრძოდა?

— ზოგიერთი ბუზადაც არა ღირს. მერე და ჩვენც სოფელში არ დავიბადეთ? ზოგ ვინმეს კი მეორედ დაბადება დასპირდება კაცი რომ დადგეს. თუ კაცს რწმენა არა აქვს, სწავლა რად უნდა, ან რა მომავალზე უნდა იფიქროს. ისე კი ყველაფერს აქვს მომავალი, ჭიალუასაც აქვს რალაც მომავალი, მაგრამ რანიირი, აი, რაა სათქმელი.

ნიკო მიხვდა, ახლა ქეთევანთან შეკამათება ხელს არ მომცემსო და შეცვალა საუბრის საგანი:

— კარგი, ქეთევან, უკეთეს ხასიათზე იქნები და მაშინ გიპასუხებ. ახლა კი იქნებ რამე გჭირდება, მე აქა ვარ!

ქეთევანს კი მოესმა: „ის თუ წავიდა, მაგიერი აქა ვარო“ და მკაცრად უპასუხა:

— მე არაფერი მჭირდება; კარგად ბრძანდებოდეთ! — გაბრუნდა, კიბე აირბინა და მიეფარა.

ნიკო მოიღუშა, „შორს ვერ წამიხვალო“, — ჩაილაპარაკა და ხელი ჩაიქნია.

ნიკომ გააზნირა ქეთევანთან შეხვედრა. ლექციების დაწყებისა თუ დამთავრების დროს დაწვრილებით გაიგო და სადაც ქეთევანი არ მოელოდა, იქ გამოჩნდებოდა.

ნიკო ცდილობდა აღარ გაეღიზიანებია გადაკრული სიტყვებით, პირიქით, ცდილობდა ისეთი რამ ეთქვა, თავი ისე დაეჭირა და ისე ემოქმედა, რომ ქეთევანის ყურადღება მიეხურო, ჯერ მოეთვინიერებინა იგი და მერე შეტევაზე

გადასულიყო. ამიტომ საუბარს შორიდან, განყენებულ საკითხიდან იწყებდა, რომ მერე უფრო ახლო მისულიყო და ქეთევანისათვის რაიმე გასახარი ამბავიც ეთქვა.

— იცი, ქეთევან, შენი წარმატება მახარებს. ასეთი სტუდენტი პირველ ვერსხე არ ყოფილაო, ამბობენ. ყველა შენ ქებაშია, ლექტორები თუ სტუდენტები, — უთხრა ნიკომ, როცა ქეთევანს ქუჩაში შეხვდა.

— ვინ თქვა ეს? მე არც ისე საქებარი სტუდენტი ვარ. ჩემისთანები რამდენიც გნებავთ... — უპასუხა ქეთევანმა და თითქოს ღიმილმა გაუხსნა ბაგე.

ბოლოს, მიუხედავად ამგვარი ხერხისა, ნიკო დარწმუნდა, რომ ქეთევანთან ამის იქით ფეხს ვერ წაადგამდა, რომ ქეთევანის გულში აღმართულია რაღაც მიუვალი კედელი, რომლის შენგრევემას აღარ ძალუძს, და რაც უფრო ცდილობს მისი გულის მოგებას, თვით იზასრება, იწყება ქეთევანის მიუკარებელი თვალების ცეცხლით. ამიტომ დაპყარგა წონასწორობა და ერთ საღამოს შინ მიმავალ ქეთევანს ქუჩაში გულმოსული დაუხვდა. მღელვარებისაგან სულს ძლივს ითქვამდა, ქოშინებდა, ამღვრეულ თვალებში რაღაც ბოროტ განზრახვას ფარავდა, ტრიალებდა წაღმა-უჯღღმა და ყოველ თავის სიტყვას თითქოს კბილით კენეტდა, ბოლოს აცლიდა.

— უნდა გითხრა, არ შემიძლია, გული მტკივა, განა ვერ ხედავ? ყველაფერი იცი. შენი თვალები ნებას არ მამძლევენ. ველარ ავიტან. მეყოფა, მაქმარე! ახლა შენც იკმარე. მე სიტყვას ვაძლევი; შენც უნდა მომცე... ისე რაღა გამოვა?

შეშფოთებული ქეთევანი გამბასრავი თვალებით მიჩერებოდა. თან ზიზღის გრძნობა იპყრობდა, თან შიშის. ამის მიზეზს აძლევდა არა მარტო ნიკოს სიტყვები, უფრო მისი გამომეტყველება, მოწკრულ თვალებში უცხო, ქეთევანისათვის დღემდე უხილავი მახვილის აელვარება.

— რა გინდა ჩემგან, რას მთხოვ, რას

ეძებ ჩემში? მომშორდი, გამეცალე! — გაბრუნდა, ფეხს აღქარა და რაღაც საფეხო მანძილი გაიარა, ნიკო გამოუდგა. ახლა თითქოს ქეთევანის დამშვიდებას ცდილობდა, მაგრამ აშაოდა; ქეთევანს აღარაფრის გავგონება აღარ სურდა, შინისაკენ უხმოდ მიჰქროდა.

— რატომ მიწყრები, ისეთი რა ვთქვი? კარგი ვთქვი, ცუდს მიპასუხებ. ცუდს ვერცხვი — კარგს თუ შაღირსებ! გამოსავალი მაინც არ არის. არც მე, არც შენ, სხვა გზა არა გვაქვს. გადაწყვეტილია, ვახსოვდეს, ქეთევან! — ბოლოს მაინც მუქარაზე გადავიდა და სახეში მიანათა ამღვრეული თვლები.

ქეთევანს მარტო სიტყვები კი არა, ნიკოს საშიში ჭმენაც რომ შემოესმა, უეცრად შედგა; გული გაიმაგრა.

— მეზიზღები!

ამ ერთმა სიტყვამ ნიკოს თავბრუ დაასხა, დარტიანდა. რომ გამოერკვა, შორს წასულ ქეთევანს გაშმაგებით შეავლო თვალი. გაიწია, უნდოდა დასდევნებოდა, მაგრამ ისევ იმ ერთმა სიტყვამ შეუქრა ფეხი: „მეზიზღები!“ მაინც მოაგონა:

— მე ცოცხალი ვარ!

ქეთევანი გარბოდა. მალე ეზოში შეიჭრა, კიბე აირბინა, აივანზე გამოსულ მამიდას სახე მოარიდა, სულმოუთქმელად ოთახში შესასვლელი კარის სახელურს ეცა, ველარ გააღო და ჩაიყვია. როგორც ბავშვობაში, იატაკზე დაჯდა და ცრემლები წასკდა.

— შეილო, რა მოხდა, რა მოგივიდა? ფერიც არა გაქვს! რა იყო ქეთევანი? — მიაძახა მამიდამ, ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა.

— არაფერი, მამიდა, ტირილი მომინდა. ჩვენები მომენატრა. სეგდა გულს შემომაწვა და გამოვიკერე.

— არა, შეილო, რაღაც მოხდა და არ მეუბნები. სოფლიდან ხომ არაფერი გაცნობეს ცუდი? მითხარი, მე ხომ შენი მამიდა ვარ. ჭირი და ლხინიც ერთია ჩვენი.

— არა, სოფლიდან რომ ვერაფერი მაცნობეს, ამაზე შემაწუხა, მამიდა. ვით-

მინე, ვითმინე და ახლა ერთად მომაწვა გულს.

მამიდაც ქეთევანის გვერდით იატაკზე დაჯდა. დროთა ჭირვარამით გაცვეთილი, ნაჯაფარი ხელები კალთაში ჩაუკეცივდა. უფერული სახე გაუბადრა. ახლა ქეთევანს კი არა, ცას მისჩერებოდა, ცის სიშორემ შორეული წარსული მოაგონა და თვითონაც აცრემლდა.

— ვგრძნობ, ახლაც მართალს არ ამბობ, მაგრამ, თუ არ გიხდა, ნურც მეტყვი, შვილო. გუშინდელ დღესავით მახსოვს, როცა შენოდენა ვიყავი. ეტიროდი, ვიცინოდი, მიხაროდა, სევდაც მიბურობდა. ამით ვცოცხლობდი. ეს ნამდვილი სიცოცხლე იყო. ახლა კი რა ვარ, არც ქმარ-შვილი, არც რაიმე გატაცება, ან სევდა სიუყვარულით მონიჭებული. სანამ მე და გიორგი ერთმანეთის ხილვით ეტკივებოდით და ხელგაშლილები ჩვენი სოფლის მიწაზე ლაღად დავებოდით, თურმე მხოლოდ მაშინ ვცოცხლობდით. ყველაფერი გვახარებდა გარშემო: მთები, ჩვენი სოფლის მინდორ-ველები. ჩვენ ყველგან ვიყავით, მაგრამ გიორგის ცოლად რომ გავყევი, თვეც არ გვიცხოვრია, ისე მომწყვიტეს, გააციმბირეს. შემდეგ ლოდინი და მხოლოდ ცრემლები. ასე დაჰქანა, ხელიდან წამივიდა ცხოვრება. შენც, შვილო, ალბათ პირველი გრძნობა გაღელვებს, — უთხრა და დადუმდა. თვლები გაუწყლიანდა, ცრემლი კი მაინც არ ჩანდა, დამშრალიყო გულის ტბა და ცრემლებიც ისე ამომშრალიყო, როგორც დაშრა მისი სიცოცხლე. ცოტახნის შემდეგ ისევ შეეკითხა:

— შვილო, ლევანი არაფერს გწერს?

ქეთევანი ამ მოულოდნელმა შეკითხვამ შეაკრთო. მიხვდა მამიდაჩემს ყველაფერი სცოდნიაო და სახე მოარიდა, გაწითლდა. ახლა ისიც აშკარა გახდა თუ მამიდამისმა რატომ მოაგონა ძველი ამბავი.

— არა! — წამოიძახა და ისე გაიტრუნა, საკუთარი გულის ხმა შემოესმა. იგრძნო იქნებ თავი ვერ შეეციაყო, ყველაფერი ერთბაშად გაეამბილოო და წა-

მოდგა. გაალო კარი. შევიდა ოთახში, საწოლს ხელი მიაწვდინა, დაეკრძნო და პირქვე დაემხო. არა, არ ტიროდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა: „მომიხვდა, ყველაფერს მიმიხვდა“.

იმ დამით ერთი მისთვის საბედისწერო კითხვა ჩაუჯდა თავში და არ მოასვენა: დატოვოს თუ არა თბილისი? ისედაც უნივერსიტეტიდან ლევანის გარიცხვისა და სოფელში წასვლის შემდეგ, თბილისში გული არ უჩერდებოდა. ახლა კი ნიკო აეკვიტა, ისე ჩაუჯინდა, ეტყობოდა, არც მოეშვებოდა. ბოლოს კი ვინ იცის, სანამდე მივიდოდა ნიკოს ახირება, ვერაგობა და თავგასულობა. გულის როგორი ფანცქალით, მოკრძალებითა და სასოებით შეალო პირველად უნივერსიტეტის კარები და შევიდა ამ დიდებულ ტაძარში. ამ ტაძარში მაშინ ლევანიც იყო. აქ ლევანს არა თუ ხელავდა, მის სითბოს გრძნობდა, სუნთქვას უსმენდა; მის თვალწინ შუქივით ენთო და ძალას მატებდა. წავიდა ლევანი და ეს შუქი ჩაქრა. ჩამობნელდა ტაძარში და შიგ ნიკოს სახით აესულიც გამოჩნდა. და მოდის იგი ბანჯგვლიანი ხელებით, ამღვრეული თვალების ბრიალით და კბილების ღრჭენით. სადღა გაექცეს? აქ ვინ დაიცავს, ვინღა უშველოს? და თრთოდა, ცახცახებდა ქეთევანი საწოლში, ბრუნავდა, კენესოდა, თითქოს იმ ბანჯგვლიან ხელებს ემალებოა, საბანს თავზე იფარებდა, იკრუნჩხებოდა.

კარი გაიღო. ფეხისხმა მოისმა, მოახლოვდა და ქეთევანმა სუნთქვა შეწყვიტა, გაიტრუნა, გაქვავდა. საბანზე ხელის შეხება იგრძნო, შეკრთა, საბანი მოიშორა და უმაღ მოესმა:

— შვილო, რად შფოთავ აგრე? მოისვენე. დაწყნარდი. დაიძინე. ყველაფერს მოველებ. ყველაფერი კარგად იქნება, — და გაძვალტყავებული ხელი გადაუსვა ქეთევანის გახურებულ შუბლს.

ო, როგორი ტკბილი იყო ეს ხელი, ისე როგორც მშობელი დედის ხელი განსაცდელის წუთებში!

— არ ვშფოთავ, მამიდა, აღარ ვშფო-

თავ. ცუდმა სიზმარმა შემაშინა და გავიღვიძე.

— ცუდი სიზმარიც ცუდად აკვიტებული ფიქრის ბრალია, შეილო, თუ მოინორე, ძილიც მშვიდი გექნება.

— კარგი მამიდა, დავიძინებ! შენც მოისვენე, ძილს ნუ გაიტეხ. ყველაფერი ჩემი ბრალია, მამატიე, მამიდა.

— შენ მოისვენე და მეც მშვიდად ვიძინებ, შეილო.

მამიდა გავიდა.

ქეთევანი ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს დიდხანს უტკეპროდა. მერე ხმაძალლა წამოიძახა:

— გადაწყვიდა! — ამ სიტყვამ დაამშვიდა და გაიღვიძა, — სოფელში, ისევ სოფლისაკენ, ისევ ლევანთან. თუ ორთავეს ბედმა გაუღიმა, უნივერსიტეტშიც დაბარუნდებიან, ახლა კი აქ დარჩენას აზრი არა აქვს, არც შეუძლია, სწორია, ნამდვილია. რაღა აზრი აქვს დარჩეს ტაძარში, სადაც ჩამობნელდა და შიგ დარჩენა საშიში გახდა.

ნეტაჯი გათენდეს, მალე გათენდეს, რადგან ქეთევანის სულში უკვე გათენდა. „განა წასასვლელად მზადა ვარ? ხომ არაფერი მავიწყდება ქალაქში?“ — შეეკითხა თავისთავს.

ლოვინიდან ისკუბა. პერანგისამარა და ფეხშიშველა სარკმელთან მივიდა, გაიხედა: სახეც ცასავით გაფერმკრთალბოდა. ნივთებს ეძებდა, აგროვებდა, ჩემოდანში ფრთხილად ალაგებდა, რომ მამიდას არ გაეგო. ჩალაგება რომ მოათავა, საწოლზე დაჯდა. ფერიასავით თმაგაშლილმა ხელები მუხლებზე დაილაგა. ახლა იმაზედაც ფიქრობდა, გარეთ, უნივერსიტეტსა და ქალაქში ხომ არაფერი დარჩა მოსაგვარებელი გამგზავრების წინ! „დასანანი, უნივერსიტეტში კარგი მეგობრები მრჩებიან“ — იფიქრა და დარწმუნდა, რომ ქალაქში დაულაგებელი და მოუწყვსრივებელი მხოლოდ ნიკო რჩებოდა. ახლა უფრო დამშვიდდა, თვალები მოეხუჭა და თავისდაუნებურად გაიწვა საწოლზე.

დილით ოთახში შემოსული მამიდა გაკვირებული დადიოდა ქეთევანის სა-

წოლთან, ვერაფერს მიმხედარიყო, რა მოხდა.

უკვე დილის ცხრა საათი იყო და ისევ უძრავად ეძინა ქეთევანს.

როცა უგრძობლად ვაახილა თვალები, მამიდა დაინახა და ყველაფერი ერთბაშად მოაგონდა, წამოდგა.

— მამატიე მამიდა! ასე როგორ... არც გამიგია. ჩამძინებია, რა დრო გასულა, — დაბნეულად ამბობდა, თანაც იცვამდა, ტანსაცმელი ხელიდან უვარდებოდა.

— რას ნიშნავს ეს, ქეთევან? — კითხა მამიდამ და ქეთევანის ჩემოდანს მიაპყრო თვალი.

— მივდივარ, მამიდა. ცუდი სიზმრები ვნახე ჩვენებზე, თუ არ წავედი, ვერ მოვისვენებ, ვნახავ, მერე კი...

— უნდა წახვიდე? — და ნერწყვვამზრალი მამიდა გაფთორდა, გაშეშდა.

— გადაწყვეტილია, მამიდა. ვერ მოვისვენებ. ალბათ მალე დაებრუნდებით.. ჰო, დაებრუნდები, — მიხვდა, სიტყვამ „დაებრუნდებით“ გააშხილა, რაც გულში ედო და გაასწორა, მაინც ყურებადვე გაწითლდა.

მამიდა არ იძროდა, არც რაიმეს ამბობდა, ქეთევანს სინანულით მიჩერებოდა, რადგან დარწმუნდა, ქეთევანი აღარ გადათქვამდა, თვალები დახარა და ყრუდ წარმოსთქვა:

— რა გეწყობა. განა მარტო ჩემი სიმატრე მაწუხებს? არა, ამას ავიტანდი, ქეთევან, უარესიც ავიტანია, მაგრამ... — აღარ დაასრულა, ოთახიდან გავიდა.

ქეთევანს ახლა მამიდა შეეცოდა და ცრემლი მოერია. დაჯდა საწოლზე, უხმოდ ღვარა ცრემლები. მერე აივანზე გამოვიდა და ყრუდ დაიძახა:

— მივდივარ, მამიდა!

— მოიცა, შეილო, გაგაცილებ. შინ ვეღარ დავრჩები.

მამიდა ქეთევანს მიაცილებდა.

— მამიდა...

— რა იყო, შეილო?

— თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, უცბად ავად გახდა და სოფელში წაიყვანეს სტოქო.

— მესმის, შეილო, ზოგჯერ ტყუი-

ლიც კეთილ საქმეს აკეთებს. ალბათ აგრე სჯობს.

— ტყუილების მომხრე არა ვარ, მაშიდა. მაგრამ ფლიდი, ვერაგი და მატყუარა იქნებ ტყუილით ჩამოვიშორო.

— ნეტავი მეც შენთან მოვდიოდე, შეილო, აბა, ვინ შემინახავს იქ. აი, აქედანვე, სამკერვალოში უნდა მივიდეთ. ფეხით გავუღდგები გზას, გავყვები ფიჭრებს.

— თავს გაუფრთხილდი, მაშიდა. იმედია მეც მალე გნახავ.

— ახლა შენი ლოდინით ვიცოცხლებ, შეილო.

დილიდანსი წავიდა. მან ქეთევანი გააქროლა სოფლისაკენ.

მართო დარჩენილი დედაბერი დიდხანს გაჰყურებდა მიმავალ დალიყანსს.



თბილისში დარჩენილ ნიკოს ვერაფრით გაეგო, ქეთევანი სად დაიკარგა. მშვიერი მგელივით დაძუნძულებდა აქეთ-იქით. უნივერსიტეტშიაც ქეთევანზე არაფერი იცოდნენ. თუმცა ბევრი იბრა, ქუჩაშიაც ვეღარსად იპოვა. სული ეხუთებოდა, გული უსივდებოდა, რაც დღე გადიოდა, უფრო უფოთავდა, დაძრწოდა ყველგან. ბოლოს უნივერსიტეტში მისამართი გაიგეს და ერთ მშვიდ საღამოს ქეთევანის ბინაზე მივიდა.

— ბოდიში, დეიდა, ქეთევან ბედუკიდე აქ ცხოვრობს? — თავშეკავებით შეეცითხა.

— როგორ არა, ცხოვრობდა, მაკრამ...

— მაგრამ...

— წავიდა, ავად გახდა, წაიყვანეს სოფელში.

— რა დაემართა?

— ექიმებმა ვერაფერი გაიგეს, ბოლოს ისევ სოფელში წაყვანა ამჯობინეს, რომ აშლილი ნერვები იქნებ დაუმშვიდდეს და გონს მოეგოს.

— როგორ, ქუა დაკარგა?

— ისე აფორიაქდა, აერია გონება,

რომ ექიმების დასკვნით შესაძლოა, ვეღარც დაბრუნდეს.

— ჰოო, — გააგრძელა ^{ერეკუნული} ქეთევანის მძიმე ავადმყოფობამ თითქოს დაამშვიდა, — ბოდიში, აღარ შეგაწუხებთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

— ჰოდა, ახლა იზეიმოს ლევანმა! — გზაში კმაყოფილებით ჩაილაპარაკა. ცოტაოდენი მანძილიც რომ გაიბრა, შეჩერდა. „კითომ მომატყუა იმ დედაბერმა? შეუძლებელია; რა იცოდა, ვინ ვიყავი. ყველას ხომ არ მოატყუებდა? რა აზრი აქვს? „ზოგი ჭირი მარგებელიაო“.

VI

სოფელში დაბრუნებული ლევანი თბილისიდან წაღებულ წიგნებს არ იშორებდა. კითხულობდა, სწავლობდა, სხვებსაც ასწავლიდა. დადიოდა, ოცნებობდა. ამ წიგნებიდან წამოსული სხივი მისი გონების ახალ-ახალ კარებს აღებდა, შედიოდა შიგ, სამუდამოდ ისადგურებდა. უკვირდა, რამდენის ჩატევა შესძლებია გონებას და ვინ იცის კიდევ რამდენს ჩაიტევას. ხშირად, როცა მოიღლებოდა და ქეთევანს მოიგონებდა, გულს სევდა მოაწვეებოდა, მაშინ სკოლის მეგობარს, ბაქოს პოლიტექნიკურ სასწავლებელდამთავრებულ თემურ მინდიაშვილს მონახავდა და გაუბამდა საუბარს საქვეყნო საქმეებზე.

საღამოობით მინდვრად გადიოდნენ. საუბრობდნენ, იგონებდნენ ბავშვობის დღეებს. უფრო ხშირად კი ზაზალებითი ტბას ეწვეოდნენ, შიგ შეცურდებოდნენ და ბავშვური გატაცებით ტბის ამ ტალღებს მიაპობდნენ სიცილ-ხარხარით.

...იმ დღესაც, საღამო ჟამს, ტბაში იბანავეს. მერე მახლობელ კონცხზე პირალმა წამოწვენენ. ცაში, აქა-იქ მიმოფანტული ღრუბლის ქულები ერთი მიმართულებით ისწრაფოდნენ, მიცურავდნენ გასაოცარი წესრიგით.

— აი, აგრე შეწყობილად, შეთანხმებულად ადამიანებიც რომ მიდიოდნენ ცხოვრების გზაზე, მაშინ რა გვიჭირდა, ბუნებაში თითქოს ყველაფერი მოწყობილია და შეთანხმებული. ადამიან-

ნები კი დასაბამიდან იმონებენ, ამცირებენ და ძარცვავენ ერთმანეთს.

— ლევან, დაახლოვებია ვიცი შენი აზრები; ვიცი რისთვის იბრძვი, რა მიზანს ისახავ, მაგრამ დღემდე არ ვიცი, თუ თქვენს ოცნება განხორციელდა, რა დღეში ჩაჯარდება ჩვენი სამშობლო? — ჰკითხა თემურმა.

— თემურ, მე რომ ვიცოდე; იმ სოციალური ცვლილებებით, რომლის განხორციელებას ჩვენ მიზნად ვისახავთ, ქართველი ხალხის ეროვნულ სახეს, მის ენას, მის დამოუკიდებელ განვითარებას, თუნდაც ოდნავი ზიანი მოუვა, მაშინ ყველაფერზე ხელს ავიღებდი და მონობაში ყოფნას ვამჯობინებდი. ჩვენ კი გვწამს პირიქით; ხალხის სოციალურ განთავისუფლებას, ეროვნული განთავისუფლებაც მოჰყვება თან... თუ ვინმემ ოდესმე სხვანაირად იფიქრა, ის დამარცხდება; ქართველი ხალხი კი მუდამ იცოცხლებს.

— აი, ეს მესმის! თუ აგრეა, მეც შენთან ვარ. არადა გვეყოფა მონობა, დამცირება, ფეხქვეშ გათელვა, შეგინება ჯერ მუსულმანური სამყაროს, მერე მეფის მთავრობის მხრივ და ახლაც უცხოელთა ჯორ-ცხენების თარეში ჩვენს წმინდა მიწაზე.

— თემურ, მომეცი ხელი მათი მოკამყამ თვალები ერთმანეთს მუდმივ მეგობრობას ამცნობდნენ.

ლუშეთის მხრიდან ლევანმა აქეთკენ მომავალი ქალი შენიშნა, სიარულით, ტანის მიხერა-მოხერით ქეთევანს მიამსგავსა, თვალები გაუფართოვდა, წამოიძახა:

— ნუ თუ ქეთევანია? — ქეთევან! — და ხელგაშლილი გაიქცა. რომ მიუახლოვდა, ქეთევანის გამომეტყველებამ შეაჩერა.

— რა მოხდა, ქეთევან?!

— არაფერი, — უპასუხა და ცრემლები წასკდა. ჩემოდანი დაღო, ზედვე ჩამოჟდა. თვალებზე აიფარა ხელები. მაგრამ მოზღვავებული გრძნობა ამით ვერ დაფარა, თავისდაუნებურად აღმოხდა:

— აღარ შემძლია, ველარ გავერდი! მეც წამოვედი დაეტოვე თბილისში! ფეხს აღარ მოვიცვლი, სანამ აქა წარ!

ლევანი მივიდა, მხარზე ხელი დაადო და დაუყვავა.

— მესმის, ქეთევან. დაწყნარდი. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. მაინც უნივერსიტეტი არ უნდა დატოვო. სწავლა გვჭირდება, აუცილებელია.

— არა, არა, მაგას ნუ მეტყვი! შესაძლებელი რომ ყოფილიყო, არ დაეტოვებდი! მარტო ვერ წავალ! თუ შენ დამრუნდები, მეც იქ გავჩნდები!

— რა მოხდა, ქეთევან, განა მე შორსა ვარ?

— ნუ მკითხავ, ლევან! გთხოვ ნურასოდეს შემეკითხები!

— კარგი, დაწყნარდი, აგერ ჩვენი თემურიც! წამო, წავიდეთ!

სოფლად ახლა სიჩუმე იყო; ძაღლის ყეფაც არსადან ისმოდა, როგორც ყოველთვის ხდება ზოლმე სოფელში მზის ჩასვლის წინ, არა თუ ადამიანები, ცხოველები და თითქოს მიწაც გრძნობს მზის ჩასვლას, — გაინაბება; წუთით ნიავეც აჩერებს სუნთქვას ამ დიდ სასწაულის წინაშე. ჩაეა მზე და ყველაფერი ერთბაშად აფორიაქდება, ახმაურდება, ნიშნად იმისა, რომ სასწაული უკვე მომხდარა და ახლა საჭიროა ღამესთან შესახვედრად მომზადებაო.

ისინი გზაჯვარედინზე შეჩერდნენ. თემური მარტო წავიდა. ლევანმა კი ქეთევანი გააცილა.

მალე მივიდნენ ქეთევანის ეხოს კიშკართან, შედგნენ.

— დედას რაღას ეტყვი ქეთევან?

— როგორმე დავამშვიდებ.

— ნულარ იდარდება! ვინ იცის, იქნებ ისევ ერთად ვესტუმროთ თბილისს და განეგარძოთ სწავლა. არადა, შენ მაინც...

— არა, ლევან, უნივერსიტეტის კარები კი არა, სიცოცხლეც დამეზომა უშენოდ, — ახლა პირველად უთხრა აგრე გამოტეხით და ლევანს სახეშიაც პირდაპირ შეხედა.

ლევანი მიხედა, დაღვა დრო, როცა მათი დაშორება აღარაფერს შეეძლო.

ამას ახლა ქეთევანიც კითხულობდა ლევანის თვალბეჭდით.

დუმდნენ და ამ დუმბილში ისე იყვნენ გაერთიანებული, ერთ არსებად გარდაქმნილები, რომ აქ სიტყვის ჩაჩვენა ზედმეტი იყო.

— ნახვამდის ქეთევან, ხვალ ისევ შეგვხვდებით ერთმანეთს, — ლევანმა დაარღვია სიჩუმე.

— ნახვამდის!

ქეთევანი წავიდა.

შინ მიმავალ ლევანს ქეთევანის სიტყვები ესმოდა: „სიცოცხლეც დამეხსოვება უშენოდ“ და თითქოს კი არ მიდიოდა, სიყვარულისა და გაზაფხულის ყვავილთა სურნელებით დამთვრალი მისცურავდა სადღაც, დაუსრულებელი ნეტარების მხარეში.

• •

შეუმჩნევლად მიდიოდა დღეები.

სალამობით თავზე ცის ნაპი ცრემლებივით ეპყურებოდათ. დილით მზეს ასწრებდნენ თვალის გახელას. ყველგან ერთად იყვნენ, იშვიათად თუ შორდებოდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ ზოგჯერ, როცა ლევანი და თემური სოფლის ახალგაზრდებთან შეიკრიბებოდნენ და ბაასობდნენ საქვეყნო ამბებზე, მოწყენილი ქეთევანი ეზოში დაჯდებოდა ითვისებდა ვარსკვლავებს, რომ ამით მოეკლა სიმარტოვის მოსაწყენი წუთები.

მალე ნიკო მოულოდნელად გამოჩნდა სოფელში. ჩამოსვლის დღესვე ლევანი ნახა.

— ნიკო, აგრე მალე როგორ დაბრუნდი, ხომ არაფერი მოხდა ახალი? — ჰკითხა ლევანმა.

— მოხდა! — რიხიანად უბასუხა ნიკომ და უღვაშებზე ხელი გადაისვა. შენ მართალი იყავი, ვიფიქრე, ვიფიქრე და საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ მართალი ხარ. ჰოდა, აი, გამოცდები გადავადებინე და შენთან ჩამოვედი. სამუდამოდ ჩამოვედი. აბა, რასა ჰკავს ჩვენი ცხოვრება: ხალხი შავ დღეშია. არც პური.

არც ჩასაცმელი, არც სამართალი და არც სინდის-ნამუსი. თბილისში ქეშეჭე ვინახულე, ვესაუბრე და გაეზიარებე: მათსკესლის ტკივილი. აბა, ვინაა ახლა ჩვენი მთავრობა? მთავრობა სახელადაა, სადავეები კი უცხოელებს უჭირავს ხელში და მიგვაჭენებს თავის გზით. მამჩემი დაობდა, მხოლოდ შვიდი დესიტინა მიწა დამიტოვეს, დანარჩენი ჩამომართვესო. მაგრამ მე ვამბობ: შვიდიც რად გინდა, თუ მეზობელმა პური ვერ ჰპამა, თუ ჩვენი თანა გლეხკაცობამ ვერ გაიხარა.

— ყოჩაღ, ნიკო, ყველაფერი ერთბაშად შეგისწავლია, მაგრამ როგორ შეიცვალე აგრე უეცრად, სულ რაღაც ერთ თვეში?

— ერთ თვეში კი არა, ერთ დამეში შეიცვლება ადამიანი. ჰოდა, ერთი დამე მეც გაეთენე და შევიცვალე.

— თუ აგრეა, მოხარული ვარ, მეტი რა გვეთქმის — უთხრა ლევანმა და იყვითლდა, თითქოს უნდოდა დაეჯერებინა არა ის, რასაც ნიკო ამბობდა, არამედ ის, რასაც ნიკო ფიქრობდა. მერე დაუმატა:

— ვნახოთ, ნიკო, ჩვენთან გამოცდის ჩაბარება უფრო რთულია, ვიდრე უნივერსიტეტში. დრო ყველას შეგვამოწყებს, გამოგვცდის.

— რადგან მოვედი, გამოცდებსაც დაეიქრე. დამიძახეთ, მუდამ მზადა ვარ! ნახვამდის, ლევან!

სახლის წინ მდგომი ლევანი, მიმავალ ნიკოს მისჩერებოდა.

„რა მოხდა? ნიკო მუდამ ყველაფერში მზადაა, ჩაცმავიაც კი. ცდილობდა არ ჩამომჩენოდა, — გაესწრო კიდევ, თუ კი შეძლებდა; თუ ვერ ახერხებდა. ბრაზდებოდა.“ — ამით ახსნა ლევანმა ნიკოს უეცარი შეცვლა, თუმცა მინც ეპოვოდა, ვერ დაეჯერებინა, შეძლებული გლეხის შვილს მამისთვისაც ზურგი შეეშტია და „გაეზიარებია მუშის გულის ტკივილი“.

• •

სალამოს, ბაზალეთის ტბის პირად ახალგაზრდების ჯგუფი შეკრებილიყო.

მათი ლევანისა და თემურის შორიან-ლო ნიკოც მოჩანდა. თავდახრილი იჯდა. მიწას განსაკუთრებული დაბეჯითებით ჩასჩერებოდა; შესაძლოა იმიტომ, რომ ახალგაზრდებს მიწები ჩამორთმევაზე და უმიწაწყლო გლეხებისათვის გადაცემაზე გაებათ ბაასი. ამიტომ მიწა ნიკოს ახლა უფრო იზიდავდა, ვიდრე ოდესმე და მიწის სუნიტ გაბრუებული თავს ვეღარ იღებდა. ბოლო დროს ისედაც გაგულისებული დადიოდა, რადგან უნივერსიტეტიდან ქეთევანის წასვლის მიზეზი ვაიგო. ქეთევანი იმიტომ წავიდა, რომ მას მორიდებოდა, გაქცეოდა და ისევ ლევანთან ჩასულიყო სოფელში. აი, რატომ აჩქარდა, საგნების ჩაუბარებლად დასტოვა უნივერსიტეტი და ვითომ სხვა კაცად გარდაქმნილი დაბრუნდა სოფელში.

სხვები, აქ, ტბასთან თავშეყრილი ახალგაზრდები, მთვარის შუქით მოვერცხლილ ტბას შორს გაპყურებდნენ; მომავალიც იმ ტბის ციაგევით ესახებოდათ. ზოგჯერ ნიავის შებერვაზე ტბა ოდნავ შეიბრებოდა, მაგრამ მერე ისევ დუმდებოდა. მაშინ ახალგაზრდებიც თითქოს ტბის სიტყვას უსმენენო, დუმდებოდნენ.

— მზად უნდა ვიყოთ, ძია თომა, ისევ დაბრუნდა. დღეშეთშიც დიდი მზადება აქვთ. დროა ახალგაზრდებმაც გავიღვიძოთ და გაგვევთ უფროსებს, — ამბობდა ლევანი.

— ჩვენ ახლაც მზათა ვართ, — უთბრა თემურმა.

— რა გავაკეთოთ? — ეს იყო სულ, რაც ნიკომ თქვა და იმ საღამოს, თუმცა ლევანს კი არა, თითქოს მიწას ეკითხებო, თავს არ იღებდა.

— ყველაფერი, რაც საჭიროა გამარჯვებისათვის. აგერ, ფრონტიდან დაბრუნებული ბიჭებიც გყავს, იარაღიც გვექნება, — უპასუხა ლევანმა.

— გვექნება! — თითქმის ერთხმად შესძახეს ბიჭებმა.

— ვისაც არა აქვს, უნდა ვიშოვოთ. რითაც შეგვეძლება გამოვალთ, — დაუმატა თემურმა.

ნიკო დუმდა. იარაღზე და რაღაც განსაკუთრებული დღისათვის ნიტყვის ჩამოვარდნამ შეაკრთო: განა მართლა საქმე ისეა, რომ თოფ-იარაღი უნდა აისხას? არა, არა, ეს ნამეტანია. განა აგერ შორს წასვლა უნდოდა? ახლა კი შესტოპა, შორს შესტოპა და უკან დახევა სახიფათოა. რა უნდა თქვას, თავი რითი იმართლოს, როგორ გაამართლოს გაქცევა? მოლაღატედ, მოგზავნილ ჯაშუშად ჩათვლიან და ბოლოს მოუღებენ, მოსპობენ ბიჭები. ეს უეჭველია, გარდუვალია.

„ჰოდა, სხვა რაღა გზაა, დარჩენა ჯობს, მაგრამ თუ მართლა გაიმარჯვეს, მაშინ რაღა ვქნა? სხვა არა იყოს, მაშინ ხომ ლევანი იქნება ყველაფერი, მე კი არაფერი. ქეთევანიც ზედურასავით სამუდამოდ გაფრინდება, წამივა ხელიდან, გაბედნიერდება და შენს ნიკოს ფურთხის ღირსადაც კი არ ჩათვლის. არა, ქეთევან, შენ არ მომიკვდე, ამას ვერ ეღირსები, ვერც შენ, ვერც ლევანი. ვნახოთ, საქმეს მოვევლება. აქ უნდა ვიყო. „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, რამეს ვიღონებ.“ — დადგინა ნიკომ და მიწაში ჩარგული თავიც ასწია, ტბაც დაინახა და გაუკვირდა: თავი სადღაც სხვა ქვეყანაში ეგონა.

წამოდგნენ. ახმაურდნენ.

მალე მახლობელი სოფლისაკენ მიმავალი გზებიც გამოაცოცხლეს.



იმ დამით ლევანმა ძია თომაც ინახულა, ყველაფერი უამბო, რაც ახალგაზრდების კრებაზე მოხდა და შინ წავიდა.

„თქვენ ახალგაზრდობაში ეცადეთ, ლევან, დანარჩენი ჩვენ ვიცით“ — მის ყურებში ეხლაც მეორდებოდა ძია თომას სიტყვები. შინ გული არ მიჰყვებოდა, გზას აუქცია და მალე ქეთევანის ეზოს კიშკართან გაჩნდა. მომჯადოებელი სითბო მოდიოდა იმ პატარა, ძეძვით შეღობილ პატარა ეზოდან, პატარა სახლიდან, რომელშიაც ქეთევანს, ალბათ

უკვე ეძინა. ფოთლების შრიალიც ქეთევანის კაბის შრიალად ესმოდა.

— ლევან, ლევან!

ლევანს შეაჩრცოლა, ყრუანტელმა დაუარა თავით ფეხებამდე, თვალი დააცეცა და ეზოში, ბროწეულის ბუჩქზე სანახევროდ მოფარებული ქეთევანი დაინახა.

— ვიცოდი მოხვიდოდი, გელოდებოდი, — გაიღიმა ქეთევანმა და ჭიშკრისაკენ წამოვიდა.

— ქეთევანი! — ლევანმა მისკენ შუქის სვეტით გამოწვდილ ხელს ხელი მიავგება, მიიზიდა და დაეწაფა ქალის ოდნავ გრილ, მთრთოლვარე ტუჩებს. არც ეზოს ბალი, არც ლევანი, და არც ქეთევანი ახლა აღარ სუნთქავდნენ. ამ წუთში თითქოს გაერთიანებულიყო, ერთქმნილიყო და გასუსულიყო მთელი სამყარო განუსაზღვრელი ნეტარებით გაბრუებული.

— ქეთევანი! — ძლივს სული მოობრუნა ლევანმა და ქეთევანის სახე გულში ჩაიკრა.

VII

ბაზალეთის ტბის ახლოს, მუხასთან, რომელსაც სოფელში ბერმუხას ეძახიან, ისხდნენ ისინი, — სულ ხუთი კაცი. უკანასკნელი ღამე იყო აჯანყების სამზადისისა და უბრალო წვრილმანიც ათასჯერ უნდა შეემოწმებინათ, გაესინჯათ, გაეთვალისწინებინათ.

უკვე ყველას გამოეთქვა თავისი აზრი ბოლოს თომამ დაასკვნა:

— მდგომარეობა გარკვეულია, ცენტრი წილკანია, ხოლო ჩვენს ჯგუფს დუშეთის დაკავება აქვს დავალებული. მერე ერთმანეთს შეუერთდებით და გავწევთ წინ, თბილისისკენ, — ამას რომ ამზობდა, მათკენ მომავალი ლევანიც იცნო:

— აგერ, ლევანიც! მოდი, ლევან, შენ რაღას გვეტყვი?

ლევანი მუხას ზურგით მიეყრდნო, მერე ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— ბევრი სათქმელი არაფერია. ჩვენი რაზმი უკვე მზადაა. თქვენს სიტყვას

ელის. სადაც საჭიროა, ხვალ იქ ვადგნდებით.

თომამ მხარზე ხელი დაკრა და დასძინა:

— მაშ, მხოლოდ წინ, ბიჭებო!

შუალამე გადასულიყო, როცა ლევანი შინ მიდიოდა. ახლა ყველაფერი რაღაც განსაკუთრებულ გრძობას აღუძრავდა. უფრო იქითკენ იხედებოდა, სადაც ქეთევანი სახლობდა, თუმცა ახლა ყველაფერზე ფიქრობდა. ხვალ ყველაფერი წყდებოდა: გამარჯვება თუ დამარცხება, ბედნიერება თუ უბედურება, სიცოცხლე თუ სიკვდილი. დაბნედილიყო მთვარის შუქში კავკასიონის მთის ფერდობები, თითქოს იდუმალ ფიქრს მისცემოდა ზევეები, სადაც დღელამ განუწყვეტლივ ხმაურობდნენ მთის დაუცხრომელი მდინარეები. უცქეროდა, ფიქრობდა, გული სიყვარულით უცემდა და მოძალებული, ჯერ ვანუცდელი გრძობის ცრემლით ევსებოდა თვალები.

„ეკოცნი მთის მდინარეებით და ხალხის ცრემლით დალარულ მიწას! მშობლიურო ქვეყანავ, შეც ხომ შენი ნაპერწკალი ვარ და. შენით ანთებული, შენთვის ჩაქვრები“. რამდენი უნახავს, ვანუცდია, აი, ამ პატარა, ახლა ჩაძინებულ სოფელში! ქეთევანიც ხომ აქ დაიბადა, გაიზარდა, ახლაც აქაა, სულ ახლოა, პატარა სახლში, ქვევით ხეებს შორის რომაა კენტად ჩადგმული. იქ ახლა ქეთევანს ძინავს. ძინავს? ვინ იცის, იქნება თვალი არც მოუხუჭავს და ელოდება...

გულმა აღაო მოუთმინა, იქითკენ გაიქცა. უცბად შეჩერდა: „ქვეყანას ძინავს, გვიანდაა. ქეთევანსაც ძინავს უთუოდ, — ექვმა გაკაწრა, — მაგრამ ხვალ გადაწყვეტი დღეა; ხომ უნდა ვნახო? აუცილებელია. იქნებ გავადვიდო როგორმე? — გადაწყვიტა და გზა განაგრძო. ღობესთან შეჩერდა, წნელი გატეხა. იქნებ ქეთევანმა გაიგონოს და გამოვიდესო. წუთი და ქეთევანიც გამოჩნდა. ფრთავაშლილი მოფართხალბდა.

„ალბათ მელოდა, არ. დაუძინია“, — იფიქრა ლევანმა და გასძახა:

— გამოდი, ქეთევან, სათქმელი მაქვს,

აუცილებელია; რომ არ მენახე, აღარ შემძლო!

— მოვდივარ, ლევან!

ლევანმა ხელში ხელი ჩააგლო და თან გაიტაცა.

— წამოდი, ჩემთან წამოდი!

— სად?

— აჭაურობას უნდა გავცეცალოთ, არაფერ გენახოს!

ქეთევანი უსიტყვოდ გაჰყვა.

გაშორდნენ სოფელს. ბერძუნებს გვერდით წაუარეს და ბაზალეთის ტბასთან შეჩერდნენ.

— აი, აქ ქეთევან. თუ ხვალ ღამით ცოცხალი დავრჩი, აქ მოვალ და თოფს სამჯერ გავისერი. სიცოცხლესა და გამარჯვებას ამით ვაუწყებ. მაშინ აქვე შენც გნახე, არადა, იტირე ჩვენი მომავალი, ჩემი სიცოცხლაც.

ქეთევანი გაფითრდა, გაშეშდა, ბაგეები აუცახცახდა, უნდოდა რაიმე ეთქვა, — სიტყვა ვერ დასძრა.

— ქეთევან, გამაგრდი, ეს ჩემი თხოვნაა. თუ დავიღუპო, სიტყვა მომეცი რომ ჩვენ გზას გაჰყვები. ეს თხოვნისა და უკვდავი სიყვარულის გვირგვინი იქნება ჩემთვის. იქნებ იმ გვირგვინის მაგიერი, რომლით დამშვენება ჩვენ არ გვეღირსება.

ქეთევანი შეიჩხა, აქვითინდა, ცრემლები ღვარივით დაედინა სახეზე, მაგრამ ცრემლს ახლა აღარ მალავდა, შერე შეეცადა ისევ გაქვავებულიყო და ხმა გავემინდა, მაგრამ ვერ შეძლო, ერთბაშად აღმოხდა:

— რა ვქნა, რაღა ვქნა?!

— წაიფიდე! — თქვა ლევანმა.

მძიმედ, ხმის ამოუღებლად მიდიოდნენ გვერდიგვერდ. „იქნებ ვერასოდეს ერთად ვეღარ გავიაროთ მშობლიურ მიწაზე... ნუთუ ვერასოდეს?“ გულჩამკვდარი ფიქრობდა ქეთევანი და ფეხს ისე ფრთხილად მიადგამდა, თითქოს ლევანის სუნთქვას უსმენსო. „რა იქნება, ეს გზა არასოდეს დაილეოდეს, მეტი არც გათენდებოდეს, არც დაღამდებოდეს და ვიელიდეთ აგრე მთვარიან ღამეში...“

მხოლოდ ლევანთან, მხოლოდ ლევანთან!

ახლა ლევანიც ოცნებას წაედო. დღეს პერიც სხვანაირი ეგონა. ქვეყანა ორ ნაწილად გაეყო: ერთში ყველაფერი იყო, მეორეში არაფერი. ერთი ბრწყინავდა, მეორეში ბნელოდა. ამ ორთა საბედისწერო სახლვარზე ხან გულისტკივილით, ხან სიხარულით ირბოდა მისი ზედის სასწორი. ყველაფერში კი ქეთევანის სახე ექსოვებოდა. ქეთევანი ჭირშიც იყო, სიხარულშიც, სიცოცხლეში თუ სიკვდილის სამუდამო მყუდროებაში. ქეთევანი აერთიანებდა ბედნიერებისა და უბედურების გაორებულ ქვეყანას.

ქეთევანმა თემშარაზე ვილაც მოლანდა. ლანდი ბუჩქს მიეფარა.

— მგონი ვილაც იყო, ვინ იქნება?

— ალბათ მოგეჩვენა, „შიშს დიდა თვალები აქვს“, — უთხრა ლევანმა. ისევ შეჩერდნენ.

— დადგა ჩვენი განშორების წუთები, — უთხრა ლევანმა და ხელი ხელში ჩააგლო.

მხოლოდ ერთმანეთის სუნთქვას უსმენდნენ.

— ქეთევან, მინდა დავრწმუნდე, რომ შენ ყველაფერი გახსოვს, რაც მე ვითხარი. გაიმეორე და დავრწმუნდები, — სთხოვა ლევანმა.

— ხვალ ღამით, თუ უფნებელი დამიბრუნდი, განთიადზე-ბაზალეთის ტბასთან მოხვალ, თოფს სამჯერ გაისერი და მეც იქ გაეჩნდები.

— სწორია, გმადლობ, ქეთევან.

— რა დამავიწყებს?

ცოტა მანძილიც გაიარეს და ლევანი დაეწაფა ქეთევანის შირთოლვარე ტუჩებს.

„იქნებ უკანასკნელად, იქნებ უკანასკნელად“ — ეს ხმა ერთნაირად ჩანდა ორთავეს და სუნთქვაშეკრულებს სხვა ყველაფერი დავიწყებოდათ.

პირველად ლევანი მოეგო გონს, ქალს ხელი გაუწოდა:

— ნახვამდის, ქეთევან!

— ნახვამდის, ლევან!

სუსტი ხმით შესძახა ქალმა და ღიად

დარჩენილ ქიშკარში შევიკრა. „ღმერთო, დამიბრუნე ლევანი“ — ჩურჩულებდა ქეთევანი და სახლისაკენ, როგორც შველი, ფეხაქრებით გარბოდა.

— ახლა კი მე ვიცი, ველარსად წამიხვალთ! გულზე ხელისცემით დაიძახა ბუნჩებიდან გამომძვრალმა ნიკომ როცა ქეთევანი მიეფარა და შინისაკენ ძუნძულთი გაემართა: „კარგია, თავი შევიკავე, ო, როგორ ჩაეგვრენენ ერთმანეთს!.. საქმე უკეთ მოეწყო, ახლა კი ნიკოს ჰკითხოვნ, რაც უნდა მოხდეს“, — ამბობდა ნიკო, რომელიც მთელ იმ საღამოს ლევანს უკან დაჰყვებოდა, უთვალთვალემდა: „თოფი ხომ მომცეს და ახლა მე ვიცი, თუ არ გავარდა; დაიქანებება... თუ გაიმარჯვებს, ლევანს მოვიშორებ და ჩემს საქმეებსაც მოვაწესრიგებ, მაგრამ თუ დამარცხდნენ, მაშინ რაღა გქნა? მეც ხომ მონაწილედ ჩამთვლიან და ბასუხსაც მომთხოვენ? მერე რა, ახლაც ვაცნობო დღეშეთის ერთბას? არა, თუ წყალი არ აიმღვრა, თევზს ვერ დავიჭერ. ხახამშრალი დავრჩები. ამღვრევა აუცილებელია, თვითონ ამღვრევენ... მე სათევზაოდ მოვემზადებ... თუ შევბატყვე აჯანყება მარცხდება, უმალ ვაფჭვრებ და ყველაფერს მოვახსენებ სამაზრო ერთბას. ნახონ რა ვაჟკაცები არიან. მაშინ ჩემ მაგიერ ტყვიას თვითონ მთავრობა გაისერის და ლევანს სამუდამოდ ჩამომავორებს. ჩინებულთა! ყველაფერი გარკვეულია, ნათელია მზესავით. მერე და ხვალ საღამოს ჩვეულებრივი შეკრება აქვთ? ვინ იცის, იქნებ იწყებენ კიდევ?“, — ფიქრობდა გზადაგზა.



ქეთევანს რომ დაშორდა, ლევანი შინ ერთი გრძნობით მიდიოდა: თითქოს დაემთავრებია ყველა ამქვეყნიური საქმეები და ახლა დამშვიდების უფლება ჰქონდა. შეეძლო თუნდაც თვალდახუჭული ყოფილიყო ხვალ დაღამებამდე, იმ წუთებამდე, რომელიც გადაწყვეტდა ყველაფერს ავად თუ კარგად. მაგრამ როცა შინ მივიდა და ღია ფანჯარასთან

ლოგინში ჩაწვა, თავლის მთხუჭვასაც კი აღარ ცდილობდა. შორს ჩანდა მთა და ბინდულ მთებს. ზოგჯერ ქვევით, მთვარიით განათებული ბახალეთის ტბაც აციმციმდებოდა, თითქოს ამეტყველებოდა თავის ენაზე და აანჭროლებდა ლევანის გულს.

სოფელი კი ძაღლების იშვიათ ყვებაზე შეიშმუშნებოდა, მშვიდდებოდა. ახლა ბჭ ყველაფერი უყვარდა; ყველაფერი აქ იყო; სასინარულო თუ სამწუხარო, და ყველაფერი ერთად უყვარდა, რადგან მათ შორის რაღაც საერთოსა და გარდუვალ კავშირს ხედავდა. მთები, ტბა, თუ სოფელი მის გულში მოთავსებულიყო და თითქოს ისე ირხეოდა, როგორც თვით მისი გული.

ოდნავ ინათა. შორს, კავკასიონის მართლ დათვლილი მწვერვალები გამოჩნდა. როგორ გულგრილად გამოიყურებოდნენ ისინი, თითქოს ამბობდნენ: „არაფერი ამქვეყნიური ჩვენ არ გვეხება და არც გვაღელვებს“. მაგრამ მაინც რა მიუწვდომელ სიღიადეს ხედავდა ლევანი ამ მთების ამაყ გამოხედვაში! მთებიდან წამოსული ნათელი ეშვებოდა, ეღებოდა მახლობელ ველებს.

VII

მზე ჩადიოდა. მთაბარი წითლად შეღებლიყო. ბაზალეთის ტბასაც სისხლისფერი გადასდებოდა. რამდენად მშვიდი იყო საღამო. იმდენადვე მღელვარე ამბებს ფარავდა. ლევანიც ღელავდა. აივანზე გამოსულიყო და თემურთან საუბარი გაება. — თითქოს ყველაფერი მზადაა, მაგრამ მგონია, რაღაც გვაფიწყდება; გული მეუბნება, იქნებ ყველაფერი როდია რიგზე, იფიქრე, არაფერი დაგავიწყდეთო.

— რაღა დარჩა, ნუ ღელავ, ლევან. — განა ყველა სანდოა? უნდა გამოგიტყდე, ნიკო მეჩვევებს, მისი აზრების შეცვარი შეცვლაც მეჩვევებს; იქნებ თავი დაივიწროთ და შევამოწმოთ. ყველაფერი არც ვაუფიხილე, დღევანდელი

ჩვენი შეკრების ნამდვილი აზრიც არ იცის, ნურც ვაუშხელთ სანამ უკანასკნელი წუთი დადგება. მერე კი უკან ვერ დაიხვეს, გვიან იქნება.

— არც მე ვარ დარწმუნებული მის ერთგულებაში, სულ ქვეშ-ქვეშ იხედება, თითქოს რაღაც აწუხებდესო.

— სწორია, თემურ, — უთხრა ლევანმა და სახლში შებრუნდა.

— წავიდეთ!

— სად? — გაიკვირვა ნიკომ, — განა აქ არ ვიკრიბებით?

— წავიდეთ, — განუყოფა ლევანმა და წინ გაემართა. მას თემურიც გაჰყვა მხარდამხარ.

ნიკოს ვერაფერი გაეგო, სად მიდიოდნენ. მხოლოდ ეს უთხრეს, ბერძენსთან იარაღით მოდიო, ახლა კი... აქ დარჩენა მაინც აღარ შეეძლო და ისიც უკან აედევნა წინ წასულთ. თოკაბამული დათვივით მიტუნძულვდა, ფეხები უკან რჩებოდა, აქეთ-იქით შეშინებული იხედებოდა. „სადაღ მიდიან? იქნება არ შენდობიან, მისწორდებიან, — გავიქცე?“ მაგრამ გრძნობდა, ახლა გაქცევაც აღარსად შეეძლო. სურდა თუ არა უნდა მიჰყოლოდა, დანდობოდა თავის ბედს.

მაღე ტყეში მოლით შემოსილ ლილოზე გავიდნენ. აქ თოფ-იარაღსამული ახალგაზრდების ჯგუფი რომ დაინახა, გულზე მოეშვა. „არა, არ მკლავენ“, გადაწყვიტა და გათამამდა, წინ გამოვიდა. ნიკო უკვე იმასაც მიხვდა, რომ აქ შემთხვევით თავს როდი იყრიდნენ.

როგორც არასდროს, დაძაბული და საჭიბიანი იყო რაზმელების ბაასი. ახლა ჩურჩულით მეტს ამბობდნენ, ვიდრე სხვა დროს ვაუთაგებელი ხმაურით.

ეს იგრძნო ნიკომ და გაიტრუნა. ცდილობდა ყველაფერი მოესმინა, გაეგო. „იწყება. გასაქცევაც აღარსად მაქვს, დარჩენა მიჯობს“ — დაასკვნა და ლევანის ახლოს მოლზე წამოწვა.

მოდიოდნენ, შეიარაღებული ახალგაზრდებით ივსებოდა პატარა ლილო. ციციანთელებსაც თითქოს ბაასი გაუბამთო, ჯგუფჯგუფად გროვდებოდნენ და აცივაგებდნენ შეთქმულთა სახეებს.

ლევანი წამოდგა, რაზმელები შეათვალიერა და დაიძახა: **არჩინებულო!**

— ყველა აქა ვართ! **უკვე დროც არის, მომყევით, ბიჭებო!**

ერთბაშად წამოიშალნენ და წინ წასულ ლევანს მიჰყვნენ ფეხდაფეხ.

ხევში დაეშენენ, მუხის ჩქოლებზე ხელჩატანებით თავს იმაგრებდნენ, მიდიოდნენ ხმაგაკმენდილნი.

„მომყევით, ბიჭებო!“ — ხანდაყოენებით იძახდა ლევანი და წუთით ჩერდებოდა, რომ შეემოწმებინა ხომ არავინ რჩებოდა უკან. მერე ისევ თვითონ იკვლევდა გზას, მიდიოდა მუხების ტყეში. ქვევით, პატარა მდინარის პირად, იარაღსამული თომა შემოხვდათ.

— აქა ვართ ყოჩად, ბიჭებო! იწყება. მაღე გამოვალთ. ჩვენი რაზმელებიც აქვეა ხევში. დუშეთში ჩვენები თოფს გაისვრიან და ჩვენც გავიჭრებით. ახალგაზრდები მარცხენა ფრთაზე წამოხვალთ. დანარჩენი ჩვენ ვიცით.

ყველა მოგროვდა. იქვე ჩასაფრდნენ. მათი სუნთქვაც აღარ ისმოდა. მხოლოდ ამრიალებულ ფოთლებს აყოლებდნენ გულსა და ფიქრს.

სადაც ჰოტი კიოდა, ჰრიჭინებიც შეთქმულდებიან აჭრიალდებოდნენ, დუმდებოდნენ. მოშორებით არავცის თქრიალი ისმოდა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. მხოლოდ თოფის გასროლას ელოდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, რა მოჰყვებოდა ამ საბედისწერო გასროლას დუშეთში.

ლევანის ახლოს თემური და ნიკო იწვნენ მიწაზე და ერთმანეთს რაღაც საეჭვოდ უთვალთვალდებდნენ.

ლევანს კი აჯანყების სურათები ეღვათვალწინ.

მაღე ისევ მოვიდა თომა, თოფი აღმართა, ხმდაბლა, მაგრამ დიდი მღელვარებით წარმოსთქვა:

— წამოდექით, ბიჭებო!

ყველა წამოდგა:

თიმამ თოფი მაღლა ასწია.

— დრო ახლოვდება. საცაა დაიწყება. ფიცი უნდა მიცეთ ერთმანეთს, რომ ვიბრძოლებთ გამარჯვებამდე.

უკან არ დავიხვევთ, ერთმანეთს არ ვუ-
ლალატებთ სიცოცხლის უკანასკნელ
წუთამდე და გავსწევთ წინ, წინ!

— ვფიცავთ!

— ვფიცავთ!

— ვფიცავთ! — გაისმა და ეს ხმები
საღლიც შორს მიწყდა მთაღრეში.

— მაშ გამარჯვებას გისურვებთ, ბი-
ჭებო! — დაიძახა თომამ და გაბრუნდა.
რაზში სულიერი სიმშვიდე რომ შე-
ეტანა, თემურმა ხმადაბლა ღიღინი დაი-
წყო. მას სხვებიც აპყვნენ:

„ომში წასვლა მას უხარის, ვისაც
კარგი ცხენი ჰყავსო,
დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც
კარგი ცოლი ჰყავსო“.

მიწყდა ეს ხმებიც.

ლევანმა გაჰკრა ასანთი და საათს და-
ხედა. ამ დროს ღუშეთიდან თოფის
ხმაც მოისმა და ყველა ერთბაშად წა-
მოიშალა.

— მომყევით, ბიჭებო! — გასძახა ლე-
ვანმა და წინ წავიდა — მწკრივში,
მწკრივში — ისევ გასძახა და ტყიდან
ველზე გაიჭრა. აქ სხვა რაზმებიც შე-
ნიშნა და იქითკენ წავიდა.

ღუშეთში უფრო გახშირდა სროლა,
შეძახილი, ყიყინა.

მაღე რაზმელებიც მიადგნენ ღუშეთს
და ერთობლივი ყიყინა დასცეს.

— ყოჩაღ, ბიჭებო, დასცხეთ მაგ
ძაღლებს! — იძახდა ნიკო და ყველას
უკვირდა, როგორ გამოცოცხლდა მუ-
დამ თავჩაქინდრული და ენაჩავარდნი-
ლი ქაბუჯი.

საიდანღაც ისევ გამოჩნდა თომა:

— წინ! არ შედრკეთ, ბიჭებო! — მე-
რე ლევანთან მივიდა, ხმადაბლა უთხრა:

— აჯანყება მტერს წინასწარ დაუ-
ყნოსავთ. გვარდიელები ფეხზეა დამდ-
გარი, მაგრამ ჩვენ რაზმელებს ვეღარა-
ფერი შეჩაჩერებს. წინ, წინ, ბიჭებო!

• •

მშვიდი საღამო ჩუმად, ფეხაკრეფით
მოსულიყო პატარა ეზოში. შეფთოლი-
ლი ქადრის წვერზე დამჯდარი პირსავ-

სე მთვარე მარანთან, ვაშლის ძირაჲ,
მორზე მჯდარ ქეთევანს დასჩერებოდა.
ქეთევანი არ იძროდა. თმგამშლილი და
ფერმიხდილი საბედისწერო წუთებს
ელოდა. ცის ნამი ეფრქვეოდა თავ-
ზე, სახეზე; ნიავე უფორიაქებდა ჩა-
მოშლილ თმებს, ყურებში რაღაც დი-
დად მნიშვნელოვანს ჩასჩურჩულებდა.
იქნებ ნიავემ მეტი იცოდა, ვიდრე
ქეთევანმა და უნდოდა მისთვის გაემ-
ხილა, თუ რა ელოდა, რას მოუ-
ტანდა თუნდაც ის ღამე; გაახარებ-
და თუ დაღუპავდა სამარადღამოდ. ახ-
ლა აქ, მარანთან, ღვინისა და მიწის სუ-
ნი აგრე არასოდეს უგრძენია, და ამ
გამაბრუებელი სურნელებით მთვრალს,
თვალეში წამდაუწმი ეხუჭებოდა:
გრძელდებოდა ბურანი. შუბლზე შეხე-
ბა და სისველე იგრძნო. გამოფხიზლდა.
ხბო მისულიყო, შუბლს ულოკავდა.
ყელზე ხელები მოხვია ხბოს, ჩაიხუტა.
მოუთალერა:

— ნეტავი შენსავეთ გულუბრყვილო
და ჩვილი ვიყო, — ქვეყანას ავკარგი
ჩემს მიღმა ნიავევით ჩაიჭროლებდა და
სიკვდილსაც საამური სტუმარივით გა-
ვეუღიმებდი.

ახლა ძაღლიც მოვიდა. პირდაპირ
დაჯდა. აწკმუტუნდა, ალბათ ძაღლიც
გრძნობდა რაღაც უჩვეულო ამბები რომ
ხდებოდა, — ქეთევანს თვალეში ეუბ-
ნებოდა: „რამ შეგაწუხა, აგრე რად ზი-
ნარ, ხომ იცი, მე ვარ ღამის დარაჯი.
შენ წადი, დაიძინე, ქეთევან“. მაგრამ
ძაღლმა რა იცოდა, ქეთევანს მოსვენება
რომ არ შეეძლო.

ღუშეთიდან სროლა მოესმა: ქეთევა-
ნი წამოიჭრა: ხან აქ, ხან იქ მიაწყდა
ლობეს, გასაქცევი აღარსად ჰჭონდა და
უკან გამობრუნდა. იმეორებდა: „ნეტა-
ვი რა ხდებდა, რა ხდებდა ღუშეთში“. ეგო-
ნა ყველა ტყვიას ლევანს ესვრიანო და,
რომ გადაერჩინა, მკერდს თვითონ უშ-
ვერდა, იხრებოდა, ეცემოდა მუხლებ-
ზე: „მომკალით, მე მომკალით ლევანის
მაგიერო“ — იძახდა, ხუჭავდა თვალებს
და შლიდა ხელებს. მერე ისევ დგებო-
და, ვარბოდა ეზოში. უეცრად უკან

ქობედა, ახლა შენიშნა; ძალღი და ხმობ ასდევნებოდა.

სროლა ხშირდებოდა დღეშეთში. ბათქიე მოისმა. „წავალ, ვანთილს ვეღარ მოვეუცდი, თოფის ვასროლას ბერმუხასთან დავეულოდები. მოვა თუ არა? ვაი თუ...“ და აქ ფაქრი შეწყვიტა, კიშკარში გაიჭრა და ბერმუხასკენ თმაგაშლილი გაიქცა. ახლა მხოლოდ თავისი ფეხისხმა და სუნთქვა ესმოდა. სოფელს გაშორდა, ბუჩქნარს მიატანა, მიმოიხედა. იგრძნო, სად იყო, მაგრამ შიში დავიწყებოდა, ის უფრო ძლიერ გრძნობას გაეჭრო. ახლა ნადირით აღვისილ ტყეშიაც რომ შესულიყო, ვერ მოიგონებდა, თუ რაა შიში. რასაც ირგვლივ ხედავდა, ყველაფერი საკუთარ ეზობადად წარმოედგინა და თავი შინ ეგონა. ახლა ყველაფერი, მთელი სამშობლო, ერთ ოჯახად გადაქცეოდა.

IX

ცას მტრედისფერი გადაკროდა, თენდებოდა.

დღეშეთიდან ვარეკილ მტერს აჯანყებულთა რაზმელები დასდევნებოდა. ახლა ქალაქიდან კარგა მოშორებით ისმოდა სროლა.

ერთ გორაკთან ჩასაფრებულ გვარდიელებს აჯანყებულთა რაზმი პირისპირ შეეჩეხა, შეეხნენ ერთმანეთს.

— არ შედრკეთ, ბიჭებო, წინ! — დაიძახა ლევანმა და თვითონ პირველი გაიჭრა წინ.

ისმოდა ყიჟინა, სროლა, გინება.

უცერად ლევანის უკან ნიკოს თოფმა ყრულ დაიჭეჭა.

ლევანი დაეცა. მან უკან მოიხედა. ნიკოს ლურსმანივით წაწვეტებულ თვალები რომ შენიშნა, სინანულით გაიღიმა და წამოიძახა:

— თემური!

ერთი წამი და თემურიც გაჩნდა.

— ზურგიდან... ნიკო... მშვიდობით... — ამის თქმა მოასწრო ლევანმა და იქვე გათავდა.

— ლევან, ლევანი! — ჩასძახა თემური-

მა, მაგრამ ლევანს ამქვეყნიური აღარა ესმოდა რა.

თემურმა შენიშნა, ^{ნიკოს} ნიკო ბუჩქს მოეფარა უკანსვლით. ამ დროს სროლაც შენედა, გვარდიელები გაუჩინარდნენ. თემურმა დაიძახა:

— ამხანაგებო, ვერაგულად მოგვიკლეს ლევანი! შაქრო ჩემთან წამოვა, დანარჩენები მიჰყევით უფროსებს!

ლევანის დაკარგვით შეშფოთებულთა რაზმელების ჯგუფი იქვე მოგროვდა:

— რას ამბობთ, ჩვენი მედროშე!

— როგორ, სად?! — ისმოდა ხმები.

თემური შაქროს თანხლებით იქაურობას სწრაფად გაშორდა.

სხვები ისევ ჩასძახოდნენ: — ლევან, ლევანი!

ძახილს ხევიც იმეორებდა...

ბერმუხასთან ქეთევანი წრიალებდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, სუნთქვა ეკვროდა. დღეშეთიდან სროლას რომ უსმენდა, ყოველი გასროლა თითქოს გულში ხედებოდა. „რამდენი მესროლეს და ცოცხალი ვარ“ — იძახდა თავისთვის.

ცას მიაჩერდა: „თენდებო? ნეტავი ჩვენთვისაც გათენდებოდეს“. — გათენებაში ლევანის მშვიდობით დაბრუნებას გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მაშინ ეტყნებოდა მნიშვნელობა გათენებას, ამქვეყნიურ სინათლეს, სიცოცხლეს, არადა ერთი სიკვდილშიაც ლევანთან დარჩენილიყო. ახლა შენიშნა: შინიდან წამოყოლილა ძალღი მისჩერებოდა. ძალღმა შეჰყევდა, თითქოს აფრთხილებდა: „გონს მოდი, სისულელე არ ჩაიღინო“.

— მომშორდი, ყურშა! — გაუწყრა ძალღს, რადგან მიუხედა, რასაც ამცნობდა.

აგერ, დილის ბინდბუნდში, ვილაც გამოიბის, ბაზალეთის ტბას უახლოვდება: „ნუთუ ლევანი?! ღმერთო, მიშველე!“ — აღმოხდა ქეთევანს.

— ლევანი მოდის, ლევანი! — დაიძახა და იქითკენ გაიქცა.

ბაზალეთის ტბასთან ვაქმა მიასწრო. ქეთევანიც მიიჭრა, ხელი მოხვია, მაგრამ ვაქს სახე ახვეული რომ დაუნახა, შესძახა:

— ლევან, დაჭრილი ხარ?!

პასუხი ველარ მიიღო და შიშით ხელი შეუშვა.

— ლევან, ცუდად ხარ?!

— არა, მე როდი ვარ ლევანი, ნიკო ვარ, ქეთევან, შენი ნიკო ვარ. ლევანი მოკვლეს. ახლა ჩემი ხარ!

ქეთევანმა დაიკიფლა.

— საძაგელო! — ერთხელ კიდევ გააგონა ამღვრეულ ნიკოს.

ნიკო მინც მივარდა, ხელი მოხვია, შეეცადა მიეზიდა, გულში ჩაეკრა, მაგრამ ქეთევანი გაუძალდა, ნიკოს ხელზე უტბინა და მოიშორა.

— სულერთია, ჩემი ხარ, ველარსად წამიხვალ! ისევ მიაძახა ნიკომ და გაეჭანა ქეთევანისკენ.

მაგრამ ქეთევანი გაიქცა, ტბის საბანაოსთან გადებულ ფიცარზე აირბინა, ერთხელაც თვალი მიმოავლო ქვეყანას და დაიძახა:

— ახლა რა დარჩა? არაფერი! დაბნელდა მშვიდობით! — და ტბაში გადაეშვა.

ნიკომ მიიბრინა, ტბას დააჩერდა, ქეთევანი აღარსად ჩანდა. უეცრად ფეხზე საშინელი ტკივილი იგრძნო. ძაღლი კბილით ჩასჭიდებოდა და...

ძაღლი ძლივს მოიშორა, კოკლობით გამობრუნდა, რომ სულ ^{მისი} ~~მისი~~ ^{წინა} ~~წინა~~ ^{კაცი} ~~კაცი~~ შენიშნა. შიშით გააქრობს, სხვა ვღა ვინც იქნებოდნენ. იდგილს მოწყდა ველური ტახივით გაიჭრა მინდორზე... გაბრბოდა... ძაღლიც მისდევდა...

— შეჩერდი!

— ესროლე, შაქრო, — დაიძახა თემურმა და თოფმაც იგრიალა.

ძირს უსულოდ დაცემულ ნიკოს ძაღლი არ ეშვებოდა, თავს წასდგომოდა, უღრენდა, ჰყეფდა.

— შაქრო, მივეშველოთ ტბაში ჩაძირულს. მოძალადეს ვიღაც ქალის დაღუპვაც უნდოდა.

შაქრო ტბაში გადაეშვა. კარგა ხნის შემდეგ თმაგაშლილი ქალი ტბის ზედაპირზე ამოაცურა. თემური მივარდა, დააჩერდა:

— ქეთევანი? წამოიძახა მან, და ახლა ეველაფერს მიხვდა.

— იქნებ ცოცხალია, იქნებ ვუშველოთ!

ქეთევანი ნაპირზე გამოიყვანეს, ძირს დაასვენეს, მაგრამ საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა:

იმ დღეს, სოფელში მისვენებული ლევანისა და ქეთევანის ცხედრები გვერდიგვერდ იწვნენ.

წინ წასულ რაზმელებში ახლა თემურის ხმა მოისმოდა:

— თბილისისაკენ! იერიშზე, ბიჭებო!

ნაზიმ ჰიკმათი



ღამოგღეს მახვილი*

შეორე მოქმედება

არქიტექტორი — მე დარწმუნებული ვიყავი, რომ თუთა ცხვარზე ვიჯექი, სინამდვილეში კი მე უფრო ვგავდი ფინიას, რომელმაც მიუხედავად მისი არარაობისა, მისი კიკა ტახისა, გაბედა ჩემთვის შემოეტია, მომიწული, ღონიერი ადამიანისთვის. მე ვეგონა, ჩემი საღიფე გამოვგლიჯე არამზადებს ხელიდან. მე ვფიქრობდი, მოვიშორე ყელსაბშელი. თქვენ უკვე წაიკითხეთ ჩემი წერილის ნახევარი? თითქმის. დარჩა ექვსნახევარი გვერდი.

ა. ბ.-ს ხმა — რომელი საათია?

არქიტექტ. ცოლი — რვას აკლია ოცი, არა, ჩვიდმეტი წუთი. რატომ კითხულობ საათს?

არქიტექტორი — „თუ რვა საათამდე ბეჭედი დარჩა წაიკითხეთ წერილი ბოლომდე! თუ რამდენიმე წუთი-ღა დარჩა...“

ა. ბ.-ს ხმა — დაიჩოქეთ და ილოცეთ. ლოცვის დროს სიკვდილი ბედნიერებაა.

არქიტექტ. ცოლი — რეებსა სწერს?

არქიტექტორი — აი, მეც ვკითხულობ რეებსაცა სწერს...

არქიტექტ. ცოლი — ჩქარა წაიკითხე. ან მე მოშეცი. რად განერდი?

ა. ბ.-ს ხმა — დაიჩოქეთ და ილოცეთ. სიკვდილი ლოცვის დროს ბედნიერებაა.

არქიტექტ. ცოლი — სისულელეა! სიკვდილი ვერაფერი ბედნიერებაა ლოცვით იყოს თუნდ ელ-ცველა!

არქიტექტორი — თუ შენ განმარტებას დაიწყებ, ჩემო კარგო, ამის წაყიბვას ჩვენ საათშიც ვერ მოვასწრებთ.

არქიტექტ. ცოლი — კარგი წაიკითხავე.

ა. ბ.-ს ხმა — ლოცვის დროს სიკვდილი ბედნიერებაა.

არქიტექტ. ცოლი — „საღერნოსნო სკოლის დამთავრებამდე დარჩა ერთი წელი. ეს იყო ჩემი მე-ხუთე ჩასვლა ქალაქში არაღდეგებზე. როგორც ყოველთვის, მე მატარებლიდან პირდაპირ მოსამართლის სახლში წავედი...“

„მოსამართლის სახლი“.

ა. ბ. — შენ აქ რას აკეთებ? ვინაა იგი?

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — მოსამართლის მეუღლე.

ა. ბ. — რა მოუვიდა? უკანასკნელ წერილში მე არაფერს...

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — ნუ ლაპარაკობ აგრე ხამამლა. კიბო აქვს.

ა. ბ. — კიბო?

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — არ ვიცი, რატომ შენმა სატარტომ არ მოგწერა, თავად ძალიან ელ-ლებს და ალბათ იფიქრა შენც...

ა. ბ. — ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალია... რამდენი წლისაა ახლა იგი, ორმოციოდ?

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — ორმოციდახუთისა...

ა. ბ. — რატომ საავადმყოფოში არ...

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — შინ მინდა სიკვდილით, ამბობს.

ა. ბ. — უბედური ქალი! მოსამართლე რაღას ამბობს?

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — არჩვენები კარზეა მომდგარი.

ა. ბ. — მერე რა?

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — ალბათ ჯერ მართო არჩვენებზე ფიქრობს, სხვაზე არაფერზე. უნდა, რომ ხელახლა აირჩიონ მოსამართლე.

ა. ბ. — შენ საავადმყოფოდან გამოვგზავნებს?

ბენწ. მოვაჟ. ქალიშვილი — მე თავად შემოვთავაზე ჩემი სამსახური.

* დასასრული, იხ. „მნათობი“, № 8.



ა. ბ. — რატომ?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ვიფიქრე, თუ შენი სატრფოს ღეღას მივუხმარებო, გეხმარებოთო.

ა. ბ. — გმადლობ.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — მე ვიცოდი, რომ თქვენ ფარულად დაინახეთ. თითონ მომიხვდა...

ა. ბ. — მე ვხედავ, თქვენ დამეგობრებულხართ.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — რატომ უნდა ვიყოთ მტრები?

ა. ბ. — შენ კი როგორ ცხოვრობ? ბაყალის ფაშეიანი... ჰმ... გაბერილი ვაფი...

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ბაყალის ფაშეიანი ვაფი...

ა. ბ. — მე წინაღუე შევატყუე, შენზე ეპირა თვალი.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ახლაც უპირავეს.

ა. ბ. — ქორწილში დამმატიეგზე?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — მე არ ვათხოვდები არასდროს!

ა. ბ. — ვითომ რაღაო?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — მე იმ ჯერისა ვარ, რომელსაც უყვარს, როგორც მტრალა ძროხას. ამსათანავე ჯიერ ძროხას. ძროხას, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ერთხელ შეიფუაროს! ახა გაიყენებს?

ა. ბ. — კომისიონერი გამახსენდა. ეს იმან თქვა, ხომ? ორი წლის უკან. იმ კვირადღეს, მოკრივემ რომ მიცემა... ჰმ, რა არის ახალი მის შემდეგ, რაც მე წაქედი?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — შეაფთიაქე მოკედი.

ა. ბ. — რას ამბობ!

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — მისი ღუქანი მოკრივემ იყიდა.

ა. ბ. — შეაფთიაქეობა უნდა?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ღუქანი ბარად გადააქცია. ამბობენ ის და კომისიონერი ფარული კომპანიონები არიანო. იქ ახლა ბარიცა და წინასაარჩევნო კომპანიის პუნქტიც. დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლის როლს არჩევნებზე ახლა ასრულებს შეაფთიაქის ვაფი.

ა. ბ. — რას ამბობ!

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — კომისიონერი კი მისი თანაშემწეა.

ა. ბ. — მოკრივე კი რას წარმოადგენს ამ კომპანიაცაში?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ისიც მათთანაა.

ა. ბ. — გასაგებია... ჰმ... ჩვენი ახალგაზრდა დიასახლისა შინაა?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — არა.

ა. ბ. — აი, რა მინდოდა შენთვის მეთქვა... ცუდად არ გამოგო, ეს ისე მაინტერესებს... უნემოდ... ესე იგი, როცა მე აქ არ ვარ... იგი... რას აკეთებს? როგორ ატარებს დროს?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ვისთან სეირნობს? ვისთან ეტყვიას?

ა. ბ. — ეს ისე მაინტერესებს...

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ის თავის წერილებში არა გწერს?

ა. ბ. — როგორ არა მწერს? რასაკვირველია, მწერს. მაგრამ მინც...

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — შენ გინდა გაიგო მართალს გწერს თუ არა? ხომ არ გიშალავს რაიმეს?

ა. ბ. — თქვენ, ქალები... ხომ ცნობილია.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — შენ გინდა, რომ მე მას შენთან ვასმენდე?

ა. ბ. — მე მინდა, რომ შენ მომხმარო.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — როგორ?

ა. ბ. — შეიძლება რაიმეს მიშალავს. მე არ ეცი...!

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — შეიძლება მან შენზე გული აიკრუა?

ა. ბ. — მე დარწმუნებული ვარ, ვუყვარვარ!

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — აბა, მაშინ რაშინა საქმე?

ა. ბ. — მაგრამ, მე არა ვარ დარწმუნებული...

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ნუ ღელავ. რაიმე რომ შევამჩნიო მოგწერ. და შენ უფელაფერს გააკეთებ, რომ არ დაკარგო იგი. მე მივდივარ ავიდმყოფთან.

ა. ბ. — შეც წამოვალ.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — მინავს.

ა. ბ. — მოსამართლე შინაა?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — თავის კაბინეტშია. კომისიონერიცა და მოკრივეც იქ არიან.

ა. ბ. — ალბათ არჩევნებზე თათბირობენ.

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — ალბათ.

ა. ბ. — ხელს ნუ შევეუღლით. მე აქ მოვიციდი. ხალამოს შენ თავისუფალი ხარ?

ბენწ. მოვაკ. ქალიშვილი — რად მკითხებო?

ა. ბ. — სამივენი წავედით კინოში.

ბენკ. მთავრ. ქალიშვილი — გასაუგს რა თქვა მან? „არ მიყვარს, როცა შოფერის გვერდით უნდა
ქალი ზისო“. არც მე მიყვარს.
(ბენზინით მოვაპირის ქალიშვილი გაღის. ა. ბ. ცოტას გათვალ-გამოივლის სტენაზე.
იატაკზე შეაწინებს ავტოკალამს, სწრაფად იღებს, ჩაიღებს ჯიბეში და ისევ გაი-
ვლის, შემოდის მოსამართლის ქალიშვილი და შეაფთოაქის ვაგი).

შეაფთოაქ. ვაგი — ა. ბ.

მოსამ. ქალიშვილი — როდის ჩამოდი? რატომ არ შემატყობინე?

ა. ბ. — რაო, ცუდად მოვიქცევი?

მოსამ. ქალიშვილი — არა... რომ მკოდნოდა... რომ მკოდნოდა... შეგხვდებოდით...

შეაფთოაქ. ვაგი — ჩვენი ქალაქის სიამაყეს, საძაგრო ძალების მომავალ გმირს შეგხვდებოდით
სადგურზე ორკესტრითა და ყვავილებით.

ა. ბ. — ცოტაც მოიცადეთ. ავრე შემავდებით.

შეაფთოაქ. ვაგი — ღმერთმა ქნას. (მოსამართლის ქალიშვილს) მე შევალ მოსამართლესთან. ჩვე-
ნებიც ალბათ იქ არიან. მე მასთან ნახევისათვის სანამ შევალ, მერე კი...

ა. ბ. — რა მერე?

მოსამ. ქალიშვილი — წავედით საცუკაოდ. (შეაფთოაქის ვაგი გაღის).

ა. ბ. — მამასადამე წახვალთ საცუკაოდ?

მოსამ. ქალიშვილი — მე არ ვიცი. თუ ჩამოხვიდები.

ა. ბ. — შენ არასოდეს არ მწერდი ამ არამზადად.

მოსამ. ქალიშვილი — აბა, მაკოცე. არ მოგენატრე? ეჭვსი თვა ერთმანეთი არ გვიხიბავს.

ა. ბ. — ხელი თვე და ოცი დღე. ჩვენს განშორებას მე დღეებით ვითვლი.

მოსამ. ქალიშვილი — რატომ არა მკოცნი?

(კოცნიან ერთმანეთს)

ა. ბ. — დედის ავადმყოფობაზეც არაფერი მოგიწერია.

მოსამ. ქალიშვილი — შენ საიდან ვიცი? ა, თქვენ ერთმანეთს შეგხვდით? გოგონა კი არა ანგე-
ლოხია.

ა. ბ. — რატომ არ მაცნობე დედის ავადმყოფობა?

მოსამ. ქალიშვილი — რა საჭირო იყო?

ა. ბ. — შეაფთოაქის ვაგი რომ ჩასდგომია წინა საარჩევნო კომისიას სათავეში, არც ეს მოგიწე-
რია.

მოსამ. ქალიშვილი — შენ გჩნდოდა შენი კანდიდატურა წამოგვეყენებინა მამიქემის მაგივრად?

ა. ბ. — შეაფთოაქის სიკვდილზეც არაფერი მოგიწერია.

მოსამ. ქალიშვილი — გააკოცლებდი თუ? ყოველ წერტილში მე შენ გწერდი ყველაზე მთავარს —
ჩემს სიყვარულზე.

ა. ბ. — მე მოველაპარაკები მამაშენს.

მოსამ. ქალიშვილი — რის შესახებ.

ა. ბ. — ყველას, იქამდე ჩვენს მშობლებსაც ვეზალავ ჩვენს გადაწყვეტილებას, — დავკორწინ-
დეთ... ეს ჩემის აზრით...

მოსამ. ქალიშვილი — არავის არაფერსაც არ ვუშალავ. მაგრამ მე მგონია, არ არის საჭირო
ყველამ და მთ შორის ჩვენმა მშობლებმაც იცოდნენ ის, რაც მხოლოდ მე და შენ ვიცვება.

ა. ბ. — ბენზინით მოვაპირის ქალიშვილს ხომ უთხარი?

მოსამ. ქალიშვილი — ჩემის მხრივ არაკეთილსინდისიერება იქნებოდა დამეშალა მისთვის.

ა. ბ. — შეიძლება შენ მართალიც ხარ. მაგრამ მე მაინც მინდა მოველაპარაკო მამაშენს (სახლ-
დან ისმის კავილა).

მოსამ. ქალიშვილი — დედა! (უტკერთან ერთმანეთს) მე ვირჩევდი სიკვდილს დაუფადებლად,
მოუხუცებლად, ერთბაშად. გულის გახეობით... არ შეხვდებ. მე ვფიქრობ, ის არ მოინდო-
მებს უტკერო მის წამებას. (გარბის).

(მოწინააღმდეგე მხრიდან შემოდის მოსამართლე, კომისიონერი, შეაფთოაქის ვაგი
და მოკრივე. მოსამართლე გაუცება ქალიშვილს).

მოკრივე — ა. ბ.!

კომისიონერი — დამთავრე სკოლა?

ა. ბ. — არა, კიდევ ერთი წელი მაკლია.

მოკრივე — ერთი წლის შემდეგ უფროსი სტაჟანტი ხარ, ხომ მართალია? ა?

შეაფთოაქ. ვაგი — მარშალი.

კომისიონერი — იქნებ ჩვენ შევიდეთ ავადმყოფთან?

შეაფთოაქ. ვაგი — შენ რაო — ექიმი ხარ?

კომისიონერი — საცოდავი, საშინლად წველობს...

მეფუთიაქ. ვაფი — იშოვა დრო ავადმყოფობისათვის.

ა. ბ. — კალმისტარია ხომ არავეს დაგეიარგავთ? კომისიონერი — უბრალო?

ა. ბ. — აეტოკალმისტარი. პლატინის კალმით. მოკრივე — შგონი მე დაეკარგე.

მეფუთიაქ. ვაფი — მიჩენენ! კომისიონერი — შენ, ნახე?

ა. ბ. — გუნებები კარგად ვაისინჯეთ? კალმისტარი არავეს დაგეიარგავთ? კალმისტარები ყველას თავის ადგილზე გაქეთ?

მოკრივე — გეამსახრავებ? გეამსახრავებ?

ა. ბ. — ეიპონენ პლატინის კალმიანი აეტოკალმა და აი, იგი ჩემი ვახდა.

კომისიონერი — შეიძლება მოსამართლემ დაეკარგა...

ა. ბ. — თუ აგრე, დაეუბრუნებ.

მოკრივე — ფრენა დაიწყე?

ა. ბ. — კი.

მოკრივე — დღეში რამდენ საათს ფრინავ?

ა. ბ. — შენ რაში ვაინტერესებს?

მოკრივე — საიდუმლოა?

ა. ბ. — არა.

მოკრივე — ჩარფუნა ხომ არ ვინდა ჩაავლო?

მეფუთიაქ. ვაფი — შავს ჰგონია, კაცი ვახდა.

მოკრივე — ჩარფუნანის ჰავდება ვინდა? ა, ჩხუბი ვინდა?

კომისიონერი — იშოვეს მამლაყინწობის დრო... და შერე სად. ჯარისკაცს არა შეენის უმადლო... ნი. თქვა ნამოლონმა, თუ ფრანკლინმა. ვისაგებია? უმადლოა არავეს არა შეენის, არც ჯარისკაცს, არც მამაკაცს, და, რა თქმა უნდა, უფრო შეტად დედაკაცს.

ა. ბ. — არ შესის.

კომისიონერი — ვინ ვახდა კაცი? მოსამართლემ. და ვინ ვახდის მას კაცი? ჩვენ. ეს, ის, ისინი. მე კარგად დავინახედი, როგორ აირჩევედნენ მას, რომ უყოლიად ყუთომდე არ გვერბინა ძაღლებავით. წახედა ჩვენს წინააღმდეგ, წახედა მის წინააღმდეგაც ვარდა ამისა შაღე... (შეაფთხაქის ვაქს) ვუთხრა?

მოკრივე — უთხარი.

კომისიონერი — ეს ვახდება მისი სიძე.

ა. ბ. — ვინ? როგორ?

კომისიონერი — შეიძლება ძე ვეუხის სიყვარულს ენდო? ეგ ძე ვეუხია, ჩემო კარგო. დღეს მონდომებს, შენ შეგვამს, შეგვამს და მხოლოდ ძაღლებს დატოვებს, წავა და ახლა სხვას შესვამს.

მოკრივე — შეშდეგ მეც შემეპას.

კომისიონერი — შენ არა, მას უფრო დახვეწილი გემოვნება აქვს.

მეფუთიაქ. ვაფი — შენ ნუ გეშინია. მე ეიცო, მხეციის დამწვედვეა გალოში. შენს სიყოცხლეს საშინოებია არ მოელის (ა. ბ.-ს) მე შენ ვბატოვებ ქორწილში, ჩემი სიმაზრი აიღებს ნებართვას შენი უფროსებისაგან.

(შეშოდის მოსამართლე).

მოსამართლე — მორდი ვაუყოეს. ჩაეძინა. (შეამჩნევს ა. ბ.-ს) ა, ჩამოხვედი!

ა. ბ. — მე თქვენთან ერთი შეკითხვა მაქვს.

მოსამართლე — შემდეგ შემეკითხები.

მეფუთიაქ. ვაფი — ჩემი აზრით, ახლავე უნდა წავიყვანოთ საავადმყოფოში.

მოსამართლე — შავრამ... თავდაც იცი. არ ისურვა.

მეფუთიაქ. ვაფი — სურს თუ არა სურს... უამისოდაც ქალაქში უყვე ლაპარაკობენ, მოსამართლეს არ უნდა თავისი ცოლი საავადმყოფოში დააწვინოსო. ამბობენ, ეს მიიტომ, რომ საავადმყოფოში ცუდად უვლიანო.

მოსამართლე — ტყუილია.

მეფუთიაქ. ვაფი — ტყუილია თუ მართალი, საქმე ამაში როდია. ცნობილია, ვინ აფინანსებს საავადმყოფოს. თუ ამ ხმებმა მასთან მიადწიეს...

კომისიონერი — კარგად არ გამოვა...

მოკრივე — ამასთანავე ერთად ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ტყუევითიოდ ვაღმოსცეს, რომ თქვენი ქალიშვილი უყვე მეორე გვირავი საყვარელში არა ყოფილა. კარგი სილა გაგვაწინეს. ა? გაგვაწინეს თუ არა?

მეფუთიაქ. ვაფი — გაგვაწინეს. შავრამ ჩვენც რადიოთო...

- მოკრივე — ეს ისე. მე არაფერს ვამბობ.
- კომისიონერი — სხვათა შორის საჭიროა თქვენი ქალიშვილი წაიღიდეს საყდარში...
ბრატენა კაცმა? ვინც საყდარში არ დადის...
- მოსამართლე — გაანებეთ თავი თქვენს ბრატენ კაცს.
- მოკრივე — გამოვა, რომ იგი განგებ არ დადის, რომ...
- მეფთხიაქ. ვაფი — შე მოველაპარაკები. ჯერ უნდა საავადმყოფოს სიქმე გადაეწვიტო.
- (შემოდის მოსამართლის ქალიშვილი)
- მოკრივე — გამიგონე, ლამაზო, საჭიროა თავი დავინებოთ კაბრიზებსა და სხვა რამე-რუნეებს. კვირადღეებით, როგორც დავინაზრებია, ივლი ხოლმე საყდარში.
- მოსამ. ქალიშვილი — რაო, რას ამბობ?
- მოსამართლე — სანამ დედის მინავს უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში.
- მოსამართ. ქალიშვილი — რატომ?
- კომისიონერი — იქ უკეთესია მისთვის.
- მეფთხიაქ. ვაფი — მოსამართლის მეტულე უნდა საავადმყოფოში მოკვდეს. ქალაქის მცხოვრებლები, ჩემო სიყვარულო, არ აირჩევენ მოსამართლედ კაცს, რომელიც უნდობლობას უცხადებს მათს საავადმყოფოს.
- მოკრივე — ცხადია, არ აირჩევენ. აირჩევენ? ა? არ აირჩევენ!
- მოსამართ. ქალიშვილი — დედას შინ უნდა სიკვდილი. დანებეთ თავი.
როგორც მოთხრობის დასაწყისით ვგებულმობ კარის მეზობლების ვანოს და თალიკოს ბავშვური მეგობრობა თოდათან იღებდა არაბავშვური ხასიათს. მაგრამ ეს პროცესი შეწყვედა მათი მოულოდნელი დამორების გამო. ისინი ზუთ წელწინდს ცხოვრობდნენ ისე, რომ ერთმანეთის შესახებ არაფერი არ იცოდნენ. ვანოს და თალიკოს თუნდაც რომ ერთმანეთი კვარებოლდით, მიანც სრულიად ლოკაციითა იქნებოდა შთაბეჭდილებათა, გატაცებათა, შეხედულებათა, გემოვნების რაღაცაღურად ცვლილების ასაქში მათ ერთმანეთი დაეწყინოდათ. ვანო თალიკოს დამორება თოთხმეტი წლის ასაკში, პაროვნების ჩამოყალიბების, სიყვარულის ძიების წლებში. ვანო დროგამომვებობი,



მეგრამ მაინც ხედებოდა ლებედინსკის სათეთ, ჰაეროვან, ელვაანტურ ასულს — ლიდას. აწმყო ყოველთვის დგას წარსულზე შალა. მკითხველი ელის, კიდევ მეტი, მკითხველს სურს ეანომ შეიყვაროს ლიდა, ლიდა არის სიყვარულის ღირსი და რა ხდება? ვაჟი ვერ ხედავს მისაღმი მეგრანობიერ ქალიშვილს და წლებით დამტვერილ მოგონებებს უბრუნდება. საკუთარ თავს თალიგოს სიყვარულს ჩააგონებს.

თენგიზ გოგოლაძე გვიჩვენებს მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ იმ ანარქიის სამხედრო ცხოვრებაში, რაც მენშევიელების მმართველობის წლებში დამყარდა. მოთხრობის ეს ადგილები თავისი დამაჯერებლობით და ნამდვილობით ნაწარმოებს უკეთესი ნაწილია. მენშევიეები იმდენად უხერხემლონი და უუნარონი იყვნენ სახელმწიფო მმართველობის საკითხში, რომ არამარტო სამოქალაქო უწყებებში,

თვით სამხედრო ნაწილებშიც კი ნარკლს უღის-ციბლინობა და ანარქია სუფევდა. ამ მხებეშია მენშევიეებმა თავის წინააღმდეგ აიხმედრეს ისეთებიც კი, რომლებსთვისაც პოლიტიკურ-კლასობრივი ინტერესები უცხო იყო. ქაჩაღშებრა და ქალების დევნას გადაყლილი ვახტანგ ეახებიშვილი ვრძნობს მენშევიეების უნიადიგობას და თავისი ჯარისკაცობის როლს მოპირდაპირის ჯარისკაცობაზე ცულის.

მოთხრობაში „აღმართი“ მწერალმა გვიჩვენა თუ ჩვენმა საზოგადოებამ როგორ დასძლია უდიდესი ისტორიული სიძნელე და დაეუფლა საზოგადოებრივ კეთილდღეობის მწვერვალს. ჩვენს საზოგადოებას მიუყვებოდა და მასთან ერთად გაიარა აღმართი ჩვენი ქვეყნის ერთერთმა რაგიომმა მოქალაქემ — ვანო ვიენიშვილმა.

ჯავახი შარაშიძე

მ. აბულაძის პოეტური კრებულის შესახებ



ჩემთვის ექვივარეშეა, რომ ეს პატარა წიგნი აღმოჩინეს ქართველ მკითხველს ახალ კემმარტ პოეტს — მკვეთრად გამოხატული ორიგინალური ხმით, უეჭვლად პოეტური ოსტატობით. მეგრამ რაც უფრო მნიშვნელოვანია, მკითხველი უზიარება საინტერესო და კეთილშობილურ სულიერ სამყაროს, ადამიანურ სიწმინდეს, პატიოსნებას, გრძნობათა სიუხვებს, პატრიოტულ და მოქალაქეობრივ შემართებას. მირიან აბულაძე მთელი თავისი სულიერი წყობით — თანამედროვე ადამიანია, თანამედროვეობის უკეთესი იდეალების გულწრფელი და მგზნებარე მიმდევარი. მისთვის თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყარო და თანამედროვე ადამიანის საზოგადოებრივი არსებობის მტკიცეული საკითხები უბრალო თე მათ არ არის (რადაც ვარეშე, რასაც შემოქმედების ობიექტად იჩინევი) არამედ საკუთარი არსებობის დედაპირი, საკუთარი ცხოვრების შესაარისი, გონების, სულისა და გულის ნაწილიცაა და მისაზრდებელი წყაროც. აქედანაა მირიან აბულაძის ყოველი ლექსის ორიგინულობა, კემმარტივი ლირიკულობა, შინაგანი მართოლოვარება.

მათ ახასიათებთ სწორედ ისეთი ორგანული შერწყმა პოეტურობისა და ილდურობისა, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ჯერ კიდევ ბელინსკი ერთი მისი თანამედროვე პოეტის ლექსების კრებულის გამო. ვაგებხსენოთ ეს შესანიშნავი სიტყვები: „მას გაჩინია ის, რასაც პოეზიის წმინდა ელემენტი შეიძლება ეუწოდოთ,

და რის ვარეშე ვერაფრითაი ბრძნულად ღრმა აზრები, ვერაფრითაი განსწავლულობა ვერ გადააქვევს კაცს პოეტად. მეგრამ მარტო ესეც არ კმარა, რომ ჩვენს ღრეში პოეტად ჩაითვალო. უმთავრესი და უძნელესი ის კი არაა, რომ გქონდეს ვარევეული მიმართულება და იდეები, არამედ ის, რომ არა უბრალო არჩევანი ან სურვილი, არამედ უპირველესად თვით პოეტის ბუნება ვახდეს ამ მიმართულებასა და იდეების უშუალო წყარო“.

მირიან აბულაძის ლექსების უმრავლესობაში ჩვენ ვერ დავინახავთ დღევანდლობის ვარეგნულ, ზედამართულ ნაშენებს, ასე ვთქვათ თანამედროვეობის მთიერი ინვენტარს, მეგრამ ვიმეორებ. მათ გაჩინათ ამაზე უფრო მეტი და ფასეული: თანამედროვე, დღევანდელი ადამიანის გულისფთქვა, სუნთქვა, თვალთახედვი. აქედან აბულაძის პოეზიის ფილოსოფიური ოპტიმიზმი, რომელიც არ გამოთრეცხავს ისტორიისა და დღევანდლობის დრამატულ, მღელვარე აღქმას: ჰუმანიზმი, რომელიც შიშველ რიტორიკულ ქადაგებაში არასოდეს ვადადის და ადამიანური ბუნების ვამოვლინების მცირე ნიუანსებსაც არ გამოორეცხავს (ლიმლი). ლალობას, თამაშს, ცალქობას). ორგანული შენის აბულაძის პოეზიაში მშვიდობის თემაც, ჩვენი ქვეყნისათვის ნიშნველი სიბაღის თემაც, ახალი ადამიანის სულის ინტენტიონისა და ამ „უნებაში“ პოეტური სიტყვის მონაწილეობის თემებიც. პოეტს აქვს უფლება თქვას თავის თავზე:



ხან უბეს ვივსებ მოხუცი მიწით
 და შეყრდზე ლელავს თავთუხის ყანა,
 მე გუთანივით მიწაში ვიწევი,
 რომ ანათებდეს ჩემი ქვეყანა.
 ლექსი დალოცეთ — ხნულში გაუვით,
 სხვა გასამრჯელო უკან წაიღეთ!
 მე ჩემ სამშობლოს დიდ სიფაჩულში, —
 დედის ალერსში ჭირას არ ვიღებ...

მირიან აბულაძის ლექსებში გვხვდება მათი უღრმესი ქართულობა და ამავე დროს ზოგად-ევროპრილობა. აი, მაგალითად რა საოცრად ეროვნულ სახეებშია გახსნილი ზოგადდაცობრივი თემა მშვიდობისა:

მე მაქვს:
 სიმდიდრე — კიდობანში რომ მიღვეს,
 თან სიღამაზე — ვანჯინაში მარჩილ მაქვს,
 და სიზარული — ზივილი ბავშვი აკეანში
 მიწვეს!
 დანარჩენი კი:
 ძმობა,
 მშვიდობა
 ამ პურ-მარჩის და
 ამ ბავშვის ზელებს
 ფეხს არ დაადგამს!
 ყველაფერს ამას
 ჩემმა ლექსებშიც უფარაულოს, —
 დღეს
 ჩემს ოჯახში,
 მეზობლის სახლში,
 ჩემს ქვეყანაში
 ბედნიერება დიდის, ხმაერთობს...

ეს მხოლოდ ორიოდ სტროფია ღრმანინ-არსიანი ლექსისა, მაგრამ რამდენი რამეა უკვე მათში თქმული და რა ქართულადაა თქმული! თუ გსურთ მირიან აბულაძის მოქალაქეობრივი, აღმნიშნური და პოეტური მრწამსი გაიგოთ, წაიკითხეთ თუნდაც რამდენიმე მისი ლექსი, ისეობები, როგორცაა ზემოთცხრილებული „დღეს ჩემს ოჯახში“ ან „სამი მცენება“, „რა არის სიტყვა“, „მაღალია საყუთარ ლექსებზე“ და სხვანი და სხვანი.

„სიტყვე“, შენს უკან დგას საუფრენე“ — ასეთი სათაური მისცა პოეტმა თავისი წიგნის ერთერთ განყოფილებას. ეს თქმა (ლექსიდან „რა არის სიტყვა“) კარგად გადმოგვეცემს აბულაძის პოეზიის ხასიათს, მის მიერ პოეტური სიტყვის განცდის და პოეზიის ბუნებისა და დანიშნულების გაგების.

ვის ენათესავება პოეტებში მირიან აბულაძე? მის ძველ ლექსებს ეტყობათ გ. ლეონიძისა და ვალაკტიონ ტაბიძის გავლენა. შემდგომ-

ში ის თვისებები, რომლებიც „ხეველი“ იყო წარმოშობილი, „გადიხარმა“ აბულაძის ლექსში და ორგანულად შეერწყა მისი საყუთარი პოეტური ზმის ნაკადს. გ. ლეონიძისთან აბულაძის ანათესავებს ლექსის საერთო სტილისტურ ერთობლიობაში სიტყვის, ლექსიკონის პოეტური გამოხატულების დომინანტი, ვალაკტიონთან ახლოებს პოეტის მისი ზოგიერთი პოეტური მონახატის რომანტიკული ხასიათი (მესრულების თვალსაზრისით), როდესაც პოეტური ხაზის მთავარი მსივი უფრო მკაფიოდ აღიქმება, ვიდრე მისი კონტურები, სხვის გარესაზღვრების შეგნებული მოვხაზულობა და, აქედან, ის წარმატაი „ბუნდოვანება“, რომელიც რომანტიკული პოეზიის მშვენიერების აბირბებს. აქ განწყობილება ყოველთვის მკაფიოა, მაგრამ მისი ნაბიჯები არ ჩანს, თითქოს ბერკითხაა მოცული.

ახალი, არაქართული პოეტებიდან მირიან აბულაძის ბოლო ზანებში დაწერილ ლექსებს მე, დავუახლოვებდი ლეონიდ მარტინოვის პოეზიას. აქ უსათუოდ გვხვდება შეხების წერტილები, თუმცა ამ შემთხვევაშიც ქართველი პოეტი არსად არ თობის თავისი სიტყვის ეროვნულობის მისხალსაც. ეს არის სულით და არა სისხლით ნათესაობა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

მირიან აბულაძე ჩამოყალიბებული პოეტი. ამ წიგნში შესული მისი პირველი ლექსები 1941 წლითაა დათარიღებული. ლექსების უმრავლესობა კი 1957 წელსაა დაწერილი, სწორედ იმ განწყობილების გავლენით, რომელიც ლექსში „დღეს ჩემს ოჯახში“ არის გამოხატული. ახალი ლექსები აგრძელებენ აბულაძის შემოქმედების საერთო ხაზს, მაგრამ მათში დიდი სიახლეც შეიმჩნევა — მეტი ინტელექტუალური დატვირთვა, სულიერი პორიზონტების მეტი სიფართოვე, მეტი პოეტური სიმწიფე და დახვეწილობა.

ამ მეორე რეცეზიოში მე არ შევეხები მ. აბულაძის წიგნის ცალკეულ ხიხვს, თუმცა იგი ვეხვდება აქა-იქ. მე მსურდა მხოლოდ ამ საერთო განწყობილების გადმოცემა, რომელსაც ეს კრებული აღძრავს. მკითხველის ყველაკითხვებზე, დე თვით აბულაძის წიგნმა უპასუხოს. მისი თქმისა არ იყოს.

გული გულს ითხოვს,
 გული გულს ეღტვის...
 და რომ მე შეითხოვ,
 მაინც ვერ ვაძევი:
 თუ რატომ ითხოვს,
 თუ რატომ ეღტვის,
 ისევე გულს ჰკითხოვ,
 ისევე ის ეტყვი!



წიგნი რაკა-ლენხუმის რევოლუციურ წარსულზე



1905-7 წლების რევოლუციის დროს არ დარჩენილა საქართველოს არცერთი ქობე, რომ იარაღით ხელში არ გამოხდეთ. მშრამელი მასები ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით სამყვდრო-სასიცილო ბრძოლაში ჩაებნენ ცო-რისმის წინააღმდეგ, რევოლუციის ცენტრების პეტერბურგისა და მოსკოვის მხარდაშია.

საქართველოს რევოლუციური წარსულის ვასამტკებლად არა ერთი საინტერესო ნაშრო-მი შეიქმნა, მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩვენი სამშობლოს ბევრი ეტხე ჯერ კიდევ შეუს-წავლია. დღემდე თითქმის არაფერი მოგვე-პოუებოდა რუსეთის პირველ რევოლუციოში რაკა-ლენხუმის მონაწილეობის შესახებ. სწო-რედ ამ ხარვეზის შეეებება განებრაბავს შ. ჯა-ფარიძის თავის წიგნით: „1905-1907 წლები რაკა-ლენხუმში“.

წიგნის შესავალში სებბარია 1905-1907 წლე-ბის რევოლუციის ხასიათზე, მის მამორავებელ ძალეება და ქვემოწინა, ნათეოფილია ის ვარეზობება, რომ მანამდე მომხდარ ბურჟუაზი-ულ-დემოკრატიული რევოლუციებისაგან განსხ-ვავებით ეს რევოლუცია იყო „ამპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია“.

ეირიშის ომმა ცხადყო შეეის რუსეთის სი-ვაშპლე და ჩამორჩენილობა. მოვლენათა გან-ვითარებამ იცილებული ვახადა ბატონყმობის ვაქქება, რაც კიდევაც ვანბორციელდა 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით, მაგრამ გლე-ხობა მოტყუებული და ვაბარცული დარჩა. ვანსაეკორებში შეზღუდულად და გლეხობა-სათვის სახიანოდ ვატარდა რეფორმა საქარო-ველოში, რასაც თავის დროზე, კავკასიის შე-ფასანეცალი ვირონიკოვ-დამკოვიც კი აღი-არებდა. (გვ. 10). მებრად დაზარალდნენ გლეხე-ბი რაკა-ლენხუმში. მათ ისედაც მცირე ნაე-კუთების მნიშვნელოვანი ნაწილი დავარგეს. მანინ ჩოღესაც შემამეღლებსა და თავადზნა-ერებს მთელი მიწების 95 პროცენტი ვეუთე-ნოდით. „დროებით ვალდებულემათა“ ვამო მშრომელთა მრავალათასიანი მისა ვვლავ ბატონ-ყმობის მარწუხებში დარჩა. ეკონომიკური და-ემალება არარაობად ხლდა მარად თავისუფ-ლებსა. ყოველივე ამას ემატებოდა საყოველ-თაო ჩამორჩენილობა, ეკლტერულ-საკანონმადო-ლებლო დაწესებულებათა თითქმის არ არსე-ობა, სკოლების უღირესი სიმცირე, ლენხუმ-ში წერეთობის მცოდნე იყო გლეხბერი მო-სახლეობის მხოლოდ 4,5 პროცენტი, ხოლო რაკაში 9 პროცენტი. არ ეწეოდა მისახლეო-ბას სასტიმბატური სამედიცინო დახმარება. ეპიდემიებს ვატასტროფული ხასიათი ქჷონდა. რაკა-ლენხუმის გლეხობა არსებობის სა-

შეალებათა მომთვებისათვის შრომობდა, მცო-რემწიწიანობა აიჭლებდა მათ მიეველ ფერ-ლობებზე მოეყვანათ სარჩო, ანდა სახანვერო ოჯარით აეღოთ მიწა მემამულეებისაგან. გლეხს ამასთანავე ტყავს აძრობდა სახელმწიფო, აღ-ვილობრივი მიხელები, სამლედელოება. ეკო-ნომიურ დამონებას ემატებოდა ერთეული ჩაგება. ერთი სიტყვით, როგორც საქართველოს სხვა ეტხებებში, ისე რაკა-ლენხუმში მომ-წიფებელი იყო ნიდაგი რევოლუციისათ-ვის. მარქსისტულ პროპაგანდას იწყებენ რაკა-ლენხუმში რევოლუციის ისეთი ვამორენილო მოღვაწეები, როგორებიც იყენენ ალიომა (პროკოდი) ჯაფარიძე, სამეულ (ნოე) ბუაიძე, საში წულეკიძის ეწეული ხელმედეანელო მოქმედებენ შ. ლევაი, შ. გელოვანი და სხე-ბი. ადგილობრივად მოძრობამ დააწინაურე-ე. ქჷნიჩაძე, პ. გურგენიძე, დ. დაღმეველიანი, ს. ჯოხაძე და სხეები.

ჯერ ვამოსლებს სტიტიური ხასიათი ქჷონ-და. ციტხის უყოლებდნენ ვანეღაროებს, მე-ვამულეთა სახლკარს, უარს ამბობდნენ ვად-სახალების ვადამაზე და ა. შ. ხოლო 1905 წლის მარტიდან ადგილებზე იქმნება გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. ათისთავებად და ასისთავებად არჩევენ შრშა-ბოლშევიკებს (ფარ-ქოსაძე, სბორტლაძე, ჯოხაძე, თინინი, ბოკორი-შვილი და სხე.). გლეხობა უტყალებს შეეის მოხელებსა და მემამულეებს ბოიკოტს, აგრე-თვე ხელთ იგდებენ სოფლის მმართველობას. ამართება მიტნეები, დემონსტრაციები. ვრან-ლიზობული დემონსტრაციის ხასიათი მიეკა ვე-რაველად მოკლულ მამშე გელოვანის დავრ-ძალებს. მალე ბრძოლა პოლიტიკურ ხასიათს იღებს, მავალითად სოფელ სადმელის საზოგ-დოების გლეხობა მოითხოვს: სიტყვის, პრე-სის თავისუფლებას, პირიყმების ხელშეუტე-ლობას, საქართველოს დაწესებულებებსა და სკოლებში ქართული ენის უბირატესობას.

რსუმ პარტიის კავკასიის კეწმირის იმერეთ-სამეგრეტოს კომიტეტის მითითებით იქმნება წითელი რანშები, ისინი ანიარალებენ პოლიცი-ის საგულშეკოტს (ონში, წესში, ჭრებალოში, აღბანაში და სხე.), ებრძვიან შვარაზმელებს.

რევოლუციური მოძრობა შემდეგომ აღმე-ლობს ვანიცდის. დგება დეკემბრის შეტხარე დღეები. იარაღით ხელში სამულელო მებდს რევიმის დასამოობად ვამოღენის ჩაგრულთა მის. რაკა-ლენხუმშიც და სადალიანო სვანეთშიც დაიწყო შეიარაღებული ბრძოლები. მენწევიეთა ვამეკმულერი მოქმედების მიუხედეად წითელ-რანშელები ვამარჯებებს ვამარჯებებზე აღწეენ. ახლოედება ადგილობრივი პოლიტიური რეჟ-

მის ლიკვიდაციის დღეც იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ყველა მახრამში რევოლუციის მსვლელობას წარმოართავს. „დეკემბრის ბოლოსათვის ქუთაისი და გუბერნიის ყველა 7 მაზრა ფაქტიურად რევოლუციური ხალხის ხელში იყო“. (გვ. 87). რაჭა-ლეჩხუმში იქმნება პატარა „არესპუბლიკები“, სადაც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს გამარჯვება. რეაქციის შეებნელი ძალები ამარცხებენ რევოლუციას. იწყება ანგარიშსწორების მიმდინარეობა. აღნიხანოვ-ავარკის დამტყუბები სსსრკ-სად უსწორდებიან თავისუფლებისათვის მებრძოლ აღამიანებს. ზემდგომი პარტიული ორგანოების მითითებით რაჭა-ლეჩხუმის შრომაკმელები იწყებენ ორგანიზებულად უკან დახევის ტრენალოში გამართული ორივე მაზრის პარტიულ კრებაზე, რომელსაც კონფერენციის ხასიათი ჰქონდა, გადაწყდა ეწარმოებინათ არალეგალური ბრძოლა, მაზრების ახლად არჩეული გაერთიანებული კომიტეტის მეთაურობით, ხოლო პარტიზანულ მოძრაობას უბელშიდგანელებდა მებრძოლი რაზმი. (უფროსი თეოფილე კაციაშვილი). პარტიულ გლეხთა აქტიური გამოხატულები 1907 წლის დამლევამდე ექტიურდებოდა. ბოლოს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ერთერთმა მთავარმა მიზეზმა გლეხობის დაქსაქსულობამ აქაც იზინა თავი, ზედ დავრთო ცარიზმის სისხლიანი რეპრესიები, მენშევიტრ-ლიბერალური „მოღვაწეთა“ ლალატი. უოველივე ამან დროებით შეადგინა რევოლუციის საქმე, მაგრამ 1918 წელს კვლავ აღებს ათარღს ხელთ ღებნების გლეხობა, ხოლო 1921 წელს, როგორც მთელი საქართველო, ისე რაჭა-ლეჩხუმი საბოლოოდ განთავისუფლდა ჩაგვრისაგან.

ავტორის მოტიანილი აქვს უხვი ფაქტობრივი მასალა, რაც უდაოდ დიდი შრომის ნაყოფია, მაგრამ ზოგან არ არის მითითებული წყაროები (მაგ. გვ. 12, 13, 17 და ა. შ.). შეიძლება ეს საჭირო არც იყოს სამეცნიერო-აპოტელარული ხასიათის ნაწარმოებისათვის, მაგრამ მკითხველს არ აკმაყოფილებს მარტოოდენ ფაქტების თითქმის სტატისტიკური აღნუსხვა, საჭიროა ისტორიულ სინამდვილზე დაყრდნობით უფრო

მეტი ხორცშესხმა მასალისა. თანამედროვე მხატვრობა, ეფიქრობთ, ისტორიულ ნაწარმებსაც სჭირდება.

რა თქმა უნდა წიგნის ღირებებაზე მტკიცებულებს ის გაერმოება, რომ 1905-7 წლების მოძრაობა რაჭა-ლეჩხუმში განხილულია რუსეთის საერთო რევოლუციის ფონზე, მაგრამ ზოგერთი ექსტრემები გადაქარბებულად მოგვეჩვენა, ბევრი რამ ისეთია გამოცემული, რაც თანამედროვე განვითარებულმა მკითხველმა უნდა იცოდეს. ხომ არ იქნებოდა უკეთესი აღნიშნული „ექსტრემების“ შემცირების ხარჯზე წარმოგვეჩინა ძირეული მასალა, რაც ხელმეორედ აღწერილია ფართო საზოგადოებისათვის.

მეტად ცოტა ცნობებს ვხვდებით ადგილობრივ რევოლუციონერთა შესახებაც. მარტოდენ მათი საქმელების ჩამოთვლა არ არის საკმარისი. მკითხველს სურს იმათ შესახებ ვინც თავისუფლებისათვის თავი დადო მეტი იცოდეს.

ავტორს არ გამოუყენებია 1905-7 წლების მღელვარე დღეების მონაწილეთა გამოცემები. ისინი ხომ ცოცხალი მატანეები არიან და ვინ მოსურვებს რამდენს საინტერესო ფაქტებს ინახავენ ყოველივე როდი ასახება პრესაში, მემორარულ ლიტერატურაში და ოფიციალურ მიმორწმინაში. საყოველთაოდ ცნობილი ქვეშაობაა, რომ რევოლუციის მკვედვართათვის აუცილებელია ხალხში მშრომა, ე. წ. „ველზე“ მომარბული მასალების ისტორიულ საბუთებთან შეჯერებით ბევრი რამ საჭიროსა და დავიწყებულის აღდგენა შეიძლება. ჩვენი აზრით, ნაშრომის ცოტა არ იყოს, სიმშრალი, ამითაა განმარბებული და ბოლოს გვესურს დავამინოთ. რომ არსებობს აღმუდინაშვილის მეტად სინტერესო შრომა — „1905 წელს რაქაში“ (თავ შრ. ტ. 57, 1955 წ.), სარეცენზიო წიგნის ავტორს ფეი რატომღაც მოხსენებული არა აქვს. ჩვენი აზრით, აღნიშნული შრომის გამოყენება სასარგებლო იქნება.

ზემოად აღნიშნული შენიშვნები, რასაკვირველია, ვერ ჩრდილავს წიგნის ღირებებას. ამ შრომით პირველად ფართო მკითხველამდე მოტიანილი იქნა რაჭა-ლეჩხუმის რევოლუციური წარსულის ბევრი საინტერესო ცნობა.

ლევან ფრინჯი

ნარკვევი კავთურას ხეობაზე



გამომცემლობა „ნაკადლემა“ გამოუშვა პროფესორ სერგი მაკალათიას მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი „კავთურას ხეობა“, რომელშიც საინტერესოდაა მოცემული შეაქართლის ამ ერთ-ერთი უღამაზესი კუთხის გეოგრაფიულ-

ისტორიული მიმოხილვა, აღწერილია მატერიკული კულტურის ძეგლები, მითხრობილია ამ ხეობის რევოლუციამდელ და თანამედროვე მკვიდრთა შრომა-საქმიანობაზე.

თუ ვაეითვალისწინებთ იმ ვარემოებას, რომ



კეთურას ხეობის ისტორიული წარსული ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, ნათელი გახდება ასეთი ნაშრომის ღირებულება, მით უფრო რომ, როგორც ავტორი მიუთითებს, ეს ხეობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი სიმდიდრით უფროდ თამაშობდა ერთგვარ როლს შუა ქართლის ისტორიულ წარსულში. საკმარისია დავასახელოთ აქ არსებულ ქართული ზეაროთმომღერების მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის ერთ-ერთი შესანიშნავი ქვათა ხევის მონასტერი, რომელიც აშენდას მე 12-13 საუკუნეთა მიჯნას მოკვლავთნებენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ახლო-მახლო მიდამოებში იმ პერიოდისათვის მჭიდრო მოსახლეობა უნდა ყოფილიყო.

წიგნის დასაწყისში ავტორი არკვევს ხეობის სახელწოდების ეტიმოლოგიას. ხალხური გადმოცემით, სახელწოდება „კეთა“ უკავშირდება კავს (კავიან ჯობს), რომლითაც მდინარე კეთურას სათავეზე მდგარ მეცხვარეს ნანგრევებში ნაპოვნი ბრჭყვიალა ხატი გამოტყანილი. მაგრამ ს. მაკალათიას აზრით უფრო სარწმუნოა ეიფიკრით, რომ ეს სახელი დაკავშირებულია „ეკართასთან“ (ქრისტეს პერანგი), რაზედაც ისიც მიანიშნებს, რომ სოფელ ხოვლეში არსებულ „ეკართის“ ეკლესიაში იმართებოდა ხატობა „ეკართობა“.

ცნობილი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ასე აგვიწერს კეთურას ხეობას: „ნიჩბისის * დასავლით ხევი კეთისა. გამოსდის დიდგორს, დის ჩრთილოთ, ერთვის სამხრთიდამ. ქვათახევამდე ეენახოვანი, ხილიანი... და არს ადგილი შემუკელი, ზაფხულად გრილი წყაროიანი. ზამთარი თბილი, ვარუშის მთა ტყიანი, შენობა მრავალნი“ და შემდეგ იგი აღმატრეტებს, რომ ქართველ მეფეებს აქ ჰქონიათ საზაფხულო სააგარაკო სასახლეები: „არს თვალის სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი“.

...ყოტლი თემურის გამაქმნავარბული შემოსევებით იაყარქმნილ კეთურას ხეობაში დროებით ნაპყვადარა შჩქეფარვ სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. მაგრამ შტარვალის თავიდან მოშორების შემდეგ კვლავ დაწყებულია აქ ეთხის აღდგენა-მომშენება. რის შემდეგაც თვალსაზრისოდ დაწინაურებული მაილამეთა გვარი, რომლის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ გვარის ერთ-ერთი ფეოდალური ოჯახი შოელი შემადგენლობით იყო გამოსახული კოშკის კედლის მხატვრობაში, რომლის ფლოტობრივ გადამბეჭდილი ს. მაკალათიას წიგნში.

როგორც ავტორის მიერ დამოწმებული საისტორიო საბუთებიდან ჩანს, მაკალამეთა გვარს საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონია. ამასთან იგი დიდძალ მამულებს ფლობდა და გააჩნდა კანადი მოწყობილი საცხოვრებელი, თავდაცვითი

და საეკლემსახურო ნაგებობანი. წიგნში დასახელებული არიან ხეობაში მცხოვრებნი მრავალგაბოჩნილი გვარის თარბნიშვილების წარმომადგენლებიც, რომლებიც დიდი მორტავის გიორგი საყაძის შთამომავლებად ითვლებიან.

ხეობის ისტორიული წარსულის გადმოცემისას ავტორი განსაკუთრებით ზრტვდება ერთ მერთად საველისხმო ამბავზე: მე-18 საუკუნეში დაღესტნელ ყაჩაღთა გამომდებულ რბევითარქმს აქ იმდენად აუტანელი ხასიათი მიეღოა, რომ მეფე ერეკლე იძულებული გახდაარა მოსახლეობის დიდი ნაწილი, კერძოდ სოფელ კათისხეველები კახეთში გადასახლებინა, რათა ისინი ფოჩიკური განადგურებისაგან გადარჩენილიყვნენ; ლეთა თარქმი საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებშიც ვაგრძელებულა, რომლის შიშით აქ მოსახლეობა ფესვარ იკიდებდა. და ამ აღგალი ხელახალი მოშენება-დასახლება მხოლოდ ვასელი საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულა.

ავტორი საინტერესოდ აგვიწერს მატერიალური კულტურის ისტორიულ მნიშვნელოვან ძეგლებს, რომლებთაც ასე უხვადია მოგვანი ხეობის მიდამოები. ამ ძეგლებიდან ზოგი ნანგრევი-ფარავნებების სახითაა შემორჩენილი, ბევრიც ამდენ ყამთა სიავისა და ძნელებდობის დროთა გამოვლის მიუხედავად უფრო კარგად მოღწეულან ჩვენამდე. ძეგლების აღწერისას ავტორი სათანადოდ არჩევს მათს კონსტრუქციულ აღნაგობას და სამშენებლო სტილს, გადმოგვემს ისტორიულ მნიშვნელობის წარწერებს. წიგნში კეთურას ხეობის ისტორიული ძეგლები თანმიმდევრობითაა განხილული იმ სოფლებთან და ადგილებებარბობათა მიხედვით, სადაც ისინი არიან ვანდაგებულნი. აქ აღწერილი მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლებიდან ბევრი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი გაცნობა მარტო ქართლის ამ პატარა კუთხის წარსულით დაინტერესებულ ცნობის მოყვარულ ვი არა, ქართველი ხალხის ისტორიის შემსწავლელთ და მკვლევარებსაც კი გამოადგებათ. მაკალათად, სოფელ ილეთში დაეცულია შესანიშნავი ძველი ეკლესია „იოანე ნათლისმცემელი“. ვაღმომცემის მიხედვით, იგი აგებულია თმარ მეფის მიერ, მაგრამ სინამდვილეში იგი ვაკილებით ძველი ჩანს. ქვითობითა და ნაწილობრივ ცისფერი ქვებით ნაგები ეს კვშმათოვანი, ჯვრისფორმის ტაძარი გემოვნებით ყოფილა მოხატული, რომლის ნაწილიც ახლაცაა შერჩენილი, საერთბევლის ეკლესია. როგორც ავტორი მიუთითებდა, ილეთის ეკლესია თავისი გვემითა და სამშენებლო თვისებებით ამჟღავნებს უშუალო კავშირს საქართველოს ადრეკრისტიანული კლასიკური ხანის ძეგლებთან (სამწვერისი, მცხეთის ჯვარი, ატენის მეორე ტაძარი, შიომღვიმე და სხვა). მისი აშენების თარიღიც ვანისაზღვრება მე-6

საუკუნით. რაც შეეხება იდუაღის კედლის მხატვრობას, მას მივაუთვინებენ მე-11-12 საუკუნეებს.

ძველი აგრეთვე სხვა საეკლტო ნაგებობანი. მავალითად, ბეთლემის ტაძარი, რომელიც ახლაც ცნობილია მაღალად ეკლესიის სახელწოდებით, აგებულია მე-12-13 საუკუნეთა მიჯნაზე, ხოლო კედლებზე შემორჩენილი მხედრული წარწერიდან დასტურდება, რომ ეკლესია ვანუ-ახლეთა ფეოდალ მაღალაქს 1677 წელს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. კათოლას ხეობის ბევრ სოფელში შემორჩენილია ორი ან მეტი ძველი ნაგებობა. მავალითად, წინარეში შემდეგი ეკლესიებია: წმინდა თევდორე, ჯვარბატოსანი, ღვთისშობელი, წმინდა სტუჟანე, ჩადრის ეკლესია და მუნის საყდარი, ასევე საკმაოდა შემორჩენილი ხეობაში ფადაკეთი ნაგებობანი და ციხე-კოშკები.

წინაში კარგადაა გამოყენებული ამ კუთხის შესახებ მანამდე არსებული წერილობითი მასალები, აგრეთვე ზეპირი ხალხური გადმოცემები ფოლკლორული თუ სხვა ხასიათისა, ჩაწერილი ავტორის მიერ. განსაკუთრებით საინტერესოა ის ადგილი, სადაც გადმოცემულია

კათოლას ხეობის შევიდრთა გვერდითი წიგნითი საგულისხმო შავალთა: მოგვლ თვა-ლადის იმ ადგილზე, რომელიც არსებობს მუდის ნასახლარად არის მიხნეული, ამგანად ცხოვრო-ბენ შექანარაშვილები, რომელთა წინაპარი, გად-მოცემის თანახმად, მუდის დამკვერლი, მემუ-სივე ანუ შექანარე ყოფილა, აქედანვე წარმო-დგარა ეს გვარიც; ამავე სოფელში მცხოვრებ ცალქალაქანაშეთა წინაპრები გვიარდ ცვაბრე-ლიძეები ყოფილან, მაგრამ მათ ნაწილს ახალი გვარი შემდეგ ამხეთან დაკავშირებით მიუღია: ერთხელ შეეფს ჩამოუღვია ოსებ გადარბე-ლის კარზე და დოუძახა მისთვის, წამოდი ჩქა-რა, მტერი კარზე მოგვედგომიაო. ოსებმა ამ დროს თურმე ქალამანს აყრებდა და მუდის-თვის მოუხსენებია, ცალი ქალამანთ როგორ წამოვიდეთ, მაგრამ შეეფს იგი მაინც წუთჯა-ნია; საყადის შთამომავლებს თარხნიშვილების გვარი იმიტომ მიეცა, რომ პირველად გიორგი საყადემ მიიღო თარხან-მოურავის სახელწოდე-ბა („თარხანი“ თავისუფალს ნიშნავს).

ს. შაკალათაის ამ წიგნს ინტერესით გაცნობთ ფართო მკითხველი.

დავით ჩაპხიაძე

საპირო სახელმძღვანელო



დოქ. ვ. რამიშვილმა ამ ექანასკნელ წლებში რამდენიმე შრომა მიუძღვნა დაწყებით სკოლაში ქართული ენის სწავლების საკითხებს. მისი ახალი შრომა „ქართული ენის სწავლება დაწყე-ბით სკოლაში“, დაწყებითი სკოლის ქართული ენის მასწავლებელთა პრაქტიკული სახელმძღ-ვანელოა.

ამგანად „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო გა-ნათლებლის სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის განხორციელებისთან დაკავ-შირებით მოთხოვნალება ასეთ პრაქტიკულ სა-ხელმძღვანელოზე გაიკლებით მეტია. მან ხელი უწდა შეუწყოს ქართული ენის სწავლების გა-რდამწვა-გაუმჯობესებას იმ ამოცანების შესაბა-მისად, რაც სკოლასა და კერძოდ ქართული ენის, როგორც მშობლიური ენის, სწავლებას დაუხაბა ამ კანონმა.

ვ. რამიშვილის შრომაში ფართოდაა წარმო-დგენილი მოწინავე სკოლათა და მასწავლებელთა გამოცდილება, რომელთა მეტი ნაწილი ავტო-რის მიერაა მოპოებული უშუალოდ სწავლების პროცესზე დაკვირვებით, როგორც თბილისში, ისე რაიონებშიც. თბილისიდან შრომაში გან-ზოგადებულია ნ. ალადაშვილის, ა. ფრუიძის, ნ. ფრანგიშვილის, დ. სანიკიძის და სხვ. გამო-

ცდილება, ქუთაისიდან — ანიკოლაის, ზათემი-დან — მ. ლოლუის, გორიდან — ნ. კასრაძის და ა. შ.

შრომაში კარგადაა გამოყენებული ჩვენი დი-დი პედაგოგების ე. უშისკის, ნ. გოგებაშვილი-სა და სხვათა მეთოდოლოგიური შედეგები, არ-სებულ მეთოდოლოგიურ ლიტერატურა (განსაკუთ-რებით რუსული), საქართველოს მასწავლებელ-თა კონფერენციების მასალები და სხვა.

წიგნში წარმოდგენილი ყოველი თავი, ყოველი საკითხი ლამაზავებულია ზუსტა თანმიმდევრო-ბით: განხილულია ჯერ ამ თავთან (თუ საკითხ-თან) დაკავშირებული ზოგადი თეორიული სა-კითხები, ხოლო შემდგომ ცალკეულ საკითხ-თა სწავლება, მუშაობის ფორმები და მათი და-მუშავების მეთოდოლოგია. შრომაში ყოველი საკი-თხის სწავლებას, მუშაობის ყოველ ფორმას ერ-თვის სხვადასხვა სახის საეარჯიშო მასალა.

წიგნის პირველი თავი წერა-კითხვის სწავლებას ეხება. იქ ჯერ განხილულია ზოგადი საკითხე-ბი, ხოლო შემდეგ წერა-კითხვის სწავლების პრაქტიკული საკითხები და წარმოდგენილია წი-ნასაინბანო და საინბანო პერიოდის მუშაობის ფორმები და სამუშაო მასალის დამუშავების მე-თოდოლოგია. წინასაინბანო პერიოდში განსაკუთრე-ბული ყურადღება ექცევა მასწავლეთა მეთვე-

ლებს განვითარების, მეტყველების განვითარებისათვის სახელმძღვანელოში წარმოდგენილია მუშაობის მრავალნაირი ფორმა.

სახელმძღვანელოს მეორე თავი კითხვის სწავლებას, რომელშიც დეტალურადაა გაშუქებული როგორც ახალი კითხვა და მისი მხარეები (სწორი, სწორად, შეგნებული და გამომეტყველებითი), ისე დამოუკიდებელი კითხვა.

ახალი კითხვის ამა თუ იმ მხარის დახასიათებასთან ერთად შრომაში წარმოდგენილია ცალკეული მხარის გამოსამყვებელი მუშაობის მრავალნაირი ფორმა. მაგალითად, შეგნებული კითხვის დასუფლვებლად (I-II კლასებში) რეკომენდებულია და მეთოდურად დამუშავებული: თვალსაჩინოება (საგნობრივი ან ილუსტრაციული), შედარება (ნაცნობი საგნის შედარებით უცნობი საგნის გაგება და მისი სახელს შესწავლა), პერიფრაზი (უცნობი სიტყვის ახსნა-განმარტება), სინონიმების გამოყენება. წინადადების შინაარსის გასაგებად სიტყვათა ურთიერთ კავშირის გარკვევა, ტექსტის ადგილების შერჩევა კითხვა, კითხვების დასმა. ნაწარმოების შინაარსის გასაცნობიერებლად: ანდაზებისა და გამოკვების მნიშვნელობის ახსნა, გვეგმის შედგენა, მისწავლების საინიმეო წყაობვა, ჩუმიად კითხვა და ა. შ.

ცალკე-ცალკე კლასებისა მიხედვითაა დამუშავებული მეცნიერულ-პოპულარული და მხატვრული ნაწარმოებების სწავლება. მეცნიერულ-პოპულარული სტატიის დამუშავება სხვადასხვა ვარიანტია მოცემული, რასაც უდაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მისწავლებელთა მუშაობის სხვადასხვაობისათვის, ისე მოსწავლეთა აქტიურობისათვის.

შრომაში ნაჩვენებია მხატვრული ნაწარმოების სწავლების ორგანიზაციისა და ხერხების განსხვავებულობა მეცნიერულ-პოპულარული სტატიის სწავლებისაგან: თუ მეცნიერულ-პოპულარული სტატიის კითხვა-გარჩევა ხდება ნაწილიდან მთელისაკენ, მხატვრული ნაწარმოების კითხვა პირიქით — მთელიდან ნაწილისაკენ მიემართება. სახელმძღვანელოში მხატვრული ნაწარმოების ყოველი ენარი (მოთხრობა, ზღაპარი, იგავარაყი, ლექსი, ანდაზა, გამოცანა, აფორიზმი და ა. შ.) კლასებისდამხილვით ცალკე-ცალკე განხილულია და მოცემულია ამა თუ იმ კლასში ყოველი მათგანის დამუშავების მეთოდოლოგია, ამ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებით. რითაც ერთი განისი ნაწარმოების სწავლება განსხვავდება მეორისაგან.

არადავსა გათვალისწინებული დამოუკიდებელი კითხვის მნიშვნელობა მოსწავლეთა კომუნიკურად აღზრდის, მათი მეტყველებისა და აზროვნების განვითარებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ჩვეუთა გამომეტყვეების საქმეში. აქვე წარმოდგენილია როგორც ეს, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს მისწავლებელმა მოსწავლეთა დამოუკიდებელ კითხვას, ისე მოსწავ-

ლეთა დამოუკიდებელი კითხვის მოქმედების ხერხებიც (კითხვა-პასუხი, დიაგნოსტიკური კითხვები, სქემა).

საკითხის თეორიულ გაშუქებით, მეთოდოლოგიურ დამუშავებით, საგარჯიშოებითა და მუშაობის ფორმებით ყურადღებას იპყრობს მეხუთე თავი — მეტყველების განვითარება. აქ ცალკე-ცალკეა განხილული ზემოთი და წერითი მეტყველების კულტურის განვითარების საკითხები. ზემოთი მეტყველების განვითარებლად შრომაში რეკომენდებულია მუშაობის სხვადასხვა სახე.

ლოგიკურ საგარჯიშოებს ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა ცნებითი აზროვნებისა და მეტყველების განვითარების საქმეში. ლოგიკური საგარჯიშოები უნდა ჩატარდეს თანმიმდევრულად, კონკრეტული მიზანდასახულებით.

ცნობილია, რომ მეტყველების განვითარებზე მუშაობა უმთავრესად დაწყებით სკოლაში ხდება. მართალია, ყოველი საგნის სწავლება ზრდის მოსწავლეთაში „ცნებითი, ლოგიკური აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის, დღაგებული თხრობის უნარსა და ჩვევას“ (გვ. 297), მაგრამ, როგორც მართებულია აღნიშნავს ავტორი, უველაზე მეტი მნიშვნელობა ენას, ერთიკიკიკი აქვს.

გრამატიკა და მეტყველების განვითარება მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და „ერთმანეთისთვის აუცილებელია და ურთიერთ შემკვები არიან“ (ე. თოდრა). მაგრამ გრამატიკის სწავლების მნიშვნელობა მარტო ამით როდი განისაზღვრება. გრამატიკის სწავლებასავე უკავშირდება ენის სწავლების ისეთი საკითხები, როგორცაა: ორთოეპიის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციისა და სტილისტიკის საკითხები. მართალია, უველა ეს საკითხები დაწყებით სკოლაში მკირდ დოზით, ელემენტარულად ისწავლება, მაგრამ არა განვიწყველად, დამოუკიდებელი, არამედ გრამატიკული წესის საფუძველზე, გრამატიკისათვის მჭიდრო კავშირში და თვალსაჩინოდ. ამდენად, გრამატიკის სწავლებას დაწყებით სკოლაში არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მართლწერისა და მართლმეტყველებისათვის. სარეცენზიო სახელმძღვანელოში ფართოდ და დეტალურადაა დამუშავებული „აქართული ენის გრამატიკის, მართლწერისა, პუნქტუაციისა და სტილისტიკის ელემენტების სწავლება“ (თავი I) აქ ავტორი აჩვენებუბს ამხვეილებს ყურადღებას მეტყველების კულტურის საკითხებზე გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით და იძლევა მრავალჯერ საგარჯიშოს.

შრომის უშუალო დანიშნულება, როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული „სწორედ ისაა, რომ ერთგვარი გარკვეულობა შეიტანოს ქართული ენის სწავლების პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში“, ხელი შეუწყოს სწავლების უვეთ წარმართვას, მოსწავდომი გახადოს მისწავლე-

ბელთაფის ამა თუ იმ სპროვარამო მასალის სწავლების კონკრეტული ხერხები და საშუალებები. ამ დანიშნულებას ემსახურება სახელმძღვანელოში წარმოდგენილი გაკვეთილია გვეგმები და კონსპექტები, რომლებიც მრავალად ერთგვის შრომის ყოველ თავს, ყოველ ძირითად საკითხს. გაკვეთილია ამ გვეგმებსა და გვეგმა-კონსპექტებში წარმოდგენილია სწავლების პროცესის უშუალო სურათი, ნახვევებია ამა თუ იმ მასალის განსახილველ კლასში სწავლების ორგანიზაციის ფორმები. ამ ყოველი გაკვეთილისათვის გამოკვეთილია კონკრეტული მიზანდასახულობა, კონკრეტული ცოდნისა და ჩვევის გამომუშავება. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე მასალა რამდენიმე გაკვეთილს მოიცავს იმისა და მიხედვით, თუ რა არის მისი მიზანი — გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის გამომუშავება, ლექსიკური მარაგის გაზიარება, გრამატიკული მასალის შესწავლა, სტილისტიკის საკითხებზე მუშაობა თუ სხვა. მკვრამ ამით როდღი განისაზღვრება გაკვეთილი ტიპები. სახელმძღვანელოში არა ერთი ისეთი გაკვეთილიც, რომელიც ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავს; კითხვის ჩვევის გამომუშავებას და გრამატიკული მასალის შესწავლას, ან გამომეტყველებით კითხვის დაფუძნებას და მეტყველების განვითარებას და ა. შ. გაკვეთილია ასეთი გვეგმა-კონსპექტებისა და გვეგმების მნიშვნელობა მეტად დიდია მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში.

შრომა მოითხოვს ზოგიერთი ადგილის დახუხუტებას, შესწორებას.

1. წინასაანბნო პერიოდში წერა-კითხვისათვის მოსამზადებელი ვარჯიშობისას ლამაზა და ხმოვნებისა და თანხმოვნების გამოყოფასა და გაცნობაზე. გაცნობა ბგერისა მისი ნიშნის, ასის ვარჯიშე შეუძლებელია. ამ საფეხურზე ხმოვნისა და თანხმოვნის მხოლოდ გამოყოფასა და წარმოთქმაზე შეიძლება ლამაზა და არა მათ გაცნობაზე.

2. 48—49 გვ. წარმოდგენილია წინასაანბნო პერიოდის გაკვეთილები. ამ გაკვეთილების მიხედვით სწავლების II და III დღესვე ადგილი აქვს ამბიდან წინადადების გამოყოფას, მის დაშლას

სიტყვებად, სიტყვების დაშლას მარცხენა და მარჯვენა, ბგერების გამოყოფას (წერა ჩვენებების, შემდეგ თანხმოვნების) და მათ გაცნობას. ცხადია, ასეთი მუშაობა სწავლების მეორე, მესამე დღესვე შეიძლება ნაადრევად და პრაქტიკითაც არ მართლებდნენ.

3. 213 გვ. მოცემულია საფარჯიშო მასალა, რომელიც მოსწავლეებმა უნდა დააჯგუფონ ვინ და რა კითხვების მიხედვით და დაწერონ დათვაზი. თუ გავითვალისწინებთ, რომ დაწვებით სკოლაში გრამატიკული მასალის სწავლებას გაკვეთილიდან მხოლოდ რამდენიმე წუთი ეთმობა, მასალა დიდია ერთდროული ვარჯიშობისათვის.

4. 225-ე გვ. მოცემული ქვემდებარე-შემასმენელის სწავლება III კლასში. ამ ორ წინადადებაზე „ქვრდელი გარბის“ და „მარხა წყეს“ ეცნობა ქვემდებარისა და შემასმენლის რაობა და ეძლევა განსაზღვრა. ამ მოცემული ქვემდებარის განსაზღვრა — „ქვემდებარე არის წინადადების წევრი, რომელიც გამოხატავს მოქმედსაგან ან რომელსაც მოქმედმა მიეწერება“ — მესამე კლასის მოსწავლეთათვის რთულია. იგი არსებითად არ განსხვავდება იმ განსაზღვრისაგან, რაც მე-6 კლასში ეძლევა მოსწავლეთ. აქობებდა III კლასში ქვემდებარის განსაზღვრისას დაეკმაყოფილებულიყავით მისი როგორც მოქმედის დახასიათებით.

5. დაბოლოს, სასურველი იყო წიგნში, როგორც პრაქტიკულ სახელმძღვანელოში, წარმოდგენილი ყოფილიყო სხვა ტიპის გაკვეთილებიც: ცოდნის განმტკიცების, აღრიცხვის, განმეორების და სხვა. ცნობილია, რომ ასეთი გაკვეთილების ჩატარება მისი ორგანიზაციულ-მეთოდური მშრომის მზაზეა უფრო უკარს მასწავლებლებს, ვიდრე ნარევი (კომპინირებული) გაკვეთილებისა.

საერთოდ, შრომა კარგი შენაქნია. იგი სახელმძღვანელო წიგნია როგორც დაწვებითი სკოლის მასწავლებელთათვის, ისე პედ. ინსტიტუტების დაწვებითი განათლების ფურცლებების სტუდენტებისათვის. ამ წიგნის მომხმარებელთა წრე საკმაოდ ფართოა და სამწუხაროა, მისი ასე მცირე ტირაჟი გამოვიდეს.

მარიამ თალაგაძე

მონოგრაფია გარგინის ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ

ხევი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულად მნიშვნელოვანი, მაგრამ ჯერ კიდევ საკლებად შესწავლილი ეთხეა. მის შესახებ არსებული მცირედი ლიტერატურა თანამედროვე მეცნიერების გამზდილ მოთხოვნებს აღწევს ვერ

აქმყოფილებს. ამის გამო, მასზე დაწერილი ყოველი ახალი ნაშრომის გამოქვეყნება, სადაც ესა თუ ის საკითხი ჯეროვნად იქნება გამოქმედილი, სასარგებლო და მისასაძებნელია. ამ თვალსაზრისით ყურადღების ღირსია გ.

დოლიძის მიზნობრივი გამოკვლევა „გარბანი ქართული ზეითონოპროდუქტების IX-X ს. ს. ძველი ხევი“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემილია რედაქციის ხელნაწილი.

მიზნობრივი შესვლა წინასიტყვაობისა, შესავლისა და სამი თავისაგან. წინასიტყვაობისა და შესავალში ავტორი ზღერდება ერთი მხრივ აკვარი ძველების ისტორიულ მნიშვნელობაზე და სეამს საკითხს ხევის ტერიტორიაზე მათი შესწავლის აუცილებლობისა, ხოლო მეორე მხრივ, იძლევა ისტორიული წყაროებისა და ამ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც საკვლევი რაიონის ძველებს შეეხება, ანდა მათი ზოგიერთი თავისებურების გარკვევაში ეხმარება მკვლევარს.

ნაშრომის პირველ თავში „სოფ. გარბანის ზეითონოპროდუქტული ძველის აღწერა“ ვ. დოლიძე იძლევა ტაძრის დეკორაციებით აღწერას. აღწერაშია შეყვება ძველის თანამედროვე მდგომარეობის, მასთან ერთად, მკვლევარი ანგარიშს უწყის ყველა იმ ცნობას, რაც კი ძველის გარშემო არსებულ ლიტერატურაშია აღბეჭდილი და სათანადო წარმოდგენას გვიქმნის იმ ცვლილებებზე, რაც ამ ნაგებობამ წარუდგინა შედეგად გაიყვანა. ამის პარალელურად დამოწმებული ლიტერატურაც სათანადოდ არის შეყვანილი და გამოშუქებულია მართებული თუ მცდარი შეხედულებები.

ზოგიერთ შემთხვევაში ავტორს შესაძლებლობა აქვს ქართულ პერიოდიკაში გამოკვლევებულ მასალებსა და XV-XVIII სს. ისტორიული წყაროების შემოვლით უტრადლება შიაკოსის მოხვევით ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ ძველის როლსა და მნიშვნელობასაც. კერძოდ, ნაშრომში აღნიშნულია, რომ ხევის ტერიტორიის ცენტრში მდებარე ეს ნაგებობა წარმოადგენდა ძველ სათემო ცენტრს, სადაც ხალხს თავმოყრა ხდებოდა ყველა მძიმე სასისლო დანაშაულებათა განახილველად და სათემო, საზოგადო საქმეებზე მოსაზარაკებლად“ (გვ. 27).

ვ. დოლიძის მიერ ქართული პერიოდიკიდან დამოწმებულ ამ ცნობას მხარს უჭერს ხევი ჩვენ მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული მასალები, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ხევის პირველ აღმინისტრაციულსა და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა სოფელი სათარგმნო, რომელიც შორეულ წარსულში მდინარე ყუაროს ხეობაში დაქანებულმა ნიადვარმა შთანთქმა ამის შემდეგ სათემო ცენტრს გადაეცა ცვლილებაში. გარბანში, შემდეგ სოფ. სიონში, სადაც აგრეთვე გარბანის თანამედროვე ცენტრია დღემდე არის შემონახული, ხოლო სოფ. გერგეტის წმინდა სამების აშენების დროიდან (XIII-XIV სს.) თემის საქმეების გადაწყვეტა ხდებოდა ხევის ამ ერთადერთი გუმბათიანი მონასტრის გვერდით მიწვეულ სენაკში.

თემის საბჭოდ ამ ნაგებობის გადაქცევა და ხალხური მმართველობის ცენტრად მისი გადაქცევა მოხვევით ტერიტორიული თემის ცენტრების ადგილობრივი ცენტრების უკანასკნელი ეტაპი, გზობის ძველია ხევილებამ წმინდა სამების სენაკში დაითვალა თავისი არსებობის უკანასკნელი დღეები და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოქმნასთან დაკავშირებით საბოლოოდ დაიწყებას მიეცა.

ძველის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ ავტორი გადადის უშუალოდ ნაგებობის აღწერაზე მისი მინიგანი სივრცისა და ფსახების მიხედვით. აქვე გარკვეულია ძველის წარწერები, გასწორებულია მკვლევართა მიერ მათ წყობილებაში დაშვებული შეცდომები და გაშიფრულია მანამდე შეუმჩნეველი წარწერები. ამავე თავში ავტორი გვიყვანს მოკლე ცნობებს ს. გარბანის მდებარეობის შესახებ და ყურადღებას აქცევს ხევისათვის დამახასიათებელ მშენებლობის ტრადიციას, სახელდობრ ფიქალისა და ტლანქად დამუშავებული ქვების მონაცვლეობის გზით კედლის მშენებლად წყობის ტექნიკას, რაც ნაწილობრივად ტაძრის მშენებლობაშიც ყოფილა გამოყენებული.

მეორე თავში „ძველის რეკონსტრუქცია“ ავტორი მიზნად ისახავს გარბანის ეკლესიის, როგორც მხატვრული ნაწარმოების აღდგენის გარკვეული რესტავრაციის საშუალებით. ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად მკვლევარი დეტალურად აღწერს ყველა მნიშვნელოვან არქიტექტურულ ფრაგმენტს. იმის გამო, რომ ტაძრის „ძირითადი კორპუსის მოხატულობის რეზერვარი აქვს თავდაპირველი სახე“ (გვ. 50), ავტორის ყურადღება ძირითადად მიქცეულია გვერდითი მინაშენებისადაც, რომელთა თავისებურების დახასიათება მხოლოდ არსებული ნანგრევების ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესწავლისა და მათი ერთმანეთთან დაკავშირების შედეგად ხერხდება. ამასთან ერთად, მკვლევარი ფართოდ იყენებს საქართველოს სხვა კუთხეებისათვის დამახასიათებელ პარალელურ მონაცემებს და ამ გზით აღდგენილი ნაგებობის შესახებ დაასკვნის, რომ ეს ძველი „ამჟამად გამოირჩევა იმ მარტივ, მცირე ზომის, უბრალოდ აშენებულ სამლოცველობისაგან, რომელთაც ხევი წმინდა სამების მუხედვით“ (გვ. 53).

ვ. დოლიძის შეხედულებით, „გარბანი გამოირჩევა, როგორც ძირითადი კორპუსისა და მინაშენების მოცულობებით შედგენილი რთული კომპოზიცია. ნაგებობა მხატვრულად გააზრებულია თავისი დროის შესაძლებლობათა მიხედვით“ (გვ. 53). ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის შემადგენელ სათავსოებს, ხოლო ითვალისწინებს რა აჯად. ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილ ტერმინებს — გამომატველს ძველი ქართული არქიტექტურული ნაგებობების შემადგენელი ნაწილებისა, შესაძლებლად თვლის, რომ გარბანის შრდილი, მოკლე მინაშენს

ეწოდეს „სამკეთილო“, ხოლო სამხრეთისას — „სტოა“. მკვლევარი საგანგებო ყურადღების ღირსად მიიჩნევს აგრეთვე მის მიწაშენებს და ფუნქციონალურ დანაშნულებას აღნიშნავს, მით უფრო, რომ „გარბნის ტიპის ნაგებობის შესახებ ლიტერატურაში არაფერია იქმნა“, მაშინ, როდესაც „გარბნის მსგავსი ძეგლები მთელ ჯგუფს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე“ (გვ. 54).

მესამე თავში მოცემული ძეგლის მხატვრული-ისტორიული ანალიზი, ანალიტიკურ ძეგლებთან გარბნის შედარებითი განხილვის საფუძველზე ე. დლოძი ამ უკანასკნელს IX-X სს. ათარიღებს.

ავტორის მართებული შეხედულებით, IX-X სს. საქართველოს ჩრდილო პერიფერიაში — ხევში მისი აშენება სხვა ისეთი ძეგლების გვერდით, როგორცაა სიონისა და ახალციხის ამავე ეპოქის ბაზილიკები, იმის დამადასტურებელია, რომ ხევი საქართველოს დანარჩენ რაიონებთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა და ცენტრალური ხელისუფლების შეუნელებელი ყურადღების ობიექტს წარმოადგენდა.

ამასთან ერთად, ავტორის შიანია და დამატებები საბუთების მოტანითაც აბტაცებს, რომ ჭარბული ზეგნითმოდერების გავლენა ვრცელდებოდა დარიალს აქეთაც, ჩრდილო კავკასიის ფარგლებში — ჩრდილო ოსეთსა და დაღესტნის ტერიტორიაზე, ხოლო ხევი წარმოადგენდა ამ კულტურული ზეგავლენის გამცემ რგოლს.

როგორც ვხედავთ, წიგნი საფუძვლიანად დამუშავებული მონოგრაფიის სახითაა გამოცემული და მასში აღძრული საკითხები ჯერონიდაა გადამწყვეტილი. მაგრამ გვერდს ვერ აუვლით ზოგიერთ ნაქსაც.

1. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, თითქოს ხევი, „მხარეთმცოდნეთა და ეთნოგრაფთა შეუნილებული ყურადღების საგანია“. მაგრამ „მისი ისტორია დღემდე არ არის საკმარისად გამოკვლეული და შესწავლილი“ (გვ. 5).

ხევი კი ვიტყვით, რომ ამგვარ მუშაობას ხევი ინტენსიური ხასიათი მხოლოდ ბოლო ხანებში მიეცა. მანამდე კი ეთნოგრაფიულ მუშაობას ხევი ეპიზოდური ხასიათი მქონდა და დროადად ზოგიერთი საკითხის გამოქვეყნება ხდებოდა.

2. ავტორის შეხედულებით, „უძველეს ცნო-

ბას საერთოე ხევის ტერიტორიისა“ ხევი XIV და XV სს. საბუთები გვაწვდის. ხევის ტერიტორიისა და მის ფარგლებში შემავალი დარიალის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ერთი მხრივ ბერძნულ, რომელ და არაბულ წყაროებში, ხოლო, მეორე მხრივ, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში.

ხეღმები არ იქნებოდა, თუ ავტორი ამასთან ერთად ანგარიშს გაუწევდა „ყაზბეგის განმის“-სახელწოდებით კარგად ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლებს, რომლებიც ს. ყაზბეგში აღმოჩნდა და ძველი საუთენის მეორე ნახევარში და თავისთავად საყვლევი რაიონის ისტორიული წარსულის შესწავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

3. საბუთებში წიგნის მიხედვით, „ხევის საზღვრები კობიდან იწყებოდა, რომელიც შემდეგ დროისთვის უკვე ეწოდებოდა შიეცალა“ და დარიალამდე ვრცელდება (გვ. 12). მომდევნო გვერდზე კი ნათქვამია, რომ მოხვევები მოსახლეობენ ჯერის უღელტეხილიდან დარიალამდე (გვ. 13).

სინამდვილეში ხევის ტერიტორიული საზღვრები — სამხრეთიდან ჯერის უღელტეხილი, ხოლო ჩრდილოეთიდან — დარიალი. მოხვევები ცხოვრობენ ს. ყანობიდან მოყოლებული ს. ცდომდე, ცდოს ჩრდილოეთით მდებარე ს. გველეთში მოხვევებისა და ქისტების შერეული მოსახლეობაა, დარიალს იქეთ — ს. ლარსშიც მოხვევების მუზობლად ოსებისა და რუსების რამდენიმე კომლია დასახლებული; ხოლო ასევე შერწყმული დასახლებაა ს. ჩიში (თურგის-ხიჩა), რომელიც სოფელ ლარსთან ერთად ახალი აღმისტრაციული დაყოფის შედეგად ჩრდილო ოსეთის ფარგლებში მოექცა. რაც შეეხება სოფელ კობს, რომელიც ჯერის უღელტეხილიდან სამხრეთით მდებარე პირველ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს და ხევის ტერიტორიაზე მდებარეობს — ოსებითაა დასახლებული.

აღნიშნული ხარვეზები წიგნის ღირსებას არ ამცირებს, მონოგრაფია უდავოდ საყურადღებოა. მაგრამ საბუთებით წიგნის ავტორი, თუ მისი კოლეგები, ამით არ უნდა დაქაყოფილდნენ. საქირთა თვითნებ საბატო ამოცანად დასახონ ხევის დანარჩენი ძეგლების საფუძვლიანად შესწავლაც, რითაც დიდ წვლილს შეიტანენ ქართული ეროვნული კულტურის ძეგლების გამოძიებების საქმეში.

ვალიანა ითონიშვილი

ახალი წიგნები



საგარეო მწერალი

- გა-ფშავლა — ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები. რედ. ირ. აბაშიძე, გვ. 908. ფ. 28 შ. 65 კა.
- კოსიმ გორკი — კლიმ სამგინის ცხოვრება. ნაწ. II. თარგ. ბ. ნანიტაშვილისა. რედ. შ. აფხაიძე, გვ. 730. ფ. 15 მან. 40 კაბ.
- ენ სკრინი — ქიქა წყალი. თარგ. ირ. ჭაბუკარაძისა. რედ. თ. კომლატაძე, გვ. 96. ფ. 2 მან. 75 კაბ.
- არისტო ჭუმბაძე — ნოველები. რედ. გრ. ჩიქოვანი, გვ. 212. ფ. 5 მან. 10 კაბ.
- ალექსანდრე ბუკოვიჩი — ლექსები. რედ. ი. გრიშაშვილი, გვ. 72. ფ. 1 მან.
- სერან მარნელი — ზღვისპირეთის მელოდები. რედ. შ. ფოცხიშვილი, გვ. 70. ფ. 1 მან.

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა

- ნიკოლოზ კვციანი — თხზულებანი. ტ. 2. რედ. დ. გამეზარდაშვილი, გვ. 662. ფ. 25 მან.
- სერგეი კეკელიძე — ეტრულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. 6. რედ. დ. შენაბდე, გვ. 444. ფ. 15 მან. 65 კაბ.
- დოლიძე — ძველი აღმოსავლეთის სამართალი. რედ. ვ. მელიქიშვილი, გვ. 164. ფისი 11 მან.
- მარტოქაძე — ზოგადი ფიზიკის სახელმძღვანელო. რედ. ა. იშხნიანი, გვ. 582. ფ. 13 მან.
- დოლიძე — ჰიდროავიომეტეორია. რედ. დ. კვეციანი, გვ. 402. ფ. 8 მან. 30 კაბ.
- ია ტახტაძე — რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ. რედ. ვ. დონაძე, გვ. 252. ფ. 9 შ. 40 კაბ.
- კვაციანი — ფეოდალური ეკონომიკა მე-10-11 საუკუნეებში. რედ. გ. ქორდანიანი, გვ. 328. ფ. 14 მან. 20 კაბ.
- ია კოდორაძე — ნარკვევები პირველი მსოფლიო ომის მომზადების ისტორიიდან. რედ. ვ. ქორდანიანი, გვ. 272. ფ. 11 შ. 40 კაბ.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა „სახელობის“

- მამია დუდუჩავა — ხელოვნების პრობლემები. რედ. ე. ქარელიშვილი, გვ. 270. ფ. 14 შ.
- ოთარ ევაძე — ლენინი და ხელოვნება. რედ. ბ. ნანიტაშვილი, გვ. 532. ფ. 24 მან.
- ნიკოლოზ ჯაფარიძე — მარქსი. ენველსი ლენინი ხელოვნების შესახებ. რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 154. ფ. 7 მან.
- გიორგი კვციანი — რევოლუციის საკითხები. რედ. რ. ქორჭია, გვ. 182. ფ. 8 მან.
- ოთარ ევაძე — სოფელი ბიჭი. რედ. გ. აბაშიძე, გვ. 186. ფ. 4 მან. 40 კაბ.
- მამია ბახტაშვილი — ნარკვევები ქართული ეპოქალური განაოლების ისტორიიდან. რედ. შ. ასლანიშვილი, გვ. 214. ფ. 13 შ. 15 კაბ.
- გიორგი ივანიშვილი — ვიწვეთი სექსტრადო კონკურსი. რედ. ა. ადამია, გვ. 106. ფ. 2 მან.
- ს. წერეთელი — ათი ათასი წარმოდგენა პერიფერიაში. რედ. ს. ვაჩნაძე, გვ. 70. ფ. 4 შ. 30 კაბ.

შეცდომის გასწორება

ქუთაისის „მნათობი“ № 7 გ. ასათიანის წერილის „შეგობრობის მატთანადან“ დასასრულს შეცდომით მოყვანილია ნ. ტიხონოვის ლექსის სტრიქონები.
უნდა იკითხებოდეს ასე:
„...როგორც ამბობდა ნიკოლოზ ზაბოლოცკი:

«Привет тебе, о Грузия моя,
рожденная в страданиях и буре!»

შპს 8 ა.

ბ. 64/267



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»